


# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

21 სექტემბერი 2012

№19(175)



ლევან ვასაძის ესეი  
კულტურის დიქტატურა  
ირაკლი ქასრაშვილის პიესა  
მანანა ჩიტიშვილის ლექსები  
კლოდ აფეჟი ენის ბედისწერაზე  
როცა სიტყვები მეტია ცხოვრებაზე  
ივანე ამირხანაშვილი გოგი ხარაბაძეზე  
საქმოსნური რომანი დიდ მოურავზე  
ლექსო დორეულის ალავერდი  
ინტერვიუ ქარდა ქარდუხთან  
ფიცჯერალდის ნოველა  
ოცი წლის შემდეგ

**შინაარსი**

<b>გაფი კასისა</b>	<b>2</b>	<b>ნონა კუპრეიშვილი „კულტურის დიქტატურა“ ბოლშევიზმის დიქტატურის წინააღმდეგ</b> (ვახტანგ კოტეტიშვილი)
<b>მესარეს-ჩინებრევი</b>	<b>8</b>	<b>ქარდა ქარდუხი „ესეც ბანივლის...“</b> (მომზადა ნატა ვარადამ)
<b>პერსონაჟთა გალარეა</b>	<b>10</b>	<b>გია მურულუღია როცა სიტყვები მეტია ცხოვრებაზე</b> (ედუარდ ჰეილის „უსამშობლო კაცი“)
<b>დრამატურგია</b>	<b>11</b>	<b>ირაკლი ქასრაშვილი დილემა</b>
<b>პოეზია</b>	<b>24</b>	<b>იური კახნიაშვილი „რად მესიზმრები შენ, ქართლის ველო“</b>
<b>უსწოთის ცხოვრებიდან</b>	<b>26</b>	<b>მანანა ჩიტიშვილი უცხო ფრინველი და სხვა ლექსები</b>
<b>უსწოთის ცხოვრებიდან</b>	<b>30</b>	<b>კლოდ აჟეჟი ენის თავს მოხვევა ნიშნავს აზროვნების თავს მოხვევას</b>
<b>ანეკდოტი</b>	<b>32</b>	<b>ლევან ვასაძე ლევიწინა და ვრონსკის კრებითი პერსონაჟის პარადიგმა</b>
<b>შტრიხები პორტრეტისათვის</b>	<b>34</b>	<b>ვახტანგ ბახტაძე „მათ სამთა გმირთა მნათობთა“</b> (ძმები გენო, რენე და ზაურ კალანდიები)
<b>რეპორაჟი</b>	<b>36</b>	<b>ეკა ბუჯიაშვილი ოცი წლის შემდეგ</b> (შეხვედრა გურამ პეტრიაშვილთან)
<b>თქმა მართლისა</b>	<b>40</b>	<b>ლექსო დორეული „ალავერდი“ თქვენიანა ვარ, წინიო ალვარო“</b>
<b>წოთები და წლები</b>	<b>45</b>	<b>როსტომ ჩხეიძე ბაღამწვარი მზე</b>
<b>კრიტიკა</b>	<b>56</b>	<b>ივანე ამირხანაშვილი სინთაქსური სპექტაკლების ოსტატი</b> (გოგი ხარაბაძის ბელეტრისტიკა და დოკუმენტური პროზა)
<b>წარსული მომავლისათვის</b>	<b>60</b>	<b>გურამ ყორანაშვილი გვჭირდება კი ასეთი წიგნი?</b> (საქმოსნური რომანი დიდ მოურავზე)
<b>უსწორი ნოველა</b>	<b>61</b>	<b>ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი მაღლობას მოგახსენებთ ცაცხლისათვის</b>
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	<b>გუნინიტი</b>

**ორკვირეული ჟურნალი**

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96\_20\_62

რეკლამა – (995 93) 65\_93\_68

გავრცელება – (995 92) 25\_94\_94

ფაქსი: (995 322) 96\_20\_62

E\_mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ჯუთის ჭიუხები („კაცი არ ყველა სწორია,

დიდი ძევს კაცით კაცამდის“), ამირან არაბულის ფოტოგრაფიული

**„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 5 ოქტომბერს**



ნონა კუპრეიშვილი

# „კულტურის დიქტატურა“ კოლხევიზიზმის დიქტატურის წინააღმდეგ

საბჭოურობა, როგორც რეპრეზენტაციის სპეციფიკური პარადიგმა, სერიოზულ ყურადღებასა და ზუსტ კომენტარებს მოითხოვს. განსაკუთრებით კი იმათგან, ვინც მე-20 საუკუნის ქართული კულტურის ისტორიას იკვლევს და წარსულის რეციდივთა აღმოფხვრის საჭიროებას მწვავედ გრძნობს. ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ უნდა ვძლიოთ იმ უსიამოვნო შეგრძნებებსაც, რომელსაც საბჭოთა პერიოდის (პირველ რიგში, 30-იან წლებს ვგულისხმობთ) პარტიული სხდომებისა და დეკლარაციების, მდარე ლიტერატურული ნიმუშების, მცდარი იდეოლოგიური პოზიციონერობის ან სულაც ელემენტარული შურით აღძრული დასმენებისა თუ „მხილებათა“ რეტრანსლაცია ინვესს, ანუ ის ტრავმული ეფექტი, რომელიც ტოტალიტარული კულტურისათვის დამახასიათებელ ნიშანს – ცხოვრებისეული პრაქტიკისა და რიტორიკის კარიკატურულ გამიჯვნას – გულისხმობს. უნდა შევთანხმდეთ იმაშიც, რომ ტოტალიტარული რეჟიმების შეფასება მტიკინეულია, რადგან იგი უშუალოდ ეხება ადამიანთა ბედს. საზოგადოება, რომელიც ცდილობს მომავლისათვის გადადოს ეს შეფასებანი (მაგ. რუსეთი – მთლიანად, ესპანეთი – ნაწილობრივ), ამჟღავნებს არამარტო თავის მოუმზადებლობას მსგავსი პრობლემების გადასაჭრელად, არამედ დგება სერიოზული საფრთხის წინაშე, რომ ყველაფერი, განსხვავებული დეკორაციებითა და კოსტიუმებით, კვლავ განმეორდეს.

ვახტანგ კოტეტიშვილი, რომლის შესახებაც დღეს ვისაუბრებთ, როგორც გარკვეული თვალსაზრისით რენესანსული ტიპის მოღვაწე (იგი იყო ლიტერატურის ისტორიკოსი, ხელოვნების თეორეტიკოსი, ფოლკლორისტი, ესეისტი, ისტორიკოსი, სოციოლოგი, მოქანდაკე, მხატვარი, საზოგადო მოღვაწე), მომავალზე ორიენტირებული ფიგურაა ჩვენი წარსულიდან, რომელიც ადეკვატურად უნდა შეფასდეს.

ემიგრაციაში მყოფი გრიგოლ რობაქიძე XX საუკუნის დასაწყისში მოსული თაობის კულტურულ კოდს ილიას მკვლევლობით განსაზღვრავდა. გურამ ასათიანიც მაღალ შეფასებას აძლევდა ამ ახალთაობას და მის შემოქმედებით პოტენციალს „ილიას ეპოქის მიერ მომზადებულს“ უწოდებდა. ამასთან თავს უფლებას აძლევდა მათ მიმართ გამოეყენებინა ეპითეტი — „რჩეული მოდგმა“. მთავარ ღირსებად კი უთვლიდა იმას, რომ „...შემოგვინახეს ის, რისი გადარჩენა თითქმის თეორიულადაც შეუძლებელი ყოფილა“. მართლაც, მორიგ პოლიტიკურ ინტრიგათა ხლართში მოქცეული კულტურის რელევანტურობის შენარჩუნება ადვილი არ იყო და ღრმად გააზრებულ მოტივატორულ მსახურებას საჭიროებდა.

ვახტანგ კოტეტიშვილი მოდერნისტული ეპოქის ახალი „თერგდალეულია“. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ უმადლესი განათლება ჯერ პეტროგრადის, შემდეგ კი ტარტუს — მაშინ დერპტის, იგივე დორპატის, იგივე იურიევის — უნივერსიტეტებში მიიღო (სხვათა შორის, ეს ის

უნივერსიტეტია, რომლის შესახებაც გრიგოლ ორბელიანი ასე წერდა თავის ძმას, ზაქარიას: „...რასა იქმს ტატიკო, კი-დევე კოჭლობს თუ აღარა? და ან რას ჰსწავლობს? ურჩიე მელოტონს, რომ „ნა კაზიონნომ იყდივენი“ იმის გაგზავნა რომელსამე უნივერსიტეტში. „ჟალ, ოჩენ ჟალ ბუდეტ ესლი ეგო უმსტვენნიე სპოსობნოსტი ოსტანუტსია ბეზ რაზვიტია“. ნეტავი გამოგზავნოს დერპტისკის უნივერსიტეტში, რომელიც უპირველესია რუსეთში“). გარდა ამისა, პრიორიტეტულობა „მსახურებისა და ინტელექტუალური მოუხვენობისა“ (გერონტი ქიქოძე), როგორც „სამოციანელთა“ ფუნდამენტური იდეებისა, ვახტანგ კოტეტიშვილისთვის რეალურ შინაარსს სტუდენტობის წლებიდანვე იძენს. ამას ადასტურებს პეტროგრადიდან მაშინ გადასახლებაში მყოფი პოეტის, იროდიონ ევდოშვილისათვის, გაგზავნილი წერილი (1912 წ.), იმავე ხანს გაზეთ „სახალხო განათლებისათვის“ გამოგზავნილი სტატია „შავი სიტყვა“ (1914 წ.), ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების გამო წარმოთქმული სიტყვა (1915 წ.) და სხვ. ეს მასალები (ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი სიტყვის გარდა) უცნობია, რადგან არსად გამოქვეყნებულა. არადა, ვახტანგ კოტეტიშვილის ბიოგრაფიისათვის მეტად მნიშვნელოვანია. მაგ. ადრესატად იროდიონ ევდოშვილის არჩევა, მისთვის სტუდენტთა ჯგუფთან ერთად თანადგომის გამჟღავნება, უკავშირდება იმ დევნას, რომელსაც ეს პოეტი ილიას მკვლევლობაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხილების შემდეგ განიცდიდა. ვაჟა-ფშაველას გამოსათხოვარი სიტყვა, ფაქტობრივად, ერთგულების ფიცია, რომელსაც ავტორიტეტული წინამორბედის საფლავთან ახალი თაობა დებს, ხოლო „შავ სიტყვაში“ უკვე კონსტრუირებულია იმ მოღვაწის ფიგურა, რომელიც გრძნობს გარკვეულ პასუხისმგებლობას პოსტილიასეულ კულტურულ სივრცესა და იმ პარადიგმულ ცვლილებებზე, რომელიც ამ სივრცეში უნდა განხორციელდეს.

წერილში შემოქმედებითი სტაგნაციის „ქართული“ ფორმებია აქცენტირებული: მაგ. ინიციატივის სისუსტე, აზრის სიზანტე, ნოვატორული სულისკვეთებისადმი გამჟღავნებული უნდობლობა; მიზეზად დასახელებულია: ზედაპირული აზროვნება, დასავლური ფილოსოფიურ-ესთეტიკური აზრით პროდუცირებული ღრმა ცოდნის უქონლობა, „დოგმატიკოსობა“; აშკარად იკვეთება „მკაცრი სიტყვის“ მონატრება და პროტესტი, მიმართული მწერლობის დისფუნქციის, მისი „საჯირითო მოედნად გადაქცევის“ წინააღმდეგ. წერილის ბოლოს ახალი დროის სტილისტიკის სრული დაცვით ამგვარი შეფასებაა მოცემული: „გახვედეთ საკაცობრიო დოღს. სად მიფრენენ და სად მივჩანალებთ!“

მას შემდეგ, რაც ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ კრიტიკულად შეფასებულ ქართულ პრესაში „შავი სიტყვა“ არ იბეჭდება, ინერება შიო არაგვისპირელისადმი მიძღვნილი ვრცელი ნაშრომი, რომლის სათაურშიც კვლავ შავი ფერი დომინირებს („შავი წიგნი“, 1915 წ.). ცხადია, ეს უბრალო

დამთხვევა არ არის. ყურადღების ფოკუსირება სწორედ შავ ფერზე განსხვავებული მსოფლმხედველობის, აზროვნების ახალი სისტემის ერთგვარი ემბლემა-ნიშანია. იგი ნაციონალური და სოციალური თემატიკიდან ინდივიდის რთულსა და წინააღმდეგობრივ სამყაროზე ყურადღების გადატანას გულისხმობს (ამიტომაც ნაშრომის ეპიგრაფად გალაკტიონის ცნობილი სტრიქონებია გამოტანილი: „ვის უნახავს შავი წიგნი“). არაგვისპირელი, თავისი უჩვეულო პერსონაჟებით ანგრევდა ჩვენს ლიტერატურაში აქამდე დამკვიდრებული, საგრძნობლად იდეალიზებული ქართველის სტერეოტიპულ ხატ-სახეს. მკითხველის ამაფორიაქებელ მის მოთხრობებში საკმაოზე მეტი სკეპსისი იგრძნობა, რაც იმ დროისათვის ეპოქალური გარდატეხის მიჯნასთან მდგარ სამყაროში დაგროვილი უამრავი პასუხგაუცემელი კითხვის გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ. ვახტანგ კოტეტიშვილსაც, ბუნებრივია, ანუხებს ეს კითხვები, რომელთა ახსნის შესაძლებლობა მისთვის უალტერნატივოდ უკავშირდება საზოგადოებრივი ცხოვრების რეფორმირებას, მოდერნიზულ კულტურას.

რამდენადმე პარადოქსული მის ნააზრევში სწორედ მოდერნიზმისა და სოციალური თანასწორობის იდეის ერთ სიბრტყეში გააზრებაა. უფრო სწორად, ამ იდეის ჩამორჩენილსა და პრაქტიკულად უპერსპექტივო ქვეყანაში განხორციელების შესაძლებლობა, რომლითაც შეპყრობილი იყო რუსული და მის მსგავსად ქართული ე.წ. „რაზნოჩინული“ ინტელიგენცია. სწორედ ამ კონტექსტში უნდა გავიაზროთ ვახტანგ კოტეტიშვილის დაინტერესება არა მხოლოდ ნიცშეთი, ბერგსონითა და იუნგით, არამედ კანტით, შტირნერით, კონტით, ზიმელთ, მარქსითა თუ ტელიორით.

სწორ ორიენტირად მოჩანს დამოკიდებულება პოზიტივიზმთანაც. აი, მისი ერთ-ერთი ჩანაწერი: „მე-19 საუკუნე პოზიტივიზმით ამაცობს. მე კი მგონია, რომ ეს არის დავარდნილი ადამიანის უკანასკნელი ყავარჯენი. პოზიტივიზმი დამარცხდა და ის მხიარულება, რომელიც მისი ბანაკიდან მოისმის, მხოლოდ ბრტყელი ტინისა და დამყოლი სულის მაჩვენებელია. შეიძლება ვცდებოდე. იქნებ ეს სიკვდილი მიჩეხილის უკანასკნელი ღიმილია, მაგრამ ორივე შემთხვევაში დიდ კრიზისთან გვაქვს საქმე“.

ვახტანგ კოტეტიშვილის იმდროინდელ ჩანაწერებში კრისტალიზდება ფიქრი პიროვნულ-ნაციონალური თავისუფლების უმაღლეს ფორმებზე, მათი სოციალ-პოლიტიკური სტრუქტურის რეფორმირების მაღალ ხარისხთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობაზე.

ამას კი ახალგაზრდა ავტორი სრულიად ლოგიკურად მიჰყავს არჩილ ჯორჯაძის მიერ დეკლარირებულ ახალ ფი-

ლოსოფიურ-ესთეტიკურ იდეალებთან, რომლებშიც მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული საქართველოს, როგორც კოლონიური, ანუ, როგორც ასეთ შემთხვევაში უწოდებენ ხოლმე, „ისტორიის მიღმა დარჩენილი ქვეყნის“ სტატუსი, აქედან გამომდინარე ყველა შედეგებითურთ. საუკუნის დასაწყისის პრესაში გამოქვეყნებულ არჩილ ჯორჯაძის წერილებში პრინციპულ მნიშვნელობას იძენდა ქართულ მწერლობაში აქამდე გაბატონებული და რეალისტური ხელოვნების პოზიციებიდან ახსნილი სინტაგმის — ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთდაპირისპირების (ხელოვნება თუ ცხოვრება?) — ჩანაცვლება ხელოვნების (ცხოვრებისაგან გათავისუფლების იდეით, რასაც ეფუძნებოდა კიდევ მისი „მშვენიერი ტყუილის“ თეორია. საუკუნის დასაწყისის ქართულ, როგორც გრიგოლ რობაქიძე სწერდა თავად არჩილ ჯორჯაძეს, „მონამულ ატმოსფეროში“ დეკლარირებული ამ თეორიით იყო დავალებული ნაგვიანვე ქართული სიმბოლიზმიც, ჩაფიქრებული როგორც ერთგვარი კულტურული გარღვევა, როგორც ცნობიერების მოდიფიცირების, მისი ევროპეიზების, ევროპაშივე უკვე აპრობირებული შემოქმედებითი სტილებისა და ფორმების ქართულ სინამდვილეში დანერგვის ქმედითი საშუალება. ვახტანგ კოტეტიშვილის კიდევ ერთი ჩანაწერი ავლენს მისი იმდროინდელი თვალთახედვის დიაპაზონს, რომელიც საკვებით თანადროულია და ორგანული სერიოზული მუშაობისთვის განწყობილი ლიტერატორისათვის: „თანამედროვე კულტურა დაფანტულობით არის დანერგილმანებული. პრაგმატიზმმა ჩაახშო ყველაფერი და სიცოცხლის აზრის ძიებას ცხოვრების გაუმჯობესების სურვილი დაეუფლა. უღმერთო ეპოქაა და ამ არეულ სოლომში აქა-იქ თუ გაივლევენ რალაც ნათელი, როგორც ნიცშეს თვალეები, შეაჩქროლებს, როგორც შტირნერის შხამი ან გააცინებს, როგორც უიტმანის ოკეანეს გაღმიდან წამოსული ღრიალი, ან და მოატყუებს ეფექტიანად მარინეტის ფერადი მანიფესტები“.

ფსიქოლოგიური და ისტორიული პროფილის განათლება ვ. კოტეტიშვილის ხედვას გარკვეულ სპეციფიკურობას ანიჭებს. აი, მისი სინთეტური მიდგომის ნიმუში: „დღემდე საქართველო პასივობის სარეცელში იყო გათანგული. ამ მდგომარეობაში კი შემოქმედება შეუძლებელია. და ის, რაც ცხადდებოდა შემოქმედებად, უფრო პოლიტიკურ პამფლეტებს წააგავდა. ე. წ. პატრიოტული პოეზია ჩვენში პოეტურ ოლიმპზე არ ასულა არასოდეს და იგიც კი უცხო სულით, უცხო ხასიათით იწერებოდა. გარე პირობებმა უეჭველად შეუწყვეს ხელი ამ მოვლენას. აზრი და ხასიათი კიდევ უძლებენ წინააღმდეგობას და დაბრკოლებათა სიძნელის ქვეშ მტკიცდებიან უფრო. ესთეტიური განცდა კი პირდა-



ვახტანგ კოტეტიშვილი მხატვარი ვალერიან სიღამონ-ერისთავი

ნიცშეს თვალეები, შეაჩქროლებს, როგორც შტირნერის შხამი ან გააცინებს, როგორც უიტმანის ოკეანეს გაღმიდან წამოსული ღრიალი, ან და მოატყუებს ეფექტიანად მარინეტის ფერადი მანიფესტები“.

ფსიქოლოგიური და ისტორიული პროფილის განათლება ვ. კოტეტიშვილის ხედვას გარკვეულ სპეციფიკურობას ანიჭებს. აი, მისი სინთეტური მიდგომის ნიმუში: „დღემდე საქართველო პასივობის სარეცელში იყო გათანგული. ამ მდგომარეობაში კი შემოქმედება შეუძლებელია. და ის, რაც ცხადდებოდა შემოქმედებად, უფრო პოლიტიკურ პამფლეტებს წააგავდა. ე. წ. პატრიოტული პოეზია ჩვენში პოეტურ ოლიმპზე არ ასულა არასოდეს და იგიც კი უცხო სულით, უცხო ხასიათით იწერებოდა. გარე პირობებმა უეჭველად შეუწყვეს ხელი ამ მოვლენას. აზრი და ხასიათი კიდევ უძლებენ წინააღმდეგობას და დაბრკოლებათა სიძნელის ქვეშ მტკიცდებიან უფრო. ესთეტიური განცდა კი პირდა-

პირ შთაბეჭდილებათა შორის იჭრება. ფანტაზიას არ შეუძლიან მხოლოდ იდეებით არსებობა“.

მიუხედავად ამისა ან იქნებ სწორედ ამის გამო ვახტანგ კოტეტიშვილი ძირითადად ორი მიმართულებით „მოძრაობს“: რუსული რევოლუციისა და განსაკუთრებით დამოუკიდებლობის წლებში (1917-21) ძირითადად გაზეთებში „სოციალისტ-ფედერალისტსა“ და „სახალხო საქმეში“ ქვეყნდება მისი პუბლიცისტური წერილები, რომლებიც პოლიტიკური რომანტიზმის რიტორიკას შეიცავენ. მათში ინსტინქტებზე გონების გამარჯვების რწმენა დომინირებს.

გარდამავალ პერიოდში სულ უფრო აქტუალიზდება კულტურული ორიენტაციის პრობლემაც. წერილში „ლიტერატურული აზროვნება“ ვახტანგ კოტეტიშვილი მყარი ნოვატორია: „ისტორია ძველი ნასაყდარია. მას იფარავენ სამღვთო მუხები, რომელთა გაკაფვაც აკრძალულია. ლიტერატურაც აქ არის თავისი ძველი ფეტიშებით. ხელის შეხება ძნელია. ერი შეგრისხავს. და მოდის ეს თაყვანისცემის ტრადიცია, მოსდევს ლიტერატურული აზროვნებაც... ამ ისტორიასთან შეხება არის საჭირო და ეს შებრძოლება გადატანად უნდა იქნას ყველაზე ვრცელ ადგილას – პიროვნებაში. თორემ ის, რაც დღეს დადის ამ სახელით, რასაც ხშირად საზოგადოებრივ აზრსაც უწოდებენ, ის მხოლოდ რეტროგრადობას უწყობს ხელს და აძნელებს განახლების სიცხეს“.

თუმცა ირკვევა, რომ სერიოზულ დაბრკოლებად, წერილის ავტორის აზრით, თვით ამ განახლების პროცესის ილუზორულობა შეიძლება იქცეს. 1920 წელს იოსებ გრიშაშვილის ჟურნალ „ლეილაში“ (პირველი ნომერი 1917 წელს გამოვიდა, შემდეგ, ვრცელი ინტერვალებით, 1920 და 1924 წლებში) ქვეყნდება ვახტანგ კოტეტიშვილის გახმაურებული წერილი „აზიისაკენ!“ რომელიც ავტორს „დინების სანინაალმდეგოდ მოცურავის“ რეპუტაციას მოუტანს.

მართლაც, ერთი შეხედვით, რა უნდა ყოფილიყო საორჭოფო იმაში, რომ იმდროინდელი საქართველო პოლიტიკურადაც და კულტურულადაც ევროპაზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული. ცივილიზაციისა და კულტურის დაპირისპირების ახალ პარამეტრებში პოზიციითა განლაგებაც ხომ ასე გამოიყურებოდა: „მკვირცხლი ევროპა“ და არა „მცონარე აზია“.

თუმცა თვითონ ვ. კოტეტიშვილისათვის საკითხი ასე მარტივად არ დგას: „ქართული ხელოვნების დაცარიელებულ დარბაზს აღარავინ სდარაჯობს. მხოლოდ „ვიღაც“ ფრაკით შეიჭრა შიგ და კედლებიდან ხალიჩები ჩამოხსნა. ჩვენი სულის უგზობის დროს ეს „ვიღაც“ უშლის რალაც პერსპექტივებს. „ობა“ — „იზმით“ კარგა ხანია შეიცვალა და ასე აპირებენ განგრძობას. ყველა ევროპულობის ციებ-ცხელებამ შეიპყრო. ყველას უნდა ბინოკლის შეფერება. თუმცა ეს გაეგროპიელება გარუსებას უფერო ჰგავდა, რაც უარესია...“

ცხადია, უჩვეულო დევერსიფიციონების მიზეზი ამ ხაზგასმულ ფრაზაში იკითხება. მანანა ხელაია, რომელმაც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გასული საუკუნის 80-იან წლებში პირველად მოახერხა მე-20 საუკუნის ქართული ესეისტიკის კვლევის კარგი საბაბით (წიგნს ასეც ეწოდა „მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული ესეისტიკის ისტორია“, 1984) სხვა ავტორებთან ერთად ვ. კოტეტიშვილის ზოგიერთი წერილის ფრაგმენტების რეპუბლიკაცია, წერდა, რომ „ამ ესეს პათოსს ევროპული კულტურისადმი გა-

დამეტებული ლტოლვა, ქართული საზოგადოების მიერ საკუთარი მეობის დაკარგვის შიში განაპირობებს. მისი ნამდვილი აზრი.. ეროვნული თვითდამკვიდრებისაკენ მოწოდებაა, ევროპის გახსნილ კართან მდგომი მოღვაწის გაფრთხილება“ და ამაზე მეტს საბჭოური ცენზურის სიფხიზლის პირობებში ვერც დაწერდა, ანუ არ ითქვა ის, რომ ვახტანგ კოტეტიშვილისათვის ამგვარი ევროპეიზმი, როგორც 20-იანი წლების ერთ-ერთი პოლემისტი წერდა, „რუსული სოუზით“ მორთმეული ევროპეილობა, გარუსებისაკენ ფარული თუ ღია მიდრეკილების შემცველი ფსევდონოვატორობა, მიუღებელია. იგი აღმოსავლური ფესვების გამოხმობით უნდა განელდეს.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ანალოგიურ პრობლემასთან ქართული მოდერნიზმის თეორეტიკოსისა და იდეოლოგის გრიგოლ რობაქიძის მიერ გამჟღავნებული დამოკიდებულება, რომელსაც იმავე ჟურნალ „ლეილას“ პირველივე ნომერში (1917 წ.) ვპოულობთ: „ძვირფასია დასავლეთი ევროპა, მაგრამ ევროპისათვის აღმოსავლეთს ვერ დავთმობთ“, რასაც მოსდევს ქართული კულტურის უნივერსალური ფორმულა: „უმჯობესი იქნება მათი ქორნილი ქართული ნადიმით გადავიხადოთ“. კულტურათა ურთიერთგადაღვრის, ურთიერთშეღწევადობის იდეას, საბოლოოდ, ცხადია, ვახტანგ კოტეტიშვილიც იზიარებდა. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით მან აღნიშნულ საკითხს კიდევ ერთი (აქამდე გამოუქვეყნებელი) წერილი „ევროპის ტყვეობაში“ მიუძღვნა, მართებული იქნებოდა გვეფიქრა, რომ ძალაში რჩებოდა „ლეილას“ პუბლიკაციის შემაჯამებელი, აკორდული ფრაზა: „...უკან აზიისაკენ, წინ წასასვლელად, მაგრამ ჩინეთის კედლები კი არა, ქართული დარბაზობა“... მსგავს მოსაზრებას იზიარებდნენ აკაკი პაპავა და მარუტა შუამდინარელის ფსევდონიმს ამოფარებული იოსებ გრიშაშვილიც. თვით ტიცთან ტაბიძეც, რომელმაც გამანადგურებელი სტატია მიუძღვნა აზიურ ნოსტალგიას, არა ანტიაზიურ, არამედ ანტიეროვნულ, საბოლოოდ კულტურული იდენტობისათვის სახიფათო ნოვაციების, ცრუ კულტურტრეგერობის მოწინააღმდეგე აღმოჩნდა: „ევროპა შემოადებს კარებს და ჩვენ უნდა დავხვდეთ შეჭურვილი ეროვნული შემცენებით, ეროვნული კულტურის ყველა ფოლაქებშეკრული, რომ იყოს მთავარი მორგვი, რომელზედაც მოეხვევა ახალი იდეები“. ეს კი დასატურების იმ მოსაზრებას, რომ პრინციპულად საკითხში, რომელიც ჩვენი კულტურის პერსპექტივებს შეეხებოდა, პირობითად რომ ვუნოდოთ, პროვეროპეისტებიცა და პროაზიისტიებიც ერთიანნი იყვნენ, თუმცა, შესაძლოა, იმ მომენტისათვის ამას ვერც აცნობიერებდნენ (მანანა ხელაია).

10-20-იანი წლების მიჯნაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ამოცანა იკვეთება. ესაა გარდამავალი ეპოქის კონტექსტში ტფილისის, როგორც დედაქალაქის, მაკონსოლიდებული ფუნქცია. გრიგოლ რობაქიძე „გველის პერანგის“ ერთ-ერთ თავში სახელწოდებით „ტფილისი“ (მას ეპიგრაფად ნამძღვარებული აქვს ფრაგმენტი რობაქიძისავე გახმაურებული ლექსიდან „ტფილისის ხერხემალი“; „ირყევა ტფილისი, ქალაქი წყეული და უტკბილესი“) ყურადღებას ამახვილებდა გზაჯვარედინზე განლაგებულ, რემბოს „მთვრალი ხომალდით“ მოტორტმანე „ქალაქბაბილონზე“, რომელიც თანდაყოლი „რასიული სუმბურით“ გამოირჩევა. გრიგოლ რობაქიძის აზრით, და ამავე

აქცენტს სვამს ვახტანგ კოტეტიშვილიც წერილში „ტფილისი“ (გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი, 1921), მისი ვალი იყო გამხდარიყო „ესეთეტიური მსაჯული“ კარს მომდგარი სოციალური და ეთნო-ფსიქოლოგიური მეტამორფოზები-სა. თუმცა ქართულ ტიპში მომხდარი საშინელი შერევის გამო ტფილისი ასეთ მსაჯულად ვერ იქცა. გასაბჭოების პირველივე თვეებში სომეხ მწერალთა კლუბში ტფილისის ვერშემდგარი მისიის შესახებ უსაუბრია გრ. რობაქიძეს. ლექციას ვახტანგ კოტეტიშვილიც ესწრებოდა. კონსტანტინე გამსახურდია აღუშფოთებია იმ ფაქტს, რომ „ნაციონალური ტრუიზმის უძღურებას“ ქართველი მწერალი უცხოტომელებს შესჩიოდა („ნაცარქექია კუდიანზე“, გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი, 1921). ვახტანგ კოტეტიშვილი ორივე ავტორს ეხმაურება. მისთვის რობაქიძისეული მეტაფორა „ქალაქი-ბაბილონი“ ადეკვატურია და ზუსტად გამოხატავს ისტორიული პროცესებითა და თვით ქართველთა უმწეობითა თუ გულარხეინობით გაუცხოებული ქალაქის არსებობას. „დღევანდელი ტფილისი საშინელია“... – ასეთია ამ წერილის პათოსი. ჩნდება არცთუ უსაფუძვლო აღუზია ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში „შელოცვა რადიოთი“ აღწერილ ვითარებასთან, როდესაც პოლიტიკური თამაშების მორიგ ავანსცენად გადაქცეული დედაქალაქი თავისი ქაოტურობით თვით ყველაზე უფრო თამამ ფანტაზიებს ჩრდილავს. სრულიად ლოგიკურია, რომ ტფილისის მისიის ჩაშლა დროსა და სივრცეში პოლიტიკური ევროპეიზმის მარცხს დაემთხვა.

თუმცა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში ვ. კოტეტიშვილი და ქართველ მწერალთა დიდი ნაწილი ყოვლისმომცველი სოციალური რევანშის სულისკვეთების მიღმა ეძებს ცოდნა-დღურბინდით, განსაკუთრებით კი კანტის ფილოსოფიით, პროვოცირებულ ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის მორიგების იდეის გამართლებას და მას გარკვეული სიფრთხილით, ჩვენს სოციალურ და კულტურას შორის არსებულ ტრადიციულ ურთიერთმიმართებას უკავშირებს. ამიტომაც ახალ რევოლუციურ დემოკრატიაზე სასაუბროდ ვახტანგ კოტეტიშვილიც, სხვების მსგავსად, შესაფერის კანდიდატურას ირჩევს (კონსტანტინე გამსახურდია, როგორც ცნობილია, სულაც ვლადიმერ ულიანოვ-ლენინის უგზავნიდა ღია წერილებს). მისთვის ეს დიდი ამერიკელი პოეტი უოლტ უიტმენია, რომელსაც „ქუჩის გეროლდს“ უწოდებს. (უთუოდ სიმბოლურია ის, რომ ერთმანეთს დაემთხვა თვით ამ წერილისა და მასში რეპრეზენტირებული კონცეპციის ბედი. ბოლშევიკებმა უარყვეს ყოველგვარი თანამშრომლობის შესაძლებლობა, მეტიც, ფიზიკურად გაანადგურეს ვ. კოტეტიშვილი, ხოლო მისი რჩეული ნაწერების ორტომეულში (რედ. დ. გამეზარდაშვილი, 1964 წ.) წერილებს უიტმენსა და სხვა ავტორებზე ისე უცვალებს სახე, რომ მსგავს „რედექტირებას“ არა რეპუბლიკაცია, არამედ უფრო „ინტელექტისგან გათავისუფლება“ შეიძლება ვუნოდოთ).

ამავე წლებში ვ. კოტეტიშვილი სოციალოგიის საკითხების სერიოზულ კვლევას იწყებს. უღრმავდებს კონტის, რიკეტის, ზიმელის ნაშრომებს. ეს იყო დროში დაგვიანებული, თუმცა უაღრესად საჭირო არჩევანი. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვყოლია საკუთარი ვებერები და ზიმელეები, რომ რევოლუცია თავიდან აგვეცდინა. ასე რომ, სოციალოგიური კვლევაც განწირული იყო, რადგან სრულიად შეუფერებელ გარემოში იქნა დაწყებული.

პოლიტიკურ ასპარეზზე ევროპული ორიენტაციის დამარცხებას უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდევ „კულტურის ფრონტის“ გამაგრება. კულტურა განიხილება, როგორც ნაციონალური უსაფრთხოების საშუალება, „კულტურპოლიტიკა“ კი ერის სასიცოცხლო ძალთა კონსოლიდირების ლეგალური საშუალება. ამიტომაც შეიძინა ასეთი აქტუალობა კონსტანტინე გამსახურდიას ცნობილმა თეზამ: „როცა ერი პოლიტიკურ ასპარეზზე მარცხდება, მან მთელი ენერჯია კულტურული ფრონტისაკენ უნდა მიმართოს“. ქართული წიგნის ბედზე გაორმაგებული ზრუნვა, ევროპული ტიპის ჟურნალ „კავკასიონის“ გამოცემა (რედ. პავლე ინგოროყვა), ქართული პროზის, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ, „გაღვიძებული კონსერვატორის“ აქტივიზება, სხვადასხვა ლიტერატურული გაერთიანებების, მათ შორის აკადემიური ასოციაციის ჩამოყალიბება, რომელშიც ვ. კოტეტიშვილი შალვა ნუცუბიძეს, ალექსანდრე აბაშელსა და კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთადაა გაერთიანებული, ადასტურებს კულტურულ ავტონომურობაზე დამყარებული იმედის რეზონანსულობას... გარდა ამისა, თვით ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ გაზეთ „ქართული ისტყვის“ გამოცემა და ფუნდამენტური ნაშრომის — „ქართული ლიტერატურის ისტორია“ — შექმნა. იპოლიტ ტენის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპით: „მე ვკისრულობ ერთი ლიტერატურის ისტორიის დაწერას და მაშასადამე, ერთი ხალხის ფსიქოლოგიის გამოკვლევას“ — აგებული ეს წიგნი, ფაქტობრივად, იმავე კულტურგენეზის კვლევის გაგრძელება იყო, რომელმაც ფართომასშტაბიანი ხასიათი მე-20 საუკუნის 10-იანი წლებიდან მიიღო. ვახტანგ კოტეტიშვილის ამ ნაშრომმაც კულტურული მესხიერების შემნახველის ფუნქცია იტვირთა, რაც უახლოესი მომავალში იმაზე მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე ეს წიგნის შექმნის პროცესში ჩანდა. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ახალგაზრდა ინტელექტუალმა (პავლე ინგოროყვამ, ალექსანდრე აბაშელმა, კონსტანტინე გამსახურდიამ და ვახტანგ კოტეტიშვილმა) ძალზე შნოიანად მოირგო შავი ჩოხები და ამით, როგორც ამბობენ, არა მხოლოდ სოციალური პროტესტი, არამედ „პეტროგრადიდან ფოსტით მოსული რევოლუციისა“ და საბჭოთა ხელისუფლებისადმი საკუთარი დამოკიდებულება გამოხატა. დღეს, დროის გარკვეული დისტანციიდან შეიძლება კონსტატირება იმ ფაქტისა, რომ „შავჩოხოსნებს“, მიუხედავად მათი შორისმჭვრეტელობისა, მთელი სისრულით მაინც ვერ წარმოედგინათ იმ კულტურულ-ლიტერატურული პოლიტიკის რეალური სახე, რომელიც ბოლშევიზმმა უახლოეს მომავალში გამოავლინა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ პროლეტარული პრესა მაშინვე წერდა; „ქართული აზნაურული, კარიკატურული ფსიქიკის კანდიერება იქამდე მივიდა, რომ თანამგზავრობასაც უკადრისობს. ჟურნალ „კავკასიონის“ უკულო არწივით თავიანთ შემოქმედებით იმპოტენტობას შავი ჩოხებით ფარავენ. მათი ლიტერატურული არქაიზმი შინაგონრანტული დიდებითა და ორდენებით აარსებს გამართლებას. ლიტერატურის ქაოტური მდგომარეობიდან გამოყვანა და მისი სალი მომავლისაკენ მიმართვა შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციონური, ახალი მწერლობის ძალების რევოლუციური დარაზმვით“ (პლატონ ქიქოძე, 1925). „სალი მომავალი“ კი ეყრდნობოდა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულს სოციალ-დემოკრატთა მიერ „ჩაგრულ მშრო-

მელ ადამიანებში“ ბნელ ინსტიქტთა გაღვიძების პრაქტიკას ანუ იმ დემაგოგიას, რომელიც სამოციანელთა და ახალთაობელთა მიერ თავის დროზე დიდი პრინციპულობით იქნა მხილებული.

სოციალისტური კულტურა, რომელიც 20-იან წლებში ყალიბდებოდა და 30-იანში კლასიკური ფორმით გამოვლინდა, ტოტალიტარული რეჟიმების ოფიციალური კულტურებისათვის (იტალია, გერმანია, ჩინეთი, ესპანეთი, პორტუგალია, „შავი პოლკოვნიკების“ დროინდელი საბერძნეთი) დამახასიათებელ თითქმის ყველა ნიშანს ატარებდა: მიმართავდა მმართველობის კლიშირებულ ფორმებს, არქაულ (მითოლოგიურ) ცნობიერებაში დანერგული არქეტიპებით აპელირების ხერხს, ხაზგასმულ (და როგორც წესი, იძულებით და მოჩვენებით) ერთგულებას მმართველი რეჟიმისა და მისი ბელადებისადმი (რასაც თან ახლდა ლიქნი და იაფფასიანი კონიუნქტურა), ამასთან, ფსევდოდემოკრატიულობას, რომელიც ხალხის ნიალიდან გამოსული უსახური „უბრალო ადამიანის“ პოეტიზებას და სახალხო მასების აპოლოგიას ეყრდნობოდა. ტოტალიტარული, ბოლშევიკური კულტურის რეციპიენტები, როგორც წესი, ძირითადად გაუნათლებელი ან ნაკლებად განათლებული და სწორედ ამიტომ სოციალისტური იდეოლოგიით გაბრუნებული კულტურის სუბიექტები იყვნენ..

ვახტანგ კოტეტიშვილი, ისევე როგორც მკვეთრი ინდივიდუალობის ნიშნით აღბეჭდილი მისი არაერთი თანათაობელი-ერუდიტი, ბოლშევიკებისათვის არა მხოლოდ მტრული იდეოლოგიის, არამედ უცხო, გაუგებარი და ამდენად საშიში ცოდნის მატარებელი იყო. ამგვარ ადამიანთა ფონზე კულტურის მართვის პრეტენზიის მქონე ბოლშევიკთა (ს. ორჯონიკიძე, ფ. მახარაძე, ვ. ბახტაძე, მ. ვარლინი, დ. დემეტრაძე, კ. მელაძე და სხვ.) მსოფმხედველობრივი შეზღუდულობისა და ინტელექტუალური სიმწირის ლუსტრირება ხდებოდა (გავიხსენოთ თუნდაც, როგორ „განუმარტავდა“ მიხეილ ჯავახიშვილი ვალია ბახტაძეს „თეთრი საყელოს“ კონცეპტუალურ ჩანაფიქრს – მიხეილ ჯავახიშვილის პირადი მიმოხერხა „მნათობის“ მაშინდელ პასუხისმგებელ რედაქტორთან). ცხადია, სწორედ რომ კულტურული მეხსიერების დაცვითა და შენახვით ვ. კოტეტიშვილის მსგავსი ადამიანები ხელ უშლიდნენ სოციალისტური ფსევდოიდეალებს და მკვიდრებებს. კრიტიკოსი ლევან ბრეგაძე აღნიშნავდა კრებულში „ანტისაბჭოური მეხსიერება“, რომ ტოტალიტარული რეჟიმი თავისი ე. წ. „ურავნილოვკის“ თეორიით სწორებას არა ნიჭიერსა და გამორჩეულზე, არამედ სწორედ რომ უნიჭოსა და უსახურ, ფაქტობრივად კი, ადვილადმართვად ადამიანებზე ახდენდა. ამ კონტექსტში ვ. კოტეტიშვილის შავი ბაფთაც კი — რუსული „კოსოვაროტკისა“ და ტყავის კურტაკის ნაცვლად (ბორის პილნიაკის 20-იან წლებში შექმნილ რომანში „შიშველი ნელინადი“ „შავი კურტაკი“ და აბრევიატურით გაჯერებული სპეციფიკური რიტორიკა ბოლშევიზმის ფუნქციონალობის სიმბოლოდაა წარმოდგენილი) - ფუქსავატური ესთეტიკის, უსარგებლო პოზიორობის ნიშნად აღიქმებოდა, ხოლო უნივერსიტეტში ჩატარებული ლექციები ქართული ფოლკლორისა და პოეტიკის შესახებ, რომელთაგან პირველი ინტელექტუალურ პერფორმანსად შეიძლება მივიჩნიოთ, დიდ ინტერესს იწვევდა, სხვა ლექტორთა აუდიტორიებს აცარიელებდა და სწავლების ისედაც დაუბალანსებელ

სისტემას (არა „ახალი პროფესურის“ სასარგებლოდ) არღვევდა. 1932 წლიდან (როცა ოფიციალურად აიკრძალა ლიტერატურული დაჯგუფებები, გაუქმდა „აკადემიური ასოციაცია“) და უფრო ადრეც (კონკრეტულად კი 1929 წლიდან, როდესაც ტროცკი რუსეთიდან გააძევეს და აბსოლუტური ძალაუფლება სტალინის ხელში იქნა კონცენტრირებული), შემუშავდა ბოლშევიკური კულტურისათვის დამახასიათებელი სელექციის სოციოკულტურული მექანიზმი. „მარადი ხელოვნების“ პრინციპები დაუპირისპირდა ყოველდღიურობის საჭიროებით გამართლებულ, ღრმად უტილიტარულ, სინამდვილეში კი სახელმწიფოებრივი მართვის ძალადობრივი მეთოდების დანერგვითა და ძალაუფლების შენარჩუნების სურვილით მოტივირებულ პოზიციას. კულტურული სივრცე, რომლის დემარკაცია ფილიპე მახარაძისეული კლასობრივი სწორხაზოვნებით დეკლარირებულ ლოზუნგს: „ჩვენი ეგნატე, თქვენი ილია!“ ეფუძნებოდა, ახალ ლიტერატურულ პოლიტიკას უნდა დამორჩილებოდა. თავისი სოციოკულტურული გამორჩევის პროცესში ხელისუფლება ორიენტირებული იყო არამარტო პოლიტიკურ-იდეოლოგიურ დოგმებსა და შაბლონებზე, არამედ აქცენტს „უბრალო ხალხის ჯანსაღ აზრზე“, მის „დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე“ სვამდა. განსაკუთრებულად ცინიკური ჩანდა გაუნათლებელი მასებიდან (განსაკუთრებით ეს ითქმის ლიტერატურასა და ხელოვნებაზე) მწერლებისა და კრიტიკოსების „განწვევა“, რაც ნამდვილ ხელოვანთა „მამხილებელთა“, „ისტორიული სიმართლის მატარებელთა“ მასიურ რეკრუტირებას უტოლდებოდა.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა 1931 წელს გამოცემული ნიგნი „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“, რომელშიც ბოლშევიკების წარსულ ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან დამოკიდებულება და ამასთან ერთად კრიტიკის სადამსჯელო ორგანოდ ჩამოყალიბების საკმაოდ მარტივი პრინციპები იკვეთება. კრებული იხსენება ფილიპე მახარაძის წერილით, რომელშიც ავტორი არა მხოლოდ თავისი, არამედ ოფიციალის პოზიციის ტრანსლატორად წარმოგვიდგება: „როგორ გნებავთ შეურიგდეთ იმ მდგომარეობას, რომ ქართული ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა თითქმის სრულიად ჩაბარებული აქვთ მუშათა კლასისათვის სრულიად უცხო ელემენტებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, მტრულად არიან განწყობილნი, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ისე მით უფრო სოციალიზმის მიმართ.. არა, ეს არ გაგივით პატივცემულო მოქალაქენო, კოტეტიშვილებო, კაპანელებო და სხვანო!..“ პროფესიულ ნათლობას ამ კრებულში ფ. მახარაძისაგან ახალგაზრდული ძალეები (პლ. ქიქოძე, გ. შავგულიძე, დ. ბენაშვილი) იღებენ. მათი რიტორიკა ნიგნის რედაქტორის დირექტივების იდენტურია და, სამწუხაროდ, განაჩენის ძალას იძენს. ამას ვ. კოტეტიშვილის შეურაცხმყოფელი კიდევ ერთი ფრაგმენტიც, — ამჯერად „პოეტური სტრიქონები“ — ადასტურებს. მასში ვ. კოტეტიშვილი ქართული სახელმწიფოებრივი საზღვრების დამცველი ივ. ჯავახიშვილის თანამოაზრედაა წარმოდგენილი: „მე აღარ ვიცი, თუ სად თავდება / და სად იწყება „სომხური მტკვარი“, / მოსპო საზღვარი „ტეტია“ გლეხმაც, / გლეხმაც გადაჭრა მიჯნის პრობლემა, / მაგრამ პროფესორს ანუხებს ეხლაც, / მიჯნა სომხებთან სად იმყოფება, / და სხვა მრავალი ჯურის „ისტები“ / კაციაჭამია კოტეტიშვილი - / პლეადა ნუნკალ შოვინისტების..“

შიში იმისა, რომ ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა, როგორც იდეოლოგიური წინეხისა და მასობრივი მანიპულირების ეფექტური საშუალება, ჯერ კიდევ არ იყო „საბჭოური წესით პრივატიზებული“, უსაფუძვლო არ გახლდათ. ვახტანგ კოტეტიშვილის ლიტერატურის ისტორიის სამტომეული, ფაქტობრივად, აგრძელებდა კულტურგენეზის კვლევის იმ პროცესს, რომელმაც მე-20 საუკუნის 10-იანი წლებიდან ფართო მასშტაბი შეიძინა, რადგან ქვეყნის ევროპულ ყაიდაზე რეფორმირების (და არა სხვათა რევოლუციების კოპირების) ორგანულ ნაწილად განიხილებოდა. ამასთან, ნაშრომი კულტურული მემკვიდრეობითობის უწყვეტობასაც ავლენდა, რაც „ახალი“ საქართველოსა და „ახალი საბჭოთა ადამიანის“ შემოქმედთა მიზნებს ეწინააღმდეგებოდა. კრებულში „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“ იგი „რეაქციონერების დაცვად“, „რეტროგრად ჯორჯადის რეაბილიტაციის მცდელობად“ და „გრიგოლ ორბელიანის გამოქომაგებად“, მთლიანობაში კი „რეაქციონერთა დაცვად“ დეფინირებული. ასეთივე შეფასებანი ეძლევა ალ. ხახანაშვილის, კ. აბაშიძის, კ. კეკელიძის, კ. კაპანელის ანალოგიური ხასიათის ნაშრომებს (პლატონ ქიქოძე, 1931). ფ. მახარაძე და მისი თანამოაზრენი ყველაფერს კლასობრივი ბრძოლის ქრილში განიხილავდნენ, მაშინ, როდესაც მათ მიერ „ბურჟუაზიულ-თავადაზნაურულ ფედერალისტთა ინტელიგენციად“ მონათლულთა იდეები ქართული კულტურის მოდერნიზების სრულიად სხვა, მსგავსი პროცესებისათვის დამახასიათებელ შინაგან კანონზომიერებას ეფუძნებოდა.

ავიღოთ თუნდაც ე. წ. ყაზბეგის საკითხი, რომელსაც ვ. კოტეტიშვილმა ცალკე ნაშრომი მიუძღვნა. ეს არ ყოფილა მხოლოდ ავთენტურობის საკითხის წარმატებით გადაჭრა, რაც ლიტერატურის ისტორიისათვის თავისთავად ძალზე მნიშვნელოვანია. ყაზბეგი ნაშრომის ავტორის ყურადღებას იქცევდა, როგორც „ყველაზე განწირული და პროტესტანტი შემოქმედი“. ამ პროტესტანტიზმის ანატომიის კვლევა კი კულტურისა და ცივილიზაციის ურთიერთობის პრაქტიკულად იმავე შინაარსის პრობლემას ებჯინება, როგორც ქართული საზოგადოების წინაშე როგორც მე-19, ასევე მე-20 საუკუნეებში იდგა.

იპოლიტ ტენისა და გეორგ ბრანდესის მსგავსად, ბიოგრაფიული ცნობების შემოქმედებით პრინციპებთან სინთეზირებით, ვ. კოტეტიშვილი წარმოადგენს ფსიქოლოგიურ პორტრეტს მწერლისა, რომლისთვისაც პიროვნულ ტრავმად იქცეულა ანექსიის პირობებში განვითარებულ პარადიგმატულ ცვლილებათა სიმძიმე. ყაზბეგის ხევი სიმბოლოა იმ კულტურისა, რომელსაც დამყრობლის, ოკუპანტის სახით ცივილიზაცია უპირისპირდება. ეს, ფაქტობრივად, პროფეტული ხედვა იმ კონფლიქტისა, რომელიც სულ მალე კულტურის დევრსიფიციკატორ ბოლშევიკებსა და იმავე კულტურის იმანენტური განვითარების მალარებელ ძალებს შორის მოხდება.

„ხევის ავტონომიურობა ვერ მიიღო ახალმა დრომ და ცივილიზაციამ მიაყენა თავისი კაცების დიდი ჯარი. ხევი იფშვნება ნოტიო კლდესავით... ხევის კლავენ... ალ. ყაზბეგი ირონიით და შიშით უცქერდა „ახლის“ სიმშრალეს და ადრევე ჰქონდა გამოტანილი მისთვის საბრალმდებო განაჩენი...“ (ვახტანგ კოტეტიშვილი, „კავკასიონი“, 1924).

თუ გავიხსენებთ „ოკუპანტის“ იური ლოტმანისეულ განმარტებას, მივხვებით, რომ იგი სრულად ასახავს „მშვიდობისმყოფელთა“ (ყაზბეგის ტერმინი – ნ.კ.) მისიით დარიალს

გადმოღმა გადმოსული რუსული ჯარის სახეს. ოკუპანტის ცნობიერება, ლოტმანის მიხედვით, საკუთარი კულტურიდან დროებით ამოვარდნაზე, ასე ვთქვათ, უკულტუროდ დარჩენასა და ამისგან სიამოვნების მიღებაზე აიგება. უკულტუროდ დარჩენაზე მიუვითებთ, — განაგრძობს ლოტმანი – რადგან, კულტურა, მოგეხსენებათ, აკრძალვებისგან იწყება. ოკუპანტი იგივე „ხამია“. ესაა ავადმყოფობა, რომელსაც ინტელიგენტურობით თუ მოარჩენ. (ლექციები კულტურის შესახებ, 1971). დაუვკვირდეთ სიტყვა „ხამის“ სემანტიკას: როგორც ვიცით, იგი ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი ვაჟის, ქამის, სახელს უკავშირდება. მას შემდეგ, რაც მან საკუთარი მამის სიშიშვლის ხილვისგან არასწორი დასკვნა გამოიტანა, „ხამი“ უსირცხვილობის, გონებრივი და სულიერი უმწიფრობის სინონიმად იქცა. (მე-20 საუკუნის დასაწყისში დიმიტრი მერეჟკოვსკი წინარეგოლუციური ქაოტურობის შეგრძნებას საგნებით ლოგიკურად „გრიადღუშჩი ხამის“ მომავალ ჰეგემონიურობას უკავშირებდა). ამიტომაც იგი ემსახურება არა კულტურას, არამედ ცივილიზაციას. ტოტალიტარიზმიც ცივილიზაციის გარკვეული ტიპია. აქედან კი ის მარტივი დასკვნა კეთდება, რომ ალექსანდრე ყაზბეგიც და ვახტანგ კოტეტიშვილიც (ეს უკანასკნელი მთელ თავის განწირულ თაობასთან ერთად) პრაქტიკულად ერთი და იმავე მოვლენის „მსუბუქად“ ვარიანტული ფორმების უპირისპირ აღმოჩნდნენ. ბოლშევიკები კი უფრო ინსტინქტურად გრძნობდნენ „კულტურაში სააღყო წესების გამომცხადებელ“ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მიზანდასახულებას და მას „კლასიური მტრის მანევრს“ (პლატონ ქიქოძე) უწოდებდნენ.

ვახტანგ კოტეტიშვილი 44 წლისა შეენირა სტალინურ რეპრესიებს. დრამატული ბედის იმიტომაც აღმოჩნდა, რომ მისი „გზა ხელოვნებაში რევოლუციამდე დაიწყო, თუმცა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ უკვე ახალი ნყობილების პირობებში მოუწია“. ეს კი ქმნიდა არამარტო დიდ სულიერ დისკომფორტს, არამედ მკვეთრად აკორექტირებდა შემოქმედებით გეგმებსაც. შედეგად, განუხორციელებელი დარჩა არაერთი სერიოზული ჩანაფიქრი, რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანმა ნაშრომებმა კი სრულყოფილი სახე ვერ მიიღო. დღეისათვის ვახტანგ კოტეტიშვილის წერილების დიდი ნაწილი პერიოდული პრესის ფურცლებზეა გაბნეული, ზოგიერთი მათგანი კი (კოტეტიშვილების სახლში 90-იანი წლების სამოქალაქო ომის დროს გაჩენილი ხანძრის გამო) სასწაულებრივად გადარჩენილ პირად არქივში ინახება. რაც შეეხება იმას, რისი რეპუბლიკაციაც გასული საუკუნის 60-იან წლებში მოხდა, ეს მასალა დედნისგან იმდენად შორსაა, რომ ვ. კოტეტიშვილის შემოქმედებითი პოტენციალის განმსაზღვრელად ნაკლებად გამოდგება. არადა, არარეალიზებულ შემოქმედებით თუ ინტელექტუალურ პროექტთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ეროვნული ესთეტიკური აზრის“ შექმნისა და სიტყვის, ენის ფენომენის მაკონსტრუირებელი იდეები. წერილებში „ესთეტიური კრიტიკა“ (გაზ. „ლაშარი“, 1923, 1) და „სიტყვის დაპყრობა“ (გაზ. „რუბიკონი“, 1923, 4) კარგად ჩანს თვისებრივად სახეცვლილი ევროპული კულტურის სტილისტიკის ზუსტი შეგრძნება, უნარი იმის მოდელირებისა, რაც შექმნიდა ამ კულტურის ქართულ ნაირსახეობას, განაპირობებდა მის თავისთავადობასა და წინსვლას: „ძველი საუნჯენი აღარ არსებობენ, ახალთა შექმნის საფეხურზე ვდგევართ“. „პოეზიის ძველი ფორმა გაცვდა. საჭიროა სიტყვათა ახალი კომბინაცია. უცხოეთის თანამედროვე ლიტერატურაში თავისუფალი ლექსი მტკიცდება. ასონან-



სი, უფრო კი სრული ურითობა ეუფლება პოეზიას. პროზა პოეზიას ეჯიბრება. უკეთ: პროზასა და პოეზიას შორის იშლება საზღვარი“, „დღეს შემოქმედება ამღერება კი არ არის, არამედ შემეცნების პოეზია. აქ სიტყვას ისეთივე სისწორე უნდა, როგორც ფილოსოფიაში, მხოლოდ იმ დამატებით, რომ აქ მეტი უნდა იყოს სიტყვის გზება და დინამიკა. ყველა მწერალს უნდა სიტყვათა საკუთარი კლასიფიკაცია და არა საკუთარი სიტყვები“, „ჩვენ ენა დავამახინჯეთ, რადგან თვით ჩვენ დავმახინჯდით, დავამახინჯეს“, „ნამდვილი კრიტიკა თავისი ესთეტიური შემეცნების თეორიით ჯერ არ არსებობს“, „იდეის შემწვევისა და სიტყვის ხმარების უნარი უკვე სტანჯავს ქართველ მწერალს და რაც უმთავრესია, თავის-თავად ყოფნის სურვილი ფეხს იკიდებს მის შეგრძნებაში. გუშინ ანეულ თავით მოსიარულენი, დღეს უკვე ვეძებთ შინაგან საუნჯეთა დაკარგულ გასაღებს“. „რასაკვირველია, ხელოვნება რთული და ცვალებადი მოვლენაა, რომლის სქოლიოებში მოქცევა მეტად ძნელია...“

ამ მოსაზრებათა ავტორი თითქოს ყველაფრის გათვალისწინებას ახერხებს, გარდა ერთისა – იგი ვერ უშვებს იმას, რომ კულტურული დონის განმსაზღვრელი ოდესმე ბნელი ლუმპენიზებული მასების არაკომპეტენტურობა გახდება. არჩილ ჯორჯაძის მიერ აქცენტირებული სიტყვის ირაციონალური ბუნებითა და რუსული ფორმალისტური სკოლის, განსაკუთრებით კი ვიქტორ შკლოვსკის „ოპოიაზური“ ძიებებით შთაგონებული, ესთეტიკური კრიტიკიუმების დადგენის, ლიტერატურული კრიტიკის თეორიით გაძლიერების, ტექსტის არა შინაარსობრივი, არამედ ფორმისული ანალიზის აუცილებლობის საკითხს აყენებს. ამასთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იწყებს პოეტიკის კურსის კითხვას (1929 წ.), თვითგამოხატვის ფორმად კი ირჩევს ესეის, როგორც წერის ინდივიდუალურ და ნონკონფორმისტულ მანერას, შემეცნების პროცესის მაპროვოცირებელ სტილს. ჩვენამდე მოღწეული მწირო და ხშირად ფრაგმენტული მასალით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ვ. კოტეტიშვილი, თვითონაც იმპრესიონისტული ანუ უფრო ემოციური და „დიდი ლინგვისტური შემოტრიალებით“ გამოწვეული ახალი კრიტიკული, ანუ უფრო რაციონალური აზროვნების, მიჯნაზე იდგა.

მოდრაობა სიახლისაკენ კი მისთვის განუყოფელი გახლდათ შემდეგი პრინციპისაგან: იდგე ეროვნულ ნიადაგზე და ამასთან ფართო პრობლემებით იყო დაინტერესებული (არჩილ ჯორჯაძე).

ამ თვალსაზრისით ვ. კოტეტიშვილი იმ კულტურის ტრანსლატორია, რომელიც ბოლშევიკების მიერ ორგანიზებული ჰუმანიტარულ ინტერვენციის ემსხვერპლა და რომლის ძირითად პრინციპთა გააზრებული რეაბილიტაციის გარეშე წინ ვერ წავალთ.

ქარდა ქარდუხი

## „ესეც გაივლის...“

— თქვენი აზრით რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— როდესაც გარდაცვალება- ცოტაა, სიკვდილი კი მეტისმეტად ბევრი.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ოცნებაში რომ წარმომიდგენია იმ საქართველოში, რა თქმა უნდა მცხეთაში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ეს მაცოდინა როგორ დაგიმაღავთ; ალბათ, მარადიულობას ნაზიარებ ნამებს რომ დაიჭერ.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟი?

— გილგამეში, ამირანი, უკვდავების მაძიებელი ჭაბუკი, მოყმე, დედისიმედი, კედი, ასფურცელა, დათა და სხვა ათასობით.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟი?

— ქუჯი ერისთავი, იოანე მარუშისძე, ილია, ამბროსი ხელაია, ივანე ჯავახიშვილი, მერაბ კოსტავა... კეისარი, ვაშინგტონი, ნაპოლეონი...

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ფიროსმანი, დალი...

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ბეთჰოვენი, ვაგნერი... ლალიძე...

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— ერთგულებას, ღირსების ერთგულებას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ქალურობას, თანაგრძნობის უნარს.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— სიბრძნე.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ნიგნებით სავსე ოთახში ბორაილი; ეტრატების, ხელნაწერების ჩხრეკა, და წერა; მერე უცებ ერთი რომელიმე სიტყვით აფორი-აქებულ, ლექსიკონების ძებნა სავსე თაროებზე. ყოველგვარი ლექსიკონის ფურცლა მიყვარს: საბა, უცხო სიტყვათა, ბოტანიკური, ტექნიკური, განმარტებითი, სინონიმთა (განსაკუთრებით), ომონიმთა, დიალექტური... ნებისმიერი ენის; გუგლის ლექსიკონიც მიყვარს, ამასწინათ „დრო“ ვეძებე სხვადასხვა ენაზე, საოცრება იყო, გუჯარათულად – „სამაია“ ყოფილა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ჩემი ცოდვებიც მეყოფა.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— უაზრო მორიდებულობა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— მე ძველმოდური ვარ- უღალატობას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— სიზარმაცე, ჩვენი ეროვნული ნაკლი, მოლოდინი.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— როცა ავზი სანვავითაა სავსე; შეგიძლია წერო, ისე წერო რომ თავი არ გახსოვდეს.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ჩემი ქვეყნის ნაშლა რუკიდან. (ფუი ემპაქს!)

— როგორი გინდოდით ყოფილიყავით?

— უფრო განონასწორებული, უფრო ადვილად ავიტანდი საკუთარ თავს

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ღამე როა ცა, ვარსკვლავებიანი ცა, ის ფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვარს?

— მაგნოლიის ყვავილი, (ქვია რამე?) და კალა.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— მერცხალი; ფასკუნჯიცი, მაგრამ არ ვიცი როგორია

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ეს იმგვარი კითხვაა მარტივად რომ ვერ გავცემ პასუხს: მიყვარს შოთა, ჩვენი ერის გამართლება, შეშლილი ნიცმე მიყვარს; დაკარგულ დროს გამოკიდებული პრუსტი; უფლისწულის ეკზიუპერი; რიოში მარგალიტებით მოთამაშე ჰესე; რემარკი; გაცეხული კამიუ; გრანდიოზული მანი — გოეთეს ცნობიერების ნაკადში განსაკუთრებით; ბიოლი — დაფერფლილი გერმანიიდან რომ წამოდგა ფენიქსივით; ჰამსუნი; აუცილებლად ჯეკ ლონდონი; ჰემინგუეი და ერთი საოცარი „ბავშვი“ — სეტონ თომპსონი; ფოლკნერი — უფრო ხმაურსა და მძვინვარებაში; ჰო, სერვანტესი; მუშკეტერების დიუმა; დოსტოევსკი — უფრო იდიოტში; ალექსანდრე ბარიკო თავისი „აბრეშუმით“; უფრო ნაკლებად — ბორხესი, ეკო, ელიადე, მილორად პავიჩი, კასტენიდა, უილბეკი.... ხოლო ძალიან- მარკესი; ამ საუკუნის იმ საუკუნელი სიმბოლო — ფრანც კაფკა; ინტელექტუალური მოგვი — ჯეიმს ჯოისი, ვინაც რომანს საზღვრები მოურღვია... და ისევ აქეთ; საბა ძალიან, რობაქიძე, გამსახურდია, ჯავახიშვილი, და რა კარგია, კიდევ რამდენი! და არ ჩამოვთვლი, თორემ მართლაც ბოროტად ვსარგებლობ!

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ვერც ამ კითხვაზე ვიტყვი მოკლედ: რუსთაველი, ყველგან და ყოველთვის; ჰომეროსი, მაინც ილიადაში, მუზეებს რომ უხმობს; ოვიდიუსიც, დანტეც... სონეტების შექსპირი, გოეთე, ვიონი, ესენინი, ბროდსკი; განსაკუთრებით უცხოელებიდან ისინი რომელთა ლექსებსაც ქართულად ვანვალებდი: პო, ემილი, უიტმენი, მასტერსი (ძალიან), ლანგსტონ ჰიუზი, მაია ანჯელოუ... აქეთ კი ისევ გალაკტიონი, ყველა ქართველი პოეტი, ვინაც პოეტი არის... ლებანიძის რედაქტორობით გამოსული შედევრებს ვკითხულობ ხშირად.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

- ჯუულიტა, კედი, ნანო,
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
- ჩემი მეგობრები.
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— მარო მაყაშვილი, რომელმაც მოგვცა უფლება გვეთქვა — იმპერიას ვებრძოლეთ 21-ში, ისე კი არ დაენებებულვართო.

— საყვარელი სახელები?

- ქუჯი, ძევახ, ალუდა, მარი, თამთა, ხატია, ლილე...
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- ბიოლოგიური ზიზლი მაქვს უსამართლობის მიმართ.

— ისტორიული პიროვნება რომელმაც თქვენი ზიზლი დაიმსახურა?

— სადუნ მანკაბერდელი და მისდარები, რომლებიც ჰყიდდნენ პიროვნებებს და ქვეყანას... ჯალალედინი; აბას I; სიმონ I-ის ჯალათი- სულთანი მეჰმედ III; ლენინი; ათათურქი... განსაკუთრებით თანამედროვე ქართველი მედროვეები...

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— კამანის დამცველთა ბრძოლა, 1993-ში, როცა მათ გადანყვიტეს, რომ საომარი ველის დატოვებას, რომელიც იმავდროულად მათთვის ოდაბადე (დაბადების ადგილი) სოფელიც იყო, და ერთი, ათი, ოცი, ორმოცდაათი... წელი დამამცირებელ დევნილობაში ცხოვრებას გარდაცვალება ჯობდა.

ათასი მიზეზი არსებობს, თუ რატომ უნდა დატოვო ბრძოლის ველი, და მხოლოდ ერთადერთი — რატომ არ უნდა დატოვო, თუნდაც ვებერთელა იმპერიასთან უთანასწორო ბრძოლაში, და მას — გმირობა ქვია; სამწუხაროდ საქართველოში გმირობის საფასური თითქმის ყოველთვის სიკვდილია, ამიტომაც ჩვენ ძირითადად გარდაცვლილი გმირები გვყავს.

— რეფორმა რომელსაც თქვენ

განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— როცა ადამიანმა ბგერას სხეული უპოვა, დამწერლობის შექმნა, გონიერი არსებების ერთადერთი ნუგეში, შემდგომში ჩვენი იძურისი (ცივილიზაცია — კარგი შესატყვისია, ოთარ ჭურულუღია მასწავლა) რომ დაესაყდრა.

— ნიჭი რომელსაც გინდათ ფლობდით?

— ენების და მუსიკის, მუსიკის ენის: სიამოვნებით დავენერდი მდუმარე მთების სონატას.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— სიღრმეს ჩამწვდარი.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ეს რა გამახსენეთ ?!

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ნებისმიერი უნებლიე შეცდომა, რომელზეც ადამიანი გულწრფელად წუხს.

— თქვენი დევიზი?

— ესეც გაივლის...

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა ?

— მისი ღუმელიც მეყოფოდა, სამარადისოდ...



ქარდა ქარდუხი

გია მურღულია


## როცა სიტყვები მეტია ცხოვრებაზე

რამდენიმე წლის წინათ საერთოდ არ გამეგონა ამერიკელი მწერლის ედუარდ ჰეილის (1822-1909) სახელი. ცხადია, ვიცოდი არტურ ჰეილი, ცნობილი რომანის „აეროპორტის“ ავტორი, მაგრამ მისი მოგვარე არ წამეკითხა. 2004 წელს გამოიცა მშვენიერი კრებული „ათი ამერიკელი“ (შეადგინა როსტომ ჩხეიძემ) და აქ ვნახე ედუარდ ჰეილის შესანიშნავი მოთხრობა „უსამშობლო კაცი“, ასევე შესანიშნავად თარგმნილი თამაზ ნატროშვილის მიერ. მას შემდეგ უკვე მწელი გავიდა და ჯერ არ ყოფილა სასწავლო წელი, ჩემს მოსწავლეებთან ამ თხზულებაზე რომ არ მელაპარაკოს — ძალიან საინტერესო ფიქრებს აღძრავს და ამიტომ. საინტერესოა, რომ ედუარდ ჰეილი სასულიერო პირი იყო. როსტომ ჩხეიძე: „მეოცე საუკუნის დამდეგს, რამდენიმე წლის მანძილზე, მოღვაწეობდა აშშ სენატის კაპელანად. ერთხელ ჰკითხეს: „დოქტორ ჰეილი, თქვენ ლოცულობთ სენატისთვის?“ ჰეილმა უპასუხა: „არა, მე ვუყურებ სენატორებს და ვლოცულობ ხალხისთვის.“

მოთხრობაში უცნაური რამ არის აღწერილი. ფილიპ ნოლანი, ამერიკის არმიის ახალგაზრდა ოფიცერი, მისი აზრით არანსებელი დანაშაულისთვის სასამართლოს წინაშე წარადგინეს. როდესაც მას პროცესის ბოლოს ჰკითხეს, ხომ არ გასურთ რაიმე თქვათ იმის დასამტკიცებლად, რომ ყოველთვის ერთგული იყავით შეერთებული შტატებისო, უეცრად მან გააფთრებით დაიყვირა: „ემშაკმა დასწყევლოს თქვენი შეერთებული შტატები! ღმერთო ჩემო, არასოდეს აღარ გამაგონოთ შეერთებული შტატების სახელი!“

ყველაფერი სწორედ აქედან და ამით დაიწყო. რამდენიმე ხნის შემდეგ ნოლანს გამოუცხადეს: „პატიმარო, ისმინეთ სასამართლოს განაჩენი! სასამართლომ გადაწყვიტა, თუკი პრეზიდენტი დასტურს მოგვცემს, რომ თქვენ არასოდეს აღარ გაიგონოთ სახელი შეერთებული შტატებისა“. ნოლანს სიცილი აუტყდა, მაგრამ სხვას არავის გასცინებია. ამის შემდეგ საგანგებო განკარგულებით, ფილიპ ნოლანი მოაშორეს შეერთებულ შტატებს - გემზე ცხოვრობდა, სრულიად თავისუფალი კაცი იყო, არავინ არაფერს უშვებდა და შემდეგი დამსახურებებისთვის პატივისცემითაც კი ეპყრობოდნენ, მაგრამ ყველას აკრძალული ჰქონდა, მასთან თუნდაც ერთი სიტყვა დასცდნოდა ამერიკის შესახებ — 1807 წლის 23 სექტემბრიდან 1863 წლის 11 მაისამდე, როდესაც სული დალია, არასოდეს აღარ გაუგონია მისი სახელი. ასე იქცა ფილიპ ნოლანი „უსამშობლო კაცად“.

ათწლეულების განმავლობაში როგორ არ ცდილობდა, თუნდაც რაიმე უმნიშვნელო ამბავი მაინც გაეგო შეერთებული შტატების შესახებ, ვის არ ეკითხებოდა, სად არ ცდილობდა



ედუარდ ჰეილი

და უმცირესი ინფორმაციის ამოკითხვას მაინც - არაფერი გამოუვიდა, რადგან ყველა ზედმინევენით კარგად ასრულებდა სასამართლოს გადაწყვეტილებას. მატროსებმა მას „სამოქალაქო ლილები“ შეარქვეს. რატომ? იმიტომ, რომ „მართალია, მას ეცვა წესდებით დადგენილი სამხედრო მუნდირი, მაგრამ ნებას არ აძლევდნენ ეტარებინა სამხედრო ლილები, სადაც აღბეჭდილი იქნებოდა ინიციალები ან ემბლემა მისი სამშობლოსი, რომელსაც განუდგა“.

ნოლანი მთელი ცხოვრება თავის სულსა და პატარა კაიუტაში საკუთარი წარმოსახვითა და იმედით ქმნიდა სამშობლოს, რომელიც მისივე სიტყვების გამო წაართვეს. გარდაცვალების წინ, როდესაც მის კაიუტაში კაპიტანი შევიდა, ნოლანმა უთხრა: „აი, აქ არის ჩემი სამშობლო!“ და შემდეგ სთხოვა, ახლა მაინც ეთქვათ რაიმე მისთვის შეერთებული შტატების შესახებ. მანამდე კი წარმოთქვა: „... მთელს ამერიკაში — ღმერთმა აკურთხოს იგი! — არ მოიძებნება კაცი, ჩემზე მეტად რომ იყოს ერთგული სამშობლოსი. არ მოიძებნება კაცი, ვისაც ჩემსავით უყვარდეს ჩვენი ნაომარი დროშა და ჩემსავით ლოცულობდეს მასზე, ანდა ჩემსავით სჯეროდეს მისი“.

კაპიტანმა სიკვდილის წინ თხოვნა შეუსრულა ნოლანს — ყველაფერი უამბო, რაც აინტერესებდა. მას კი ყველაფერი აინტერესებდა. კაპიტანი: „ნოლანი ტკბებოდა ჩემი მონათხრობით ისე, რომ არ ძალმიძს ამის გადმოცემა“. ბოლოს უსამშობლო კაცმა ითხოვა

იქვე დადებული „ნიგნი საჯარო ლოცვისა“, რომელიც საჭირო ადგილზე თვითონვე გადაიშალა: „ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის, მოწყალეო უფალო, მადლობას გწირავთ შენ...“

ნოლანმა კაპიტანს სთხოვა, სიკვდილის შემდეგ ჩაეხედათ მის ბიბლიაში. როდესაც ჩაიხედეს, ნახეს ხაზგასმული ადგილი: „მაგრამ უკეთესისკენ მიილტვოდნენ, ესე იგი, ზეციურის მიმართ; ამიტომაც ღმერთს არ რცხვენია მათ გამო და მათს ღმერთს უწოდებს თავის თავს, რადგანაც განუშადა მათ ქალაქი“ (ებრაელთა მიმართ - 11,16). აქვე იყო ქალაქის ნაგლეჯი, რომელზეც ეწერა:

„დამმარხეთ ზღვაში. ზღვა იყო ჩემი სახლი და მე შემიყვარდა ის. ეგებ ვინმემ ერთი ქვა დადოს ჩემს მოსახსენიებლად ფორტ ადამსში ანდა ორლეანში, რათა ჩემი შერცხვენა არ იყოს იმაზე მეტი, ვიდრე დავიმსახურე. დაე, ამ ქვაზე დანერონ:“ შეერთებული შტატების არმიის ლეიტენანტის ფილიპ ნოლანის მოსახსენიებლად. მას უყვარდა სამშობლო, როგორც არ ჰყვარებია არავის; მაგრამ ის იყო ყველაზე უღირსი მის შვილთაგან“.

ხანდახან ჩვენი შეცდომა ბედისწერად გვექცევა ხოლმე, მაგრამ არსებობს ერთი სიტყვა, რომელიც ყოველგვარ ბედისწერას აღემატება — დ ი რ ს ე ბ ა. მხოლოდ მისმა განცხადამ და სასჯელის დადგომის შემდეგ მისით ცხოვრებამ გააბედინა ნოლანს დაენერა: „რათა ჩემი შერცხვენა არ იყოს იმაზე მეტი, ვიდრე დავიმსახურე“.

ზოგჯერ ბავშვები გაკვეთილზე ხმაურობენ ხოლმე. ამ მოთხრობის კითხვისას ისინი ჩუმად არიან და ყურადღებით ისმენენ. შემდეგ კი გულწრფელად და გატაცებით საუბრობენ ფილიპ ნოლანზე, რომელიც არასოდეს არსებობდა, მაგრამ იმდენადვე ნამდვილია, როგორც მაისის თბილი ხელები.

ირაკლი ქასრაშვილი

# დილემა

ელვარე და ლომფერი  
იყო ცხრა ოქტომბერი.  
გალაკტიონი

## მოქმედი პირები:

- ლავრენტი ბერია – საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი
- ბოგდან ქობულოვი – საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე
- ტიციან ტაბიძე – პოეტი
- ნინო მაცაშვილი – ტიციან ტაბიძის მეუღლე
- დავით დემეტრაძე – საქართველოს მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი
- პაოლო იაშვილი – პოეტი
- ნიკოლო მინიშვილი – პოეტი
- სანდრო შანშიაშვილი – მწერალი
- ქართველი მწერლები
- მდივანი ქალი
- გამომძიებელი
- დარაჯი
- პატიმარი
- გამვლელები

მოქმედება ძირითადად ხდება 1937 წლის 9 ოქტომბერს, თბილისში, სტალინური „დიდი ტერორის“ დროს.

## სცენა 1

ლავრენტი ბერიას კაბინეტი. კაბინეტის კედლები მუქი ფერისაა. უკანა კედელზე კიდია სტალინის დიდი სურათი. ოთახში დგას მასიური ხის მაგიდა. მასთან დგას ჩუქურთმებიანი დიდი სკამი, რომელზეც ზის ბერია. ამ მაგიდაზე პერპენდიკულარულად მიდგმულია მეორე, გრძელი და ვიწრო მაგიდა, რომლის გასწვრივაც ოცამდე სკამია ჩამწკრივებული. ოთახის კუთხეში ასევე ცალკე დგას უბრალო სკამი, რომელზეც გამართული ზის ბოგდან ქობულოვი და ხმის ამოუღებლად შესცქერის ბერიას, რომელსაც პენსე უკეთია და დოკუმენტებს კითხულობს. მცირე ხნის განმავლობაში დუმილია. შემდეგ ბერია თავს ასწევს და ქობულოვს შეხედავს.

- ბერია – რომელი საათია?
- ქობულოვი – თორმეტი ხდება.
- ბერია – (თავისთვის) ახლა უნდა მოვიდეს.
- ქობულოვი – ვინმე გყავთ დაბარებული, ლავრენტი პავლოვიჩ?
- ბერია – ტიციან ტაბიძე უნდა მოვიდეს.
- ქობულოვი – პოეტი?
- ბერია – ჰო.
- ქობულოვი – ეგ ხომ გუშინ მწერალთა კავშირიდან გარიცხეს. (დუმილი) აქვე დავაპატიმროთ, ლავრენტი პავლოვიჩ?
- ბერია – არა. ჯერ ერთხელ კიდევ მინდა დაველაპარაკო.

ქობულოვი – ეგ ხომ პირნავარდნილი ანტისაბჭოთა ელემენტია, ლავრენტი პავლოვიჩ. ახლავე ჩავსვათ და მორჩა.

ბერია – (მკაცრად შეხედავს) ვინ როდის უნდა დავიჭიროთ, ამას მე ვწყვეტ, ამხანაგო ქობულოვ. შენი მოვალეობაა, ჩემი ბრძანებები შეასრულო.

ქობულოვი – (ფეხზე წამოდგება) რა თქმა უნდა, ლავრენტი პავლოვიჩ. ეგ კარგად ვიცი. (დუმილი) ხელს ხომ არ გიშლით? გინდათ, წავიდე?

ბერია – არა, დარჩი. მანდ იჯექი. (ქობულოვი ისევ ჯდება) შენი დანახვა აფხიზლებს ხოლმე მომსვლელებს. ხარის ტყავის მათრახის ამბავი მთელ საქართველოს მოედო უკვე. საქართველოს რაა, ამიერკავკასიას.

ქობულოვი – (კმაყოფილია) მტრების წინააღმდეგ კარგად ვიყენებ.

ბერია – ვიცი. შეუცვლელი იარაღია ჯაშუშის გამოსატეხად.

ქობულოვი – (იღიმება) რამდენჯერმე დავცხებ ხალხის მტერს და მერე კალამს ვედარ ვაგდებინებ ხელიდან. ყველაფერში ტყდებიან და თანამზრახველებსაც ასახელებენ. ჯერ თბილი ლოგინიდან — პირდაპირ „კარანტინში“, ორი-სამი დღე მშიერ-მწყურვალი, „უბორნიის“ გარეშე, უჭაეროდ, მერე მათრახით და ჩექმებით დამუშავება კაბინეტში და აღიარებაც მზადაა. ვერც ეს გაუძლებს.

ბერია – Куда ему! თუმცა ზოგჯერ ძალიან გიგრძელდება მათთან მუშაობა.

ქობულოვი – რას ვიზამ, ლავრენტი პავლოვიჩ, ხანდახან ისეთ რთულ მასალას გადავეყრებით, რომ დამატებითი წვალბა გვჭირდება. ისე, საბოლოოდ, შედეგს მაინც ვიღებთ. აი, იმ მწერალმა, ჯავახიშვილმა, ძალიან გამანვალა, მაგრამ ერთი მთელი კვირა ფეხზე მყავდა დაყენებულთ უძილოდ და მერე ძვალ-რბილი რომ გავუერთიანე მათრახით, აჭიკჭიკდა. Сразу свои преступные связи выжил, сволоочь.

ბერია – ჰო, თან სხეულის ყველა ნაწილიდან სისხლი სდიოდა.

ქობულოვი – ისე დამისვარა კაბინეტი, მთელი დღე დაჭირდა განმენდას. (პაუზა) ამასაც არ დავაკლებ, ლავრენტი პავლოვიჩ, თუ მიბრძანებთ.

ბერია — ხომ გითხარი, ჯერ მოიცადე-მეთქი. Всемю свое время, товарищ Кобулов.

ქობულოვი – თქვენს განკარგულებას ველოდები, ლავრენტი პავლოვიჩ. ისე, რა მომენტი მიყვარს იცით, გამოაშკარავებულ მოღალატეს დროგის ცხენივით რომ გადავკრავ მათრახს და ტკივილისგან რომ აბლავლდება. ზოგი გამომძიებელი ამ დროს პირს უკრავს პატიმარს, ყვირილმა არ შემანწუხოსო. მე კიდევ, რაც უფრო ხმამაღლა ღრიალებს, ის მირჩევნია. ასე მგონია, მთელი მაგათი კონტრრევოლუციური შიგანი გამოდის გარეთ.



**ბერია** – ზინოვიევი და კამენევი, ეს პირნაწარდნილი მოლაღატეები რომ დააპატიმრეს, ბახჩო, რამდენიმე კვირა ვერ მიიღეს მათი აღიარება. ჰოდა, სტალინმა (*პორტრეტის-კენ გაიხედავს*) ეს რომ გაიგო, დაიბარა გამომძიებელი და იცი, რა კითხვა? შენი აზრით, რას იწონის მთელი საბჭოთა ხალხიო. (*გაიღიმებს*) გამომძიებელი დაიბნა და ვერაფერი უპასუხა. იოსებ ბესარიონოვიჩმა კი უთხრა: საბჭოთა ხალხი ძალიან მძიმეა და თუკი მთელი ეს უშველებელი მასა ერთად დაანება ამ კონტრრევოლუციონერებს, არა მგონია, დაწოლას გაუძლონო. მიხვდი? (*ქობულოვი თავს უქნევს*) ის გამომძიებელი წავიდა და ერთ კვირაში ორივეს აღიარებითი ჩვენება მოიტანა.

**ქობულოვი** – (*ხითხითებს*) ჰე-ჰე-ჰე, გენიოსია ამხანაგი სტალინი.

**ბერია** – ამხანაგი სტალინი რომ არ იყოს ჩვენი ბელადი, რა ეშველებოდა საბჭოთა კავშირს? ან პროლეტარიატს? ხალხი რომ თავის ნებაზე მიუშვა, არავინ იცის, რას იზამს, იქნებ კაპიტალიზმის დაბრუნებაც მოინდომონ — ჯერ კიდევ ძლიერია წვრილბურჟუაზიული ინსტინქტები. ამიტომ ჭირდებათ რკინის ხელი, რომელიც ისე გამოწვრთნის, როგორც საჭიროა, მტრებისგან გაათავისუფლებს და ერთად წაიყვანს მომავალი ბედნიერებისკენ. (*დაკვირვებით შეათვალიერებს*) იცი, რატომ მიყვარს შენთან მუშაობა? ზედმეტი დარიგება არ გჭირდება და არც იმ საიდუმლო დადგენილების შესხენება, ფიზიკური ზემოქმედების ნება რომ მოგვცა ხალხის მტრებზე. გულით უდგები საქმეს, ბახჩო, შემოქმედებითად. სულ რამდენიმე ხართ ასეთი: შენ, ხაზანი, კრიმიანი, აბაშიძე... სხვები პატიმრებს მოვალეობის მოსახდელად ურტყამენ, ეშინიათ, ლიბერალობა არ დააბრალონ და სამაგიეროდ ბერიამ მათაც არ უქრას ციხეში თავი. შენ კიდევ მოგწონს ეს საქმე და იცი, როგორ უნდა მოექცე ხალხის მტრებს.

**ქობულოვი** – (*ფეხზე წამოდგება*) ვემსახურები კომუნისტურ პარტიას, ამხანაგო ბერია.

**ბერია** – ემსახურე, ემსახურე, ამხანაგო ქობულოვ. კიდევ დიდხანს დაგჭირდება.

## სცენა 2

**ბერია და ქობულოვი სცენის მეორე, აქამდე ჩაბნელებულ ნაწილში გადიან, სადაც ახლა შუქი ინთება. იქაურობა გამომძიებლის ოთახს წარმოადგენს შინსახკომში. ოთახში დგას მაგიდა და ორი სკამი. შუაში გაჭიმული დგას პატიმარი, ასე ორმოცდაათი-ორმოცდათხუთმეტი წლის გამხდარი მამაკაცი, რომელსაც დაგლეჯილი სისხლიანი პერანგი აცვია. მას ორივე ვანვდილ ხელში ქაღალდით სავსე ჩემოდნები უჭირავს. მძიმედ სუნთქავს. მის გვერდით დგანან გამომძიებელი და დარაჯი ხიშტიანი შაშხანით. ბერია მაგიდასთან ჯდება. ქობულოვს ხელში მათრახი უჭირავს და ნელ-ნელა უახლოვდება პატიმარს.**

**ქობულოვი** – (*გამომძიებელს*) რამდენი ხანია, ასე დგას? **გამომძიებელი** – ხუთი საათი იქნება. (*ღიმილით*) ზოგჯერ ეცემა, მაგრამ ვაყენებთ.

**ქობულოვი** – (*მიდის პატიმართან*) დაილაღე? (*პატიმარი ხმას არ იღებს*) არ გინდა მიპასუხო?

**პატიმარი დუმს. ქობულოვი მათრახს ურტყამს. ის ჩემოდნებიანად გულაღმა ეცემა. ქობულოვი უკვე წაქცეულის ცემას**

**აგრძელებს. ბერია დგება და შესვლით აჩერებს ქობულოვს. მერე ფეხსაცმელს ყელზე დააჭერს პატიმარს. პატიმარი ხრი-ალბს.**

**ბერია** – როგორ იყო, რომ გაიძახოდი: „ისლა გვაკლია, ჩეკისტი დაგვადგეს თავზეო?“ ახლა ხომ გადგას თავზე ჩეკისტი? რა არის, სათქმელი არაფერი გაქვს? თუ ვერ ლაპარაკობ? ენა ჩავივარდა? (*პატიმარი ხრიალბს*) არც საკუთარ მანებლურ საქმიანობაზე აპირებ ხმის ამოღებას? არც თანამზრახველებს დასახელებ? მათრახი მოგენატრა? (*ფეხს აუშვებს და ქობულოვი აგრძელებს პატიმრის ცემას. ბერია გამომძიებელს მიმართავს*). კალამი და ქაღალდი მოამზადე.

**გამომძიებელი** – მზად გვაქვს, ამხანაგო ბერია. მაგიდაზე დევს.

**ბერია** – (*აჩერებს ქობულოვს*) მოიცა, ბახჩო. (*გამომძიებელს*) სკამზე დასვი. (*გამომძიებელი გაჭირვებით წამოაყენებს პატიმარს და დარაჯის დახმარებით სკამზე დასვამს მაგიდასთან*). კალამი მიაწოდე. (*გამომძიებელი კალამს ხელში ჩაუღებს პატიმარს. ბერია მის პირდაპირ დგება*). ახლა, მისმინე. შენ დაიწყებ წერას და გულწრფელად ჩამოთვლი, რომელი ქვეყნის აგენტი იყავი, ვის აწვდიდი ჯაშუშურ ინფორმაციას, ვინ შედიოდა შენთან ერთად საიდუმლო კონტრრევოლუციურ-ტერორისტულ ორგანიზაციაში, რა მანებლური გეგმები გქონდათ, როგორ ამზადებდით იატაკქვეშა ჯგუფებს შეიარაღებული გამოსვლებისთვის. (*პატიმარი დუმს და კალამს დებს*). თუ არ დანერ, შენს ცემას ისევ დავინყებთ. მხოლოდ მაშინ გავჩერდებით, როცა წერას გააგრძელებ. შეჩერდები თუ არა, მათრახი მოგხვდება. და ასე იქნება, სანამ ყველაფერს გულწრფელად არ აღიარებ. (*პატიმრის ყურისკენ დაიხრება*) გაიგე? შენ წერ – ჩვენ არ გცემთ. არადა – შენი ფასი კაპიკია და აქვე ამოგხდით სულს. (*პატიმარი დუმს. ქობულოვი იწყებს მის ცემას. ცოტა ხნის შემდეგ პატიმარი აკანკალებული ხელით იღებს კალამს და იწყებს წერას. ქობულოვი ჩერდება. ბერია აკვირდება ნაწერს*). აი, ასე, მიდი, აღიარე, როგორ იყავი გერმანიის, იტალიის, საფრანგეთის, პოლონეთის ფაშისტური მთავრობების აგენტი, რა დავალებებს იღებდი საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად, აჯანყებას როგორ გეგმავდი... (*პატიმარს კალამი ხელიდან უვარდება. ქობულოვი ისევ ურტყამს. პატიმარი იღებს კალამს, მაგრამ წერა უჭირს. ბერია ქობულოვს აჩერებს. გამომძიებელს*). მიდი, მიეხმარე.

**გამომძიებელი პატიმრის ხელს იჭერს და ეხმარება, კალამი არ გაუვარდეს. ის გაჭირვებით აგრძელებს წერას. ქობულოვი და ბერია ერთმანეთს კმაყოფილი გადახედავენ. სცენის ამ ნაწილში შუქი ნელ-ნელა ქრება.**

## სცენა 3

**სცენა 1-ის გაგრძელება. ბერია და ქობულოვი ისევ ბერიას კაბინეტში არიან. შემოდის მდივანი ქალი.**

**მდივანი** – ლავრენტი პავლოვიჩ, პოეტი ტაბიძე მოვიდა.

**ბერია** – მოსაცდელშია?

**მდივანი** — დიას.

**ბერია** – როგორ გამოიყურება?

**მდივანი** – ეტყობა, უხასიათოდაა.

**ბერია** – კარგი, შემოუშვი.

**მდივანი გადის.**

**ქობულოვი** – ლავრენტი პავლოვიჩი, ლამაზი მდივანი კი გყავთ, მაგრამ არ ჯობდა, ამის მაგივრად კაცი ყოფილიყო?

**ბერია** – (გაკვირვებულად) კაცი? კაცი რად მინდა?

**ქობულოვი** – კაცი მაინც უფრო სანდოა. მე, მაგალითად, შინსახკომის ოფიცერი მყავს მდივნად.

**ბერია** – ჩაისაც ის გიდუღებს? ტელეფონსაც პასუხობს?

**ქობულოვი** – დიას.

**ბერია** – ეგ იმიტომ, რომ ცეკას მდივანი კი არა, სახალხო კომისრის მოადგილე ხარ. ნე არორდენრ იეჟე. ისე, ქალები უფრო გამოსადეგები არიან. სუფთები, მონეს-რიგებულები. თან სხვა საქმეშიც მოიხმარს კაცი...

**ქობულოვი ხითხითებს. კარი იღება და შემოდის ტიციან ტაბიძე მდივანთან ერთად. ტიციანი დაბნეული იყურება.**

**ტიციანი** – გამარჯობათ, ამხანაგო ბერია. (ბერია ოდნავ დაუქნევს თავს. ტიციანი უცრად დაინახავს ქობულოს და შეკრთება, თუმცა შემდეგ მასაც მიესალმება). გამარჯობათ. (ქობულოვი არ პასუხობს).

**ბერია** – (მდივანს) ორი ჩაი შემოგვიტანე.

**მდივანი გადის. ტიციანი მაგიდასთან დგას.**

**ტიციანი** – შეიძლება, დავჯდე?

**ბერია** – (მშრალად) დაჯექით. (ტიციანი გრძელი მაგიდის ბოლოში ჯდება). მანდ რა გინდა? ახლოს მოიწიე (თავის მაგიდასთან ახლოს მდგომ სკამზე მიუთითებს, გრძელი მაგიდის დასაწყისში. ტიციანი იმ სკამზე გადაჯდება. დუმილი. ბერია ტიციანს უყურებს). პოეტო ტაბიძე... გაგიკვირდათ, რომ გითხრეს, გიბარებსო? ალბათ, არც გინდოდათ მოსვლა.

**ტიციანი** – (პორძიკით) არა, ამხანაგო ბერია, პირიქით, დიდი მადლობელი ვარ... მე თვითონ, თავადაც ვაპირებდი თქვენთან შეხვედრა მეთხოვა...

**ბერია** – (გაანწყვტინებს) და რის თქმას აპირებდი?

**ტიციანი** – მწერალთა კავშირიდან გამრიცხეს.

**ბერია** – ვიცი. მერე რისი თხოვნა გინდა, რომ აღვადგიონ?

**ტიციანი** – საბჭოთა მწერლობის გარეშე თავი ვერ წარმომიდგენია... მე ხომ მწერალთა საკავშირო ყრილობაზეც გამოვედი სიტყვით...

**ბერია** – (მკაცრად) ეგ არაფერს ნიშნავს. იქ ბევრი უღირსი ვინმე გამოვიდა. (თვალეში უყურებს ტიციანს). ღელავ? აღარ გძინავს და შესაძლოა, დაპატიმრებასაც ელოდები? ალბათ, მთელი ღამე ზიხარ და ყოველ ჩქამზე გული გიფანცქალებს, გამვლელ მანქანებს ყურს უგდებ, კიბზე ფეხის ხმას, კარის ჯახუნს...

**ტიციანი** – უბრალოდ, მინდა, ავიხსნათ, რომ საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის ერთგული ვარ. მე... მე... არასოდეს მიღალატია სოციალისტური სამშობლოსთვის.

**ბერია** – (ცივი ღიმილი გადაურბენს სახეზე) მაგის გარკვევის დროც მოვა. ისე, თუ უდანაშაულო ხარ, რატომ ვერ ისვენებ, რატომ ნერვიულობ ასე? ჰა, ტაბიძე?

**ტიციანი** – მინდა, რომ ჩემს საქმეში გაგარკვიოთ, ამხანაგო მდივანო. და თუ შესაძლებელია, მეც გავერკვიე.

**ბერია** – (ირონიულად) ესე იგი, ჩემზე ზრუნავ? გესმის, ამხანაგო ქობულოვი? (ის თავს უქნევს). არა უშავს, მალე მართლა ყველაფერში გავერკვივით. თუ საჭიროა, დახ-

მარების გარეშეც. (დუმილი) ისე, რა სახელია ტიციანი? სადაური სახელია?

**ტიციანი** – (დაბნეულია) იტალიური სახელია. ხომ იცით, მხატვარი იყო ასეთი, შუა საუკუნეებში, ტიციანი.

**ბერია** – მერე, შენც იტალიელი ხარ? როგორც ვიცი, სინამდვილეში მშვენიერი ქართული სახელი – ტიტე გქვია. საიდან მოიტანეთ ეს იტალიური და ფრანგული სახელები? პიჯაკში გაჩრილი მიხაკები? ან სიმბოლიზმი და დეკადენტობა? პოზიორობაა ეს და მეტი არაფერი. პროლეტარიატისთვის უცხო და უსარგებლო ფორმალიზმი. უფრო მეტიც – ჩვენი ლიტერატურისა და ხალხისთვის მტრული მიმდინარეობაა.

**ტიციანი** – გარწმუნებთ, ხალხის მტერი არ ვარ, ამხანაგო ბერია. დამიჯერეთ, მე მიყვარს ჩემი ქვეყანა.

**ბერია** – ჰო, რა თქმა უნდა, გიყვართ, ოღონდ თქვენებურად. არადა, ეს სიყვარული როგორი უნდა იყოს, მხოლოდ ჩვენ ვიცით, ბოლშევიკებმა, იმიტომ რომ ხალხის ინტერესებს ჩვენ წარმოვადგენთ. (უკმაყოფილოდ უყურებს ტიციანს) შარშან შენ და ლეონიდეს აქ, ამ კაბინეტში უკანასკნელი გაფრთხილება მოგეცით. იმედი მქონდა, სათანადო დასკვნებს გამოიტანდით, იმიტომ მაისის გამოსვლაში ყრილობაზე აღარ გახსენეთ, მაგრამ რა? შეიცვალა რამე შენს ქცევასა და შემოქმედებაში, ტაბიძე?

**ტიციანი** – (აღელვებით) თუ ჩემს ბოლოდროინდელ ლექსებს გადაავლებთ თვალს, დაინახავთ, ამხანაგო ბერია, რომ ისინი კომუნისტურ აღმშენებლობას ეძღვნება, უმღერის იმ დიად მიღწევებს, რომლებიც პარტიისა და პირადად ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით განახორციელა ჩვენმა სოციალისტურმა სამშობლომ... როგორც იცით, წლის დასაწყისში საქართველოს კულტურის დეკადამიც მივიღე მონაწილეობა მოსკოვში... ამხანაგ სტალინზე დაწერილი ჩემი ლექსიც დაიბეჭდა...

**ბერია** – (მკაცრად) და გგონია, ჩვენს დარწმუნებას შეძლებ, რომ ამ ლექსებს გულწრფელად წერ და არა თვალთმაქცურად, პარტიის შეცდომაში შეყვანის მიზნით? „რევოლუცია და პოეტები“ რომ შეთხზე ოცდაერთ წელს, იქაც ისე აურიე ერთმანეთში დღევანდელია და წარსული, დანტე, გოეთე და ბაირონი პუშკინთან და ილია ჭავჭავაძესთან, რომ კაცი ვერ მიხვდება, მართლა უჭერდი მხარს საქართველოს გასაბჭოებას თუ ვაჭყყებდი.

**ტიციანი** – მე ეს სტატია გულთით დავწერე...

**ბერია** – თუ ტროცკისტ ბუღუ მდივანის გულის მოსაგებად?

**ტიციანი** – (შეშფოთდება) არა, მდივანს მაშინ არც ვიცნობდი.

**ბერია** – ესე იგი, მერე გაიცანი?

**ქობულოვი** – იქნებ დანაშაულებრივი კავშირიც გქონდა მასთან?

**ტიციანი** – (ხელებს გაასავსავებს) არა, რას ბრძანებთ, სულ რამდენჯერმე შევხვდი.

**ქობულოვი** – ხალხის მტერთან ერთი შეხვედრაც საკმარისია, რომ გადაგიბიროს. ასე არაა, ლავრენტი პავლოვიჩი?

**ბერია** პასუხის გაცემას ვერ ასწრებს. იღება კარი და შემოდის მდივანი. მას მოაქვს ორი ჭიქა ჩაი. ერთს ბერიას წინ მაგიდაზე დგამს. დააპირებს მეორე ტიციანს მიაწოდოს, მაგრამ ბერია ხელის აწევით შეაჩერებს.

**ბერია** – (მდივანს, ქობულოვზე უჩვენებს) იმას მიეცი.

*(მდივანს ქობულოვთან მიაქვს ჩაი და გადის. ბერია თვალს გააყოლებს).* რა იყო, ტაბიძე, შენზე გამიგია, ლამაზი ქალების მოყვარულიაო და ახლა ჩემ მდივანს ერთი შეხედვაც არ აღირსე? არ აპირებ, მის სილამაზეს ლექსი მიუძღვნა? მაინცდამაინც თავადის ქალები, მაყაშვილები და წერეთლები უნდა აქო?

**ტიციანი – (დაბნეულია)** არ ვიცი, ვეცდები... ხომ იცით, ლექსი ასე იოლად არ იწერება.

**ბერია –** იწერება, ტაბიძე, იწერება. განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ჩვენ გვინდა. *(ლექსს წარმოთქვამს).* „გარჩენილი ვარ ქვებზე კალმასი და ახეული მაქვს ლაყურები, შემართულია ფეხზე ჩახმახი და უსიკვდილოდ ვერ გადაფურჩები“.

**ქობულოვი – (ირონიულად)** ხალხის მტრებისთვის ლაყურების ახევა კარგად ვიცი. ნამდვილად ვერ გადაგვირჩება ვერც ერთი. *Всех выявим до единого.*

**ბერია – (ტიციანს)** ვერ მოეშვით რა, ამ არღნის, ტივის, ყანნის, ღვინის, ქეიფის და დარდიმანდობის ტრფიალს. წარსულში ხართ დარჩენილები, ტაბიძე, წარსულში. ველარ მიხედვით, რომ სხვა დრო დადგა და ვინც ფეხს ვერ აუწყობს კომუნისტურ მშენებლობას, ჩამორჩება და ნაცარტუტად იქცევა. ხოლო ვინც გაბედავს, ხელი შეგვიშალოს წინსვლაში... *(თვალები ბოროტად უელავს)*

**ქობულოვი –** იმათ ნამდვილად არ დაეინდობთ. *Будем выжигать каленым железом.*

**ბერია – (ტიციანს)** ან რა მოსატანია ჩახმახი და რევოლვერი სასიყვარულო ლექსში. რა იცი შენ რევოლვერის ან იარაღის, ან მათი გამოყენების. ბავშვივით თამაშობ, ტაბიძე, სიკვდილს ეთამაშები. ჩვენ კი თამაშისთვის არ გვცალია. მტრებისა და ჯაშუშებისგან უნდა გავნმინდოთ ქვეყანა, თორემ დავაგვიანებთ და ისინი გაგვანადგურებენ.

**ტიციანი – (ცდილობს დამაჯერებლად ილაპარაკოს)** მეც ვარ ჩაბმული ამ ბრძოლაში, როგორც შემოძლია, ამხანაგო ბერია. ვაღიარებ, შესაძლოა დავაგვიანე, დროზე ვერ ამოვიცანი ტროცკისტების ფარული ზრახვები, მაგრამ როგორც კი პარტიისა და პირადად თქვენი მეშვეობით გავერკვიე, რა საშიშროებას უქმნიდნენ ისინი ჩვენს ქვეყანას, მაშინვე ვამხილე.

**ბერია – (თვალს მოჭუტავს)** ამხილე?

**ტიციანი –** დიახ, ვამხილე. მაგალითად, ქართველ მწერალთა შეკრებაზე, იანვრის ბოლოს რომ შედგა, სხვებთან ერთად პირდაპირ მოვითხოვე ტროცკისტული ბანდის წევრების ფიზიკური განადგურება. დარწმუნებული ვარ, იცით ამ კრების შესახებ.

**ბერია –** თაღლითობ, თაღლითობ, ტაბიძე. მთელი გამოსვლა ისე ჩაატარე, არავინ ახალი არ დაგისახელებია. კი, ტროცკისტების განადგურება მოითხოვე, მაგრამ იმათი, ვინც ისედაც გამოაშკარავებული იყო. *(უფრო მკაცრად)* თვითონ ამხილე ერთი ფარული ტროცკისტი მაინც? შენიღბული ხალხის მტრის ერთი გვარი თუ დასახელებე?

**ტიციანი –** ეს... ეს არა მგონია, ჩემი საქმე იყოს, ამხანაგო მდივანო. ამხელა პასუხისმგებლობას როგორ ავიღებ. მტრების გამოაშკარავება ხომ პარტიისა და შინსახკომის საქმეა. ისიც არ მინდოდა, ვინმე უდანაშაულოსთვის დამედლო ხელი...

**ბერია – (ყვირის)** უდანაშაულოსთვის? ახლა, კლასობრივი ბრძოლის უკიდურესი გამწვავების პირობებში, როცა მოლაღატებმა ცეკაში და გენშტაბშიც კი შეაღწიეს, რომელ უდანაშაულოებზე მელაპარაკები? დამცინი, ტაბიძე?

**ქობულოვი –** Типичный двурушник. Таких надо гнать и травить нещадно.

**ტიციანი – (ქობულოვს გახედავს და მაშინვე მოიხედავს. ძალიან შეშფოთებულია)** არა, ამხანაგო მდივანო, დამიჯერეთ, მე ერთგული ვარ...

**ბერია – (ანყვეტინებს)** რას აიჩემე: ერთგული ვარ... ერთგული ვარ... ყველა ამას გაიძახით და მტრები მაინც არ გველევა. თუ მართლა ერთგული ხარ, ერთი მოლაღატე დამისახელე, რომელიც ჯერ არ გამოგვივლენია. დაეხმარე პარტიას, მიგვითითე ფარულ მტერზე.

**ტიციანი –** ახლა?

**ბერია –** ჰო, ახლა.

**დუმილი.**

**ტიციანი – (ბორძიკით)** მეტი რაღა გავაკეთო, ამხანაგო მდივანო. მწერალთა შეკრებაზე გამოვედი და ჩემი საუკეთესო... *(პაუზას გააკეთებს)* მეგობრის საქციელი დავგმე საჯაროდ და გულწრფელად.

**ბერია – (ამრეზით)** რომელი მეგობრის?

**ტიციანი – (გაჭირვებით წარმოთქვამს)** იაშვილის, პაოლოსი. *(შეასწორებს)* პავლესი.

**ქობულოვი –** თავი რომ მოიკლა, იმის?

**ტიციანი –** დიახ.

**ბერია –** აი, მაგ შემთხვევაში რომ გულწრფელი იყავი, მჯერა. რა თქმა უნდა, გული დაგწყდა, შენმა მეგობარმა რომ თავი მოიკლა. მისი ჯაშუშური საქმიანობა კი არ დაგმე, არამედ ის, რომ ტყვია დაიხალა. გერჩინა, ცოცხალი დარჩენილიყო და მავნებლობა გაეგრძელებინა.

**ტიციანი –** გამოსვლის ტექსტი მწერალთა კავშირის პასუხისმგებელ მდივანთან, ამხანაგ დემეტრაძესთან მქონდა შეთანხმებული.

**ბერია –** დემეტრაძესთან? გესმის, ბოგდან ზახარინ?

**ქობულოვი –** ეგ რომელია, ხელს რომ ადებენ, ტროცკისტი?

**ტიციანი – (გაოგნებული)** ტროცკისტი? ის ხომ მდივანია...

**ბერია – (მკვეთრად)** მდივანია მხოლოდ ჯერჯერობით, ჯერჯერობით, ტაბიძე. ეგეთ თვალთმაქცურ გამოსვლებზე რომ იძლევა სანქციას, იმიტომაა დასახვერტი. *(დუმილი. ტიციანი გაოცებული შეპყურებს).* რა მართალი იყო გენიალური სტალინი, როცა ამბობდა, საქართველო გარდიგარდმოა გადასახნავიო, ცხელი უთოთია დასაუთავებელიო. შენ ეთანხმები ამას, ტაბიძე?

**ტიციანი –** მე ვინ ვარ, რომ ამხანაგ სტალინის სიტყვები განესაჯო.

**ბერია –** ისევ თაღლითობ, ტაბიძე. *(მკაცრად)* მიპასუხე, ეთანხმები თუ არა ამხანაგ სტალინის სიტყვებს.

**ტიციანი –** მე... რასაკვირველია, ზოგადად ვეთანხმები ყველაფერს, რასაც ამხანაგი სტალინი ამბობს.

**ბერია –** მაშასადამე, ზოგადად ეთანხმები? მაგრამ ამ კონკრეტულ გამონათქვამს შეიძლება არ დაეთანხმო?

**ტიციანი –** არა, ეს არ მიგულისხმია. მე, რა თქმა უნდა, მთლიანად ვეთანხმები...

**ბერია** – *(გაანყევტინებს. მაგიდაზე ხელს დაარტყამს)* Молчать! კარგად ვიცი, რა იგულისხმე. *(ფხზე წამოდგება, ახლოს მივა და თვალეში ჩახედავს. ასევე ადგება ქობულოვიც და მაგიდას მიუახლოვდება)*. არ მესმის, რა სისუსტე აქვს ამხანაგ სტალინს პოეტების მიმართ. ვინ ხართ ასეთები? რას გელოლიავენათ? ჩემი ნება იყოს — ერთ დღეში გაგასახლებდით ყველას. *(ტიციანი დუმს, თავს ჩაქინდრავს)* თავი აწიე, ტაბიძე. *(ტიციანი თავს აწევს)* ესე იგი, ამბობ, რომ იაშვილის მავნებლური საქმიანობის შესახებ არაფერი იცოდი?

**ტიციანი** – არ ვიცი.

**ბერია** – გინდა დაგვიმტკიცო, რომ პარტიის ერთგული ხარ?

**ტიციანი** – დიახ.

**ბერია** – *(მშვიდად)* კარგი, მაშინ უკანასკნელ შესაძლებლობას მოგცემ.

**ტიციანი** – გმადლობთ, ამხანაგო ბერია.

**ბერია** – *(ხაზგასმით)* უკანასკნელს. *(პაუზა)* დღის ბოლომდე უნდა დაწერო ღია წერილი, სადაც ამხელ შენს ყოფილ მეგობარ იაშვილს, როგორც ქვეყნის მოღალატესა და ტროცკისტს, დაგმოზ მის მავნებლურ საქმიანობას. *(ხაზგასმით)* საქმიანობას და არა მხოლოდ თვითმკვლელობას. განაცხადებ, რომ როგორც პოეტი, არარაობაა და არარაობად დარჩება. რომ თქვენი მეგობრობა მისთვის მხოლოდ შირმა იყო და ამის მეშვეობით თავის ბოროტ ზრახვებს ფარავდა, რომ მთელი მისი ოჯახი ხალხის მტრებისგან შედგება.

**ტიციანი** – *(მორიდებით)* პატარა გოგონა ჰყავს.


**ბერია** – არა უშავს. ყველა ბავშვი ადრე თუ გვიან იზრდება. *(დაკვირვებით შეხედავს)* როგორც ვიცი, შენც გყავს გოგონა.

**ტიციანი** – დიახ.

**ბერია** – ჰოდა, გირჩევნია, მასზე იზრუნო. *(დაფიქრდება)* ამ წერილში აუცილებლად უნდა განაცხადო, რომ მთელი თქვენი „ცისფერყანწული“ მოღვაწეობა დიდი შეცდომა და ბურჟუაზიული ტაქიმახსარაობა იყო, რასაც ინანიებ. რომ შენი და შენი მეგობრების მაშინდელი ლექსები არაფრად ვარგა, უნიჭო და გამოუსადეგარია. ეს კარგად გააფორმე და ხელი მოაწერე. მერე რესპუბლიკურ გაზეთებშიც დავებეჭდავთ და საკავშიროშიც. აი, ამ შემთხვევაში შეიძლება, *(მკაფიოდ წარმოთქვამს)* შეიძლება დავიჯეროთ, რომ იმსახურებ, საბჭოთა პოეტის სახელს ატარებდე.

**ტიციანი** – სხვა შემთხვევაში?

**ქობულოვი** – ეს რა გაუგებარი რამე ყოფილა, ლავრენტი პავლოვიჩ.



მხატვარი გეგა პაქსაშვილი

**ბერია** – *(ტიციანს, მკაცრად)* სისულელეს ნუ მეკითხები. წინააღმდეგ შემთხვევაში – დაპატიმრება და დახვრეტა, მორჩა და გათავდა. რამდენჯერ დაგინერია ლექსებში და ჩანაწერებში სიკვდილზე, ჰოდა, გაიგებ, რაც არის სინამდვილეში. რომ ამბობდი, ჩემი ლექსები ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდებაო, იცოდე, ეგეც არ გელირსება. შენს სახელს საერთოდ ამოვშლით ისტორიიდან.

**ტიციანი** – *(გაოგნებული)* ამოშლით?

**ბერია** – ის, ვინც არ არსებობს საბჭოთა ხალხისთვის, პარტიისთვის, არც არავისთვის არსებობს. თქვენ, პოეტებს, სამყაროს ცენტრი გგონიათ თავი, ვითომ ის იცით, რასაც სხვა ვერ ხვდება. Ерунда это. რა არის მნიშვნელოვანი ქართველი მუშისთვის, ჩვენ მიერ აშენებული ფაბრიკები, ქარხნები, გზები და ელექტროსადგურები თუ შენი ლექსები?

**ტიციანი** – მე მგონი, ფაბრიკა-ქარხნები.

**ბერია** – მგონიო, გესმის, ბოგდან ზახარჩი?

**ქობულოვი** – ვის რაში უნდა მაგის უვარგისი ლექსები.

**ბერია** – ჰოდა, დღესვე დაწერს, რომ ისინი მართლა უვარგისი და სანაგვეზე მოსასროლია.

**ტიციანი** – მთელ ჩემს საქმიანობას, შემოქმედებას, რითიც ვარსებობ, როგორ გადავუსვა ხაზი?

**ქობულოვი** – არ გადაუსვამ და ჩვენ გადაგისვამთ. და არა მარტო ხაზს. ეს გაცილებით მტკივნეული იქნება შენთვის. ПОНЯ?

**ბერია** – რალაცას ვერ ხვდები, ტაბიძე. ეს წერილი ჩვენზე მეტად შენ გჭირდება. ჯერ კი არ მოვითხოვ, გირჩევ მის დაწერას. რომ მოგთხოვო, მუხლებზე დამდგარი მოხობდები და ძალივით კბილებში გაჩრილს მომიტან. მე მინდა, რომ შენი ნებით დაწერო. ამიტომ არ გტოვებ აქ, გიშვებ. წადი სახლში და კარგად მოიფიქრე. ცოლს დაეკითხე, შვილის ბედი გაითვალისწინე. ღამის თორმეტ საათამდე გაძლე დროს. სახლთან მანქანა მოვა და დაგელოდება. თუ შუალამემდე გამზადებულ და ხელმოწერილ წერილს ჩაუტან, უბრალოდ გამოგართმევენ და ზეგ უკვე თბილისისა და მოსკოვის გაზეთებში გამოქვეყნდება. აბა, მეტი რა სჭირდება მწერალს, თუ არა საკუთარი ტექსტების ბეჭდვა? თუ დანიშნულ დრომდე შენგან ვერაფერს მიიღებენ, ბინაში ამოგაკითხავენ. ოღონდ წერილისთვის არა. პირდაპირ შინსახკომის ციხეში წაგიყვანენ, ამხანაგ ქობულოვთან. ამან იცის, როგორ ელაპარაკოს ხალხის



მტრებს. **(დუმილი)** და კიდევ – ერთი ფარული ტროცკისტის დასახელება არ დაგავიწყდეს. თან გახსოვდეს, ამას შენი ნებით გააკეთებ, როგორც ნამდვილი საბჭოთა ადამიანი. თორემ, თუკი ბოგდან ზახაროვიტან მიგიყვანეს, იქ უკვე ათის ჩამოთვლა მოგიწევს და ვაითუ ესეც არ გეყოს...

**ქობულავი – (იციანს)** ჰა-ჰა-ჰა. ზუსტად ეგრე იქნება, ლავრენტი პავლოვიჩ, გრძელ სიას ჩამოწერს.

**ბერია** – და იცოდე, იაშვილივით თავის მოკვლა არ გაბედო, თორემ შენს ცოლ-შვილს ხვალევე გავუყენებთ ციმბირის გზას.

**ტიციანის მდუმარედ ზის. ბერია თავის სკამზე ჯდება. ქობულავი უბრუნდება საკუთარ ადგილს. ტიციანს რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ თავიდან ვერ ამბობს, ხმა არ ამოდის. ბოლოს მაინც ახერხებს.**

**ტიციანი – (ძლივს ლაპარაკობს)** მწერალთა სხდომაზე ხომ უკვე დავგე...  
**ქობულავი** – ლავრენტი პავლოვიჩ, ეს მგონი, გიჟია.

**ბერია** – და რამდენმა კაცმა მოისმინა შენი გამოსვლა? დიდი-დიდი — ასმა. მერე სხდომის ანგარიში ჰა და ჰა, ათი ათასმა კაცმა წაიკითხა. რა არის ეს ქვეყნის მასშტაბით? არაფერი. ახალი წერილი კი „კომუნისტში“ დაიბეჭდება, „იზვესტიაში“, მილიონობით ადამიანი გაეცნობა. შენი მეგობარი პასტერნაკიც ნახავს, როგორ მოურიდებლად ამხელს საბჭოთა პოეტი ტაბიძე ყოფილ მეგობარს, ხალხის მტერ იაშვილს.

**ტიციანი** – რაღა მაინცდამაინც მე უნდა ვქნა ეს?  
**ქობულავი – (იღიბება)** არ უნდა ამას სახლში წასვლა და გამატანეთ ციხეში, ლავრენტი პავლოვიჩ.

**ბერია – (ყურადღებას არ აქცევს ქობულავს. ისევ დაკვირვებით უყურებს ტიციანს)** რა გგონია, ტაბიძე, ის, რომ შენი მავნებელი ძმაკაცი დაგმო, ბერიას კერძო სურვილია და მეტი არაფერი? ეს პოლიტიკური საკითხია, პოლიტიკური. ოცი წელია, რევოლუცია მოხდა და შენნაირებმა მაინც ვერაფერი გაიგეს. ჩვენ ახალ, აქამდე უნახავ საზოგადოებას ვაშენებთ, სადაც მშრომელ ადამიანს ყველაფერი ექნება ბედნიერებისთვის. ამ საზოგადოებას კი ახალი ადამიანი სჭირდება, რომელსაც ყველანაირი კავშირი ექნება განყვეტილი წარსულს, უვარგის აზროვნებას და ტრადიციებთან, ბურჟუაზიულ მორალთან. პოეტებს რაღაც გავლენა ჯერ კიდევ გაქვთ მასებზე. ეს კარგად ესმის დაღ სტალინს. **(სურათს გახედავს)** სწორედ ამიტომ, სხვებთან ერთად თქვენც უნდა გარდაიქმნათ, მთელი არსებით ჩაებათ ნათელი მომავლის მშენებლობაში. მერე რა, რომ გიძნელდება ძველი მეგობრის მხილება. სამაგიეროდ, ეს ერთადერთი გზაა, დაგვიმტკიცო, რომ ჩვენთან ხარ და არა – მასთან ან სხვა მოლაღატებთან. დროა, ზნეობაზე დრომოჭმული შეხედულებები უკუაგდო, ტაბიძე. მარქსიზმი გვასწავლის, რომ მარადიული ჭეშმარიტება არ არსებობს, თითოეული დრო თავის საკუთარ სიმართლეს ქმნის. ახლა ჭეშმარიტია ის, რაც სასარგებლოა პროლეტარიატისთვის, სამართლიანია ის, რასაც ბოლშევიკური პარტია აკეთებს. მორჩა და გათავდა.

**ქობულავი** – ვისაც თქვენთან ყოფნა არ უნდა, ლავრენტი პავლოვიჩ, ის ჩემთან წამოვა.

**ტიციანი დუმს.**  
**ბერია – (დუმილის შემდეგ)** შენ ღმერთი გწამს, ტაბიძე?  
**ტიციანი – (ყოყმანით)** ახლა ალბათ უკვე არა.

**ბერია** – მამაშენი მღვდელი არ იყო?  
**ტიციანი** – დიახ, მაგრამ ამის მიუხედავად მეფის მთავრობას მაინც ებრძოდა.

**ბერია – (ქობულავს)** ახლა, ვისაც არ ეზარება, ყველა ნიკოლოზის მონინალმდეგობას იბრალებს. არადა, მაშინ კარგად იყვნენ თბილ ადგილებზე მოწყობილი და მშრომლებსაც უსინდისოდ ატყავებდნენ. **(ტიციანს)** რომ დადიხარ და იძახი: „ჩემი ამბავი ზეცაშია გადაწყვეტილი“, ეგ როგორაა?

**ტიციანი** – ეს მხოლოდ პოეტური მეტაფორაა.

**ბერია – (დამცინავად)** ა...ა, მეტაფორა... **(სერიოზულად)** რომ ამბობ, ღმერთი აღარ მწამსო. ადრე, როცა გწამდა, ლოცულობდი?

**ტიციანი** – დიახ, ხანდახან.  
**ბერია** – როცა ძალიან გაგიჭირდებოდა, მაშინ?

**ტიციანი** – მაშინაც.  
**ბერია** – მერე, ახლა რატომ აღარ ლოცულობ, იმედი გაგიცრუა ღმერთმა? ვეღარ გშველის? **(დუმილი)** ან ვისთვის უშველია, შენ რომ დაგეხმაროს? გამკვირვებია თქვენი, ვითომ განათლებული ხალხი ხართ და რაღაც არარსებულს, იმას, ვინც არავის უნახავს და ვისი ხმაც არავის გაუგონია, თაყვანს სცემთ. აბა, მითხარი, სად არის ის? ცაშია, მიწისქვეშ თუ წყალში?

**ტიციანი** – არ ვიცი.  
**ბერია** – სწორედ ეგაა საქმე, რომ არ იცი და მაინც უაზროდ გჯერა. ცარიელია ზეცა, ცარიელი და მდუმარე, გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ. ადამიანი აქაურ, მიწიერ ცხოვრებას უნდა მოერგოს. ნამდვილი ღმერთებიც მიწაზე დადიან. მე, მაგალითად, აქვე შემოძლია შენი სიცოცხლისა და სიკვდილის ამბავი გადაწყვეტილი. რით არა ვარ ღმერთი შენთვის? **(შეყოვნდება და სტალინის სურათს გახედავს)** ან მე რა მოსატანია ვარ. აი, ამხანაგი სტალინია უდიდესი ადამიანი ამქვეყნად. სწორედ ისაა ნამდვილი ღმერთი დედამიწაზე და თუ გინდა, რომ დაგეხმაროს, დაიჩოქე მის სურათთან. **(ტიციანი გაუნძრევლად ზის)** გაიგე, რა გითხარი, ტაბიძე?

**ტიციანი არ ინძრევს და ხმას არ იღებს. მდუმარე სცენა.**  
**ტიციანი** – ამხანაგო მდივანო...  
**ბერია – (ავრესიულად)** რა? არ გინდა დაიჩოქო?  
**ქობულავი** – თუ მოვინდომეთ, ლავრენტი პავლოვიჩ, საკუთარ სისხლსა და ნარწყვეთს არ იფორთხებს იატაკზე დაიჩოქებს კი არა, ფეხზე ადგომის შეეშინდება.  
**ტიციანი** – უკეთესია, პირდაპირ თუ მივმართავ ამხანაგ სტალინს. ხატებზე გარდაცვლილები არიან გამოსახული, ის კი ცოცხალია.  
**ბერია – (ოდნავ შეკრთება)** გარდაცვლილები? **(დაფიქრდება)** ამხანაგ სტალინს არაფერში ჭირდება შენი მათხოვრული ვედრება. **(მოულოდნელად)** კარგი, თავისუფალი ხარ, ტაბიძე.

**ტიციანი** – შემიძლია, წავიდე?  
**ბერია – (ხელს აუქნევს)** ჰო, წადი, წადი.

**ტიციანი – (ფეხზე წამოდება და მძიმე ნაბიჯით მიდის კარისკენ)** ნახვამდის.

**ბერია** – იმედია, მალე შეეხვდებით, ტაბიძე. არ დაგავიწყდეს, თორმეტზე მოგაკითხავენ წერილისთვის. **(ტიციანი თავს დაუქნევს და გადის)** ბახჩო, შენ თვითონ მიდი ამაღამ. მანქანაში დაელოდე. თუ ის წერილი დროულად მოიტანა, მაშინ пока оставь его в покое.

**ქობულოვი** – თუ არ მოიტანა?

**ბერია** – ბინაში მიაღდექი, ცხიხეში წაიყვანე და მერე შენი იცი, როგორ მიხედავ. სამოცტრაფუსიანი ცხელი კამერა მოუხდება მაგას თავიდანვე.

**ქობულოვი** – გასაგებია, ლავრენტი პავლოვიჩი.

**სცენა 4**

*ტიციან ტაბიძე ქუჩაში მიდის. თავი ჩაქინდრული აქვს. გამვლელები გვერდს უქცევენ. ტიციანი თავს აწვეს და რამდენიმე ნაცნობს მიესალმება. ისინი თითქოს ვერ ამჩნევენ, არ პასუხობენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის სრულიად მარტოა, მიუხედავად იმისა, რომ ხალხმრავალ ადგილზეა. უცებ ვიღაც კაცი თვითონაც მიესალმება პასუხად. ტიციანი მას აჩერებს.*

**ტიციანი** – შალვა, გამარჯობა.

**ქართველი მწერალი** – შალვა არ ვარ.

**ტიციანი** – კონსტანტინე, გამარჯობა.

**ქართველი მწერალი** – მე კონსტანტინე არ მქვია.

**ტიციანი** – არც დავითი? არც გოგლა? არც სანდრო? *(კაცი თავს აქნევს)* ქართველი მწერალი ხომ ხარ?

**ქართველი მწერალი** – კი.

**ტიციანი** – ჰო, გიცანი, გიცანი...

**ქართველი მწერალი** – ტიციან...

**ტიციანი** – *(თითქოს გამოფხიზლდება)* რა იყო?

**ქართველი მწერალი** – კარგია, რომ შემხვდი. ბოდიში მიხდა მოგიხადო. ბოლო სხდომაზე ძალიან გაგაკრიტიკე და მწერალთა კავშირიდან შენს გარიცხვასაც ხმა მივეცი. არ გეგონოს, მართლა ეგრე ვფიქრობდე, მაგრამ ხომ იცი, რა მდგომარეობაა.

**ტიციანი** – ვიცი, ვიცი. ყველანი იძულებული ვართ, ისეთი რალაცები ვაკეთოთ, რისი გაკეთებაც სინამდვილეში სულ არ გვინდა.

**ქართველი მწერალი** – რა მექნა, დემეტრადემ მომთხოვა, გამოვსულიყავი.

**ტიციანი** – პატიმარმა დემეტრადემ?

**ქართველი მწერალი** – *(გაკვირვებული უყურებს)* რა პატიმარმა, კაცო, მწერალთა კავშირის მდივანია.

**ტიციანი** – მაშინ, განწირულმა დემეტრადემ. ჩვენ ყველანი განწირულები ვართ, მეგობარო, ყველანი. სათითაოდ, გაათითოკაცებულეებს დაგვიჭერენ.

**ქართველი მწერალი** – *(შეშფოთებულია)* რას ამბობ, კაცო. ეგ როგორ შეიძლება. უდანაშაულოებს ხელს არავინ ახლებს.

**ტიციანი** – არ ახლებს? გგონია, ისინი გადარჩებიან? მაგრამ რის ფასად? *(დუმბილი)* შენ გინდა, გადარჩე?

**ქართველი მწერალი** – აბა, რა. მითუმეტეს, რომ საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის ერთგული ვარ.

**ტიციანი** – *(ირონიულად)* ო...ო, გასაგებია. *(უფრო სერიოზულად)* თუ მცა მაგას არა აქვს მნიშვნელობა.

**ქართველი მწერალი** – როგორ თუ არა აქვს? მხოლოდ ხალხის ნამდვილ მტრებს იჭერენ.

**ტიციანი** – თუ პირიქითაა — როცა დაიჭერენ, მერე ხდებიან ხალხის მტრები?

**ქართველი მწერალი** – *(ხელებს გაასახვავებს)* არა, რას ამბობ?

**ტიციანი** – როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს? დავივართ კრებებზე, ვამხელთ და ვლანძღავთ ერთმანეთს, ყოველ კვირაში რომელიმე ჩვენგანი უკვალოდ ქრება. გვეუბნებიან, რომ მოლაღატე იყო და ჩვენც უნდა დავიჯეროთ. მის ბედს არც ვკითხულობთ და ახლა სხვა მოლაღატეს ვააშკარავებთ. სადამდე იქნება ასე?

**ქართველი მწერალი** – ვიდრე ყველა მავნებელს არ გამოააშკარავებენ. ეს შინსახკომის საქმეა.

**ტიციანი** – *(ხელს გაიქნევს)* არა, არა, მეგობარო. ყველას გვადიხლებენ, ამაში ჩავებათ.

**ქართველი მწერალი** – *(შეშინებული მიმოიხედავს)* ხალხის მტრების გამოვლენა ყველა საბჭოთა მოქალაქის მოვალეობაა. მწერლებიც ხომ მოქალაქეები ვართ.

**ტიციანი** – *(გაკვირვებული უყურებს)* მოქალაქეები? ჩვენ? *(დუმბილი)* საოცრებაა, არავინაა დაცული. გუშინ ვინც სხვებს იჭერდა, დღეს თვითონ ცხადდება დამნაშავედ. მარშლები, გენერლები, სახალხო კომისრები, ცეკას წევრები — ისინიც მტრები არიან? და ვინ დაანინაურა ეს ხალხი? არ გახსოვს, როგორ გაჰყვიროდნენ — გაუმარჯოს ამხანაგ ზინოვიევს, ამხანაგ ბუხარინსო? ახლა მტრებად გამოაცხადეს.

**ქართველი მწერალი** – *(ხმას დაუწევს)* გაგიჟდი, ტიციან? გინდა, აქვე აგვიყვანონ? მე წავედი.

**მწერალი წასვლას დააპირებს, მაგრამ ტიციანი პიჯაკში ხელს ჩაავლებს და არ უშვებს.**

**ტიციანი** – ერთი წუთით, ახლავე გაგიშვებ. *(მწერალი ჩერდება)* ყველამ იცის, რომ ხვალ თვითონ შეიძლება გააქროს, მაგრამ ხმას არავინ იღებს. იმიტომ, რომ ეშინიათ...

**ქართველი მწერალი** – კი არ ეშინიათ, ეთანხმებიან...

**ტიციანი** – სწორედ ამ თანხმობაშია საქმე. ხოცვა-ჟლეტას მხოლოდ ის შეაჩერებს, თუკი მას არავინ დაეთანხმება — არც მუშები, არც გლეხები, არც ინტელიგენცია, საერთოდ არავინ. აი, მაგალითად, ხვალ რომ შეიკრიბოს უკლებლივ ყველა ქართველი მწერალი და უარი თქვას მავნებელთა მხილებაზე, ერთმანეთის დასმენაზე, უბრალო ხალხმა ტაში აღარ დაუკრას დახვრეტებს და ასე მოიქცეს ყველა ქართველი, საბჭოთა კავშირის ყველა მცხოვრები, მაშინ დაჭერები ხომ თავისთავად შეწყდება.

**ქართველი მწერალი** – არ მესმის შენი. ამ საქმეს რომ ხალხის ერთსულოვანი მხარდაჭერა არ ჰქონდეს...

**ტიციანი** – *(ანწყვეტინებს)* ხალხის მხარდაჭერა?

**ქართველი მწერალი** – ჰო. თუ არ გჯერა, მოუსმინე რადიოს, წაიკითხე გაზეთები და ჟურნალები და მიხვდები. მწერლებმა რომ მტრების გამოაშკარავებაში მონაწილეობაზე უარი ვთქვათ, უბრალოდ გაგვანადგურებენ. ერთ დღეს გაგვაციმბირებენ ყველას, გაიგე? ვის უპირისპირდები? ამხელა ასსამოცდაათმილიონიან სახელმწიფოს? უშველებელ რუსეთს? პარტიას, ჩეკას და ჯარს? დაგავინყდა, ოცდაათში რაც დაგემართეს?

**ტიციანი** – ახლა რომ უარესს გვიშვებიან? *(დუმბილი)* მაშინ გადავარჩინეთ მიხეილ ჯავახიშვილი. ახლა კი... ვინ ამოიღებს ხმას? *(დუმბილი)* წუთუ ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ თითოეულმა საკუთარ თავს უშველოს?

**ქართველი მწერალი** – ეგაა, ეგ, ჩემო ტიციან. და ვინც ერთგულებას დაუმტკიცებს მთავრობას, ის ააშენებს კომუნისტებს. შენ კიდევ გირჩევ, სახიფათო აზრები ამოიგ-

დე თავიდან და მავნებლურ ლაპარაკს შეეშვი, სანამ გვიან არაა. თორემ ისეთი ვინმე შეგხვდება ჩემ ნაცვლად, დასმენას არ დაგამადლის. აბა, ნავედი. ნინოს მოკითხვა გადაეცი.

**მწერალი სწრაფად მიდის. ტიცინი თავჩაქინდრული აგრძელებს გზას.**

სცენა 5

**ოცდაათამდე ქართველი მწერალი შეკრებილია დიდ დარბაზში. მათგან ცოტა მოშორებით დგას კათედრა, მის გვერდით – ხის სკამი და მათ წინ რიგებად ჩამწკრივებულია რბილი სკამები. შემოდის ბერია. მწერლები, რომლებიც აქამდე თავისუფლად იდგნენ და საუბრობდნენ, ალღედებიან და ორრიგად დაეწყობიან. მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი, დავით დემეტრაძე, უახლოვდება ბერიას.**

**დემეტრაძე** – ამხანაგო მდივანო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მწერალთა კავშირში.

**ბერია** – (ამრეზით) რა იყო, ძალიან გაგიხარდა?

**დემეტრაძე** – რასაკვირველია, ამხანაგო მდივანო.

**ბერია** – (მწერლებს) და თქვენ? თქვენც ასევე გაგიხარდათ ჩემი სტუმრობა?

**ხმები** – რა თქმა უნდა, ამხანაგო ბერია. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. დიდი ხანია, გელოდით.

**ბერია** – (უხეშად) მელოდით კი არა, ალბათ მუხლები გიკანკალებთ, გული გისკდებათ, რამ მოიყვანაო. (დუმით) კარგია, ეგრეც უნდა იყოს. უნდა გეშინოდეთ, იმიტომ რომ იმდენი რამ ვიცი თქვენზე, თითოეულის დაპატიმრება შემიძლია ახლავე. (შეჩერდება) მაგრამ ყველას ვერ დაგიჭერთ. იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას სჭირდება მწერლები. პოეტებიც სჭირდება, დრამატურგებიც. ოღონდ ისინი, ვინც უმნიკვლოდ ემსახურება პარტიას.

**დემეტრაძე** – ბატონო მდივანო, ნება მომეცით მოგახსენოთ – ჩვენ უკვე გამოვავაშკარავეთ ხალხის რამდენიმე მტერი ჩვენს რიგებში.

**ბერია** – მაინც რამდენი?

**დემეტრაძე** – ჯერ-ჯერობით მხოლოდ სამი...

**ბერია** – (ხელს აიქნევს) ეგ ცოტაა, ძალიან ცოტაა. დარწმუნებული ვარ, ისინი აქ გაცილებით მეტნი არიან...

**დემეტრაძე** – ვცდილობთ, სხვებიც გამოვავლინოთ...

**ბერია** – (არ უსმენს. ჩამწკრივებული მწერლების რიგის წინ დადის. უეცრად ერთ-ერთთან შეჩერდება) აი, შენ, ამას წინათ მეგობრებთან დაიჩვილე, რომ ლექსებში აუცილებლად პარტიის პოლიტიკის ქება უნდა იყოს, თორემ ისე არ გიბეჭდავენ. პოეტი ვარ, მანიფესტების მწერალი კი არაო, ჩიოდი.

**პირველი მწერალი** – (დაბნეულია) მე... მე ეგ არ მიგულისხმია.

**ბერია** – (ყურადღებას არ აქცევს. მეორე მწერალს) შენ კიდევ, უკრაინიდან ჩამოსვლის მერე ამტკიცებდი, რომ ოცდაათიანი წლების დასაწყისში იქ ხალხი შიმშილით იხოცებოდა და ეს კოლმეურნეობების შემოღების ბრალი იყო.

**მეორე მწერალი** – მე ეს იქ შემთხვევით გავიგე...

**ბერია** – Идиот! (მესამე მწერალს) შენ ხალხის მტრებთან, ბუდე მდივანთან და აღნიაშვილთან მეგობრობდი. (მესამე მწერალი გაფითრდება და დუმს. ბერია მეოთხე მწერალს მიუბრუნდება) შენ სტალინის გენიალო-

ბაში შეიტანე ეჭვი და მისი სადღეგრძელო არ შესვი სუფრაზე.

**მეოთხე მწერალი** – რაღაც შეცდომაა. ამას როგორ გავბედავდი, ამხანაგო მდივანო...

**ბერია** – (უხეშად შეანყევტინებს) ნუ მეძახი ამხანაგს! (მესუთე მწერალს) შენ ცოლს უთხარი, რომ მეტისმეტად ბევრ ხალხს იჭერენ და მათ შორის უდანაშაულოებსაც.

**მესუთე მწერალი** – მე სულ სხვა რამე ვთქვი...

**ბერია** – (აგდებულად) ვიცი, რაც თქვი. (მექექსე მწერალს) შენი სიძე მენშევიკების დროს მინისტრი იყო და ახლა საფრანგეთში ცხოვრობს, ემიგრაციაში.

**მექექსე მწერალი** – მე მასთან დიდი ხანია ყოველგვარი კავშირი გავწყვიტე.

**ბერია** – ვიცი, ვიცი თქვენი კავშირები. (მწერლებს მუშტს უჩვენებს) აი, აქ მყავხართ ყველანი. იცით, რა გელით იმისთვის, რაც ჩამოვთვალე? (დუმით. ხმაძალდა) იცით?

**დემეტრაძე** – იციან, ამხანაგო მდივანო. მართალია, ჩვენ შორის არიან დამნაშავეები, მაგრამ საბჭოთა წყობილების ერთგული უფრო მეტია...

**ბერია** – ერთგული? მე თუ ამდენი ვიცი ამათზე, თვითონ რა, არ იციან, ვინ რას წარმოადგენს? ერთმანეთს არ უზიარებენ ამ მავნებლურ აზრებს? (მწერლებს) რადგან ყველას ვერ დაგსჯით, ვინმე უნდა შევარჩიოთ თქვენგან, სხვებზე მეტად დამნაშავე რომელიცაა, ის. (ჯერ დუმით, მერე ყველა ერთად იწყებს ლაპარაკს. ბერია უსვტით აჩუმებთ) თქვენ რომ დაგავალოთ ეს საქმე, ერთმანეთზე დაიწყებთ გადაბრალებას და ისეთ ყაყანს ატეხავთ, ვერაფერს გავარკვევ.

**დემეტრაძე** – მე შემიძლია დავასახელო მავნებელი, ამხანაგო მდივანო.

**ბერია** – მიდი, დაასახელე.

**დემეტრაძე** – ვფიქრობ, ჩვენი დიდ ბელადის, ამხანაგ სტალინის შეურაცხყოფაზე საშინელი დანაშაული არ არსებობს. (მეოთხე მწერალს) გამოდი რიგიდან. (მწერალი თავდახრილი გამოდის. ბერია თავს უქნევს დემეტრაძეს) დაჯექი იქ, საბრალდებო სკამზე და ახლავე გავარკვევთ, რა თქვი და რა არა.

**მწერალი მღუმარედ მიდის სკამისკენ, რომელიც კათედრის გვერდით დგას და ჯდება.**

**ბერია** – (ეჭვით, დემეტრაძეს) ახლა რას აპირებთ?

**დემეტრაძე** – სხვა მწერლებმა უნდა ამხილონ მისი მავნებლური საქმიანობა, ამხანაგო მდივანო.

**ბერია** – საინტერესოა. მაშინ აქ ჩამოვჯდები და გიყურებთ.

**ბერია კუთხის სკამზე ჯდება პირველ რიგში და მწერლებს აკვირდება. ყოველი მწერალი ჯიბიდან იღებს ქაღალდს მომზადებული გამოსვლის ტექსტით და კათედრის პირდაპირ სკამზე ჯდება.**

**დემეტრაძე** – აბა, ვინ დაიწყებს?

**კათედრაზე პირველი მწერალი ადის.**

**პირველი მწერალი** – (გამოთქმით) ამხანაგებო, დროა, სრულად გამოვავაშკარავოთ ჩვენ რიგებში თავშეფარებული მოლაღატეები და გამყიდველები. ის, ვინც აუგად იხსენიებს საბჭოთა ხალხის გენიალურ ბელადს ამხანაგ სტალინს, მთელი კაცობრიობის მანათობელ მზეს, უზატიე-ბელ დანაშაულს ჩადის და არ არის შეწყალების ღირსი. მივმართავთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, ქართველ

ბოლშევიკთა მეთაურს, ამხანაგ ბერიას, ამოძიროვოს მსგავს ადამიანთა სახსენებელი.

**პირველი მწერალი აგრძელებს საუბარს და ამავე დროს დგება მეორე მწერალი.**

**მეორე მწერალი** – უსასტიკესი სასჯელის ღირსია ის, ვინც ეჭვს შეიტანს კაცობრიობის უდიდესი ადამიანის სიბრძნეში. სრულიად ნათელია, რომ მას, ვისაც სტალინის დღეგრძელობა არ უნდა, არც ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა სურს.

**დგება მესამე მწერალი. პირველი ორი აგრძელებს გამოსვლას, თუმცა მათი სიტყვები უკვე გაურკვეველია.**

**მესამე მწერალი** – ჩვენ ზიზღს იმსახურებს ეს ადამიანი, (უთითებს მეოთხე მწერალზე) რომელმაც გაბედა და ამხანაგ სტალინს მიაყენა შეურაცხყოფა – ჩვენ დიდ ბელადს, რომელიც მტკიცე ნაბიჯით მიგვიძღვება ნათელი მომავლისაკენ. ამ უღირსმა (ისევ უთითებს მეოთხე მწერალზე) სულში ჩააფურთხა თითოეულ ჩვენგანს, მთელ საბჭოთა ხალხს, ხელყო ყველაზე ძვირფასი, რაც კი გაგვაჩნია.

**დგებიან მეხუთე და მეექვსე მწერლები.**

**მეხუთე მწერალი** – დღის სინათლეზე გამოვიყვანოთ ეს შენიღბული მოლაღატე! (მიუთითებს მეოთხე მწერალზე) ის, ვინც უდიერად იხენიებს დიდ სტალინს, ადამიანს, რომელმაც დღევანდელი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება მოგვიტანა, არ იმსახურებს პატივებს. მთელი საბჭოთა მწერლობის სახელით მოვითხოვოთ...

**მეექვსე მწერალი** – მის დაუნდობელ დასჯას... (შესაძახებს) სიკვდილი მოლაღატეებსა და მავნებლებს!

**მწერლები ერთდროულად და ხმამაღლა ლაპარაკობენ. ისინი გმობენ მეოთხე მწერლის საქციელს. ის ცდილობს, რაღაც თქვას, მაგრამ დემეტრადე აჩუმებს. ბერია კმაყოფილი აღევნებს თვალს ამ სცენას.**

სცენა 6

**დაკითხვის ოთახი შინსახკომის შენობაში. მაგიდასთან ზის ნიკოლო მინიშვილი. მის პირდაპირ – ბერია. გამომძიებელი ფეხზე დგას.**

**გამომძიებელი** – აბა, მინიშვილო, გვიამბე შენი კონტრევოლუციური საქმიანობის შესახებ. რომელი ქვეყნის აგენტი იყავი?

**მინიშვილი** – არავის აგენტი არ ვყოფილვარ, მოქალაქე გამომძიებელი.

**გამომძიებელი** – ვითომ ტყუილად ცხოვრობდი საზღვარგარეთ სამი წელი? რომელი კაპიტალისტური ქვეყნის დაზვერვასთან გქონდა კავშირი? საფრანგეთის? გერმანიის?

**მინიშვილი** – არც ერთის.

**გამომძიებელი** – შენ, მგონი, ისევ ცემა მოგენატრა, მინიშვილო. (მისკენ გადადგამს ნაბიჯს) მაგ სურვილს ახლავე ავისრულებ...

**ბერია** – (აჩერებს გამომძიებელს) ერთი წუთით ვაცალოთ. ყველაფერს აღიარებს. (პატიმარს შეხედავს) აბა, რას იზამს. (გამომძიებელი ჩერდება) მინიშვილო, სანამ შენს მოლაღატურ საქმიანობაზე მოგვიყვები, იქნებ ის გვითხრა, რა კონტრევოლუციური ქეიფი მოაწყვეთ შენ და შენმა ძმაკაცებმა შარშან, შემოდგომაზე.

**მინიშვილი** – კონტრევოლუციური ქეიფი?

**ბერია** – ჰო, სანდრო შანშიაშვილთან. გინდა, გაგახსენო? ჩამოგითვალო მონანილეები? (მინიშვილი შეკრთება) როგორ იყო, რომ მაგინებდი და გაიძვერას მეძახოდი? ვერაფრით მოვიგე თქვენი გული, მინიშვილო, ვერაფრით, მაგრამ რას ვიზამ. ვერც შენ და შენმა მეგობრებმა მოიგეთ ჩემი გული და ვისთვის უფრო საზიანოა ეს, მალე გამოჩნდება.

**მინიშვილი** – (დაბნეული) არა, იცით, მთლად ასეც არ ყოფილა...

**ბერია** – აბა, როგორ იყო? (მინიშვილი დუმს) გგონია, გამოკითხვას დაგინყებ, რა მოხდა მაშინ და ვინ რა თქვა, განსაკუთრებით, შენ? СВОИОУ. უშენოდაც კარგად ვიცი ყველაფერი. ინფორმატორები საკმაოდ მყავს და ისეთებიც, შენ რომ ვერც წარმოიდგენ. (მინიშვილის წინ ქალაქებს დებს) ნაიკითხე!

**მინიშვილი** – ეს რა არის?

**ბერია** – იმ ქეიფის ამბავია, შენი მეგობრის აღწერილი. მიდი, მიდი, მაინტერესებს, ერთი, რას მეტყვი.

სცენა 7

**მინიშვილი კითხვას იწყებს. სცენის ეს მხარე ჩაბნელებდა და განათდება მეორე, უფრო დიდი მხარე. ის წარმოადგენს ფართო ოთახს მწერალ სანდრო შანშიაშვილის სახლში. განწყობილ სუფრას ექვსი ადამიანი უზის, მათ შორის ტიცციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და ნიკოლო მინიშვილი. შანშიაშვილი თამადაა.**

**შანშიაშვილი** – (ნასვამია, ფეხზე დგება) მე მინდა, ჩემო საყვარელო ხალხო, ძმებო, ჩვენი ერთობის, ჩვენი მეგობრობის სადღეგრძელო შევსვა. უკვე ოცდახუთი წელია, ერთად ვართ და იმედია, სულ ცოტა, კიდევ ოცდახუთი წელი ვიქნებით ასე. როგორც შეგვიძლია, ვემსახურებით ჩვენს ქვეყანას და ასევე გავაგრძელებთ, სანამ პირში სული გვიდგას.

**ყველანი ფეხზე წამოდგებიან, ჭიქებს უჭახუნებენ ერთმანეთს.**

**ხმები** – გაგვიმარჯოს, გაგვიმარჯოს. ჩვენს ერთად ყოფნას გაუმარჯოს. ყოველთვის გულწრფელად შეგვეძლოს ერთმანეთისთვის თვალეში ჩახედვა.

**ღვინოს სვამენ და სხდებიან. სუფრის ერთ-ერთი წევრი ღვინოს ჩამოასხამს. სხვები საუბრობენ, ოღონდ რაზე, არ ისმის.**

**შანშიაშვილი** – (ხმამაღლა) მეგობრებო, მეგობრებო, მომისმინეთ. ძალიან მნიშვნელოვანი სადღეგრძელო უნდა წარმოვთქვა.

**ხმები** – მოვუსმინოთ, მოვუსმინოთ.

**ტიციანი** – საქართველოს სადღეგრძელოს ამბობ?

**შანშიაშვილი** – საქართველოსას არა, მაგრამ იმ ადამიანისას, ვინ მართავს საქართველოს. ლავრენტი ბერიას გაუმარჯოს! (უეცრად სიჩუმე ჩამოვარდება).

**პაოლო** – აუჰ.

**ტიციანი** – რა დაგემართა, სანდრო?

**შანშიაშვილი** – (აგრძელებს) მე ვადღეგრძელებ ამხანაგ ბერიას, როგორც რესპუბლიკის კომუნისტების მეთაურს, ამხანაგ სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, კაცს, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითა და მონანილეობით შენდება საქართველოს ინდუსტრია და სოფლის მეურნეობა, კაცს, რომელმაც...

**მინიშვილი** – (ანწყვტინებს) აღარ დაამთავრებ მაგ გაიძვერას ქებას?

**შანშიაშვილი** – (გაოგნებული) რა?

**მინიშვილი** – რადა ეგ შენი ბერია გაიძვერაა და უფრო დიდი გაიძვერების მიერაა დანიინაურებული. ან რა ხელმძღვანელია, თავის თანამშრომლებსაც კი ეზიზღებათ.

**პაოლო** – ეზიზღებათ და თან ეშინიათ.

**შანშიაშვილი** – შენ რა, გადაირიე, ნიკოლო?

**მინიშვილი** – გადავირიე, აბა რა. რახან ცეკას მდივანია, მაინდამაინც უნდა ვადღეგრძელოთ? (დუმილი) ჯერ სხვას დაანერინა წიგნი სტალინზე, მერე ის კაცი დაიჭირა და წიგნი მიითვისა, ვითომ თვითონ იყოს ავტორი. წიგნის დაწერა კი არა, ცხოვრებაში „თხა და გიგო“ არ ექნება წესიერად წაკითხული. ახლა მწერალიც გამომივიდა, ისტორიკოსიც და პარტიული მოღვაწეც. არადა, ინტრიგების და ხალხის დაჭერის მეტი არაფერი უსწავლია იმ თავის ჩეკაში. ქურდები და ყაჩაღები დანიშნა თანამდებობებზე და თვითონ კიდევ მათ ატამანად მოაქვს თავი. ვინ არის, აბა, ბახჩო ქობულოვი, მითხარი? ან სხვები...

**ტიციანი** – კარგი, ნიკოლო, მორჩი ახლა.

**მინიშვილი** – თქვენ რა, არ იცით, რომ მართალი ვარ? ძალიან კარგად იცით, მაგრამ მაგ სისხლისმსმელის ისე გეშინიათ, ხმის ამოღება კი არა, სიმართლის გაგონება არ გინდათ.

**პაოლო** – შენ თუ თავი გაქვს გადადებული, ჩვენ მაინც შეგვევი, ძმაო.

**ტიციანი** – ნიკოლო, გაჩუმდი. რა დაღე ამისთანა?

**მინიშვილი** – არაფერი არ დამიღევი. უბრალოდ, არ მიყვარს ბანდიტები და კაცისმკვლელები. აღარ მოგებზრდათ თვალთმაქცობა? „ამხანაგ ბერიას საეტაპო ამოსვლა კომუნისტური პარტიის პლენუმზე“ „როგორც ამხანაგი ორჯონიკიძე გვასწავლის...“ „ამხანაგმა ეუფომა მიგვი-თითა...“ და ამ სისულელეს სერიოზული სახით ვუსმენთ. მეტიც, ხელები გვაქვს გადატყავებული ტაშისცემით. ახლა საკუთარი აზრის ქონა ხომ ყველაზე დიდი დანაშაულია.

**პაოლო** – რას გადაგვეკიდე კაცო, გვაცალე ქეიფი.

**ტიციანი** – რაღა დროს ქეიფია, პაოლო...

**მინიშვილი** – მართალია, რა გვექეიფება, როცა შიში გვზარავს ყველას? (პაოლოს) აი, შენ, ძმა დაგიხვრიტეს. (შანშიაშვილი) შენ ბიძაშვილი გყავს გადასახლებული. (სუფრის ერთ-ერთ წევრს) შენ თვითონ ორი წელი გაატარე გადასახლებაში. და რა? მაინც ახალ, ვითომ აქამდე არნახულ საქართველოს უმღერით და არ იმჩნევთ ამ უსაშველო დასმენებს, დაჭერებს, ხალხის გაქრობას, იმას, რომ სიმართლის თქმის კი არა, გაფიქრების გეშინიათ. ახლა რომ ყველაზე დიდ მტრებად გამოაცხადეს, თხუთმეტი წლის წინათ ის ხალხი პარტიის ბელადებად არ იყვნენ შერაცხული? ვინ იყო საქართველოს რეკომის თავმჯდომარე? ბუღუ მდივანი.

**შანშიაშვილი** – მაგ სახელს აქ ნუ ახსენებ.

**მინიშვილი** – (არ უსმენს) ვინ არის ის ახლა? მთავარი მოლაღატე და მავნებელი. და რაც მთავარია, პარტია მაშინაც მართალი იყო და ახლაც.

**პაოლო** – (ირონიულად) ბოლშევიკები არასოდეს ცდებია.

**მინიშვილი** – ჩვენ კიდევ თავს პოეტებს ვუნოდებთ, ვითომ საკუთარი საქმის მაღალი დანიშნულების გვეჯერა.

სინამდვილეში ერთადერთი რამე გვინდა – არაფერში ჩავერიოთ, მშვიდად ვიცხოვროთ, ოღონდ ჩვენ არ შეგვეხონ. ხალხს კიდევ ბრტყელ-ბრტყელი ფრაზეებით ვაბრუებთ...

**ტიციანი** – აბა, რა ვქნათ, აჯანყება მოვანყოთ?

**პაოლო** – ჰო, რა გინდა ბოლოს და ბოლოს, გვითხარი.

**მინიშვილი** – არაფერი არ მინდა, იმის გარდა, რომ ძმობასთან ერთად ერთმანეთის ნდობაც გვექონდეს. აქ მაინც ვილაპარაკოთ გულწრფელად, არ ვითვალთმაქცოთ. ის ვთქვათ, რა მოგვწონს სინამდვილეში და რა — არა. უცხოეთს რომ ლანძღავენ ყოველ კუთხეში, ჩვენ რა, არ ვყოფილვართ საზღვარგარეთ? არ ვიცით, სად ჯობია – პარიზში თუ მოსკოვში? ნუ ვიცხოვრებთ მაინცდამაინც „პრადვის“ სტატიების მიხედვით. ესეც საქმეა იმ უზარმაზარ საკონცენტრაციო ბანაკში, რადაც ეს ქვეყანა გადააქციეს.

**შანშიაშვილი** – ან გაჩუმდი, ნიკოლო, ან ნადი ჩემი სახლიდან. ვერ ხვდები, რა მდგომარეობაში გვაგდებ? გინდა, ყველა დაგვიჭირონ?

**მინიშვილი** – ჰოდა, თუ გსურს საკუთარი თავი იხსნა, ნადი, დამასმინე და გადარჩები.

**ტიციანი** – (მინიშვილს) დაამთავრე სისულელების ლაპარაკი. ვინ უნდა დაგასმინოს?

**შანშიაშვილი** – პროვოკატორი ხარ? რას გვერჩი?

**მინიშვილი** – თქვენ რას უნდა გვერჩოდეთ?

**ტიციანი** – თუ არ გვერჩი, მაშინ გაჩუმდი. (დამარცვლით) გაჩუმდი, ნიკოლო.

**მინიშვილი** უცბად გაჩუმდება და სკამზე მიესვენება. მიძიმე სუნთქავს.

სცენა 8

სცენა 7-ის გაგრძელება. სცენის ეს მხარე ისევ ჩაბნელებულია და ნათდება მეორე მხარე. იქ ისევ მინიშვილი, ბერია და გამომძიებელი არიან.

**ბერია** – აღარ დაამთავრე კითხვა?

**მინიშვილი** – ახლავე (ბოლო ფურცელს აკვირდება).

**ბერია** – რა იყო, ხელმოწერას ეძებ? ვერ იპოვი. (დუმილი) აბა, მიბასუხე: სიმართლეა, მანდ რაც წერია?

**მინიშვილი** – (ჩუმად) ჰო.

**გამომძიებელი** – ხმამაღლა ილაპარაკე.

**მინიშვილი** – (უფრო ხმამაღლა) სიმართლეა, მერე რა? ეს უბრალოდ საუბარი იყო. აჯანყების ან საპროტესტო გამოსვლებისკენ ხომ არ მოვუნოდებდი ვინმეს. რა, ლაპარაკიც დანაშაულია?

**ბერია** – ანტისაბჭოთა ლაპარაკი კი არა, ფიქრიც დანაშაულია და ამას კარგად ჩაგიჭედავთ თავში, მინიშვილო. სამშობლოს ღალატი სწორედ ასეთი კონტრრევოლუციური ლაქლაქით იწყება.

**გამომძიებელი** – შენ მარტო ლაპარაკს არ იმყოფინებდი. საიდუმლო მავნებლურ ორგანიზაციასთანაც გექნება კავშირი და ამამიც მალე გამოგტყავთ.

**მინიშვილი** – (ბერიას) რახან შეიტყვეთ, რომ სუფრაზე აუგად მოგისხენიეთ, ახლა გინდათ, შური იძიოთ და ისეთი რამე დამაბრალოთ, რაც არ გამიკეთებია...

**გამომძიებელი** – უჰ, შენი... (უწყაამს მინიშვილს. ის სკამთან ერთად გადაყრავდება. გამომძიებელი უხეშად წამოაყენებს და ისევ მაგიდასთან დასვაძს) ეს ჯერ დასაწყისია...

**ბერია** – ესე იგი, მე გაიძვერა და სხვისი წიგნების მიმთვისებელი ვარ? ბანდიტების ატამანი? **(მინიშვილი დუმს)** იცი, რატომ გაბედე ამის თქმა? გეგონა, ვერ გავიგებდი, მეგობრები არ გაგცემდნენ **(ილიმება)** არადა, მეორე დღესვე მომიტანეს ამბავი. შანშიაშვილს აბრალებ და აღარ ელაპარაკები თურმე. არადა, სანამ ის გვეტყოდა, სხვებისგანაც ვიცოდით, რას ყბედობდი იმ ქეიფში. **(თვალეში ჩახედავს)** ცხვირში ამოგაღენ იმ დღეს, მინიშვილო, ციხეში ამოგალპობ.

**მინიშვილი** – ვინ მოგიტანათ ამბავი?

**ბერია** – შენ გვონია, გეტყვი? არა, იფიქრე, განვალდი, ყველა იქ მყოფზე მიიტანე ეჭვი — შენს გადაბმულ ძმაკაცებზე. ისე ჩახვალ საფლავში, სიმართლეს ვერ ეღირსები. **(ირონიულად)** ჰოდა, თუ ის ქვეყანა არსებობს, იქ კი გაიგებ, რაც მოხდა. არადა, სამუდამოდ ასეთ უვიცად დარჩები, **(გამომძიებელს)** მიდი ერთი, ასწავლე, როგორ უნდა ილაპარაკოს...

**გამომძიებელი მთელი ძალით ურტყამს მინიშვილს და ის ისევ იატაკზე ეცემა.**

სცენა 9

**ტიციან ტაბიძის სახლი. ოთახი უბრალოდაა მოწყობილი. დგას ტახტი, მაგიდა, სკამები და წიგნების კარადა. ტიციანი მაგიდასთან ზის. წინ წითელი ღვინის გახსნილი ბოთლი და ღვინით სავსე ჭიქა უდგას. მაგიდაზე ფურცლები და კალმებია მიმოყრილი, დევს სამელნე. შემოდის მისი მეუღლე — ნინო მაცაშვილი.**

**ტიციანი** – ნიტამ დაიძინა?

**ნინო** – კი. რას შვრები, კიდეც იმ წერილზე ფიქრობ?

**ტიციანი** – **(უხალისოდ)** ჰო. **(დუმილი)** იცი, სანამ აქ არ იყავი, თავს დავაძაღე, ძალიან დავაძაღე... რალაც წერილისმაგვარი შევთხზე... **(ქალაღებებს ხელში იღებს)** ამას რომ ვწერდი, საკუთარი თავი მეზიზღებოდა, მძულდა, მეგონა, მეორედ ვკლავდი პაოლოს, თითქოს მე გამოვკარი იმ თოფის სასხლეტს თითი, თავის ქალა რომ ახადა. არ შემეძლია, არ შემეძლია **(გამწარებით ხევის ნაწერ ქალაღებებს და მაგიდაზე ყრის. მერე ღრმად ამოისუნთქავს)** ბერია ამას „ბურჟუაზიულ მორალს“ უწოდებებს, მე კიდეც, თითქოს სულ ამომავლიჯვსო, ისე ვარ.

**ნინო** – **(მოდის მასთან და თავზე გადაუსვამს ხელს)** ძალიან დაიტანჯე.

**ტიციანი** – მეგონა, ამ ქვეყანაში რალაცას მაინც წარმოვადგენდი, ხალხი მიცნობდა, პატივს მცემდა. ვფიქრობდი, ასე იოლად ვერ მომკიდებდნენ ხელს, ჩემი სახელი დამიფარავდა. არადა, სინამდვილეში თურმე არარაობა ვარ. როცა უნდათ, მაშინ გამსრესენ ჭიაყელასავით.

**ნინო** – რომც დაგიჭირონ, ყველაფერი ამით არ დამთავრდება. უდანაშაულო ხარ და არა მგონია, რაიმე დაგიმტკიცონ. ბოლოს და ბოლოს, შინსახკომი თუ არ მოგემეგება, სასამართლო ხომ ჩატარდება და იქ მაინც გაიმართლებ თავს.

**ტიციანი** – კარგი, რა, ნინო. თუ ამათგან ოდნავ განსხვავებული აზრი გაქვს, ესე იგი, უკვე დამნაშავე ხარ. ან ამ ქვეყანაში ვინ გინახავს გამართლებული, მე რომ გამამართლონ? თუ დამიჭირეს, ველარაფერი მიხსნის.

**ნინო** – ვინმე არ გყავს, ვინც დაგვეხმარება, გვიშვე-

ლის? მაინცდამაინც ბერიაა უმალლესი ხელისუფალი ამ ქვეყანაში?

**ტიციანი** – საქართველოში ეგ არის. რა, არ იცი? ან ვინ უნდა დამეხმაროს? მე პოეტებთან ვმეგობრობ და არა ჩეკისტებთან. ისინი კიდეც ჩემზე მეტად არიან შეშინებული. ან რა შეუძლიათ? თავი თუ გადაირჩინეს, ეგეც დიდი საქმეა.

**ნინო** – რაც შენ ადამიანებს დახმარებხარ, ნუთუ ახლა, როცა ყველაზე მეტად გიჭირს, არავინ მოგეშველება?

**ტიციანი** – ვინ? ვინ, ნინო? ჯერ ერთი, სულ ჩემზე გაჭირვებულებს ვუმართავდი ხელს. მეორეც, ვერ ხედავ, რა დღეშია ხალხი? ყველას საკუთარ ბედზე უსკდება გული. სხვის დასახმარებლად თავს არავინ შეინუხებს.

**ნინო** – სოფელში რომ წავიდეთ, მოვშორდეთ აქაურობას?

**ტიციანი** – სად დავემალებით? მინიდან ამოგვიღებენ, თუ მოინდომეს.

**ნინო** – სტალინს რომ მისწერო?

**ტიციანი** – და რა შევიჩილო: „ბერია დაჭერას მიპირებს და მიშველე-მეთქი“?

**ნინო** – დანერე, რომ მართალი ხარ საბჭოთა ხელისუფლებასთან.

**ტიციანი** – და იმანაც ბერიასავით რომ მიპასუხოს, დამე ხალხის მტერი იაშვილი და მერე დავიჯერებ შენს ერთგულებასო, რა ვქნა? **(დუმილი)** ვერ ხვდები, ვისგან მოდის ეს საშინელი დაპატიმრებები და ხალხის მტრების გამუდმებული ძებნა?

**ნინო** – უნდა არსებობდეს რაიმე გამოსავალი. ასე უმოქმედოდ ხომ არ ვიქნებით? წყალნაღებულები ხავსს ეჭიდებოდნო.

**ტიციანი** – და ეს ხავსიც აგერაა: კალამი და ფურცლები. დავწერ ერთ წერილს და ეგებ, გადავრჩე. რა იოლია – გავლანძღავ საუკეთესო მეგობარს, რომელიც ისედაც მკვდარი, და ველარაფერს დაუშავებ, მოვინანიებ, რომ ფორმალისტურ ლექსებს ვწერდი, რომლებიც ისედაც ათასჯერ გაკრიტიკებულია, დავასმენ რომელიმე ნაცნობს, რომელიც ისედაც არ მეხატება გულზე და იქნებ თავი დამანებონ.

**ნინო** – სულ მაინც არ მოგეშველიან.

**ტიციანი** – **(ღვინოს მოსვამს)** ჰო, შეიძლება კიდეც ვინმეს დასმენა მომთხოვონ, მერე – კიდეც ვილაცის და ასე გაგრძელდება უსასრულოდ. დაპატიმრებებს ხომ ბოლო არ უჩანს. თავიდან გამიჭირდება, თორემ მერე შევეჩვიევი. რა, ცოტაა საქართველოში დამსმენი? მათი სახელი ლეგიონია. მეც ერთი მათგანი გავხვდები. პოეტი-„სტუკაჩი“. **(კარისკენ გაიხედავს)** როგორ შემძულდა ეს კარი. ადრე მიყვარდა. სულ მეგობრები მოდიოდნენ. ახლა კი, რამდენი ხანია, არავინ მოსულა სტუმრად, განწირულის ბინა ჰგონიათ. **(დუმილი)** ცოტა ხანი და შეიძლება იმათ შემოალონ, უხეშად და უცერემონიოდ... **(ღვინოს ისხამს)** გინდა დაგისხა?

**ნინო** – არა.

**ტიციანი** – **(ჭიქიდან მოსვამს და ფეხზე წამოდგება)** დღეს, ქუჩაში რომ მივდიოდი, ისეთი მშვენიერი ამინდი იყო... ოქტომბრის დასაწყისი, ოქროსფერი ფოთლები, კაშკაშა მზე. შენ ხომ იცი, ასეთ დღეებში მიყვარდა ლექსების წერა და კარგადაც გამომდიოდა.

**ნინო** – რატომ გიყვარდა? გიყვარს.

**ტიციანი** – ეჰ, ვინღა იცის, რისი სიყვარული შემიძლია. აი, შენი და ნიტას დაცვის უნარიც არ აღმომაჩნდა. არადა, მთელი ცხოვრება ვაჟკაცად მომქონდა თავი. ახლა კი ამ არარაობების წინაშე ვარ ქედმოხრილი. იცი, დღეს ბერია როგორ აგდებულად მელაპარაკა? ერთი სული მქონდა, სახეში ჩამეფარებინა, მაგრამ ვერ გავბედე, ვერა...

**ნინო** – და რას მიადნევი მაგით? უზარმაზარი ძალაა შენს წინააღმდეგ, ტიციან. ამათ შენ კი არა, მთელი ქვეყნიერება ვერაფერს უშვება.

**ტიციანი** – ზოგჯერ მგონია, მთელი სამყარო გადაირია. მტრების ძიებით, მავნებლების გამოვლენით, დასმენებით, დაჭრებით, ძრწოლით, სიკვდილით აივსო ყველაფერი. წინ კი რაა? მხოლოდ ბნელეთი და უსაშველობა. ნუთუ სამუდამოდ ასე იქნება? ესაა კაცობრიობის ისტორიის საბოლოო სიტყვა? განვითარების უმაღლესი წერტილია თუ სამყაროს დასასრული? ასე მგონია, ცოცხალიც აღარ ვარ. თითქოს სხვა არსებობს ჩემ მაგივრად, ქუჩაში დადის, ვილაცხვბ ხვდება, შენ გელაპარაკება, ცდილობს, რალაცაში გაერკვეს და მე, ტიციან ტაბიძე, ამას გარედან ვუყურებ. არადა, როგორ მენატრება, ჩვეულებრივი, ადამიანური ცხოვრება! **(გაიღიმებს)** გახსოვს, თამუნია წერეთელზე რომ მოგწერე, ულამაზესი გოგონა ვნახე-თქო კაფეში და შენ ბორჯომიდან ჩამოქანდი, თან მის სანახავად და თანაც რომ ეჭვიანობდი? **(ხელს გადახვევს)** კარგი დრო იყო. რა უდარდელეები ვიყავით. არადა, მაშინაც ხომ აპატიმრებდნენ უდანაშაულოებს, ციხეებში გზავნიდნენ, ხვრეტდნენ? მაგრამ ეს არ გვეხებოდა და ამიტომ დიდად არც გვენალგებოდა. ჯალათებმა კი ისარგებლეს ჩვენი უდარდელობით, იარეს, იარეს და ჩვენც მოგვადგნენ. ახლა ისეთ დღეში ვარ, ათი თამუნია წერეთელი რომ შემხვდეს, ველარაფერს დავწერ. **(ზიზღით)** მაინც მაიძულეს იმ პანეგირიკის შეთხზვა სტალინზე.

**ნინო** – ეგ ერთი ლექსია. სხვები გაცილებით მეტს წერენ.

**ტიციანი** – რისთვისაა შექმნილი მთელი ეს ლიტერატურა, კარგი და ჭკუის სასწავლი მაგალითებით სავსე წიგნები **(წიგნების კარადაზე მიუთითებს)**, თუკი ისინი გადამწყვეტ ნამს ვერ გეხმარებიან? ვერაფერს ვერ მეხმარება, ვერც შენ...

**ნინო** – **(გაღიზიანებით)** ჩემგან რა გინდა? მე რა შემიძლია?

**ტიციანი** – უკვე ათი საათია. მირჩიე რამე. ეს დიღემა მარტო ჩემი გადასაწყვეტი ხომ არაა. **(მაგიდიდან დახეულ ქალაღებს იღებს. ნინოს შეხედავს)** რას იტყვი? ჯერ კიდევ შემიძლია იმის გაკეთება, რასაც მთხოვენ.

**ნინო** – მერე, თუ შეგიძლია, მიდი და გააკეთე. დანერე და მიაშავე, თუ ესაა ერთადერთი საშუალება...

**ტიციანი** – **(ანწყვეტინებს)** და ასე უსინდისოდ გავლანძლო პაოლო? ჩვენი პაოლო?

**ნინო** – პაოლო მეც ძალიან მიყვარდა, შენ იცი... მაგრამ ის ხომ ისედაც მკვდარია, თვითონ არ თქვი? ველარ გააცოცხლებ. იქნებ შენ მაინც გადაირჩინო თავი. თუ დაგიჭერენ, პაოლოს იმქვეყნად რამე მიემატება? დარწმუნებული ვარ, რომ შეეძლოს, თვითონაც იგივეს გეტყოდ.

**ტიციანი** – **(დაფიქრებით)** იქნებ, მართალიც ხარ. თან თუ ხალხის მტრობა დამაბრალეს, არც შენ გელის კარგი დღე. მაშინვე **УСИП**-ად გამოგაცხადებენ.

**ნინო** – ეგ რაღაა?

**ტიციანი** – Член семьи изменника родины. ახალი კანონია. იცი ეს რას ნიშნავს? მოლაღატის ცოლი გახდები და შეიძლება დაგაპატიმრონ, დადაგასახლონ კიდევ.

**ნინო** – მერე, ნიტას რა ეშველება? ვინ უპატრონებს, ობლად თუ დარჩა?

**ტიციანი** – არ ვიცი. ეგეც ძალიან მანუხებს. **(დუმბილი)** და მაინც კიდევ უნდა დავფიქრდე. მეტიცმეტად მიმიძიმს...

**ნინო** – სულ ორი საათილა დაგრჩა.

**ტიციანი** – ვიცი. **(დუმბილი)** თუ დამაპატიმრეს, შეიძლება ერთადერთი ხსნა ის იყოს, რომ ჩემზე ოფიციალურად თქვათ უარი.

**ნინო** – შენზე უარს როგორ ვიტყვით? ასეთი უზარობა თავში საიდან მოგივიდა?

**ტიციანი** – გეუბნები, შეიძლება თავის გადასარჩენად დაგჭირდეთ. დანერ, რომ აღარ გინდა ჩემი ცოლობა და ოფიციალურად გამეყრები. ახლა ბევრი აკეთებს ამას.

**ნინო** – არ მინდა ეგეთი გადარჩენა და ასეთი საშინელება აღარ შემომთავაზო. **(გაბრაზებული)** ამის გაკეთება შენ წერილზე უარესია... მგონი, ბერიასთან შეხვედრამ სულ აგიბნია თავგზა. მაგას ის ჯობია, დანერო, რასაც გთხოვენ და ჩააბარო იმას, ვინც ელოდება. მე კიდევ თავი დამანებე... **(ოთახიდან გადის)**

**ტიციანი აპირებს დაუძახოს, მაგრამ მერე გაჩერდება, ისევ დაჯდება, კალამს აიღებს და ფურცელზე წერს. ნახევარ გვერდს რომ გაავსებს, ფურცელს დაჭმუჭნის და მოისვრის, მერე ისევ კარგა ხანს წერს, თუმცა საბოლოოდ ამ ფურცელსაც გადაავდებს, მესამედ დანეროდ ფურცელსაც მალევე მოისვრის და თავს ხელებში ჩარგავს.**

სცენა 10

**ტიციანი თავჩაქინდრული ზის მაგიდასთან, თვლებს. შემოდის პაოლო იაშვილი და მის პირდაპირ, მაგიდასთან ჯდება. ბოთლს იღებს და დარჩენილ ღვინოს ჭიქაში დაასხამს, თუმცა არ სვამს. შემდეგ ჩაახველებს. ტიციანი, თავს აწევს.**

**ტიციანი** – ნინო, შენ ხარ?

**პაოლო** – არა, ნინო არ ვარ.

**ტიციანი** – **(წამოდგება. გაოცებული უყურებს)** პაოლო, შენ?

**პაოლო** – მგონი, კი.

**ტიციანი** – **(გაოგნებულია)** შენ... შენ ხომ მოკვდი.

**პაოლო** – ეგეც სიმართლეა.

**ტიციანი** – აბა... აბა აქ როგორ გაჩნდი? **(პაოლო მხრებს აიჩეჩავს. ტიციანი მისკენ ნაბიჯს გადადგამს)** შეიძლება შეგეხო?

**პაოლო** – არა. იქ დარჩი, სადაც ხარ.

**ტიციანი** – **(ადგილზე დგას)** საოცრებაა.

**პაოლო** – რა არის საოცრება?

**ტიციანი** – აი, ასე, ჩვეულებრივ რომ ვლაპარაკობთ.

**პაოლო** – რა გიკვირს, აქამდე ათასჯერ მაინც გვისაუბრია.

**ტიციანი** – კი, მაგრამ, ის სხვა იყო. **(წინ წასვლას ვერ ბედავს და ჯდება)** რახან აქ ხარ, ესე იგი, ის ქვეყანა არსებობს?

**პაოლო** – რომელი ქვეყანა?

**ტიციანი** – საიქიო. აი, დანტე რომ აღწერდა – ჯოჯოხეთი, სალხინებელი, სამოთხე.

**პაოლო** – (გაიღიმებს) დანტე? ნუთუ გგონია, დედამი-  
ნაზე ვინმემ შეიძლება დანამდვილებით იცოდეს, როგორია  
ან საერთოდ არსებობს თუ არა საიქიო ცხოვრება?

**ტიციანი** – აბა, შენ როგორღა ხარ აქ?

**პაოლო** – მე აქ ვარ, ვიდრე შენ გჯერა ამის. იქნებ არც  
ვარ და მხოლოდ გეჩვენები? (ტიციანი ისევ წამოდგება და  
პაოლოსკენ წავა) არ მომეკარო, თორემ გავკრები.

**ტიციანი** – არა, ეს ნამდვილად არ მინდა. (ისევ  
ჩამოჯდება) იმდენი რამ მაქვს შენთვის მოსაყოლი. დღეს  
ბერიასთან ვიყავი...

**პაოლო** – ვიცი.

**ტიციანი** – ისიც იცი, რაზე ვილაპარაკეთ? (პაოლო თავს  
უქნევს) თუმცა შენ ხომ იქიდან ყველაფერს ხედავ.

**პაოლო** – საიდან?

**ტიციანი** – (თითს ზევით გაიშვერს) აი, იქიდან, სადაც  
ხარ.

**პაოლო** – (ღვინის ჭიქას იღებს, უყურებს, მაგრამ არ  
სვამს და ისევ დგამს) როგორ მინდა, ახლა ამის გასინჯვა.

**ტიციანი** – მერე, დალიე.

**პაოლო** – არ შემიძლია.

**ტიციანი** – პაოლო, შენ, თავი რომ მოიკალი, ეგ ხომ  
ცოდვია. ესე იგი, სამოთხეში ვერ მოხვდი? (პაოლო დუმს)  
მაპატიე, რა სისულელეს გეკითხები. (დუმილი. ერთმანეთს  
უყურებენ) არ უნდა მეთქვა, რაც იმ სხდომაზე ვთქვი  
შენზე... ძალიან ვნანობ. მეგონა, ეს საკმარისი იქნებოდა  
მათთვის, მაგრამ მაინც არ მეშვებიან.

**პაოლო** – მე შენ ვერ განგსჯი. მითუმეტეს, ახლა.

**ტიციანი** – იცი, რა თქვა მიხეილ ჯავახიშვილმა შენზე,  
მკვდარი რომ დაგინახა? „ვაჟუკაცი ყოფილა, ყველას გვა-  
ჯობაო“. მე კი შენი გვამისკენ გამოხედვაც ვერ შევძელი.

**პაოლო** – საწყალი მიხეილი...

**ტიციანი** – ისე გააქრეს, მის ასავალ-დასავალსაც ვერ  
მივაგენით. ცოცხალია თუ მკვდარი, ოჯახმა ისიც ვერ გაა-  
რკვია. (დუმილი) უამრავი რალაც მინდოდა მეთქვა და  
ახლა, როცა აქ ხარ, აღარაფერი მახსენდება. სულ იმ მან-  
ქანაზე ვფიქრობ, რომ მომაკითხავს.

**პაოლო** – ჰო, ისინი ყოველთვის ღამით მოდიან. დღის  
სინათლის ეშინიათ, თითქოს ბნელში დაემალებიან ღვთის  
სამართალს.

**ტიციანი** – მაშასადამე, ღმერთი არსებობს?

**პაოლო** – ნუ მეკითხები იმას, რაზეც თვითონ უნდა  
უპასუხო.

**ტიციანი** – და რომ ვერ ვპასუხობ, რა ექნა? (დუმილი)  
დღეს ბერიას ვუთხარი, თითქოს ღმერთი არ მნამს.

**პაოლო** – შენ არ ხარ პირველი, ვინც იგი უარყო.

**ტიციანი** – კი მაგრამ, თუკი არსებობს, რატომ არ მეხ-  
მარება? არ უნდა თუ არ შეუძლია? თუ ღმერთია, ხომ  
ყოვლისშემძლე უნდა იყოს? მართლა სტალინი ხომ არაა  
ღმერთი?

**პაოლო** – (ირონიულად) სტალინი? Обезьяна била.

**ტიციანი** – ის მაინც გამაგებინე, ამ ჩვენს ტანჯვა-  
წვალებას თუ აქვს რამე აზრი ან დანიშნულება თუნდაც იქ,  
ზეცაში. (თითს მაღლა იშვერს) რამით მანუგემე!

**პაოლო** – (დუმილის შემდეგ გამოთქმით ამბობს) „მე არ  
ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს, ჩემი სიცოცხლე ამ  
ლექსს თან ახლავს, ლექსს მე ვუნოდებ მოვარდნილ მე-  
წყერს, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს“.

**ტიციანი** – აღარც კი მგონია, ეს ლექსი თუ მე დავწერე.  
თითქოს მთელი ცხოვრება გავიდა მას შემდეგ.

**პაოლო** – (დაღონებული) ჩემთვის ეს ასეცაა.

**ტიციანი** – და მგონი, ჩემთვისაც. ისეთი შეგრძნება  
მაქვს, რომ სული მთლიანად დამეცალა. აღარაფერი  
დამრჩა შიშის და ამ უსაშველო მოლოდინის გარდა.  
ღამეები არ მძინავს, მანქანა რომ ჩერდება ჩემს სახლთან,  
გული მიჩერდება, ყოველი მომსვლელის ნაბიჯს ვუსმენ,  
ჩემს კართან არ შეწყდეს. შენც ასე იყავი, ხომ? (პაოლო  
თავს უქნევს) ჩემზე გამბედავი გამოდექი... ახლა კი, როცა  
პირველად მომეცა შანსი, ეს კომმარი შევწყვიტო, ვერ-  
აფერს ვაკეთებ, ვერაფერს. (მაგიდიდან ფურცლებს იღებს  
და იატაკზე ყრის. დუმილი) რისთვის მოხვედი?

**პაოლო** – უბრალოდ, მომენატრე. ჩვენ ხომ განუყრელი  
მეგობრები ვართ, სიამის ტყუპები.

**ტიციანი** – იქნებ რამე მირჩიო?

**პაოლო** – რა?

**ტიციანი** – როგორ მოვიქცე? დავწერო, რაც იმათ უნ-  
დათ?

**პაოლო** – ვერ გეტყვი.

**ტიციანი** – არ გინდა, დამეხმარო?

**პაოლო** – მინდა, მაგრამ ვერ გეხმარები.

**ტიციანი** – ესე იგი, მეც შენ გამოგყვები? (შეშფოთებუ-  
ლი) განწირული ვარ? (პაოლო დუმს) რისთვის მოხვედი, თუ  
არცერთ კითხვაზე პასუხი არ გაქვს? არ ვიცი, როგორ  
მოვიქცე. (ფეხზე წამოდგება და ოთახში სიარულს იწყებს)  
დავწერო წერილი თუ არ დავწერო? დავასმინო ვინმე თუ  
არ დავასმინო? თავი მოვიკლა თუ არა? წავიდე ციხეში თუ  
არ წავიდე? ვალიარო გამოგონილი დანაშაული თუ არ  
ვლიარო? გავწირო ცოლ-შვილი? მუხლებში ჩავუვარდე  
ბერიას თუ ხელი გავარტყა? (ხმას აუნწევს) ის მაინც  
გადამანყვეტინა, რომ ამ წერილზე საბოლოოდ ვთქვა  
უარი, იქნებ ერთი საათით მაინც დავგშვიდდე, სანამ  
მოვლენ. თან ისიც მაგიჟებს, რომ ასეთი შესაძლებლობა  
მაქვს და არ ვიყენებ. ვაითუ ამით საბედისწერო შეცდომას  
ვუშვებ? რალაც საშველი ხომ უნდა არსებობდეს? (პაოლო  
დგება და ოთახიდან გადის. ტიციანი ამას ვერ ამჩნევს) ისიც  
მაფიქრებს, გადარჩება თუ არა საქართველო მას შემდეგ,  
რაც ახლა ხდება? ქვეყანა ხომ მხოლოდ დასახლებული  
პუნქტები, ქარხნები და ელექტროსადგურები არაა. ჩვენი  
სამშობლო აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც იყო,  
ისეთი, როგორიც გვიყვარდა. ადამიანები იმის ლაპარაკს  
შეეჩვივნენ, რისიც არ სჯერათ, იმის კეთებას, რაც არ  
უნდათ, იმათ განდიდებას, ვინც სძულთ. უსაშველო შიშმა  
გადააგვარა ხალხი. ჩახედე ადამიანს თვალებში – მას  
მხოლოდ თავის გადარჩენა სურს, ბანალური არსებობა,  
სუნთქვა და ჭამა, მეტი არაფერი. ვითომ სიცოცხლის  
წყურვილიც ბოროტებაა, რადგან საკუთარი თავის  
გადასარჩენად, მზად ვართ, სხვა გავწიროთ? ჰა, პაოლო,  
რას იტყვი? გამოდის, რომ სიცოცხლეა ბოროტება და  
სიკვდილი კი – სიკეთე? სულ დავიბენი... (შეამჩნევს, რომ  
პაოლო გამქრალა) პაოლო... პაოლო... (ისმის მანქანის სიგ-  
ნალის ხმა. ტიციანი უცბად გამოფხიზლდება. უძახის) ნინო,  
ნინო!

**შემოდის ნინო. ტიციანი მისკენ შებრუნდება.**

**ნინო** – რა იყო?

**ტიციანი** – ამ ოთახში ჩვენ გარდა არის ვინმე?



**ნინო** — (მიმოიხედავს) ვინ უნდა იყოს?

**ტიციანი** — (ჩუმად) ნინო, იცი, ეს-ესაა პაოლო იყო აქ. ველაპარაკე.

**ნინო** — (გაოცებული) პაოლო? ის ხომ ცოცხალი აღარაა.

**ტიციანი** — ვიცი, მაგრამ მაინც მოვიდა. კარგა ხანს ვისაუბრეთ. თუმცა, რაც ყველაზე მეტად მაინტერესებდა, მაინც ვერ მითხრა.

**ნინო** — (თავზე ხელს გადაუსვამს) მოგეჩვენა, ტიციან. დამიჯერე, ის აქ ვერანაირად ვერ მოვიდოდა.

**გარედან ისევ ისმის მანქანის სიგნალის ხმა.**

**ტიციანი** — (შეშფოთებული) ალბათ, მართლა მომეჩვენა.

(დუმით) რომელი საათია?

**ნინო** — თორმეტი ხდება.

**ტიციანი** — (შეკრთება) აბა, გაიხედე, მანქანა დგას ეზოში?

**ნინო** — (ფარდას გადაწევს) კი, აქ არის.

**ტიციანი** — (მშვიდად) დრო გასულა. სადაცაა, ამოვლენ.

აწი ველარაფერს შევცვლი. (ხელს გადახვევს და ტანტზე სხდებიან. დუმით) სულ ესაა ცხოვრება? ახლა ჩემი ორმოცდახუთი წლიდან რამდენიმე ეპიზოდისა მახსენდება — მდინარეზე ბანაობა ბავშვობაში, მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლა, ჩვენი ქორწილი და ნიტას დაბადება, „ცისფერყანწელების ორდენი“ და პაოლოსთან მეგობრობა, პასტერნაკის ჩამოსვლა, ჩემი ლექსები... (ჩაფიქრდება) არცთუ ცოტა ყოფილა... (დუმით) მაგრამ მაინც მგონია, ისე მივდივარ, რაღაც მნიშვნელოვანი დამრჩა გასაგები ამქვეყნად და გული მწყდება, რომ ველარასოდეს ვავიგებ.

**ნინო** — კარგი რა, ტიციან, ნუ მემშვიდობები სამუდამოდ. ძალიან მაშინებ.

**ტიციანი** — ასე მგონია, ეს ჩვენი უკანასკნელი დღეა ერთად. ნამდვილად ვერ გავატარებთ ისე, როგორც მინდოდა. რა ვქნა, ნინო, ვერ შევძელი. ვერ გავცვალე პაოლო, თუნდაც მკვდარი, საკუთარ თავში და ღირსებასაც ვერაფრით გადავაბიჯე. ვერ ვაიძულე თავი. არადა, შინსახკომში რომ წამება დამიწყონ, არ ვიცი, როგორ გავუძლებ...

**ნინო** — (შეშფოთებული) რისთვის სჭირდებათ შენი წამება?

**ტიციანი** — რისთვის და გამოგონილ აღიარებაზე რომ მომანერინონ ხელი. რასაც ახლა ნებით არ ვაკეთებ, მაშინ ძალით გამააკეთებინებენ.

**ნინო** — (სახეზე ხელს აიფარებს) რა საშინელებაა... და უსაშველობა.

**ტიციანი** — მაგ ხალხისგან ყველაფერია მოსალოდნელი. (დუმით) თუმცა, რა ვიცი, იქნებ წამებას მაინც ავცდე... მაპატიე, ვერც საკუთარ თავს ვუშველე და ვერც თქვენ აგაცილეთ უბედურება.

**ერთად სხედან და ელიან. მცირე ხანში კიბეზე მძიმე, თანაბარი ნაბიჯების ხმა ისმის. მერე კარზე აბრაზუნებენ. ისმის ქობულოვის ხმა: „გააღეთ კარი“. შემდეგ ისევ ბრაზუნია. ტიციანი და ნინო ცოტა ხანს ადგილიდან არ იძვრიან. უცბად მეზობელი ოთახიდან ისმის ხმა: „დედა, დედა“. ნინო იქით მიდის. ისევ ქობულოვის ხმა: „ახლავე გააღეთ კარი“. ტიციანი ფეხზე დგება და ნელი ნაბიჯით მიდის კარის გასაღებად.**

პოეტი ტიციან ტაბიძე 1937 წლის ოქტომბერში დააპატიმრეს ანტისაბჭოთა მოღვაწეობის ბრალდებით. ორთვიანი დაკითხვებისა და სასტიკი წამების შემდეგ ის სიკვდილით დასაჯეს. მისი დაღუპვის დეტალები უცნობია. ასევე დაკარგულია მისი საფლავიც.



დაიბადა 1937 წლის 6 ივნისს ზესტაფონის რაიონის სოფელ დილიკაურში. გაიზარდა და მე-3 საშუალო სკოლა დაამთავრა ჭიათურაში 1956 წელს.

ჭიათურიდან დაჰყვა თეატრისადმი სიყვარული, რომელიც ჭიათურის თეატრის დასის დამსახურება იყო (გრიგოლ ტყაბლაძე, მიხეილ ვაშაძე, თეატრის ხელმძღვანელი პავლე ფრანგიშვილი...).

1958 წელს ჩამოვიდა თბილისში და ჩააბარა მე-4 მუსიკალურ სასწავლებელში, ვოკალურ ფაკულტეტზე, დაამთავრა 1962 წელს (თამარ დავითაშვილის კლასი), ჰყავდა ცნობილი პედაგოგი პროფ. გიორგი გოგიჩაძე. მათ აზიარეს კლასიკურ საოპერო მუსიკას. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სახელმწიფო კაპელაში, გუნდის მომღერლად.

შემდეგ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, ხელმძღვანელი ანზორ კავსაძე, ქორეოგრაფი ჯანო ბაგრატიონი.

1968 წელს დაიწყო მოღვაწეობა ახალჩამოყალიბებულ ანსამბლ „რუსთავში“ — ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი. იმავდროულად მუშაობდა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო კათედრასთან არსებულ გუნდში.

1978 წლიდან უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის მიერ დაარსებულ ვაჟთა მგალობელთა გუნდში გალობდა 29 წლის განმავლობაში.

ყველაზე მეტად მის ცხოვრებაში გარდატეხა მოახდინა გალაკტიონის შემოქმედებამ. დიდი კრძალვით იგონებს იმ ფაქტს, რომ ცხოვრობდა კედლებში, სადაც უცხოვრია დიდ გალაკტიონს, ტაბიძის ქ. №9-ში.

პირველი პუბლიკაცია იყო გაზეთ „მადლში“, შემდეგ ჟურნალ „ცისკრის“ დამატება „ნობათში“, ჟურნალებში: „ცისკარი“, „მნათობი“, „რინა“, გაზეთებში: „ლიტერატურული საქართველო“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, „რესპუბლიკა“, „ქართული სიტყვა“.

ჰობი — ჭადრაკი, ფეხბურთი, კალათბურთი, ბილიარდი.

### იური კახნიაშვილი

\* \* \*

რად მესიზმრები შენ, ქართლის ველო, ლეთისმშობლის მადლით გადაპენტილო, დღეს თუ კვლავ ფეხზე დგას საქართველო, შენი წყალობით, მხარევე კეთილო.

რა არ უნახავს შენ ბებერ მიწას —

კოკისპირული წვიმა და თქემი, და რაც ეგ მიწა ცრემლებით გვირწყავს ათასი რჯულის მომხვედურთა ხელში.

ო, უფლისციხევე, შემდგარო ცერზე შენ შიშველ კალთებს ვეამბორები, იქ მათიანეს ფერმკრთალ ფურცლებზე ჩვენი წარსული დგება ზმორებით.

\* \* \*

სულს ვერ მივყიდი ეშმაკს,  
პური და ღვინო მთხოვეთ,  
კაი ხანია, ეს მკლავს,  
ლექსით ვერ ვჯობნი ფხოველთ.

\* \* \*

იორდანეს და ელპიტეს ულამაზესი უბანი,  
სურებიდან და ხევიდან არ ილეოდა სტუმარი,  
თამადად იჯდა ელპიტე, სუფრის ეშხი და გურმანი.  
გარშემო ტყე და მდინარე და რამდენიმე ჩანჩქერი,  
გუბაზოულის ხმაური, მთებზე ჭირხლი და ნაძვქერი.  
ასეთი მახსოვს ეს მხარე, კალმასხს იჭერდნენ ფაცერით.  
გზა დაკლანილი გველივით, გზა უნდო და აღმაცერი,  
ჩხაკოურასთან უფსკრული სიკვდილს თვალებში ჩასცქერი.  
ნაბელღავია ამ გზაზე გასაოცარი სოფელი,  
როცა წვიმს, როცა ნისლია ვერაფერს ხედავს „შოფერი“  
აქ იზრდებიან ვაჟყავსი უშიშარნი და ლომფერი.

\* \* \*

სუსხისა და ქარისაგან  
ვილაც უნდა ევნოს,  
გაზაფხული სწრაფად გადის  
ვერ გაუგებ გემოს.  
იმედია მოვესწრები  
აყვავებულ მდელოს,  
სიბერეში წიგნს გამოვცემ  
და გავიტან ლელოს,  
ჩემი თავი შემოევლოს  
ბედკრულ საქართველოს.

\* \* \*

მთვარე მიცურავს ღრუბლებში  
შეყვარებულთა ნუგეში,  
ის საიდუმლო ბარათი  
სათუთად მიდევს უბეში.  
ტარიელივით ავტირდი  
ვზივარ ცრემლების გუბეში,  
ვნანობ, რომ ვერ მოვახერხე  
მე შენთან შებმა უღელში.

\* \* \*

ღრუბელი მონმენდილ ცაზე  
კუს ნაბიჯებით მავალი,  
რას იტყვის აკაკის ქნარზე  
მიეთ-მოეთი მავანი.

შოთას და ვაჟას რა ვუყო  
ან ტატოს როგორ ვუმუხბოლო,  
შედეგრთა გვირგვინი არის  
„ცა ფიროუზ, ხმელეთ ზურმუხტო“.

ვისაც მამული არ უყვარს  
მისი სახელი კრულიყოს,  
მთელი ქვეყანა ღიღინებს  
სულმნათ აკაკის სულიყოს.

ნეტავი ვარდი ეკალში  
ჩემთვისაც ამოსულიყო.

\* \* \*

ნუთუ ისე გაიღევა აპრილი  
ერთ ლექსსაც არ გაიმეტებ ღმერთო,  
ვერ წამართმევს შენს თავს მხეცი, ვამპირი,  
შენით ვცოცხლობ ჩემო ერთადერთო.

\* \* \*

მზიანი დეკემბერია მშრალი, უთოვლო, უქარო,  
ბაგე გახსენი ღიმილით შუბლშექმუნული ნუ ხარო,  
ხმელი ფიჩხით და ნაფოტით ავაგიზგიზებ ბუხარო  
წლები გარბის და ვებრდები, განვიცდი, ვდარდობ, ვწუხვარო,  
დრო ყველას მოზომილი გვაქვს, მხოლოდ ღმერთია უხანო.

**ჩვენი ფოსტა**

ბატონო რედაქტორო,  
„ჩვენი მწერლობის“ მკითხველს მერი ტიტინიძის არაერთი შესანიშნავი თარგმანი ახსოვს და როცა მე-16-ე ნომერში მარიანო ხოსე დე ლარას, ესპანელი რომანტიკოსი მწერლის ესეი „ლიტერატურა“ დაიბეჭდა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მთარგმნელი უპირველესად ისეთ მასალებს გვანვდის, რომელიც ესთეტიკური სიამოვნების მინიჭებასთან ერთად, მკითხველის გემოვნებასაც ხვენს და უმთავრეს ფასეულობებზეც მოუთხრობს.

თხზულება ისე ეხმიანება ქართულ სინამდვილეს, გაფიქრებინებს, ქართული ლიტერატურის ისტორიასა და თავისებურებებს, მის დღევანდლობას, მომავალს მიმოიხილავენ და შეცდომით ესპანელ მოაზროვნეს მიაწერენო. როცა ხოსე დე ლარა ლიტერატურას მის მთავარ დანიშნულებას შეახსენებს, თითქოს ილია მართლის შეხედულებებს ეხმიანება — არც მისთვისაა ლიტერატურა ის, რაც „მარტო ფორმაზე ზრუნავს და არა იდეაზე“.

როგორც ჩანს, XIX საუკუნის ამ ორი მოაზროვნის შეხედულების გახმიანება ნებისმიერი ერისა და ეპოქის პირობებშია გამართლებული. თავისთავადობის შენარჩუნების აუცილებლობის შესხენება განსაკუთრებით დღეს იძენს სასიცოცხლო მნიშვნელობას, როცა ასე მძაფრად განიცდება ბრმა მიმბაძველობა, უსულგულო ტრაფარეტი თუ სხვა მანკიერი მიდრეკილებანი...

„ჩვენთვის ლიტერატურა არის პირმშო გამოცდილებისა და ისტორიისა და ამდენად — მომავლის შუქურაც; ის სწავლობს, ანალიზებს, ფილოსოფოსობს, უღრმავდება, ფიქრობს ყველაფერზე და ლაპარაკობს ყველაფერზე... ის ქადაგებს და ავრცელებს ცოდნას, ჭეშმარიტების გზას აჩვენებს მათ, ვისაც ამის გაგების სურვილი აქვს“...

ასეთი პასაჟი აქ მრავლადაა და მთელ ესეის ხომ არ გადმოვწერ, მისხარია, რომ ჩვენს მკითხველსაც აქვს საშუალება მისი გაცნობისა და გულდასმით შესწავლისა, როგორც ერთგვარი გზამკვლევის ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში.

მთარგმნელი საუკეთესო ნაშრომთა გვერდით ხოსე დე ლარას ამ ესეის რომ გვთავაზობს, გვაფიქრებინებს, ესპანელი მოაზროვნის ეს ექსპრესიული, დრამატული განცდებით დატვირთული სიტყვები მის საფიქრალსაც ემთხვევაო... მეც ამ საგულისხმო ნაწარმოებში ქალბატონი მერის მძაფრი გულისტკივილი ამოვიკითხე.

პატივისცემით,

**თაონა გოპიტიჟა**

ბათუმი



**მანანა ჩიტიშვილი**

**რა ძნელსაცქერი ყოფილა**

მე რად ჩამესმის ტირილად ჩუმი დუღუნის მდინარის, ძახველი მწიფის, თუ ფერდობზე სისხლი ჩანს ჩამომდინარი.

ნისლს რად იბურავს ცისკარი, უნინ სინათლის მფინარი, მუხა რად შემომწყრომია, რას მემდურება ჩინარი?!

სისხლო, შენც გამწყალეხიხარ, კიდევ თუ გნახო მძინარი, რა ძნელსაცქერი ყოფილა მტერი, შენს კართან მცინარი.

**შორს ვარ**

თუმც ბოლოს, მაინც კვდება იმედი, სისხლისფრად რჩება ხსოვნის ტილოზე, მე ამ აპრილშიც ვერ მოგივები და გაზაფხული ვერ მოგილოცე.

შორს ვარ და ნისლის მეხვევა რიდე, ამ მთებში ნისლებს ვინ მისცა ბინა... ნეტავ, სტამბულის ბაზარზე მყიდდნენ და ჩემი თავი შენ გაყიდინა.

**უცხო ფრინველი**

ფრთებით მომივერცხლა ცანი, ნეტავ, გაუფრინდა ვისა?! მიწიერად ვერა ვცანი, სხივად ვიგულისხმე მზისა.

ფრთხილად წაყერი მერანს ლაგამს, მუხლზე გადავიმტვრევე ისარს, ჩემს მახეში ნუ გააბამთ, გახდეს ანაწერა სხვისა.

**მომენატრება**

მომენატრება არაგვი — გულში გამყრელი ისრისა, ჩემი მეტრფე და სწორფერი, წინწკალს მზესთან რომ ისვრისა. მოყმე,

მგლის ძუძუნანოვი, მტრისთვის დამცემი რისხვისა, კაბანითელი პირიმზე, წვეთი ხვარამზეს სისხლისა, ბაბურაულის რაშვივით სერ-სერ ჩამოსვლა ნისლისა.

**ქარაღი**

გადიითბა ქართლის გორები, აქეთ უბისა, იქით ატოცი, მინდვრები — მთვართი ნაამბორები, მთები — ვარსკვლავის ბაგით ნაკოცნი.

ვაი, რომ ველარ მეამინდები, შორით ქედნები ფრენენ ისევე... მოჩანს ზვინები — პირამიდები, ქვეშ გაზაფხული რომ განისვენებს.

**ის მაცოდინა**

ვინ ნახა ამბის მომტანი, სულეთს ავ-კარგის გამგები, ბოგანოც ისე დამინდა, ვით სხვილოს ციხის ამგები.

ის მაცოდინა, ნეტავი, უფლის ნებით და განგებით, — ჩვენ გვეკარგება სამზუო, თუ ამ მზეს ჩვენ ვეკარგებით.

**ჩემო დედილო**

სადა ხარ, ჩემო ტკბილო დედილო, ქართლის მაღალი მთები გფარავენ... ასე მგონია, მოვლენ ლეკები და სულეთისკენ მომიპარავენ.

მანანა ჩიტიშვილის პოეტური კამერტონი ყველაზე ხშირად ხალხური ხმებიდან არჩევს ბგერებს, თუმცა მისთვის არც ლიტერატურული რემინისცენციებია უცხო. ის კი არა, ზოგჯერ საკუთარ ნაწარმოებებსაც იყენებს ალუზიურ ელემენტებად. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ვიტყვი, რომ ეს „სატექსტოპორისო“ ციტირების ცნობილი ხერხია. უბრალოდ, განწყობილებას მეხსიერებიდან ამოაქვს ის ჰანგები, ფრაზები თუ რიტმები, რომლებიც ყველაზე უფრო ესაჭიროება შინაგანი ჰარმონიის რეალიზებას, გარეთ გამოტანას, გაფორმებას, გასაგნებას. რასაც ირჩევს, თამამად ირჩევს. საგანი ეთავისება და ითავისებს, ეთვისება და ითვისებს. ლექსებში თუ გაილეკებს, მაგალითად, ვაჟა-ფშაველას მოტივი, ხალხური „ყივჩაღის“ ალუზია, თანამედროვე პოეტის ცნობილი ფრაზა, მეტაფორა ქართული ჰაგიოგრაფიიდან ან სხვა მსგავსი რამ, ეს არ ამძიმებს ლექსის კონსტრუქციას, მით უმეტეს, არ შლის, არ ანგრევს, პირიქით, ავსებს, ამთლიანებს და, რაც მთავარია, „ნახესობის“ განცდი-თა და აქედან გამომდინარე იჭვენულობით არ ტვირთავს მკითხველის შთაბეჭდილებას.

პოეტური გარდასახვისა და ადაპტაციის არაჩვეულებრივი უნარის წყალობით მანანა ჩიტიშვილი ახერხებს ისეთი ჰარმონიის შექმნას, სადაც ყველა დეტალი ერთიანობისა და ურთიერთგანსაზღვრულობის წესებს ემორჩილება. ამიტომ მისი ლექსი არის ისეთი მთლიანი და მრავალგანზომილებიანი, როგორც, მაგალითად, ეს მეტაფორა: „მოჩანს ზვინები — პირამიდები, ქვეშ გაზაფხული რომ განისვენებს“.

ვატყობ, დედილო, ჩემთვის შებინდა  
და თავთან შავი ლანდი რონინობს,  
მოდი,

მაგ დამდნარ, ბერი მკერდიდან  
იქნებ სიცოცხლე მომანოვინო.

\* \* \*

მე მეშინია,  
ულრან ტყეში დაკარგულივით,  
უცაბედად  
შენსკენ მომავალ  
ბილიკს არ დავადავ  
და ტირილით არ  
მოგიკაკუნო.

**ისევ მუხრანთან**

წყაროსთან ლამაზ ქაღვივით  
დაგომანებენ მტრედები,  
მუხრანთან სხვა არც არავინ,  
ისევ შენ გამახსენდები.

ვენდე მადლს ლაშრის ჯვრისასა,  
გავჭერ ცხენ-კაცი ბოლომდი,  
ყივჩაღს რა მოერეოდა,  
შენ რომ იქ არა მყოლოდი.

\* \* \*

ჩაისუნთქა  
გაზაფხული,  
ამოისუნთქა  
ლექსი.

**ასე რისთვის მენატრები**

ხევში ამქუხარდა ლოდი,  
ჩამომტვრა წვიმის რაზა,  
ნესტანს მაინც გავყოლოდი  
ქაჯეთს ანდა მულღაზანზარს.

ისევ მიმქრალ შუქში გხედავ,  
მზე გადივლის ერდო-ბანებს...  
ხომ ვერ ვითინათინე და  
ვაი, რომ ვერც ვიფატმანე.

ჟამმა წამილეკა გზები,  
ცაზე არც ვარსკვლავი ენთო,  
ასე რისთვის მენატრები,  
შორეულო ინდოეთო.

მოიმსხვრევა ულდის ხევი,  
გული სევდით ჩაირაზა -  
ნესტანს როგორ ვერ გავყევი  
ქაჯეთს ანდა მულღაზანზარს.

**ამ სოფლად**

თუმც სიყმანვილის ტინებზე  
თავი ათასჯერ მიგაღე,  
ვერ იქნა, წუთისოფელო,  
შენად ვერ გამომიგვანე.

არც არა ლხინი შემარგე,  
არც ტირილის დროს მიბანე,  
გული, ჯავრის კლდედ ნაქცევი,  
ცრემლებით ჩამომიბანე.

როცა რომ ჩემად გიგულე,  
სწორედ იმ ჟამად მიგანე,  
ქართლის ცას ნაერთგულევი  
ყმად გადამთიელს მიმგვარე.

თავს დამაქციე ერთპირად,  
ყრმობის კოშკები მიბანე,  
ამ სოფლად როგორ გავზომო  
იმ სოფლის სიგრძე-სიგანე.

**შეახილი ქსნის  
საარისტაოს საზღვართან**

რაც არ უნდა  
დაანერო „როსსია“,  
ჩამომექცე  
რისხვად ანდა ლიქნებად,  
აქ ჯიშს ჩემსას  
ვერასოდეს მოსრიან,  
არც კერიის  
ცეცხლი გამომიქრება,  
ეს წყალ-ჭალა  
ჩემი სამშობლოსია  
და მარადჟამს  
საქართველო იქნება!

**მეგობარ ჰოეტავს**

ნუ გიკვირთ,  
თუკი ვერ გვიგრძნეს მავანთ,  
თუ მკერდზე  
ქარი გვეხლება ცივი,  
უფალმა უწყის,  
ვინ ვართ და რა ვართ,  
მისხლობით წონის  
ჩვენს ყველა ტკივილს.

სად ერეკება  
ფოთლის ქარავანს,  
ქარმა ვარდები  
საით მინამქრა?!

ჩვენ ბედნიერნი  
სულაც არა ვართ,  
ლექსი და ბედი  
ერთად ვინა თქვა.

თუმც დრო და უამი  
ბევრჯერ გვეფლიდა,  
ილბალთან მაინც  
არც როს ვიდავეთ,  
ერთი დრო მოვა,  
საფლავეებიდან  
ვარსკვლავებად რომ  
ამოგეზიდავენ.

\* \* \*

დასრულდა ნვიმის ცრუ მისტერია,  
ქარი ქუჩაში გაზეთს კითხულობს...  
მე სიძულვილი თუ მინერია,  
ნეტავ შემეძლოს, შენ შეგიძულო.

და თუმც სანუთრო ბინდისფერია,  
ვარდებმა მაინც უნდა იხაროს...  
შენ სიყვარული თუ გინერია,  
ნეტავ შეგეძლოს, მე შემეყვარო.

**აჟ, გოლგოთაზე**

სხვათ რომ დამტოვეს,  
ზეცის მაღლი მოდგა საშველად,  
ტოტებზე თაფლად დაიღვენთა  
შაშვის გალობა,  
ვინაც დამბადა,  
ვინაც შემქმნა, ვინაც მაშენა,  
ახლაც სიცოცხლე ხელმეორედ  
მან მიწყალობა.

ხვალ ეს მინდვრები  
ზურმუხტისფრად უნდა შებუროს,  
ვის შევეფარო  
ამ დარდით და სიმარტოვეთი...  
აჟ, გოლგოთაზე, სახიერო,  
ჯვარზე ვნებულო,  
მეც ჩემი ჯვრითა და  
ჩემი წილი ტანჯვით მოვედი.

ბნელეთის ძალნო,  
რა ამაოდ გაისარჯენით,  
ყველა კენჭიც კი  
აქ ნამდვილზე უფრო ნამდვილობს,  
დამდეგ, უფალო,  
სასწაული შენი მარჯვენი,  
სულის და ხორცის  
სალმობა რომ გავიადვილო.

ზეცა ასეთი ბრწყინვალეებით  
ვინ დაამშვენა?  
ტოტიდან ტოტზე გადაფრინდა  
შაშვის გალობა...  
ვინაც დამბადა,  
ვინაც შემქმნა, ვინაც მაშენა,  
ახლაც სიცოცხლე ხელმეორედ  
მან მიწყალობა.

\* \* \*

სად ძოვდა ბადრის მერანი,  
გუშინაც ვნახე, იქ ება,  
სურვილით მთვრალი მიჯნური  
არცვისგან იწუნ-იქება.

სადაც შენ დაიმარხები,  
ნეტავ, მეც მომცენ იქ ნება,  
შენთან შეხვედრა სულეთშიც  
ლხინის კარს მისვლა იქნება.

**ეს გაზაფხული**

ეს გაზაფხული ზამთრისპირს შეჰგავს,  
ჯერ არც ცას სხლავენ მერცხლის გუნდები,  
შენ ერთხელ უკვე ნახვედი ჩემგან  
და უკან ველარ დამიბრუნდები.

ელავდა მტკვარი, ვით სატევარი,  
ლურჯი სიცივე იწვა მინებთან  
და ჩემი მზერა, როგორც მწვეარი,  
დიდხანს კვალდაკვალ მიგაცილებდა.

ნუ გეგონება, წარსულს მივტირი,  
ის ოცნებები ქარმა დაფლითა..  
შენ ხომ ალუბლის თოთო კვირტივით  
გამომიტყუე ჩემი ზამთრიდან.

წვიმს და თანდათან უფრო მატულობს,  
მლაშე წვეთები თრთიან ბაგეზეც,  
გახსოვარ, მაგრამ აღარ მნატრულობ,  
მიყვარდი, მაგრამ აღარ დაგეძებ.

ეს გაზაფხული ზამთრისპირს შეჰგავს,  
ჯერ არც ცას სხლავენ მერცხლის გუნდები,  
შენ ერთხელ უკვე ნახვედი ჩემგან  
და უკან ნულარ დამიბრუნდები.

**რაც არ უნდა გეშუღარო**

ცა — ღვთისმშობლის ლურჯი კაბა,  
თოვლი — მაგ გულივით ცივი,  
ზეცას ლექსით ვინ მიმაბა,  
მზე იყო თუ მთვარის სხივი?!

ვინ მიქცია ღველვი ნავლად,  
წვიმის მასმენინა ნანა,  
ჩემსკენ გზა ვინ მოგასწავლა,  
ჩემს გულთან ვინ მოგიყვანა?!

დეკემბერი აღარ დარობს,  
ტყემ გაიძრო მწვანე ჩოხა,  
რაც არ უნდა გემუდარო,  
მაგ ტახტიდან არ ჩამოხვალ.

**ჩვენს შორის**

ჩვენს შორის დროის ჩადგეს ტიხარი,  
ხანჯლის ორივე პირი ალესეს,  
როგორც შემეძლო, ისე გითხარი,  
ისე გეფერე და გაილერსე.

ჩემი არც ლოცვა უნდა გებევროს  
და მუხლთა მოყრა არც როს იკმარო,  
რომ ხვალ უმეტეს სხვა მოგეფეროს,  
გულზე ხატივით სხვამ აგიფაროს.

შენ გქონდეს ვარდთა ყველა შლილობა,  
არც სოსანი და აღარც ია მე,  
ერთ სამარეს,  
ვით მინის ჭრილობას,  
მეც ამოგივსებ და დაგიამებ.

**შენთან მომსურდა სიკვდილი**

მარტო ვზი ცრემლით მდიდარი,  
ვინ დამიყუჩებს იარებს,  
რაც კი სტკიოდა სამყაროს,  
ყველა დარდს ჩავეზიარე.  
ქვეყნის საგლოვი ვიგლოვე,  
ყველა ჭირის კარს ვიარე,  
ცრემლს ერთნაირად ვუშრობდი  
ლურჯ ბილილებს და ხვიარებს.  
დრო მოდგა,

ფრთები ჩავშალე  
დაღლილმა, ტკივილმდვიარემ,  
ქარით ნაძენძი ნისლივით  
უჩუმრად ვიმგლოვიარე,  
შენთან მომსურდა სიკვდილი,  
სხვის კარზე მზედ მდგომიარეს.

**დაგიმასწოვრა**

მინდა გისმინო და მინდა გნახო,  
დილიდან ნათლის ძებნას ვუნდები,  
მე გავიარე სიკვდილთან ახლოს  
და ახლა უკვე უკან ვბრუნდები.

არ მოგატყუოს ზამთრის იერმა,  
ეს ენძელები თოვლქვეშ სახლობენ,  
გადამივიწყე შენ მყისიერად,  
მე სამუდამოდ დაგიმასწოვრე.

ახლა ის წლები არაფრად ფასობს  
და ყველა ცრემლი ლანვზე მიმაშრა,  
რა მშვენიერი ვიყავი, გახსოვს?!  
თუ ისე ნახველ, არც შეგინიშნავს.

მთვარის სხივები მთებზე მშვილდობენ  
და ენძელები თოვლქვეშ სახლობენ,  
შენ სამუდამოდ დამემშვიდობე,  
მე საუკუნოდ დაგიმასწოვრე.

**სხვადასხვა მხარეს**

*აბესალომ და ეთერი  
ღმერთმა შეჰყარა ერთფერი.  
ეთერიანი*

ველარც შორით გეფერები,  
უგზოდ დავალ კარით-კარად,  
თუმც ვიყავით ერთფერები,  
ღმერთმა ერთად არ შეგვყარა.

გულს რა ვუყო შენით მტკივანს,  
ბინდი ეფინება არეს,  
ერთნაირი გზებით მივალთ,  
მაგრამ სულ სხვადასხვა მხარეს.

**იმდენი ლექსი ამოიზარდა**

ცხოვრება ცეცხლის ენებით მლოკდა,  
როცა სულ ახლოს ვიდექ მიზანთან,  
ჩემში რამდენი იმედიც მოკვდა,  
იმდენი ლექსი ამოიზარდა.

ეს ყვავილები ვის შევუნახო?  
სამყაროს ჩემთვის ღრმა ძილით სძინავს,  
ყველა ჩამქრალმა სიხარულმა ხომ  
სტრიქონთა შორის დაილო ბინა.


არ მომქცევია ბედი თავაზით,  
მდევა მაცილის ავი ქადილი  
და სიყვარული, ასე ლამაზი,  
მხოლოდ ლექსებში ჩანდა ნამდვილი.

იღბალი მუდამ სხვისთვის რომ როკდა,  
ჩემთვის აუხსნელს ჰგავდა სიზმარს და  
ჩემში რამდენი სურვილიც მოკვდა,  
იმდენი ლექსი ამოიზარდა.



თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი ფრანგი ლინგვისტი კლოდ აჟეჟი (დაიბადა 1936 წ.) უპაველაციოდ აცხადებს: „კაცობრიობის ისტორიაში ერთ რომელიმე ენას არასოდეს ჰქონია გავრცელების იმხელა არეალი, რამხელაღც დღეს ინგლისურს აქვს“. მას მიაჩნია, რომ ეს ენობრივი ექსპანსია „საფრთხის შემცველია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისათვის“. მეტიც, ის გზას უხსნის ერთგვაროვან აზროვნებას, მიმართულს, უმეტესწილად დაბალ ლირებულებათაკენ. აჟეჟი შემფოთებულია, თუმცა ვითარებას უიმედოდ რომ არ აფასებს, მიშელ ფელტენ-პალასთან მისი საუბრიდანაც ჩანს, ჟურნალ „ექსპრესის“ ა.ნ. მარტის ნომერში რომ დაიბეჭდა.

კლოდ აჟეჟი



## ენის თავს მოხვევა ნიშნავს აზროვნების თავს მოხვევას

— რა განაპირობებს ენათმეცნიერის პროფესიის არჩევანს, როგორც ეს თქვენს შემთხვევაში მოხდა?

— ვერ გეტყვით. დავიბადე და გავიზარდე თუნისში — მრავალენოვან ქალაქში, მაგრამ არა მგონია, ამით აიხსნებოდეს ჩემი არჩევანი. ჩემი ძმები სრულიად სხვა გზას ადგენენ.

— ბავშვობაში რომელ ენებს სწავლობდით?

— ოჯახში ფრანგულად ვლაპარაკობდით, მაგრამ ჩემმა მშობლებმა განათლება არაბულადაც მიმალდებინეს. ეს მათ გონებაგახსნილობაზე მეტყველებს, რადგან მაშინ არაბული კოლონიურ ენად ითვლებოდა. ასევე დავუფიქრე ებრაულსა და იტალიურს, რომელზეც ჩემი მუსიკის მასწავლებლები ლაპარაკობდნენ.

— საბოლოოდ რამდენ ენას ფლობთ?

— თუ ჩამოვთვლით ენებს, რომელთა გრამატიკულ წყობას ვიცნობ, მსგავსად ჩემი კოლეგების უმრავლესობისა, რამდენიმე ასეულს დავასახელებდი. რაც შეეხება იმ ენებს, რომლებსაც, ასე ვთქვათ, ვფლობ, მათი რაოდენობა ერთი ათეულით შემოიფარგლება.

— ფრანგულ ენას ბევრი ძნელ ენათა შორის მოიხსენიებს და ამით მას სხვებზე მაღლა აყენებს, ეს მართლაც ასეა?

— სულაც არა. ჯერ ერთი, „უმაღლესი“ ენა არ არსებობს. ფრანგულის გაბატონება არ მომხდარა მის ენობრივ ღირსებათა უპირატესობის გამო ბრეტონულსა ან გასკონურთან შედარებით. უბრალოდ, ეს სამეფო კარის, შემდგომ კი რესპუბლიკის ენა იყო. სხვათა შორის, ეს ყოველთვის ასე ხდება: ენა მისი მდიდარი ლექსიკის ან რაღაც განსაკუთრებული გრამატიკის გამო კი არ წარმოჩინდება, არამედ იმიტომ, რომ მისი მატარებელი სახელმწიფო ძლიერია ეკონომიკურად ან სამხედრო თვალსაზრისით. აქვე დავძენ, რომ ფრანგული ნაკლებ ძნელი ენაა, ვიდრე, ვთქვათ, რუსული, არაბული, ქართული ან, განსაკუთრებით, ინგლისური.

— ინგლისური? კი მაგრამ, მას ხომ მთელი მსოფლიო იყენებს?

— ბევრზე ბევრი საუბრობს „საყველპურო“ ინგლისურზე, რაც სულ სხვა რამაა. მაგრამ თუ ვილაპარაკებთ ძირძველ ინგლისელთა ენაზე, ის თითქმის შეუღწევადია. განსაკუთრებით მისი ორთოგრაფიაა უკიდურესად რთული: წარმოიდგინეთ, სიტყვებში: through, rough, bough, four და tour, „ou“ ხუთივეში სხვადასხვანაირად წარმოითქმის. მეტიც, ამ ენაში ხშირად ისეთ უზუსტობებს ვაწყდებით, რომლებიც მიუღებელს ხდის მის პრეტენზიას უნივერსალობაზე.

— როგორ, უზუსტობებს?

— სწორედაც რომ ავიღოთ თუნდაც საჰაერო უსაფრთხოება. 1972 წ. 29 დეკემბერს ფლორიდაში თვითმფრინავი ჩამოვარდა. ამას წინ უძღოდა სადისპეტჩროდან განკარგულება: „Turn left, right now“, რაც ნიშნავს „ახლავე მარცხნივ შემოუხვიეთ“. მაგრამ „right now“ პილოტმა თარგმნა „ახლა მარჯვნივ“, რის შედეგადაც კატასტროფა მოხდა. ახლა დიპლომატიის სფეროს გადავხედოთ. გაეროს 1967 წლის ცნობილი 242-ე რეზოლუციის ინგლისური ვერსიით „withdrawal of Israel armed forces from territories occupied in the recent conflict“ არაბულ ქვეყნებს ეს რეზოლუცია ისე ესმით, რომ ისრავლმა მთელი ოკუპირებული ტერიტორიები უნდა დატოვოს. ამ დროს ისრაელი მიიჩნევს, რომ რეზოლუციაში ოკუპირებული ტერიტორიების მხოლოდ ნაწილი იგულისხმება.

— ეს საკმარისი მიზეზია იმისთვის, რომ ინგლისურს ომი გამოუცხადოთ?

— ინგლისურს სულაც არ ვუცხადებ ომს; მე გამოვიდევარ მათ წინააღმდეგ, ვისაც განუზრახავს ინგლისური უნივერსალურ ენად აქციოს, რამაც შეიძლება სხვა ენების დაკარგვა გამოიწვიოს. ასეთივე თავგამოდებით შევებრძოლებოდი იაპონურს, ჩინურს, ფრანგულსაც კი, თუ მათ მსგავსი ამბიციები გაუჩნდებოდათ. დღესდღეობით მოწმენი ვართ იმისა, რომ ინგლისური ავიწროებს სხვა ენებს; კაცობრიობის ისტორიაში არცერთ ენას არასოდეს მოუცავს გავრცელების ამხელა არეალი ხუთივე კონტინენტზე.

— რას უშლის ეს ხელს? კულტურები ხომ ყოველთვის ერთმანეთს ამდიდრებენ?

— კი მაგრამ, პრობლემა ისაა, რომ როდესაც აცხადებენ: „საჭიროა უცხო ენების სწავლა“, სწავლობენ მხოლოდ ერთს — ინგლისურს. ამაშია ის საფრთხე, რომელიც ემუქრება მთელ კაცობრიობას.

— ნუთუ ამ ზომამდე?

— მხოლოდ საქმეში ღრმად ჩაუხედავი ადამიანები ფიქრობენ, რომ ენა მხოლოდ ურთიერთობის საშუალებაა. არა, ენა ცხოვრების წესია, სამყაროს შეცნობა და მისდამი დამოკიდებულება, კულტურის თვითმყოფადობა. ჰინდის ენაზე, მაგალითად, ერთი და იგივე სიტყვა გამოიყენება „გუშინ“ და „ხვალეს“ აღსანიშნად. ჩვენთვის ეს გასაკვირია, მაგრამ ეს ხალხი განასხვავებს იმას, რაც არის „დღეს“, იმისგან, რაც „დღეს“ არ არის, ე.ი. „გუშინ“ და „ხვალე“, რომლებიც ერთ კატეგორიაში ხვდებიან. ყოველი გამქრალი ენა აუნაზღაურებელი დანაკლისია ისევე, როგორც ისტორიულ ძეგლთა თუ ხელოვნების ნიმუშის განადგურება.

— ევროკავშირის 27 ქვეყნისთვის უპრიანი არ იქნებოდა საურთიერთოდ ინგლისურის გამოყენება? თარგმანი ხომ ძალიან ძვირი გვიჯდება!

— ეს ყოველად მცდარი მოსაზრებაა. ევროპის სიმდიდრე სწორედ ისაა, რომ მის მრავალფეროვნებაშია. როგორც უმბერტო ეკო აღნიშნავს, „ევროპის ენა თარგმანია“, რამეთუ თარგმანი, რომელიც არც ისე ძვირი ჯდება, როგორც ჰგონიათ, წარმოაჩენს კულტურათა მრავალფეროვნებას, გვაზიარებს სხვათა კულტურებს.

— მაგრამ ერთი საერთო ენა ძალიან პრაქტიკულია თუნდაც მოგზაურობისას. და ეს სულაც არ იწვევს სხვების განდევნას.

— ნუ მოტყუვდებით! ისტორიას თვალს თუ გადავავლებთ, დავინახავთ, რომ გაბატონებულ ზესახელმწიფოთა ენები ხშირად განაპირობებენ მათი გავლენის სფეროში მყოფი ქვეყნების ენათა დაკარგვას. ბერძნულმა შთანთქა ფრიგიული, ლათინურმა მოაშთო იბერიული და გალიური. ჩვენს სინამდვილეში ყოველწლიურად 25 ენა გვეცლება ხეობიდან! კარგად გამოიგეთ: მე არ ვებრძვი ინგლისურს, მე ვიბრძვი მრავალფეროვნებისთვის. ამას მშვენივრად ადასტურებს ნათქვამი: „რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცია ხარ“.

— თქვენ უფრო შორს მიდიხართ, როცა ამტკიცებთ, რომ ერთ ენას „ერთგვაროვან აზროვნებად“ მივყავართ...

— ეს ძირითადი პოსტულატია. კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ენა აყალიბებს პიროვნების აზროვნებას. ცდება, ვისაც ჰგონია, რომ ფრანგული აზროვნება შეიძლება ინგლისურადაც განავითარო. ენის საშუალებით ყალიბდება აზროვნება. ცნობილი მათემატიკოსი ლორან ლაფორგი კარგად ხსნის ამ მოვლენას: „ფრანგული მათემატიკური სკოლა იმიტომ კი არ ინარჩუნებს თავის გავლენას, რომ მას ჯერ კიდევ შეუძლია ფრანგულად აქვეყნოს შრომები; ის ძლიერია იმიტომ, რომ ამ გზით აზროვნების თვითმყოფადობას ინარჩუნებს“.

— თქვენ აგრეთვე მიიჩნევთ, რომ ინგლისური ენა ერთგვარი ნეოლიბერალური იდეოლოგიის მატარებელია...

— დიახ, ეს განადგურებას უქადის ჩვენს კულტურებს, რამდენადაც სხეულური იდეოლოგია აშკარად დიდი სარგებლის მოტანაზეა ორიენტირებული.

— კარგად ვერ გაგიგეთ...

— კეთილი. გავისხენოთ დებატები საგანგებოდ კულტურის სფეროსთვის ნებადართულ გამონაკლისებზე. ამერიკელები დაბეჯითებით მოითხოვდნენ, რომ ნებისმიერი წიგნი ან ფილმი გათანაბრებულიყო სავაჭრო მიმოქცევაში არსებულ ნებისმიერ სხვა საქონელთან, რაკილა მიხვდნენ, რომ შეიარაღებულს, დიპლომატიურსა და კომერციულს გვერდით არსებობს კულტურული მეტოქეობაც. შეერთებული შტატები ყოველთვის მიიჩნევდა, რომ მათი ღირებულებანი უნივერსალურია და მათთვის ბრძოლა მეტ-ნაკლებად ღირსების საქმეა. აქედან გამომდინარე, აზროვნების დაშტამპვა საუკეთესო საშუალებაა ამერიკული პროდუქციის გასასაღებლად. წარმოდგინეთ, რომ მათი ექსპორტის უმნიშვნელოვანესი წილი კინოფილმებზე მოდის და ბევრად უსწრებს შეიარაღებას, აერონავიგაციასა და ინფორმატიკასაც კი! იმიტომ არ იშურებენ ძალისხმევას, აქციონ ინგლისური მსოფლიო ენად. თუმც კი ბოლო ათწლეულია შეინიშნება მათი გავლენის ერთგვარი მცირე შესუსტება.

— რა არის ამის მიზეზი?

— ჯერ ერთი, რიგმა წარუმატებლობებისა ერაცა და ავლანეთში ამერიკელები მიახვედრა, რომ მიზეზი სხვათა

კულტურების არცოდნაა. მეორეც, ინტერნეტი ძალიან უწყობს ხელს მრავალფეროვნებას. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად წამოინიეს წინ ისეთმა ენებმა, როგორცაა არაბული, ჩინური, პორტუგალიური, ესპანური და ფრანგული. დაბოლოს, ადამიანებს მოეპოვებათ ერთი ისეთი გრძობა, როგორცაა მშობლიური ენის სიყვარული, და ისინი თანდათანობით ხმას იმაღლებენ ამ ექსპანსიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

— მაგრამ არა საფრანგეთში, როგორც თვითონვე აღნიშნავთ... სასტიკადაც კი ჰკიცხავთ „მორჩილ ელიტას“, რომელიც თავისდანებურად ასამარებს ფრანგულ ენას.

— გეთანხმებით. სხვათა შორის, ისტორიას თუ გადავხედავთ, მუდამ ასე იყო: გალიური გაქრა, რადგან იქაური ელიტა ისწრაფოდა რომაულ სკოლებში გაემწესებინათ თავიანთი შვილები. მოგვიანებით იგივე განმეორდა პროვინციებში; აქაც ელიტა ადგილობრივი ენების ნაცვლად ფრანგულს ასწავლიდა ბავშვებს. მაღალი კლასის წარმომადგენლები ხშირად პირველინი არიან დამპყრობთა ენის ათვისებაში. დღესაც მსგავსი რამ ხდება ინგლისურთან მიმართებით.

— როგორ ახსნიდით ამას?

— მტრის ანუ დამპყრობის ენის გათავისებით ადამიანები იმედოვნებენ რაღაც გამორჩენა ნახონ, ან მათდამი შემგუებლური დამოკიდებულებით გაიუმჯობესონ საკუთარი მდგომარეობა. ვითარებას ამძიმებენ ისინი, ვინც ირწმუნებიან, ჩვენი კულტურა უფრო დაბალ საფეხურზეაო. მე რე ხდება ის, რომ ზოგიერთი მოდას აყოლილი წრეები, მაგალითად, რეკლამის ან ჟურნალისტიკის სფეროებში, ყოველგვარი საჭიროების გარეშე მიმართავენ ანგლიციზმებს. რატომ ვხმარობთ „planning“ ნაცვლად დაგეგმარებისა? „Coach“ ნაცვლად წვრთნისა? „lifestyle“ ნაცვლად ცხოვრების წესისა? „Challenge“ ნაცვლად გამოწვევისა?

— იმიტომ ხომ არა, რომ სხვებისგან გამოირჩეოდნენ და ამით მეტი ყურადღება მიიპყრონ?

— რა თქმა უნდა. მაგრამ თუ ჰგონიათ, რომ ამ მეტიჩრობით თანამედროვედ გამოიყურებიან, სინამდვილეში მხოლოდ ამერიკანიზაციის მსხვერპლნი არიან. და მივდივართ პარადოქსამდე: ხშირად ემიგრანტები უფრო ინონებენ თავს ფრანგული კულტურით. ისინი მართლაც რომ მძიმე შრომის ფასად ეზიარნენ მას და აშკარად უკეთ ესმით მისი ფასი, ვიდრე მათ, ვისაც ეს საგანძური უბრალოდ მემკვიდრეობად ერგოთ.

— რას იტყობდით იმ მშობლებზე, რომლებიც სრულიად კეთილი განზრახვით, ენის დაუფლების მიზნით თავიანთ შვილებს ინგლისსა თუ ამერიკაში აგზავნიან?

— მე მათ ვეტყვოდი: რატომ არა რუსეთსა ან გერმანიაში? იქნებ მათ იქ, კონკურენციის შედარებით დაბალი დონის პირობებში, უკეთ მოეხერხებინათ თვითგამოხატვა?

— არ გეშინიათ, რომ ბრალად დაგდონ ცეცხლის გაღვივება, ანუ პეტენიზმი?

— რატომ აღიქმება ცეცხლის გაღვივებად მონობება — არ დავანაგვიანოთ საკუთარი ენა, ან როგორ შეიძლება გავაიგიოთ მრავალფეროვნების დაცვა ფაშისტურ იდეოლოგიასთან? ფრანგული ხომ საფუძვლად უდევს ჩვენს რევოლუციას და ჩვენს რესპუბლიკას!

— რატომაა, რომ კვებეკელები უფრო მეტი გულმოდგინებით იბრძვიან ფრანგული ენის დასაცავად, ვიდრე თვით ფრანგები?



— იმიტომ, რომ უფრო მწვავედ გრძნობენ შემოტევას: ისინი ერთ მცირედ, 6-მილიონიან კუნძულს წარმოადგენენ 260-მილიონიან ინგლისურენოვან ოკეანეში! ამით აიხსნება მათი არაჩვეულებრივი სიტყვათწარმოქმნითი შემოქმედება: სწორედ მათ შექმნეს, მაგალითად, ტერმინი „კურიელი“;\* გთავაზობთ, თქვენც გაითავისოთ ის!

— **შეუქცევადი პროცესია ინგლისურის გაბატონება?**

— სულაც არა. უკვე მიიღება ქმედითი ზომები: რადიო და ტელეარხებმა გაზარდეს ფრანგული მუსიკის ხვედრითი წილი, მეტი ხელშეწყობა აქვს ფრანგულ კინოს და ა.შ. სამწუხაროდ, სახელმწიფო ყოველთვის არ დგას მოწოდების სიმაღლეზე. მაგალითად, დაბრკოლებები ექმნებათ შრომით მოწყობაში საფრანგეთში დიპლომირებულ უცხოელებს, არასაკმარისად ზრუნავენ ფრანკოფონიაზე, იხურება *Alliances françaises*. ჩინელებმა კი კონფუციუსის 100 ინსტიტუტი დააარსეს მთელ მსოფლიოში. ერთი ასეთი არასმეც\*\* კი გახსნეს!

— **როგორ ფიქრობთ, რა უნდა ვილონოთ პირველ რიგში?**

— ყველაფერი დანაშაულებით სკოლიდან იწყება, სადაც ერთს კი არა, ორ ცოცხალ ენას უნდა ასწავლიდნენ, რადგან ერთის შეთავაზების შემთხვევაში ყველა ინგლისურს არჩევდა. ორი ენა კი უკვე მრავალფეროვნებას მოგვცემდა.

— **ნიკოლა სარკოზი სინტაქსში მოიკოჭლებს. რამდენად მძიმეა შემთხვევა, როცა საქმე სახელმწიფოს მეთაურს ეხება?**

— შესაძლოა არც ისე... თუმცა უდავოა, რომ დე გოლი და მიტერანი უფრო განათლებულნი იყვნენ და ენისადმი მეტი პატივისცემით გამოირჩეოდნენ.

— **შესაძლო თუ არის, ფრანგულმა მსოფლიოში კულტურული მრავალფეროვნების მედროშეობა იკისროს?**

— დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ფრანგული შემკულია საერთაშორისო მნიშვნელობის ენის ყველა თვისებით. ის ხომ ხუთივე კონტინენტზე გაიხსის, დიდი კულტურის მატარებელი ქვეყნის ენაა, აქვს ერთ-ერთი ოფიციალური ენის სტატუსი გაეროში, ევროკომისიასა და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში. ამ ენაზე გაისმა გაეროში ბნ ვიდეოპენის მონოდედა ერასმის ომის წინააღმდეგ, რის შემდეგაც საგრძნობლად იმატა ფრანგულის პოპულარობამ.

— **წინააღმდეგობრივი ხომ არ არის, ერთი მხრივ სურვილი, მეტი საერთაშორისო აღიარება ჰქონდეს ფრანგულს, და, მეორე მხრივ, ბედის ანაბარად რჩებოდეს სიკვდილის პირას მდგარი ჩვენივე რეგიონული ენები?**

— მართალი ბრძანდებით. შეუძლებელია იცავდე მრავალფეროვნებას მსოფლიოში და ერთფეროვნებისკენ მიდიოდე საკუთარ ქვეყანაში. ცოტა ხნის წინათ საფრანგეთში დაიწყო ჯეროვანი დაფასება რეგიონული ენებისა. არავითარ შემთხვევაში ისინი არ უნდა გაგვიწიროთ. მითუმეტეს, რომ ეს ენები არაფრით ემოქრებიან ეროვნულ ერთიანობას.

— **გვიან ხომ არ არის?**

— გვიანაა, მაგრამ არც ისე ძალიან. მეტი ძალისხმევაა საჭირო მათ გადასარჩენად, რათა ერთ მშვენიერ დღეს არ დავედეთ ფაქტის წინაშე, რომ ხელიდან გვეცლება საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი კულტურული საგანძურთაგანი.

**ფრანგულიდან თარგმნა  
ლია რუხსაძემ**

\* **courriel (courier électronique-ელექტრონული ფოსტა) ნაცვლად ე-მაილ-ისა**

\*\* **ისტორიული ქალაქი ჩრდ. საფრანგეთში, პარიზიდან 175 კმ**

ლევან ვასაძე

# ლევიზისა და პრონსკის პრეპიტი პერსონაჟის პარადიგმა

ტოლსტოის კითხვისას მერამდენედ ვფიქრებდი რუსეთის ტრაგიკულობაზე. ეტყობა ყველა ერს თავისი გამორჩეული თვისებანი აქვს და უბედურება რუსეთისათვის ერთ-ერთი ასეთი თვისებაა. ეკლესიისა და რწმენის უარყოფით, უაღსარებლად და უზიარებლად გარდაცვლილი გრაფი ტოლსტოის სულიერი ტრაგედია წლებით ადრე იჩენს თავს მის მიერ ოთხი წლის განმავლობაში, აშკარა ნვალებით შექმნილ შედეგში „ანა კარენინა.“ არა იმდენად ანას ტრაგიკულ პერსონაში, რომელიც კულტურულად გამოფიტულ დასავლეთს დღემდე ამტკერებსა და აოგნებს მთავარი დასავლური ფასეულობის — ამქვეყნიური ცხოვრების თვითხელყოფის გამო, არამედ კონსტანტინ დმიტრიევიჩ ლევიზის ძიებანში, რომელთანაც ავტობიოგრაფიულ იდენტიფიკაციას ჩემს თვალში გრაფი ვერ გაეცქევა, რასაც არ უნდა ამტკიცებდეს ჩვენი დროისათვის უკვე უსაშველოდ გასქელებული ტოლსტოლოგია.

დიდებულია მწერლის გადაწყვეტილება — დაანყვილოს კონსტანტინე ლევიზის ძიების სიღრმე მისივე მიწათმოქმედების დაუღალავ მცდელობასთან. მე, როგორც მიწადაკარგულ გეორგიანს, ეს ძალიან კარგად მესმის და გულზე მხვდება. თვით ძიების წიაღსვლები, გრაფი არ მიწყენს, ზოგან მოსაბეზრებელი და ზოგან ზერევე მეჩვენება, თუმცა იქნებ ეს ჩემივე ბრალიცაა.

ქალაქისა და „СВЕТ“-ის მოერთგულე პერსონაჟთა სრული პალიტრაც, სტეპან არკადიჩიდან დაწყებული და გრიშა ვესელოვსკით დამთავრებული, აშკარად უფრო ზედაპირული და ფერმკრთალია ლევიზის პიროვნებასთან შედარებით და ამაშიც იგრძნობა ტოლსტოის განაზრახი და იქნებ ცოტა ზედმეტად შეუნიღბავი სიმბოლიზმიც. რა თქმა უნდა, ალექსეი ალექსანდროვიჩ კარენინის დრამა დიდია, მაგრამ ოსტატი მასაც წარმოსახავს სიცოცხლის ნაკადებისაგან დამშრალ, **ВИЗЛИВЫЙ** კაცად, რომელსაც დიდი პირადი შეურაცხყოფის ფონზეც კი, როგორც ქალაქელს, თბილისურად რომ ვთქვათ, ბევრის არაფრის ერთი ადგილი აქვს და მშობიარე ანას პატიების ცნობილი სცენის შემდეგ ღვარძლნარევე, უსულგულო და გამონურულ ლიმონად გვევლინება.

რუსი მამაკაცის მარადიული ფობია ცოლის მოღალატეობისა, რომელთან მიმართებითაც ქართველი კაცის ქცევა და ამ ქცევით გამონეული ისტორიულ-გეოპოლიტიკური შედეგები იქნებ ცალკე წერილდაც ღირდეს, არის ალბათ ის, რითიც „კარენინა“ რუსი კაცისათვის ყოველთვის უფრო ახლო იქნება ვიდრე ნებისმიერი სხვისათვის, ზუსტად ისევე, როგორც ვირტუოზულად ასახული რუსი

ქალის აშარი ბუნება „კარენინას“ რუსი ქალებისათვის უსაყვარლესი რომანის ადგილს უნარჩუნებს უკუნიმამდე.

მეჩვენება, რომ გრაფი ვრონსკი მწერლისათვის თითქმის ასრულებს პერსონაჟებზე გადანაწილებულ ტოლსტოისვე ალტერ ეგოს, არამარტო მთავარი გმირის ვაჟკაცურ თვისებათა გამო, რომელთანაც თვითგაიგივებას ვერცერთი მწერალი ვერ გაექცევა ამირეჯიბი იქნება ეს თუთაშხიასთან, მაინც რიდი - მორის ჯერალდთან, თუ ჰიუგო - ვალჟანთან, არამედ იმიტომ, რომ ვრონსკი სირცხვილისაგან მალევაში, საკუთარი თავისათვის მოულოდნელად სოფელში ბრუნდება და ლევივისადმი საპირისპირო სამინათმოქმედო სტრატეგიით (ლევივის სასოფლო-სამეურნეო მსოფლხედვასთან ერთად) სრულად ასახავს თვით ტოლსტოის შეხედულებათა და პრაქტიკათა კოლოსალურ სიფართეს სოფლის მეურნეობის, მინათმონწყობის, ეკონომიკისა და აქედან გამომდინარე საერთოდ რუსის ამქვეყნიური ყოფის თაობაზე. და თუმცა იასნაია პალიანაში გახიზნული კორიფესათვის ეს ძიება ტრაგიკულად, უღმრთოდ მთავრდება, განა ვის შეუძლია გაარჩიოს თუ რისი ბრალია ეს, ერის ცოდვებისათვის ქვეყნის თავს მონეული ლიბერალური ქარიშხალ-უბედურების უტყუარი მოლოდინისა, თუ კლასიკოსის პიროვნული სისუსტისა.


ორივე შემთხვევაში ტოლსტოის აღსასრულის ტრაგედია, იქნებ არც მთლად ჰემინგუეისებური, მაგრამ უდავოდ დამთრგუნველი, რუსული ზამთრის მყინვარებით ესარკება თვით რუსი ერის მომდევნო და აქამომდე მიმდინარე ტრაგედიას, ერისა, რომელმაც ასე კარგად დაიწყო და ასე სამინლად დაამთავრა, გასცვალა რა ომი - მშვიდობაზე, დაპყრობა — თავდაცვაზე, დათმობა - მეზობელთან ჩხუბზე.

გრაფი თავის ნაწარმოებში ბევრგან ელაციცება ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრების ორთოდოქსული საზღვრების შეუხებლობას. თუმცა კაცობრიობისათვის ცენტრალურ ოჯახურ საკითხში, რომლის გარყვნის სიღრმეც ჯერ კიდევ ტოლსტოის დროინდელ რუსულ არისტოკრატასა და სოფელშიც (გაიხსენოთ სნივას და ვესელოვსკის აპიკობა ნადირობის ღამეს სოფლის დეკეპთან) გვალონებსა და გვაფიქრებს კაცობრიობის მორალური რეგრესის გარდუვალობაზე, მწერალი მაინც ინდომებს უერთგულოს, წარმართების ენაზე, რომ ვთქვათ, კარმული სამართლიანობის ლოგიკას კინი შერბაცკაიას ბედის აღწერისას სიუჟეტის კონსტრუქციაში. უმანკო კრასავიცა, რომელიც ალტერ ეგოს ქვე-პერსონაჟების სადაო, თუ გამაერთიანებელი ობიექტია, ჯერ ბრწყინვალე ვრონსკის ამჯობინებს კრისტალურ ლევივის და ამის შედეგად ლამის ჯანმრთელობის დაკარგვის ფასად იგლოვებს

თავის სისულელეს. ვრონსკის კი მისივე სულიერი კორუფცია უუნაროს ხდის დააფასოს უმანკობა, როგორც თანამედროვე ოჯახის მტრები იტყოდნენ, კინი მისთვის არ არის საკმარისად საინტერესო. მაგრამ მოწყალე ზენა უარყოფით განადგურებულ კინისაც და ლევივისაც კათარზისად უთვლის წამებას და სჩუქის ბედნიერებას, მინათმოქმედ და საკუთარი ურწმუნოებით შეწუხებულ უზადო ვაჟკაცს უგზავნის ანგელოზ ქალს, მის სასათუთე საკუთრებად, მისი თესლის გამაგრძელებლად და მისი იერიქონისეული ფსევდო კულტურისაგან განდევნილობის სრულსაქმნელად. და სწორედ ჯვრისწერისა და შობის საიდუმლოებანში გულით მონანილოვბისას კურნავს იგი მას ურწმუნოებისაგან, რომელიც ასე აწამებს ამ წესიერი პიროვნების სულს. კინი ლევივის ჯილდოა თმენისა და ალალი ძიებისათვის და ლევინი კინის ჯილდოა სინანულისათვის. მათი ვაჟის სიყვარულის აკვანი კი მარადი, რიცხობრივად უმცირესი, მაგრამ მძლე საპირწონეა სნივასა და დოლოლის და ანასა და ვრონსკის უოჯახობაში, ანუ ნამდვილი სიყვარული გარეშე შობილი და გაზრდილი მომავალი კანინტებისა, რომელიც მარადის იზევებენ კარიერაში, დაჩაგრავენ ლევივისანებს, მაგრამ ვერასოდეს იქნებიან მათსავით ბედნიერი.

ვთქვი, რომ ვრონსკი ლევივთან ერთად თითქმის ასრულებს ტოლსტოის ალტერ ეგოს-მეთქი, იმიტომ, რომ მეჩვენება, სერგეი ივანოვიჩიც ამ ფუნქციის მატარებელია ნანილობრივ. იქნებ ნაკლებ სწორბაზოვნად, ვიდრე ჭილაძის გმირის მწერალი მამა „გოდორში“, სერგეი ივანოვიჩი ამკარად ტოლსტოისებურ ნიშნებს ატარებს და თავისი ვერშემდგარი სამეცნიერო-მწერლური კარიერითა და ამ გულგაცრუების დასაამებლად გაცხოველებული საზოგადოებრივი მოღვაწეობით პანსლავურ საკითხში — მწერლისათვის ცნობიერად თუ ქვეცნობიერად — ეხმაურება მისივე პიროვნების მრავალმხრივობას.

მართალია ტოლსტოი ჩემთვის ბევრად ნაკლებ საყვარელი მწერალია ვიდრე დოსტოევსკი, რომელიც ჭეშმარიტებასთან სახიფათო კამათის გარეშეც მიიჩნევს, რომ შესაძლებელია დიდი მწერლობა, ჩვენი სივრცისათვის მაინც წარმოუდგენელია თანამედროვე აზროვნება ტოლსტოის გარეშე. არა იმიტომ, რომ წაუკითხავი კლასიკის ტომები თითოეულ ჩვენგანს უხმო საყვედურით მარად დასცქერიან თაროებიდან, არამედ უფრო იმიტომ, რომ მეოჯახეობისა, თმენისა და ბედნიერების კულტურასთან კანინტურ ლიბერალიზმს არასოდეს მოსვლია იმ მასშტაბის კოლიზია, რომელიც მოხდა რუსეთისა და ნანილობრივ ჩვენს კულტურულ სივრცეში. და ამ კოლიზიას იქნებ არც ჰყოლია ისეთი დიდი ჟამთააღმწერელი და მსხვერპლი, როგორცაა გრაფი ტოლსტოი.



ლეო ტოლსტოი

ვახტანგ ბახტაძე

# „მათ სამთა გმირთა მნათობთა“

(ძმები გენო, რენე და ზაურ კალანდიები)

რენე კალანდია თავის ერთ ლექსში ამბობს:

**როცა პოეტი ვერ წერს,  
მაშინ პოეტი სვამს.**

ნესით პოეტს ყველაფერი უნდა დაუჯერო, დაუჯერებელიც კი (თუ, რა თქმა უნდა, ნამდვილი პოეტია, ჭეშმარიტად ღმერთთან მოსაუბრე შემოქმედი).

მაგრამ რენეს ამ ნათქვამისა არა და არ მჯერა!

რენეს იმდენი ლექსი აქვს დაწერილი, ის ისეთი ნაყოფიერი შემოქმედი, რომ ღვინის დასალევად, ალბათ, ვერასოდეს იცლიდა!

ნერდა და ნერდა!.. ნერდა და ნერდა!..

რენე, ძმაო, ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით.

მაგრამ ძმები კალანდიების ამ სამ მოზრდილ წიგნს (გენოს, რენეს და ზაურის თითო ტომი, 2002 წ., თბილისი) რომ ვუყურებ — სხვა მათ კრებულებზე არას ვამბობ — ვრწმუნდები, რომ ისინი დიდი შემოქმედებით ენერგიით და ინტენსიური მუშაობით გამოირჩევიან, და, იმედია, კიდევ არაერთ შესანიშნავ ნაწარმოებს შემატებენ ქართულ მწერლობას.

კალანდიების ოჯახი მართლაც გამორჩეული მწერლური ოჯახია ჩვენს სალიტერატურო სივრცეში. ბატონი გენო, როგორც უფროსი ძმა, ალბათ უნდა ვიგულისხმოთ უმცროსი ძმების ერთგვარად გზის გამკვალავად. ეს მის ლექსებსაც ეტყობა — დინჯ, ფიქრიან, სინათლით სავსე, მდიდარი და დახვეწილი ქართული რითმებით დაწერილ ლექსებს, როგორებიცაა მაგალითად — „ლექსი სამეგრელოზე“, „ღვთისმშობლისადმი“, „კომპოზიცია დედის პორტრეტზე“, „თავისუფლება“ და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მშვენიერი მრავალრიცხოვანი სონეტები. ბატონი გენოს შემოქმედების მთავარი თემა — ტკივილი და იმედი ფრთებაჭრილი სამშობლოს გამო, მშობლების, ძმების, ქალისა და მეგობრის სათუთი და ერთგული სიყვარული და, რაღა თქმა უნდა, თავისუფლების ნანატრი სურნელის.

ერთ ადგილას ბატონი გენო გამოგნებელი განცდით ამბობს: „ძე შეცდომილი ბევრი მინახავს, მაგრამ ჩემგვარი არ ახსოვს სოფელსო“, აკი წერს კიდევ და ამ „ძე შეცდომილი“ თავისთავს და მთელი საქართველოს ძეებს გულისხმობს, რამდენადაც, გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარედან წარმოებულ, ავაზაკ „მეგობართა“ მიერ „იმპორტირებული ომი“ (ვაგლახ, ჩვენივე ხელით) ვერ ავატყდინეთ სამშობლოს (იგულისხმება 1991-92 წლების — თბილისში, „სისხლიან ზამთარში“ დამსობილი ეროვნული ხელი-სუფლება და 1993 წლის 27 სექტემბერი — სოხუმი, ომი, რომელშიც გამარჯვება ქართველ ხალხს აკრძალული ჰქონდა).

რის გამოც მწუხარედ დასძენს:

**ან დავეკალი მშობელს აღდგომას  
და არ მეხილა ეს ორთაბრძოლა...**

...და რამაც იქამდე მიიყვანა, რომ „ფარხმალაცრილი ხრიალებს“ მის ერთ ლექსში:

**თითქოს არაგვთან ერთად მახრჩობს  
მცხეთაში მტკვარი.**

მეორეგან, პოეტი ქართველი კაცის ბუნებისათვის და-მახასიათებელი სხივოსანი იმედით გვეხმეიანება:

**კიდევ დაისხამს შენი ვენახი  
გვირგვინს ფერადი ცისარტყელების.**

ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ერის ისტორიაა. ეს არაა „ორი ისტორია“. ისინი ერთმანეთის გარეშე არც კი არსებობენ. აქ ყველაფერი მნიშვნელოვანია: ეპოქალური მოვლენა თუ ყოველდღიური წრფელი ადამიანური ამბავი.

ერთი ულამაზესი ფესვებჯილაგიანი სიღრმეებიდან წამოსული ლექსი მსურს სრულად მოვიყვანო, რადგანაც იგი პოეტის ოდაბადეს (ადგილის დედას) ეკუთვნის — „ლექსი სამეგრელოზე“:

**„სისხლივით ამიჯანყდები, სამეგრელოზე ფიქრო,  
მაცხოვრის დაბადებიდან გადაუშლელი წიგნო.  
ვაზივით გულდასეტყვილო, ჯვარზე გაკრული ნებით,  
ხვალ მშობლით შეგეხილები, ზეგ საკუთარი ძვლებით.  
დილიდან დაღამებამდე დაკიდებული ნაპრალს,  
მე ამოვავსებ უშენოდ ამ სავერანე საფლავს.  
მერე სხვა შეგეზიაროს, შენ გაგიმაგროს ლიბო,  
ოღონდაც ასე მართალი, ასე ერთგული იყო.  
არ გამიჯავრდე, გეთაყვა, არ მომიხურო კარი,  
მიყვარხარ, როგორც მზე უყვარს უსინათლოს და ყარობს.  
არც აკაკი ვარ, არც ვაჟა, არც მოციქული ზევსის,  
უბრალოდ, სიკვდილს ვაპირებ,  
სიკვდილს ვაპირებ შენთვის...“**

ბატონო გენო, ღმერთმა ნუ დაგაჭირვით სიკვდილი — ნურც თქვენი სათაყვანებელი სამეგრელოსთვის, აფხაზეთისთვის, და ნურც საერთოდ თქვენთვის საფიცარი საქართველოსთვის. თქვენ სიცოცხლით და მაღალი შემოქმედებით უფრო არ გიხაროთ მამულს, ჩვენს სამშობლოს.

აი, ასეთი მშვენიერი პოეზიის შემქმნელია გენო კალანდია, მაგრამ თავისი უფროსი ძმის პოეზიის კლასიკურ სტილს, კვალს არ გაჰყოლია — და არც იყო მოსალოდნელი გაჰყოლოდა — ბატონი რენე. ამას თუნდაც მისი პიროვნული თვისებები, მისი ორიგინალური პოეტური ნატურა განსაზღვრავდა, რაზეც ძალიან სწორად აღნიშნავს ბატონი გენო რენესადმი მიძღვნილ თავის ლექსში „პოეტი“. ეს ლექსი ასე მთავრდება: „პოეტი-კაპოეტი, ნამდვილი პოეტია!“

რენე კალანდია — პოეტი, მთარგმნელი, მოაზროვნე.

მას ეკუთვნის შესანიშნავად შესრულებული თარგმანები: მაქს ჟაკობის, ანდრე ბრეტონის, რენე შარის, გალეიკის, მარკ შაგალის ნაწარმოებების თარგმანი ფრანგულიდან, ასევე წარმატებულად უთარგმნია პოლონელი პოეტები:

რაფაელ ვოიაჩეკი, ბოგუსლავ სლავომირ კუნდა, ვიტ იავორსკი, ეუი კრინიციკი, სტანისლავ ბარანჩაკი, ლეშეკ მოჩულსკი, უილიან კორნჰაუზერი, ლატვიელი პოეტები ვიზმა ბელშევიცი, კლავს ელსბერგსი, რუსულენოვანი პოეტი გენადი აიგი და სხვა.

რაც უფრო ინდივიდუალური სახე აქვს პოეტს და თვითმყოფადი შემოქმედება, მით უფრო უპირისპირდება გაბატონებულ გემოვნებას, გზას უკვალავს საკუთარ ესთეტიკას და მით უფრო რთულია მის ნაღვანში გზის გაგნება. რენე კალანდია სწორედ ამგვარ ხელოვანთა რიგს მიეკუთვნება. მისი პოეზია მრავალპლანიანია, მრავალშრიანია და სხვადასხვა თვალსაზრისით მეტად საინტერესო, მაგრამ ერთი შეხედვითაც შეუძლებელია არ აღიარო, რომ აქ ლაიტ-მოტივად იკვეთება შეუთავსებლობა რეჟიმთან, შეუთავსებლობა „პარაზიტულ დემოკრატიებთან“ (თანამედროვე ნაირსახეობა დემოკრატიის).

ამბოხი! ადამიანის უზენოესის წინააღმდეგ და სულსა და სულიერებაზე ფიქრი!

ჩემი შთაბეჭდილებით, მისი ლექსების უმეტესობა რაღაც თავისებური პოეტური თავისუფლების, შეიძლება ითქვას, ზოგჯერ პოეტური „ხულიგნობის“ გამოვლინებაა (ცხადია, საუკეთესო გაგებით). ამას მისი ლექსების სათაურებიც მოწმობს: „ფოთლების თვითმკვლელობა“, „მევიოლინე კიბორჩხალები“, „ნახევრად რითმიანი საღამო“, „სასჯელის ყვავილები“, „კვადრატული ღრუბელი“, „ნერვიული ქვაფენილი“ და სხვა. ამ ლექსებში ორიგინალობის თვითმიზნური წყურვილი კი არ ჩანს, არამედ პოეტის არაორდინარული პიროვნული ხასიათი, ნონ-კონფორმისტული და ავანგარდისტული პოეტური ნატურა, ის ჯერ კიდევ ამ ოცდაერთი წლის წინათ, ჭეშმარიტი პოეტისათვის დამახასიათებელი ინტუიტიური ალლოთი გრძნობდა, რომ „ის კაცი“ ისევ „მეორედ მოეგვინებოდა“ თბილისს. რაც მოხდა კიდევ.

მისი ლექსი არასოდეს გამოიხატება მაღალფარდოვანი ქათინაურების პრანჭვა-გრეხით. ადამიანურს არაფერს მალავს და, სხვათა შორის, არც ცხოველურს ადამიანში. რენე იმათი პოეტია, ვინც ჩინ-მედლებზე, თანამდებობაზე, „კარიერის სურნელოვან დაფნაზე“ არ იყიდება, ვინც სუფთა რჩებოდა მაშინაც, როცა „ცხოვრება უტყალაშუნებდა სახრეს“.

პოეტი წერს:

საქართველოში, სადაც სინდისი უკვე არქაიზმს განეკუთვნება: კუჭზე ბატონობს კუჭი და მქისე — სიტყვა ნასროლი ხარჩოს დუქნებთან...

(„უპირველესი ვედრება უფალს“)

პოეტი მაშინ ამბობდა:

ქურდბაცაცური ნიაფი ქრის საქართველოში, ქარი უბერავს ავაზაკური.

ან:

არ ჩანს საშველი, რუსის სალდაფონს საბარგოთი სადღაც გადააქვს სიცოცხლე ჩემი... გადაშლილი, გადასაშლელი...



გენო, ზაურ და რენე კალანდიები

— ამბობს პოეტი, — „რენესთან სულის თავისებური ფრენაა, მშფოთვარება, აზვირთება, ამბოხი... მაგრამ არა რაიმე მიწიერის, არამედ... მალე გადაგიფურცლავთ იმ ღვთაებრივ კოსმოგონიას, რომელსაც ასე უსასრულოდ ელოდა სული“ (მანანა ამირეჯიბი).

შეშფოთებული ვთრით: ეშველება შეშლილ სამშობლოს? სისხლის ხველებას, სულის ამბოხს და ცის გახელებას ვაუჩერავით მუქთად ვარიგებ...

ამბოხი — ადამიანური ღირსების დასაცავად და სულის, სულიერების გამარჯვება მატერიაზე: „სული ცას ერთვის, რჩება ქვიშანი...“

„ჰა, ცას ერთვის, სხივი — სული მიწას — გზა, აგონია“. რენე კალანდიას მშფოთვარე პოეზიაზე, კიდევ არაერთი ლექსი შეიძლება გაეხსენოთ... მაგრამ ახლა მისი ერთი მრავლისმთქმელი ლექსით შემოვიფარგლოთ, რომლის სათაურია „უამი ოლიმპიური სიმშვიდისა“: „რჩება სიცოცხლე, — მოკლე: ძალ-მამაძალთა ცოფმა ჩემში პოეტი მოკლა, — დედაც მიტირეს, ყოფაც... რჩება მარტოდენ გაძლება, რაც უწყის ჭირის ოფლმა და არა ცრუმოკრძალებამ, წყალწაღებულთა ხოფმა არ გაგვიტაცოს დინებით აღმა გაცვროთ უნდა, თან არა — დედის გინებით: შემდეგ გვესროლონ თუნდაც... ქრება სიცოცხლე — მოკლე, უკვე იწყება

ყოფა... ჩემში ყოველი მოკლეს, დატოვეს: უარყოფა...

არა მგონია, ბატონ რენეს ოდესმე ოლიმპიური სიმშვიდე დაეუფლოს. ის მუდამ ამაყ და მშფოთვარე პოეტად დარჩება.

და ბოლოს, რენეს გადასახედის აღმართს შეყოლილი გზა საინტერესოც არის, ტკივილიანიც და იმედით აღსავსეც...

**ცხადში და სიზმრად ნათელი, მე... შეძრწუნებულს საკუთარ ხვედრით... მნამს: გაბრწყინდება სხვა საქართველო დანიშნულება-გადასახედი!..**

დავეთანხმებით პოეტს, რადგანაც გვწამს რომ: „გაბრწყინდება სხვა საქართველო დანიშნულე-ბა-გადასახედი!..

რაც შეეხება მესამე, უმცროს ძმა ზაურს, როგორც უმცროს ძმებს სჩვევიათ ხოლმე, ისიც მთლად „ურჩი“ და „დაუჯერებელი“ აღმოჩნდა, არც ერთ ძმას არ გაჰყვა, ორივეს „ზურგი აქცია“ და თავისი გზა მონახა — პროზას მოჰკიდა ხელი და არაერთი შესანიშნავი რომანი და მოთხრობით ისახელა თავი. იგი დიდი და მნიშვნელოვანი სათქმელის თქმას არა მხოლოდ რომანებსა და ვრცელ მოთხრობებში, არამედ სულ პატარა ნოველებში, მინიატურებსა და ესკიზებშიც ვირტუოზულად ახერხებს. ამის მაგალითად თუნდაც მისი მინიატურული ნოველაც „იროდი პატიოსანი“ კმარა.

ერთი სიტყვით, სამივე ძმა თავისი გზით მიდის, მაგრამ, ცხადია, მათ ნაწარმოებებში ნათლად ჩანს ის შინაგანი კავშირიც, რასაც თუნდაც მათი ძმობა განაპირობებს.

სამივე ძმა ჩვენს სამშობლოში დატრიალებულ მოვლენათა ქაოსიდან, სიტყვათა ქაოსიდან, ფიქრების ქაოსიდან — და თუნდაც პოლიტიკური ქაოსიდან — მართლაც მშვენიერ ნაწარმოებთა გამოკრისტალების დიდოსტატია.

სათაურიდან გამომდინარე, ამ სამ შემოქმედს, სამ ძმას, რუსთველისეულ „სამ მნათობს“ ვუნოდებ, რადგანაც მათ „სჭირთ“ ერთმანეთის ერთგული ძმობა.

დღეს, ასეთ გლობალისტურ ეპოქაში, ჭეშმარიტი ქართული სიტყვა დაცვასა და მოვლას საჭიროებს... თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული მწერლობის ცაზე მათ მართლაც ღირსეული ადგილი აქვთ მოპოვებული.

ამასთან დაკავშირებით, მწერალი და მეცნიერი როსტომ ჩხეიძე სამართლიანად ამბობს: „მწერალი ბევრია, რჩეული ცოტაა და ამ რჩეულთა შორის სამივე ძმა არის. ისინი ძმები არიან სისხლისმიერად, ლიტერატურულად კი მათზე უფრო დაშორებული ადამიანები ძნელად წარმოსადგენია“.

და ბოლოს, ისევ რენეს მივმართავ:

რენე, ჩემო ძვირფასო ადამიანო, ჩემო ძმობილო! (ისევ მსურს ხუმრობით შეგეხმიანო) რომ ამბობ — არ მჯერა ეს შენი სიტყვები — „როცა პოე-

ეკა ბუჯიაშვილი

# ოცი წლის შემდეგ

(შეხვედრა გურამ პეტრიაშვილთან)

ფილმში „ნელიონის ნაძვის ხე“ ყველას გახსოვთ ის ეპიზოდი, მგზავრები ავტობუსიდან რომ ჩამოაგდებენ კაცს, რომლის გულისთვისაც მერე უკან დაბრუნდებიან.

— რა ხდება? — გაკვირვებული იკითხავს რუსი ქალბატონი, რომელიც მთელი გზა ყველაფრით ინტერესდება, მაგრამ ვერაფრით ვერ ხვდება, რასაც უხსნიან და ეუბნებიან.

— უკან ვბრუნდებით, — პასუხობენ.

— და რატომ ვბრუნდებით? — მხრებს იჩენავს გაკვირვებული.

— რომ მოვქებნოთ ადამიანი, რომელიც ჩავაგდეთ.

— და რატომ ჩავაგდეთ? — იკითხავს კიდევ უფრო მეტად გაოცებული ქალი.

— იმიტომ, რომ მოვქებნოთ... ჩვენ ასე ვიცით ხოლმე: ჯერ გავაგდებთ და მერე ვეძებთ.

როლი მგზავრისა, რომლისთვისაც მთელი ავტობუსი უკან დაბრუნდა, გურამ პეტრიაშვილმა ითამაშა და ფილმის რეჟისორი რაიზო მსაძაძე „ჩვენი მწერლობის“ სალონში გამართულ შეხვედრაზე — კაცთან, რომელიც ოცი წლის შემდეგ ისევ დაუბრუნდა სამშობლოს — ამ კომიკურსა თუ დრამატულ ეპიზოდს იმის სათქმელად გაიხსენებს, ბედისწერასავით რომ აუხდა კინოროლი ბატონ გურამს, და დასძენს, რომ...

თუმცა ამას მოგვიანებით გეტყვით, ჯერ იმით დავინწყებ, როსტომ ჩხეიძე რომ გახსნის საღამოს:

## ხილვები, რომლებიც მისი არ უნდა იყო

— იგი იყო მონაწილე უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისა, იმ დიდი აღმაფრენისა და ტრაგედიისა, რაც მაშინ განვიცადეთ, როცა ორსაუკუნოვანი ოცნების მერე გიბრუნდება სახელმწიფოებრიობა, ეროვნულ საფუძველზე დაყრდნობილი, და ცდილობენ, ეს სახელმწიფოებრიობაც და ეროვნული ხელისუფლებაც თავზე დაგამზონ.

ასე აღმოჩნდა გურამ პეტრიაშვილი ემიგრაციაში.

და აი, ოცი წლის შემდეგ ისევ დაუბრუნდა მკითხველს, რომელიც ადევნებდა თვალს მის ლექსებსაც და პუბლიცისტურ წერილებსაც, ისევე როგორც თვითონ ცდილობდა სცოდნოდა საქართველოში მიმდინარე მოვლენები.

წლების წინათ, როცა პირველად გახდა შესაძლებელი გრიგოლ რობაქიძეზე რამე თქმულიყო, აკაკი ბაქრაძეს გადაეწყვიტა, რომ წაეკითხა საჯარო ლექცია მწერალთა სასახლეში. გაზეთის ფურცლებზეც გამოცხადდა ამის შესახებ, მაგრამ მას აუკრძალეს ამ ლექციის წაკითხვა და მოსთხოვეს, რომ შინიდან არ გამოსულიყო. შეიკრიბა უამრავი სტუდენტობა. შემდგომში ბატონი გურამი ყვებოდა: „გამიკვირდა, რომ ახალგაზრდები მოდიოდნენ ჩემთან და მეკითხებოდნენ: როგორ მოვიქცეთო. მეგონა, ტრიბუნაზე რომ გამოვდიოდი და ხმის ჩახლენამდე ვხაოდი, ამას არ ჰყავდა მომსმენი“.

გურამ პეტრიაშვილი, როგორც პოეტი, სრულიად განსხვავებულია ტრიბუნი გურამ პეტრიაშვილისაგან. მისი ლირიკა ძალიან ფაქიზ ნიუანსებზეა აგებული. ბევრს, ვინც მას როგორც ტრიბუნს იცნობს, ძალიან გაუკვირდება, რომ ბატონ გურამს შეიძლება ჰქონდეს ლექსი ალუბალზე, რომელიც მოწყენილია იმიტომ, რომ

პირველად დაკრიფეს. თითქოს არ უნდა იყოს ეს მისი ხილ-  
ვები, არ უნდა წერდეს პეპლებზე, ყვავილებზე... არ შეიძ-  
ლება შეპყურებდეს ზეცას და ა.შ. მაგრამ სინამდვილეში  
სწორედ ეს არის ნამდვილი გურამ პეტრიაშვილი.

„ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ“, — მისი წერილების  
ერთ რკალს ჰქვია ეს სათაური, გალაკტიონისგან ნაკარნა-  
ხევი. შეიძლება ითქვას, რომ ბატონი გურამის პუბლიცის-  
ტიკაც ასე განისაზღვრა, მისი სულისკვეთებაც ეს არის და  
საერთო სახელწოდებაც.

ეს არის ადამიანი, რომელიც ერთ  
ყალიბში ვერ ექცევა — პოეტიც,  
პროზაიკოსიც, პუბლიცისტიც, რე-  
ჟისორიც, მსახიობიც, პოლიტიკური  
მოღვაწეც... და თითოეულ სფეროს  
მან თავისი კვალი დააჩნია.

მას შეგიძლიათ დაუსვათ ნების-  
მიერი კითხვა, რადგან ყველაფერზე  
აქვს ნაფიქრი და მიაჩნია, რომ არ შე-  
იძლება მზამზარეული პასუხების  
იმედად ყოფნა. კეთილი უნდა ვინე-  
ბოთ, ყველაფერში ჩავიხედოთ და  
ჩვენ-ჩვენი პასუხი ყველაფერზე გაგ-  
ვაჩნდეს, — იტყვის ბატონი როსტო-  
მი და სიტყვას **გურამ პეტრიაშვილს**  
გადასცემს, ვინც საკუთარ ლექსებ-  
საც წავგიკითხავს და დარბაზის შე-  
კითხვებსაც უპასუხებს.

შეხვედრას თავის გამორჩეულ  
მუხტს შესძენენ სკოლა „ბერიის“  
მოსწავლეები, საკუთარ ჩანახატებს  
რომ გააცნობენ შეკრებილებს და  
ასე დაუდასტურებენ სალონის სტუ-  
მარს თავიანთ სიყვარულს. თვითონ  
ბატონი გურამიც მინიატურებივით  
გვიამბობს სხვადასხვა ეპიზოდს თა-  
ვისი ცხოვრებიდან. აი, რამდენიმე  
ამონარიდიც:

**მეხსიარების დღიურიდან:**

- ზვიად გამსახურდიაზე ხშირად ამბობენ: ლიტერა-  
ტორი იყო, პოლიტიკოსი არაო.
- მახსოვს, ერთხელ მასთან შევედი კაბინეტში. თავი ას-  
ნია, გამიღიმა და:
- გინდა ვითხრა, რატომ მოხვედიო?
- რატომ მეთქი? — ვკითხე.
- იმიტომ, რომ გიპასუხო, რატომ დავნიშნე ესა და ეს  
კაცი ამა და ამ თანამდებობაზეო.
- კი, ამიტომ მოვედი-მეთქი.
- შენ როგორ ფიქრობ? — შემომიბრუნა კითხვა, —  
მაგ კაცს შენზე უკეთ მე ვიცნობ, მაგრამ საქართველო  
ესაა, მე ამ ხალხით უნდა გავათავისუფლო იგივე ხალხი,  
აბა მთვარიდან ხომ ვერ ჩამოვიყვან ვინმესო.
- ...და ორი სიტყვით ამიხსნა, რა არის პოლიტიკა:
- შენ რომ გამეშვი რუსეთში პურის ჩამოსატანად,  
გეტყოდნენ რამეს, შეუკურთხებდი ერთს, ჩამოხვიდოდი

და პურსაც არ ჩამოიტანდი, ის კი კარიდან რომ გააგდონ,  
ფანჯრიდან შევა... და პურსაც აუცილებლად ჩამოიტანსო.  
მართლა ჩამოიტანა მაშინ პური იმ კაცმა.

ზვიად გამსახურდია კი... ლიტერატორიც იყო და პოლი-  
ტიკოსიც.

მე თუ მკითხავთ, ერთადერთი პოლიტიკოსი ბოლო რა-  
მდენიმე ათეული წლის საქართველოში.

\*\*\*

ორი რუსი მწერალი დიდხანს სა-  
უბრობდა პოლიტიკაზე, ცხოვრება-  
ზე...

მერე ერთმა უთხრა მეორეს:

— მოდი, ახლა რეალობაზე ვი-  
ლაპარაკოთ.

— ჰოდა, სერვანტესზე ვისაუბ-  
როთო.

...და ეს იყო უპირველესი რეალო-  
ბა იმ წუთშიც და საერთოდაც. რამ-  
დენმა საუკუნემ გადაიარა ამ ქვეყ-  
ნიერებაზე, მაგრამ ვინ დარჩა ისეთი  
ხელშესახები და რეალური, როგო-  
რიც დონ კიხოტია?

\*\*\*

როგორ არ უნდა გერიდებოდეს  
კაცს ლექსის წერა, როცა შენზე წინ  
იყო რუსთაველი, ბარათაშვილი, ვაჟა...  
რა არის იცით?

მე ბავშვობაში მომაკლდა მამის  
მკაცრი ალერსი, ამიტომ მერე მთელი  
ცხოვრება ჩემზე უფროს ადამიანებ-  
თან მიხდოდა ურთიერთობა, ვიდრე  
ამასობაში თვითონ გავხდებოდი 70-ის.

უამრავი მასწავლებელი მყავდა.

მათ შორისაა მიხეილ კვესელავაც.

მახსოვს, როცა პირველად მო-

ვისმინე მისი ლექცია, ბოდლერზე კითხულობდა. გარეთ  
უკვე ბნელდებოდა და წარმოვიდგინე, რომ კათედრასთან  
თვითონ ბოდლერი იდგა დიდი, შავი მოსასხამით და რალა-  
ცას გვიამბობდა.

მაშინ ლექსზე უკვე აღარ ვფიქრობდი, რაც კი რამ და-  
წერილი მქონდა, ყველაფერი დაეხიე და გადავყარე... და იმ  
ღამეს 12-ფურცლიანი რვეული გავავსე ლექსებით. ვიფიქ-  
რე: მივუტან მიხეილ კვესელავას, ნაიკითხოს, და თუ არ  
მოეწონება, არხეინად გადავყრი-მეთქი.

ორი დღის მერე მითხრა:

— იცი თუ არა, რომ კარგი პოეტი ხარ? აუცილებლად  
გააგრძელე წერა.

მერე ტარიელ კვანჭილაშვილს წავაკითხე ჩემი ლექსები.  
ასე უთქვამს: ამის დამწერი ისე არ გაჩერდებო.

რას გულისხმობდა?

აღბათ ამას: ან გააგრძელებს წერას და უკეთესებს და-  
წერს, ან სულ მთლად გასულელდებო.

მე კი ვიფიქრე: ვიდრე ვინმე არ გადამიდგება წინ და არ  
მეტყვის: აბა, გურამ პეტრიაშვილო, შეწყვიტე წერაო, ჩემ-



გურამ პეტრიაშვილი

სას გაავაგრძელებ-მეთქი.

ასეთი არავინ აღმოჩნდა.

...და მეც „მნათობში“ მივიტანე ლექსები.

თამაზ ჭილაძემ ასე შემიფასა:

— როგორც ვიოლინო, რომელიც დაკვრის წინ უნდა აანყო, ისეა ანყობილი ეს ლექსები თანამედროვეობაზე.

მას მერე ურცხვად ვავაგრძელებ წერას.

ალარ ვერიდები არავის, თორემ ისე...

მორიდებით კი უნდა გერიდებოდეს ლექსის წერა, როცა შენზე წინ რუსთაველი, გურამიშვილი, ვაჟა-ფშაველა... იყვნენ.

\* \* \*

ამ ამბავს კი რენე კალანდია გაიხსენებს:

„მხედრონის“ ზუგდიდში შესვლის შემდეგ როგორ მოხვდნენ თვითონ და ბატონი გურამი ერთ სოფელში და როგორი მძიმე დღეები გადაიტანეს.

ერთხელ მოუსმენია, როგორ გამოაცხადეს ტელევიზიით: ზვიად გამსახურდიას მთავრობამ დიდძალი ოქრო — რამდენიღაც კილოგრამი ითქვა — წაიღო.

გადასულა ბატონი რენე გურამ პეტრიაშვილთან და ხედავს — ზის იგი სახლის ზღურბლზე და... ფეხსაცმლის ლანჩას აკერებს.

— აი, შე ეშმაკო, მანდ მალავ მოპარულ ოქროსო? — უკითხავს ბატონ რენეს.

ახლა იუმორით ყვება იმ ტრაგიზმით სავსე ამბებს, მძიმე დალი რომ დააჩნია ქართველი ერის ცნობიერებას.

იმასაც ამბობს: იუმორმა გადაგვარჩინაო;

რალაცებს — იმ ემიგრანტობის წლებსაც — ამ თვალთ უნდა შეხედო კაცმაო, — ურჩევს ბატონ გურამს, — უარესიც ხდება — მაგალითად, საკუთარ სამშობლოში ემიგრანტობაო, — აქ უკვე თავის ტკივილსაც გამოურევს ამ სიტყვებში, — ემიგრანტობა სირცხვილი არ არის, ეს იმით უნდა რცხვენოდეთ, მე და შენ და კიდევ სხვებსაც, იარაღით რომ დაგვედევნენ მაშინო, — იტყვის და ბატონი გურამისადმი მიძღვნილ ლექსს წაგვიკითხავს, „ასი ლექსის“ სერიით გამოცემულ პოეტურ კრებულში რომ გაერთიანდა, კრებულს კი საჩუქრად გადასცემს ბატონ გურამს.

### ვისაც სამშობლო უყვარს...

— იმისთვის ცხოვრება ომიო, — ვაჟა-ფშაველას ამ სიტყვებს გაიხსენებს შეკრებაზე ამირან დოლიძე, ვინც მიიჩნევს, რომ გურამ პეტრიაშვილმა მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით ეს გზა გაიარა. მისი თქმით, ბატონი გურამის მამა იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც პირველი ქართული უნივერსიტეტი დაამთავრა და ერთ-ერთი პირველი პოლიტიკური პატიმარი 1924 წლის რეპრესიებისას — ადამიანი, რომელიც მუდმივად იდევნებოდა იმპერიული რეჟიმის მიერ.

მოგვიანებით რევაზ მორგოშია სწორედ იმპერიული რეჟიმის მიერ რეპრესირებულ მწერალთა სახელებს შეახსენებს შეკრებებებს და დარბაზს სთხოვს წუთიერი დუმილით პატივისცემას მათი ხსოვნისა და ამ ფონზე გამოკვეთს „უხარკო მწერალთა“ შემოქმედების მნიშვნელობას.

შემთხვევითი არც ის იყო, რომ ბუდუ სირბილაძე, თავადაზნაურთა საკრებულოსთან არსებული „სამეფო პალიტრის“ სამხატვრო ხელმძღვანელი ბატონ გურამს გადასცემს გურამ

რატინის რედაქტორობით გამოცემულ ილიასა და აკაკის გამონათქვამებს და თავისი ხელით შესრულებულ პორტრეტს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტისა.

ოლონდ ესეც მერე იქნება, ჯერ კი ამირან დოლიძე საუბრობს ისე:

— როგორც ჩანს, საქართველოში თაობები ეწირებოდნენ სამშობლოს სიყვარულს და ასე მოხდა გურამ პეტრიაშვილის ცხოვრებაშიც.

რაც შეეხება მის შემოქმედებას:

აქ ადამიანები დაფრინავენ, ჩიტები ლაპარაკობენ, მდინარეები ცეკვავენ... მეც მქონდა ბედნიერება მის სადიპლომო ნამუშევარში მეთამაშა — მეც მეფრინა, რაკი ჩემი გმირი ბელურად გადაიქცეოდა.

მაშინ მეგონა, კარგი კინემატოგრაფისტი აღმოვაჩინე. არადა საინტერესო პროზაიკოსი და ლირიკოსიც ყოფილა. მის შემოქმედებას გვერდს ვერ აუვლის ქართული ლიტერატურის ისტორია.

მარიკა აბაიშვილი კი გვერდს ვერ აუვლის გურამ პეტრიაშვილის პუბლიცისტიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ნაწილს, რომელსაც დღევანდელი გადასახედოდან გამორჩეულად მნიშვნელოვანად და ღირებულად მიიჩნევს, რადგან მასში კონკრეტული პრობლემა განზოგადებულია უფრო მნიშვნელოვან საკითხამდე — წარმოჩენილია სპეცსამსახურთა ესა თუ ის ფანდი და ფასდაუდებელი კვლევა ამ თვალსაზრისით — როგორ ხერხებს იყენებდნენ სპეცსამსახურები იმ ავადსახსენებელი რეჟიმის დროს.

— ეს ყველაფერი გარკვეულწილად ჩვენს თავზეც გადავიტანეთ და ბატონი გურამისნაირი ადამიანები რალაცნიარად ყოველთვის ახერხებენ იმას, გზამკვლევებად იქცნენ ჩვენთვის, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის, რათა ფეხი არ დაგვიცდეს, ვიყოთ უფრო დაცულები იმ უამრავი საცდურის წინაშე, რასაც ცხოვრება ხშირად გვახვედრებს გზაზე.

\* \* \*

ახერხებენ იმიტომ, რომ საქართველოში ასე ხდებოდა ყოველთვის:

თაობები ეწირებოდნენ სამშობლოს სიყვარულს.

თაობებისთვის განესაზღვრა ბედისწერას ის, რაც ვაჟა-ფშაველას ასეთ ფორმულაში მოექცია:

ვისაც სამშობლო უყვარს, იმისთვის ცხოვრება ომიო.

და შეჰგუებოდა ქართველი კაცი ამ ხვედრსაც — თავის მიწაზე მდგომიც და ცხრა მთას იქით იძულებით გადახვენილიც — რადგან: სამშობლო უყვარდათ, უყვართ და... ეყვარებათ საქართველოში.

### მხრები, რომლებზეც რომანი დაინერაჟოდა

ჩქინეთში მყოფ ზვიად გამსახურდიას მოუთხოვია შემდეგ მაკა ჯოხაძის ის წერილი — აი ის, „საქართველოს რესპუბლიკაში“ რომ დაიბეჭდა რეფერენდუმის დღეს ორ გვერდზე.

— ჩვენთანაა მაკაო, — გახარება ბატონ ზვიადს და ეს სიტყვა „ჩვენთან“ სხვანაირად გაისმოდა მაშინ.

შესაძლოა უზენაესი საბჭოს წევრები არ ყოფილიყვნენ, მაგრამ იყო ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც მთელი არსებით უჭერდნენ მხარს ეროვნულ ხელისუფლებას და გრძნობდნენ, რომ ეს იყო მომენტი, როცა ჩვენი ყოფნა-არ-

ყოფნის ბედი წყდებოდა.

ამიტომაც გადაეწყვიტა ქალბატონ მაკას იმ წერილის — „არჩევანი“ — გამოქვეყნება.

ამიტომაც არ შეუშინდა არც ზათქსა და არც ვაიუშვე-ლებელს, მაშინდელ საქართველოში რომ იდგა.

— უშიშარი ადამიანები არ არსებობენ, მაგრამ ყოველ-თვის უნდა ებრძოლო ამ შიშს, გადალახო და დაამარცხო. მითუმეტეს, რომ ეს იყო დრო, როცა უკვე დაწყებული იყო პროცესები, რომლის შესახებაც მერაბ კოსტავას ეთქვა: ხელისცეცებით დაგვჭირდება ერთმანეთის მოძებნაო, და ვგრძნობდით, რომ აუცილებლად ერთად უნდა ვყოფილიყავით — თავგანწირულად უნდა გვებრძოლა სიტყვით, გუ-ლით... ვისაც რითი შეგვეძლო.

უშუალოდ ბატონი გურამის შესახებ კი ხშირად მიფიქრია: როგორი ძლიერები არიან ადამიანები, რომლებმაც ეს ყველაფერი გადაიტანეს და პიროვნებებად გადარჩნენ... რადგან ძალიან ბევრმა ამას ვერ გაუძლო, ზოგმა რაღაცებზე ხელიც ჩაიქნია, ზოგი კომპრომისზე წავიდა. ბევრი გადაჰყვა კიდევ ამ ამბებს — მაშინ ხომ ნახევარი საქართველო დაი-მარხა — და ხანდახან იყო მომენტი, როცა „ბოროტსა სძლია კეთილმან“ მხოლოდ პოეტური აღმაფრენა მეგონა, მაგრამ...

მაგრამ ჩამოასვენეს ზვიად გამსახურდიას ნეშტი და ქალბატონმა მაკამ, ისევე როგორც საერთოდ მთელმა სა-ქართველომ, საკუთარი თვალთნახა, როგორ მოძებნეს მაშინ ადამიანებმა ერთმანეთი... ხელისცეცებით, როგორ შეიკრნენ, გაერთიანდნენ, როგორ გაუსწორეს ერთმანეთს მხრები და როგორი თვითრეგულირება შეიმჩნეოდა ერთში.

— ფაქტობრივად, ხალხმა თვითონ გააკეთა ყველაფერი — თავისი დუმილით, ღრუბლით... არავინ ჩარია ამ პროცეს-ში, გურამ, ჩემო კარგო, შენ რომ შეგხედა, იმ მხრებისათ-ვის, მთელი რომანი დაინერგებოდა თითოეულ მათგანზე;

ან ის რომ გენახათ, ყრუოლასავით რომ გადაუარა მა-შინდელ მსვლელობას ხალხში დარიგებული ფურცლები-დან ამოკითხულმა სტრიქონებმა:

„ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო“...

უოლტ უიტმენის ლექსი, მიძღვნილი აბრაამ ლინკოლ-ნისადმი, თარგმნილი ზვიად გამსახურდიას მიერ.

როსტომ ჩხეიძემ დღესაც, ისევე როგორც ყოველთვის, პატივი მიაგო იმ ყველაფერს — ნამდვილის, ქართულის, ღირებულის — ხსოვნასაც.

და აი, ამდენი წლის მერე გისმენთ, გურამ, და კიდევ ერ-თხელ დავინახეთ, რომ დრო და სივრცე გამოცდაა — არა მხოლოდ კლასიკური ლიტერატურისათვის, არამედ ადამი-ანისთვისაც, და აღმოჩნდა, რომ დროსა და სივრცეში ისე იყო შეკუმშული იმ ხანის საქართველო, რომ არცერთი წა-მით გაუცხოება არ გვიგრძენია თქვენთან.

ქალბატონი მაკა „ნელიონის ნაძვის ხის“ პირველ ჩვენე-ბასაც გაიხსენებს ბაკურიანში გამართული თათბირ-სემი-ნარებისას და კინომცოდნეთა კრიტიკულ გამოხატულებსაც. მაშინ სწორედ მაკა ჯონსაძემ შეაშველა სიტყვა ამ ფილმს, გამოექომაგა და ისეთი შთამბეჭდავი გამოსვლით დაასა-ბუთა „ნელიონის ნაძვის ხის“ ღირსებაცა და მნიშვნელო-ბაც, რომ ცეკას მაშინდელი მდივანი გურამ ენუქიძეც კი შეძრა — საგანგებოდ მისულა მასთან ხელის ჩამოსართმე-ვად ასეთი შეფასებისა და პირუთვნელობისათვის.

— რეჟიმები, რა თქმა უნდა, საშინელებაა, მაგრამ ადა-მიანები... ყოველთვის ჩვენ ვერჩით ერთმანეთს... არადა,

ხელოვანი რომ გქვია, ადამიანი რომ გქვია, ვალდებული ხარ სხვაგვარად დაფიქრდე ამ ყველაფერზე, — იტყვის ქალბატონი მაკა და ასე დაასრულებს თავის გამოსვლას:

— მინდა მხნედ, კარგად ვიყოთ ყველანი.

არცერთი წამით სკეპსისი არ შეგვეპაროს — ჩვენ ძალიან ვჭირდებით მომავალ თაობას, რადგან თვალსა და ხელს შუა გვაცლიან იმ ღირებულებებს, რომლებსაც აქამ-დე ვატარებდით.

რომლებითაც აქამდე მოვედით.

### „ოთარაანთ ძვრივი“ პოლიტიკაში

— ჩემი ბავშვობა ჰგავს ერთ უგრძეს, ნათელ დღეს, რო-მელსაც ანათებდა სამი ქალი: დედა — ეკატერინე ცხოვრე-ბაშვილი, ოლღა მამიდა და ელო ძალო. ამ ადამიანებმა ბე-ერი რამ განსაზღვრეს ჩემს ცხოვრებაში, — ამბობს ბატონი გურამი — ის, ვინც თავის მხრივაც აღმოჩნდა განმსაზღვ-რელი არაერთი მოვლენისა ქართულ საზოგადოებრივ-პო-ლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში.

ამიტომაც აღნიშნა **მანანა გაბაშვილი**:

— ლიტერატურაში საკუთარი სტილის შექმნა უდიდესი მიღწევაა, მაგრამ რატომღაც არავინ საუბრობს იმაზე, რომ გურამ პეტრიაშვილმა პოლიტიკაშიც თავისი სტილი შექმნა, რომელიც ზოგს თუ აღიზიანებდა, ზოგსაც აღაფრთოვანებდა.

უზენაეს საბჭოში ის იყო ერთ-ერთი ყველაზე კოლორი-ტული პიროვნება — ხალხისგან გამოსული, ეროვნული მოძრაობის „ოთარაანთ ქვრივი“. საქმე ის არის, რომ გუ-რამს უნდოდა, ქართველ კაცს ღირსეულად ეგრძნო თავი საკუთარ ქვეყანაში და თავისი საქმე ეკეთებინა.

მას ეს ვერ გაუგეს.

ყალბი იდეოლოგიის ეპოქაში სიცრუე დიდ როლს ასრუ-ლებდა. მაშინდელ სიტყვებს ნამდვილი შინაარსი გამოცლი-ლი ჰქონდა და აი, უცებ, გამოდის ასპარეზზე გურამ პეტრი-აშვილი და სიტყვებს თავის მნიშვნელობას უბრუნებს.

მერე ისევ აირია ყველაფერი...

დღეს კი... წლების მერე რომ მკითხოთ მის შესახებ: რო-გორია ეს კაცი?

მე გეტყვით: კეთილი!

იმიტომ, რომ ასეთია მისი შემოქმედება.

კიდევ იმიტომ, რომ მისი სიტყვების უკან ყოველთვის დიდი განცდა და სიყვარული იყო, თვითონ იმ ქართველის გადარჩენის სურვილიც, რომელიც მას ესროდა.

— მაშინ ხომ დემოკრატიულად დაგვიმინეს ტყვიებიო, — სარკაზმნარევ იუმორს გამოუჩვენებს რეპლიკაში ბატონი გურამი, — დანაშაული ის არის, არადემოკრატიულად თუ „დაგვხებენ“, თორემ დემოკრატიულად თუ გირტყამენ და გესვრიან, ამაში ცუდი რა არის?!

წლები გავიდა მას შემდეგ.

ბატონ გურამს კი, მანანა გაბაშვილის თქმით, პოლიტი-კაშიც იგივე დაემართა, რაც ფილმში. ამიტომ „ნელიონის ნაძვის ხე“ სიმბოლურიც ჰგონია მის ცხოვრებაში.

აი, **რეზო ქსაძემ** კი ის კომიკური თუ დრამატული ეპიზო-დი რომ გაიხსენა თავისი კინონამუშევრიდან, ასე დასძინა:

— ეს არის კაცი, რომელიც გავაგდეთ იმისთვის, რომ მიემხვდარიყავით:

ასეთი ადამიანები ქართველებს საძებარი არ უნდა გაგ-



ლექსო დორეული

# „ალავერდი“ თქვენთანა ვარ, ნიწო ალვარო!

მნამს, რომ ამა თუ იმ ლიტერატურული პრემიის მინიჭება მწერლის ესთეტიკურ-ინტელექტუალურ პოტენციალს ვერ გაზრდის. ხშირად ავტორთა ამგვარი დაფასება-აღიარება არც არის მათი შემოქმედებითი შესაძლებლობების ეკვივალენტური. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ნებისმიერი ლიტერატურული კონკურსის ყიური პროფესიონალი ლიტმცოდნეებითა და კრიტიკოსებით უნდა იყოს დაკომპლექტებული.

სამწუხაროდ, საქართველოში ჩატარებულ ლიტმეჯიბრთა უმრავლესობაში კონკურსანტთა ბედს წყვეტენ ის ადამიანები, რომელთაც სათანადო თეორიულ-ინტელექტუალური მომზადება არ გააჩნიათ და არც უანგარო ესთეტიკური მიმართების დამყარება „შეუძლიათ“ წარმოდგენილი ტექსტების მიმართ. ყოველივე ამის შედეგი ოდითგანვე ცნობილი და, შეიძლება ითქვას, ტრადიციულია: „ეთილდღეობაში იმყოფებიან უღირსნი და, პირიქით, ღირსეულნი არ არიან სათანადოდ დაფასებულნი“ (არისტოტელე).

ამჯერად, ჩემი განხილვის საგანი საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ ჩატარებული (ფინანსური მხარდამჭერი — ქალაქ თბილისის მერია) გურამ რჩეულიშვილის სახელობის ახალგაზრდა მწერალთა (15-დან 35 წლამდე) კონკურსია.

ბედის ირონიით ისე მოხდა, რომ ამ ლიტმეჯიბრში მონაწილეობა თავადაც გადაწყვიტე და აღმოვჩნდი კიდევ პრემიის დაჯილდოების მეტად პომპეზურ ცერემონიაზე, სადაც უამრავ ავტორს, უურნალობს და ლიტერატურის უბრალო მოყვარულს მოეყარა თავი. იქვე წარადგინეს საუკეთესო პროზაული ტექსტების კრებული „ალავერდი“, რომელიც, ნიგში შესული სხვა ავტორების მსგავსად, საჩუქრად მეც მერგო.

თავიდანვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ კრებულს განვიხილავდი, რადგან კრიტიკოსისათვის მეტად საინტერესო და, ამავე დროს, აუცილებელიც კია, თვალი გადადევნოს თანამედროვე ლიტერატურულ პროცესს. მითუმეტეს, თუ მას (ლიტერატურულ პროცესს) საშუაარაოზე გამოჰყავს ახალგაზრდა ავტორები, რომელთა შემოქმედებით განვითარებაზეც მომავალში ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

„ალავერდში“ თავმოყრილი პროზაული ტექსტების გაცნობისას, უფრო სწორად, 173-176 გვერდების კიდევ ერთხელ გადაკითხვისას და საქ. მწერალთა კავშირისთვის სავალალო მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორების უშედეგო თხოვნით მიმართვის შემდეგ (სამწუხაროდ, ცალ ყურში შეუშვეს და მეორედან გამოუშვეს), მივხვდი, რომ სარეცენზიოდ წარმოდგენილი ნიგნის კვლევის მიმართულება აუცილებლად უნდა შემეცვალა. შესაბამისად, გადაწყვიტე, წერილი ორ ნაწილად გაემყო: პირველ რიგში, დამეწერა იმ სირცხვილზე, რომელიც, ზემოხსენებული გვერდებით, მწერალთა კავშირმა მთელ ქართულ საზოგადოებას აჭამა და მხოლოდ ამის შემდეგ შევდგომოდი დაბეჭდილი ტექსტების მხატვრულ გარკვეულობაზე მსჯელობას...

გურამ რჩეულიშვილის სახელობის პროზის კონკურსი ცუდად რომ აღმოჩნდა ორგანიზებული და ყიურის წვერებიც უსაშველოდ გულგრილად მოეკიდნენ საკუთარი მოვა-

ლეობის შესრულებას, იმ დაკვირვებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ლიტერატორებს მაქსიმუმ ათ დღეში (!) „მოუსწრიათ“ დაახლოებით ას ორმოცდაათი პროზაიკოსის ტექსტების გაცნობა, ანალიზი, მათი მხატვრული ღირებულების დადგენა, რედაქტირება-კორექტირება, ორას ოცდაათმეტგვერდიანი, საკმაოდ დიდი გაბარიტების კრებულის დასაბეჭდად გამზადება, ერთმანეთისათვის შთაბეჭდილების გაზიარება და, რაც მთავარია, მონაწილეთათვის ერთსულოვანი, საბედისწერო განაჩენის გამოტანა. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საკონკურსოდ მოთხრობების, ნოველებისა და მინიატურების გარდა, დიდი მოცულობის რომანებიც იყო წარმოდგენილი, რაც, როგორც მინიმუმ, არ გააიოლებდა ყიურის წვერთა საქმეს.



მკითხველი შეიძლება განცვიფრდეს, როგორ ძლიერ უნდა უყვარდეს ამ პატიოსან ხალხს საკუთარი საქმე, რომ ოფლის ღვრასა და დღე-ღამეების გასწორებას არ შეუშინდაო, და თანაგრძნობითაც განეწყოს „კანონმდებელთა“ მიმართ. თუმცა საქართველოს მწერალთა კავშირში მხატვრული ნაწარმოების შეფასებისათვის მისი წაკითხვა აუცილებელ პირობად სულაც არ მიაჩნიათ. მეტიც, მათმა წინასწარმეტყველურმა გონმა რამდენიმე თვის წინათ (წერილი დაწერილია 2012 წლის აგვისტოში) ისიც კი მოახერხა, რომ ვაჟა-ფშაველას ას ორმოცდაათი წლის იუბილისადმი მიძღვნილი ლიტპრემია, ნომინაციით „საუკეთესო პირველი პოეტური კრებული“, იმ ნიგნს მიანიჭა, რომელსაც ერთი თვის შემდეგ ეღირსა დღის სინათლე. შეიძლება ეს ნიგნი მართლაც იმსახურებდა აღნიშნული პრემიის მიღებას, მაგრამ რატომღაც მგონია, ამისათვის, სულ მცირე, ერთი პირობა მაინც უნდა ყოფილიყო აუცილებელი — კრებულის ბუნებაში არსებობა!

როგორც ჩანს, ტექსტის შეფასების ამ უნიკალურმა მეთოდმა (რაც მის არ / ვერ წაკითხვას გულისხმობს) გაამართლა და ყიურის წვერებმაც მისი ყველა კონკურსის პრაქტიკაში დანერგვა გადაწყვიტეს. მინდა გულწრფელად მივულოცო, — ჯერჯერობით ექსპერიმენტი შესაშური წარმატებით მიმდინარეობს, — მართლაც, „ალავერდში“ დაბეჭდილ ტექსტთა უმრავლესობას არაფერი ეტყობა, რომ ვინმეს, უკაცრავად და, წაეკითხოს, ან მთლად უარესი, — დაერედაქტირებინოს! ის კი არა, ნიგნს, რომელშიც შესულია თხუთმეტიდან (!) ოცდაათმეტმეტ წლამდე ავტორების (გა)დაწერილი ტექსტები, რომელთა უმრავლესობა ენის ელემენტარულ ნორმებს აინუნშიაც არ აგდებს, კორექტორი, სტილისტი არ ჰყავს! არ ვიცი, რით დაიმსახურეს ასეთი ნდობა თხუთმეტი-თექვსმეტი, გნებავთ ჩვიდმეტი წლის ურთულეს საქმეს — პროზის წერას — შეჭიდებულმა ახალგაზრდებმა, მაგრამ იმას კი ვხედავ, რომ „ალავერდს“ პრინციპულად

განსხვავებული, ვიტყვოდი — დევიაციური შეხედულებები აქვს მართლწერის მთელ რიგ წესებთან დაკავშირებით. თუმცა ამაზე შემდეგ, წერილის მეორე ნაწილში...

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, „ალავერდის“ შემდგენელ-რედაქტორთა სასახელოდ ითქვას, რომ თურმე ისინი დადებითად ყოფილან განწყობილი კლასიკური ლიტერატურის მიმართ. კერძოდ, სასიამოვნოდ გავოცდი, როდესაც წიგნის კითხვისას აღმოვაჩინე, რომ, გარკვეულ ასპექტებში ჩემი და მათი გემოვნება ერთმანეთს ეთანადება: გაირკვა, რომ ამ უკანასკნელებს „ნამეტნავად“, ვიტყვოდი, გემის გადაჭარბებით, ჰყვარებიათ ლათინოამერიკული მწერლობა. **თუმცა რატომღაც მგონია, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამ „დამსახურების“ გამო კრებულის ოთხი სრული გვერდი (გვერდების იმ რაოდენობასთან შედარებით, რაც სხვა ავტორთა შემოქმედებამ დაიკავა, ნამდვილად ასტრონომიული ციფრია) აუცილებლად უნდა დაეთმოთ არგენტინის ერთ-ერთი საუკეთესო მწერლის ალვარო იუნკეს საქვეყნოდ ცნობილი და აღიარებული მოთხრობა „საფრთხოებლებისათვის“!**

მართალია, წიგნის ანოტაციით გვატყობინებენ, რომ „კრებულ „ალავერდში“ სწორედ ამ კონკურსზე წარმოდგენილი ნაწარმოებებია დაბეჭდილი“ და იმითაც „გვემუქრებიან“, რომ „წლების მერე არაერთი მათგანი დიდ ქართულ მწერლობას დაამშვენებს“, მაგრამ, რაც უნდა მძიმე და თავზარდამცემი იყოს ჟიურის წევრებისთვის ეს „ახალი“ სამგლოვიარო ცნობა-დეკლარაცია, მწუხარებით ვიტყობინები, რომ უბედური ნინო ალვარო 30 წელზე მეტია ლირსეულად აღესრულა და მშვიდად განისვენებს მშობლიურ მიწაში! შესაბამისად, გაგიკვირდებათ, მაგრამ ვერც „ალავერდზე“ წარმოადგენდა ნაწარმოებს და, დამალვას აზრი აღარ აქვს, მაგანთა დიდი სურვილის მიუხედავად, ვერც „დიდ ქართულ მწერლობას დაამშვენებს“, მითუმეტეს „წლების მერე“. ასე რომ, იქნებ საფლავში მაინც მოასვენოთ ეს პატიოსანი კაცი; თუ გაუსაძლისი არ იქნება, ძალიანაც არ გაჯიუტდეთ და ნუ ჩარიცხავთ ბუმბერაზ მწერალს პერსპექტიული ქართველი ავტორების მრავალრიცხოვან რაზმში.

იმედს გამოვთქვამ, რომ ჩემმა წერილმა სულზე მაინც მიუსწრო და ცხონებული ალვარო იუნკე მოთხრობისათვის „საფრთხოებლები“, ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ჯერ არ მიუღიათ საქართველოს (ხაზს ვუსვამ, **საქართველოს**) მწერალთა და შემოქმედთა კავშირში 569-ე (სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ) ნევრად.

ეს ხუმრობით! ისე კი, ჩემო მკითხველო, ალბათ, მიხვდით, რომ საქმე პლაგიატის განსაკუთრებულად მძიმე შემთხვევასთან გვაქვს. ჩემს გაოცებას (რომელიც მალევე აღმფოთებაში გადაიზარდა) საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც „ალავერდის“ 173-176 გვერდებზე აღმოვაჩინე არგენტინელი ხალხისათვის სათაყვანებელი შემოქმედის საუკეთესო მოთხრობა, რომლის ავტორიც, თურმე, ვინმე **შიო უგულავა** ყოფილა! დიახ, დიახ, მისთვის, ვინც თვალებს ვერაფრით უჯერებს, გავიმეორებ: „საფრთხოებლები“, რომელიც დიდი მწერლის, ალვარო იუნკეს კალამს ეკუთვნის და მისი შემოქმედების მწვერვალსაც სრულიად დამსახურებულად წარმოადგენს, ახალგაზრდა პროზაიკოსთა კონკურსის

კრებულში — „ალავერდში“ — შიო უგულავას სახელით შედგენილი დედნისეული სიზუსტითაა დაბეჭდილი!

არ ვიცი, რეინკარნირებულ ალვარო იუნკეს, იგივე შიო უგულავას მართლა აქვს თუ არა პრეტენზია, რომ „საფრთხოებლები“ მისი დანერგა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ღრმად პატივცემული შიო და კონკურსის მესვეურები შესაშურად კარგი იუმორის პატრონი ყოფილან. აბა, ისე რომელი ჭკუიდან გადამდგარი, გამოუსწორებელი ოპტიმისტი ირწმუნებს, რომ „ალავერდის“ ჟიურის წევრები (სავარაუდოდ, ხუთი ადამიანი) და რედაქტორები (ექვსი სული ლიტერატორი), ერთად აღებული თერთმეტი კაცი (სავარაუდოდ, ვილაც მოცლილის უბადრუკი ოინბაზობის მსხვერპლი გახდა?! არა, მეგობრებო, მირჩევნია (მათთვისაც ასე აჯობებს) ვიფიქრო, რომ ჟიურის წევრები საკონკურსოდ შემოსულ მასალებს არც გაცნობიან და ისე შეიტანეს კრებულში (დამეთანხმებით, არანაკლები ცოდვაა), ვიდრე დავიჯერო, რომ ამ თერთმეტი პიროვნებიდან ერთსაც არ წაუკითხავს წიგნი, რომელიც ქართულ ენაზე 130 000 (ორივე გამოცემა ერთად; პირველი — 100 000; მეორე — 30 000) ტირაჟით არის დასტამბული და ამ მაჩვენებლით თითქმის ოთხჯერ აღექსანდრე ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონს“, სამჯერ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს აღემატება და, თქვენ წარმოიდგინეთ, იმაზე მეტი ეგზემპლარია დაბეჭდილი (არ დაგვაგინყდეს, რომ ქართულ ენაზე!), ვიდრე ენგელსის „ფილოსოფია“ რუსულ ენაზე (!).

დიახ, მკითხველო, მეც იმავეს ვფიქრობ, რასაც თქვენ! ზემომოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ნამდვილად იმას მოწმობს, რომ „ლათინური ამერიკის რჩეული მწერლები“, რომელშიც ალვარო იუნკეს მოთხრობა „საფრთხოებლებია“ შეტანილი, სავარაუდოდ, ყოველი მეორე ოჯახის წიგნის თაროს ამშვენებს და ნახევარ საქართველოს მაინც ექნება ნაკითხული!

ალბათ, იმაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რომ „ალავერდის“ ჟიურის წევრებსა და წიგნის შემდგენელ-რედაქტორებს, რომელთაც ესოდენ საპასუხისმგებლო საქმე ანდეს და, შესაბამისად, უნდა ჰქონდეთ კიდევ პრეტენზია, რომ მხატვრული ლიტერატურის (ყოველ შემთხვევაში, კლასიკურის მაინც) იწინა-ბინჩი გაეგებათ, სულ მცირე, ყურმოკრული უნდა ჰქონდეთ იმ მოთხრობის არსებობის შესახებ, რომელიც ლათინოამერიკული მწერლობის ნამდვილი მარგალიტია, ნათარგმნია მსოფლიოს ყველა ძირითად ენაზე. რაც მთავარია, უამრავი პრესტიჟული გამოცემის (მათ შორის, ფრანგული და ამერიკული) მიხედვით, მსოფლიოს ყველა დროის ოცი საუკეთესო მოთხრობის ჩამონათვალში შედის და მათ (ჟიურის წევრთა) მშობლიურ ენაზე, ვიმეორებ, — 130 000 ტირაჟითაა დასტამბული.

ესეც რომ არა, „საფრთხოებლები“, რომელიც იდეურ-ფორმისეული თვალსაზრისით აბსოლუტურად გენიალურია, ნოვაციურია და მეტად აქტუალურ, საინტერესო პრობლემებსა და თემებს სრულიად განსხვავებული რაკურსით წარმოგვიდგენს, იმდენად სპეციფიკური, კონკრეტულად ლათინოამერიკული მწერლობისათვის დამახასიათებელი სტილითა და ლექსიკით არის დანერგილი (ეს კი თარგმანშიც შენარჩუნებულია), მისი ნაკითხვის შემთხვევაში შეუძლებელია დაიჯერო, რომ ის ახალგაზრდა ქართ-

ველი მწერლის შექმნილია. მართლაც, წარმოუდგენლად რთულია, ეჭვი მაინც არ შეგებაროს და, შესაბამისად, შემომწმების სურვილი არ გაგიჩნდეს, რომ სიუჟეტი, რომელიც ორი მოხუცი პეონის — მარტინიანასა და სელესტინოს — ასიენდაში ცხოვრებისა და მათი დონ ბრაულისა და ნინიო ფელიქსთან ურთიერთობის შესახებ მოგვითხრობს, თხუთმეტიდან ოცდათხუთმეტ წლამდე ასაკის არათუ ქართველის, არამედ არალათინოამერიკელის დაწერილია!

თუმცა სტილისა და ლექსიკის მიხედვით ავტორის რომელ ამოცნობაზეა საუბარი, როცა, ხომ ნახეთ, მეოცე საუკუნეში გარდაცვლილი საბრალო ალვარო იუნკესთვის დროზე რომ არ მიგვესწრო, საქართველოს მწერალთა კავშირში უპირებდნენ ჩარიცხვას!

თუმცა, თქვენც არ მომიკვდეთ, ჟიურის წევრებს ხსენებული მოთხრობა მთლად ისეც არ მოსვლიათ თვალში, რომ მისი ავტორი ამ დიდი პატივის (მწერალთა კავშირში ჩარიცხვის) ღირსად ეცნოთ. „საფრთხოებლები“, ამ ესოდენ განათლებული და გემოვნებიანი ხალხის გადაწყვეტილებით, გურამ რჩეულიშვილის სახელობის კონკურსის საუკეთესო ოცეულშიც კი ვერ მოხვდა! თუმცა ეს ნამეტანი დიდი ფუფუნება იქნებოდა ალვარო იუნკესათვის! არგენტინელი მწერალი (ღმერთმა იძულებინა და განათლოს მისი სული!) იმითაც კმაყოფილი უნდა იყოს, რომ ჟიურის წევრებმა ახალგაზრდა ქართველ პროზაიკოსთა ერთი რიგითი კონკურსის კრებულის მიღმა არ დატოვეს! თუ ამ პატივცემული ხალხის ესთეტიკური გემოვნების გაქანებას გავითვალისწინებთ, სავარაუდოა, რომ ეს საფრთხე ნინიო ალვაროს ნამდვილად დაემუქრებოდა.

წარმომიდგენია, რა განბილებული იქნება შიო უგულავა, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, გულწრფელად სჯეროდა, რომ „მისი“ მოთხრობა ტრიუმფალურ გამარჯვებას მოიპოვებდა და, შედეგად, ფინანსურად ოდნავ მაინც მოითბობდა ხელს! ვწუხვარ, რომ ამ პატიოსან ადამიანს, ჟიურის წევრთა მეტად უცნაური და პრეტენზიული გემოვნების გამო, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ამხანაგო შიო, ხომ გაგიგონია, ზოგს მღვდელი უყვარს, ზოგს კიდევ — მღვდლის ცოლიო. შენ გული ნუ დაგწვდება! იმაზე „ალავერდის“ ჟიურის წევრებმა იდარდონ, რომ მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის წარმომადგენლის საუკეთესო მოთხრობას ჩვიდმეტი წლის ბავშვების ნაჯღაბნები (ყველა ტექსტს არ ვგულისხმობ) ურჩევნიათ!

ძვირფასო მკითხველო, მნამს, რომ არ შეიძლება ლიტერატურული კონკურსის მონაწილეთა ბედს წყვეტდნენ ადამიანები, რომელთაც იმაზე მეტი წიგნი აქვთ გამოცემული, ვიდრე - ნაკითხული!

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ „ალავერდის“ ჟიურის წევრები ობიექტურობით ვერ დაიკვებნინან. წარმოდგენილმა ფაქტებმა ცხადყო, რომ მათ ტექსტები კრებულში დასაბუქდად ისე შეიტანეს, რომ არც ნაუკითხავთ. ეს კი ააშკარავებს, რომ გურამ რჩეულიშვილის პრემიების კონკურსანტთათვის მინიჭების საკითხი საცვებით არალიტერატურული მოტივებით გადაწყდა; რაც ნამდვილად სამწუხაროა და, თავისთავად, ეჭვქვეშ აყენებს გამარჯვებულთა შემოქმედებით შესაძლებლობებსაც. ფაქტი ჯიუტია: ჟიურის წევრებისათვის საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაწარმოებების მხატვრულ ლი-

რებულებას მნიშვნელობა არ ჰქონდა; მათ სრულიად სხვა ნიშნებით, კონკურსის გამოცხადებამდე შერჩეული ჰყავდათ ადამიანები, რომელთაც პრემიას მინიჭებდნენ. შესაბამისად, ტექსტების ნაკითხვას მათთვის ყოველგვარი აზრი ჰქონდა დაკარგული...

სამწუხაროდ, კონკურსის მესვეურებმა მკაცრად გაასაიდუმლოეს ჟიურის წევრთა ვინაობა. ამიტომაც მე შემიძლია მხოლოდ ვივარაუდო, რომ ეს ადამიანები „ალავერდის“ მეორე გვერდზე მითითებული მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრები შეიძლება ყოფილიყვნენ. მაგრამ, ვითვალისწინებ რა, რომ, მკაცრი დადგენილების შესაბამისად, მწერალთა კავშირის მიერ ჩატარებულ კონკურსებში ჟიურის წევრები (ყოველ შემთხვევაში, ძირითადი ბირთვი მაინც) არ იცვლებიან, ასეთივე წარმატებით შემიძლია ვივარაუდო, რომ გურამ რჩეულიშვილის სახელობის პრემიის ბედი წელსაც შარშანდელი კონკურსის საჭეთმკურობლებმა გადაწყვიტეს.

ეს ეჭვი განსაკუთრებით მიმძაფრდება „ალავერდის“ შარშანდელი კონკურსის ჟიურის წევრ და ამავე (წლევანდელი) პრემიის ერთ-ერთ აქტიურ ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელ, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტ ბატონ **დავით ტაკიძესთან** (ვინც ვერ იცანით, გეტყვით, რომ ეს დიდად პატივცემული და დაფასებული პიროვნება, ამჯერად, ძველთან შედარებით, უფრო პოეტური გვარით — „შემოქმედელი“ — სარგებლობს, მაგრამ, თუ ნებას მომცემს, მე მაინც „ტაკიძე“ უფრო მომწონს) მიმართებით. ასევე, ვითვალისწინებ რა, რომ ეს ადამიანი ყველაზე აქტიურად მონაწილეობდა პრემიის პოპულარიზაციის, ორგანიზების საქმეში და „ალავერდის“ მართონში ჩართვის მსურველნიც, facebook-ის დახმარებით, მასთან გადიოდნენ საჯარო კონსულტაციებს, კონკურსის დახურვის ცერემონიაზე კი თავად დააჯილდოვა გამარჯვებულთაგან ერთ-ერთი ავტორი, ვვარაუდობ, რომ კონკურსის ჟიურის წევრი დავით ტაკიძე-შემოქმედელი ნამდვილად შეიძლება ყოფილიყო.

მაგრამ მე ვერ გავბედავ, აზრად მაინც გავიგო, რომ ბატონი დავითი უნიგნური მწერალია და, დანარჩენ სწავლულთა დარად, მასაც არ ნაუკითხავს იუნკეს ცნობილი „საფრთხოებლები“. მკითხველს ჩურჩულით მინდა გავანდო ჩემი ეჭვი და უმორჩილესად ვთხოვო, არ გამცეს:

პატივცემული შემოქმედელი ზედმეტად ახლოს რომ იცნობს რიგი ქართველი შემოქმედების ნაღვანს, საქვეყნოდ ცნობილი ამბავია. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ბატონ დავითს კოლეგების უსაზღვრო სიყვარულით თუ მოსდის ხოლმე, რომ ზოგჯერ სხვა პოეტთა შექმნილი მეტაფორები, ფრაზები და ლექსები თავისი დაწერილი ჰგონია. ხედავთ, მკითხველო, სად ყოფილა ძალის თავი დამარხული; სად მივაგენით „საფრთხოებლების“ „ალავერდში“ დაბეჭდვის მიზეზს? რა თქმა უნდა, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ბატონი დავითი პლაგიატში მასავით ნიჭიერი თანამოაზრისა და კოლეგის, შიო უგულავას ნახალებისას მოინდომებდა და შეუწყობდა კიდევ ხელს არგენტინელი მწერლის ნაღვანის მითვისების აქტს. ის კი არა, ბატონი ტაკიძის სხვათა ნაწერებით უსაზღვრო გატაცების ამბავი იმდენად ცნობილი და აშკარაა, რომ ამ ამბის აღსანიშნავად წმინდად ხალხური ზეპირსიტყვი-

რების ნიმუშიც კი შექმნა ქართველმა ხალხმა და ახლა ის (ქართული ხალხური პოეზიის დარად) თაობიდან თაობას ღიღინ-ღიღინით გადაეცემა, რომ არ დაიკარგოს:

**თუკი გამოეც ლექსები,  
მომცრო კრებულად აკინძე,  
ტყუილადა გაქვს იმედი! —  
მინც მოგპარავს ტაკიძე.**

ბატონო დავით, ვიცი, ალელღებით, — ასე დაუსაბუთებლად როგორ შეიძლება ადამიანის დადანიშნულებათ. როგორ გეკადრებთ! მე ჩემს თავს ერთი ნუთითაც ვერაფრით ვაპატიებ, ის ვიკადრო, რომ მომავალში „თქვენი“ ტექსტების საფუძვლიანი შესწავლა-ანალიზით არ დავკავდე! მაგრამ ეს ერთი დელტის სხვა შტოა და, ამჯერად, თქვენი ნებართვით, ჩვენც გვირჩევნია, ისევე „ალავერდს“ მივუბრუნდეთ...

რაც შეეხება გურამ რჩეულიშვილის პრემიის ჟიურის სხვა წევრთა სავარაუდო ვინაობას, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ამ საზოგადოების წინამძღოლობა კრებულის მთავარმა რედაქტორმა, ქალბატონმა **მაყვალა გონაშვილმა** დიდსულოვნად დააკისრა საკუთარ თავს. ასე რომ, ვერც ის გაექცევა უპასუხისმგებლობას.

წყალი არც იმას გაუვა, რომ პრემიის გაცემის დახურულ თათბირში მონაწილეობა **რევაზ მიშველაძემაც** მიიღო. როგორც ჩანს, „ჩურჩულს გადაჩვეული კაცის“ ავტორი კითხვას გადაჩვეული კაცია და, ამდენად, მასაც მიუძღვის წვლილი „საფრთხობელების“ გაშიოუგულავეების საქმეში. სხვა მხრივ კი, ისეთ გამოცდილ ლიტერატორს, როგორც ბატონი რეზოა, ნამდვილად არ ეპატიება მსგავსი უყურადღებობა და უპასუხისმგებლობა.

ჩამოთვლილ ადამიანებზე თუ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი იქნებოდნენ ჟიურის შემადგენლობაში, თავს ვერ დავედებ, რომ კონკურსის ორგანიზატორებმა გურამ რჩეულიშვილის პრემიის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა წიგნის მეორე გვერდზე მითითებულ სხვა რედაქტორებსაც მიანდეს. მაგრამ ის კი ცხადია, რომ, იმის მიუხედავად, იყვნენ თუ არა **ნუგზარ ცხელიძე, ნანა გიორგაძე, მანანა ნითელაშვილი და მანანა გორგიშვილი** ჟიურის შემადგენლობაში, სირცხვილის კორიდორში მათაც მოუწევთ გავლა. ეს პატივცემული ადამიანები „ალავერდის“ წიგნის შემდგენელ-რედაქტორები იყვნენ და, შესაბამისად, მათი პირდაპირი მოვალეობა იყო კრებულში შესული მასალების არათუ ნაკითხვა, არამედ — რედაქტირებაც. ასე რომ, ჟიურის წევრთა საწუგემოდ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მათ წინ ელით შესანიშნავი მოთხრობის წინასწარ ნაკითხვის ბედნიერება!

აღსანიშნავია ისიც, რომ, ჩემი აზრით, დღესდღეობით ქართულ ლიტმცოდნეობით სკოლას იმდენად არ უჭირს, რომ ლიტკონკურსთა ჟიურის არაპროფესიონალი ადამიანებით დაკომპლექტება იყოს საჭირო. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას მინდა შევასხენო, რომ თანამედროვე საქართველოში მოიძებნებიან კვალიფიციური ლიტერატორები. ამიტომაც, ერთი შეხედვით, თითქოს არ უნდა იყოს იმის აუცილებლობა, რომ ახალგაზრდა პრო-

ზაიკოსთა ბედი დილეტანტი და უპასუხისმგებლო ფსევდოინტელექტუალებისათვის მიენდოთ. რა ვუყოთ, რომ ამ ხალხს თურამაულზე მეტად ტყის პანტა ეტკბილება...

\* \* \*

ძვირფასო მკითხველო, მას შემდეგ, რაც აღმოვაჩინე, რომ „ალავერდში“ ალვარო იუნკეს „საფრთხობელების“ შეტანით მწერალთა კავშირს უპასუხისმგებლო და ეგზოტოდასაგმობი „იალიში“ მოუვიდა, გასაკვირი არ არის, რომ აყალმაყალი არ ამიტეხია და გადაწყვიტე, ჩვენი ორგანიზაციის შიგნით მომეგვარებინა ეს საქმე. მოგასხენებთ, რომ კავშირის წევრი თავადაც ვარ; ამიტომაც მის ისედაც გვარიანად შელახულ რეპუტაციას ვაგუფრთხილდი, ზემომოთხრობლი სამარცხვინო ფაქტი არ გამიხმაურებია და, ორგანიზაციის მესვეურთა კეთილგონიერების იმედით, საქ. მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილსა და საქ. მწერალთა კავშირის გამგეობას მომხდართან დაკავშირებით სასწრაფო რეაგირების მოთხოვნით მალევე ვაგუგზავნი ნერილი, რომელსაც აქვე ვთავაზობთ:

**საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს,  
ქალბატონ მაყვალა გონაშვილს;  
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობას;  
მოგესალმებით!**

პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ მივესალმები ჩვენი კავშირის მიერ ახალგაზრდა შემოქმედთა აღმოჩენა-წახალისების მიზნით, პროზასა და პოეზიაში ლიტერატურული კონკურსების დაარსებას. უთუოდ დადებითად უნდა შეფასდეს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის „მერანის“ და გურამ რჩეულიშვილის სახელობის „ალავერდის“ პრემიების გამოცხადება.

თუმცა მიმაჩნია, რომ მათი არასწორი ორგანიზება, უმთავრესად კი ჟიურის არაპროფესიონალი და უპასუხისმგებლო წევრებით დაკომპლექტება გამოუსწორებელ, ფატალურ შედეგებს იწვევს.

კერძოდ, თუ კრებულში „ხარს ვგავარ ნაიალალარს“ თანამედროვე პოეზიის მთელი ნაგავი ასე გულუხვადაა წარმოდგენილი და მეტად საეჭვოა ზოგიერთი გამარჯვებული ავტორის ნიჭიერება,\* სამაგიეროდ, პროზაულ კრებულ „ალავერდში“ 173-

\* შევნიშნავ იმასაც, რომ ჩატარებული ბოლო ორი პოეზიის კონკურსის არათუ გამარჯვებულებს, არამედ ნომინანტთა შორისაც არ იყვნენ ისეთი ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედნი, როგორებიც არიან, მაგალითად, დიმიტრი ბახუტაშვილი, ჯარჯი შუქიაური, გიორგი ფირცხალაიშვილი და ა.შ... აღარაფერს ვამბობ ლევან ზარიძეზე, რომელიც, ჩემი აზრით, თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი პოეტია...

ასევე აღსანიშნავია: იმდენი მოახერხეთ, რომ ნიჭიერი და უაღრესად საინტერესო, სულ ახალგაზრდა ავტორის მარიამ მუზაშვილის ლექსები „მერანში“ არც კი შეიტანეთ, მაშინ, როდესაც მისი შემოქმედება ხშირად ქვეყნდება ქართულ ლიტერატურულ პრესაში, პოპულარული ინტერნეტსაიტების თავფურცელსაც იკავებს და ლიტერატორთა მალალ შეფასებებსაც იმსახურებს.

ყოველივე ამის შემდეგ, გასაკვირი არც არის, რომ მათმა ნაწილმა აღარც მიიღო მონაწილეობა შემდეგი წლის კონკურსში... მართლაც, რა აზრი აქვს, ჩაერთო ლიტდოლში, რომელშიც მომდევნო 5 წლის გამარჯვებულთა რაგილები წინასწარ არის დაჯავშნული?! ამიტომ მიმაჩნია, რომ თუ ჩვენს ორგანიზაციას სურს ახალგაზრდა (და არა მარტო ახალგაზრდა) შემოქმედებთან თანამშრომლობა, მდგომარეობა ამ მხრივაც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

176 გვერდებზე ვინმე შიო უგულავას სახელით შესაშური მათემატიკური სიზუსტითაა დაბეჭდილი მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსის, გამოჩენილი არგენტინელი მწერლის, ალვარო იუნკეს, საქვეყნოდ ცნობილი მოთხრობა „საფრთხოებლები“.

მოგესხენებათ, საუბარია მწერალზე, რომელიც ლათინოამერიკული მწერლობის ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენლად მიიჩნევა, ხოლო მისი მოთხრობა „საფრთხოებლები“ ფრანგული, ამერიკული და სხვ. ზოგიერთი ცნობილი და ავტორიტეტული სტატისტიკის ცენტრებისა და გამოცემლობების მიხედვით, მსოფლიოს ყველა დროის 20 საუკეთესო მოთხრობის ჩამონათვალში საპატიო ადგილს იკავებს.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ეს შესანიშნავი მოთხრობა დაბეჭდილია ლათინური ამერიკის მწერლობის ანთოლოგიაში (მთარგ. ლამარა თურმანიძე; გამომც. „მერანი“; 1974 წ.) და ნათარგმნია მსოფლიოს ყველა ძირითად ენაზე. ქართულ ენაზე ეს მოთხრობა გამოცემულია არც მეტი, არც ნაკლები, 130 000 ტირაჟით (იმაზე დიდი რაოდენობით, ვიდრე მარქსის „კაპიტალი“) და, სავარაუდოდ, ნაკითხულიც აქვს მინიმუმ ნახევარ საქართველოს.

ვგონებ, ახსნას თავიდანვე არ საჭიროებდა, თუ ხელოვნების ისტორიისათვის როდენ მნიშვნელოვან ნაწარმოებზე გვაქვს საუბარი...

ქართველმა მწერალმა რამაზ ბერაძემ, რომელიც, სხვათა შორის, მწერალთა კავშირის წევრია, ხუმრობით ისიც კი მითხრა: „რა ბედნიერი ხალხი ვყოფილვართ ქართველები, რომ მსოფლიოს საუკეთესო მოთხრობების ოცეულში შესული „საფრთხოებლები“ ჩვენთან გამართულ ერთ რიგით კონკურსზე, სადაც 15-დან 35 წლამდე თანამედროვე ავტორები იღებდნენ მონაწილეობას, ოცეულში ვერაფრით მოხვდაო“... დამეთანხმებით, ბატონი რამაზის ირონია სავსებით დამსახურებულია...

ზემოთქმულის გათვალისწინებით, კლასიკოსი ალვარო იუნკეს ახალგაზრდა ქართველ პროზაიკოსთა კრებულში დაბეჭდვა ჩვენი ორგანიზაციის უდიდეს სირცხვილად, ზოგადად ლიტერატურის შეურაცხყოფად, ქართველი საზოგადოების აბუჩად აგდებდა და გაუგონარ უპასუხისმგებლობად მიმაჩნია.

სიმართლე გითხრათ, შეძრწუნებული და აღშფოთებული ვარ მომხდარის გამო.

საინტერესოა, რას აკეთებდნენ ყიურის ხუთი წევრი (როგორც ჩემთვის ცნობილია) და წიგნის შემდგენელ-რედაქტორები, როდესაც ხსენებულ კრებულში ზემოდასახელებული მოთხრობა დასაბეჭდად შექჷნდათ?!

ვერ დავიჯერებ, რომ ყიურის ამდენი წევრის ინტელექტუალური შესაძლებლობები, ერთად აღებულიც კი, ვერ უტოლდება „საშუალო სტატისტიკური ადამიანის“ ლიტერატურულ საკითხებში განათლების დონეს... და თუ ეს ასეა, ისმის სავსებით სამართლიანი კითხვა, რატომ, რა დამსახურებების გამო მიანდეს მათ ახალგაზრდა პროზაიკოსთა ტექსტების ბედი?

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია, კონკურსის ყიურის წევრები ან წარმოუდგენლად გაუნათლებლები არიან, ანდა სამსახურებრივ მოვალეობას უსაშველოდ გულგრილად მოეკიდნენ და არც წაუკითხავთ საკონკურსოდ წარმოდგენილი ტექსტები. შედეგად, მათი გულმოდგინებით, ქართულმა საზოგადოებამ დიდი სირცხვილი ჭამა! წარმოიდგინეთ, რა შთაბეჭდილება შეექმნება ადამიანს ჩვენს კავშირზე, როდესაც ამ ფაქტის შესახებ გაიგებს...

ვინაიდან მე თავადაც ვახლავართ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი და, ამდენად, მაღლეებს ჩემი ორგანიზაციის პრესტიჟი და ღირსება, ბუნებრივია, მოვერიდე ამ ინ-

გარდა ამისა, ლიტერატურული კონკურსების არაობიექტურად ჩატარებას ისიც უწყობს ხელს, რომ ყიურის შემადგენლობა თითქმის არ იცვლება, რაც საქმისადმი ზედმეტად არასერიოზულ მიდგომად მიმაჩნია.

ფორმაციის გასაჯაროებას. თუმცა, ვეჭვობ, დიდი ხნით დაიმალოს ეს სამარცხვინო ფაქტი, რადგან მოგესხენებათ, ძვირფასი ყიურის წევრებისაგან განსხვავებით, ადამიანები წიგნებს ჯერ კიდევ კითხულობენ.

ამიტომაც, ამ გამოუსწორებელი შეცდომის შეძლებისდაგვარად გაქარწყლების მიზნით, დამეთანხმებით, სავსებით სამართლიანია მოთხოვნები:

1) საქართველოს მწერალთა კავშირმა ოფიციალურად, პოპულარული მასმედიის წყაროების (როდესაც ვამბობ, პოპულარული-მეთქი, ცხადია, არ ვგულისხმობ, მაგალითად, საქართველოს მწერალთა კავშირის „მწერლის გაზეთს“) საშუალებით (პრესა, ინტერნეტი, ტელევიზია, რადიო...) ქართველ ხალხს, არგენტინის მთავრობასა და საზოგადოებას მოუხადოს ბოდიში;

2) სასწრაფოდ განადგურდეს „ალავერდის“ დარჩენილი ტირაჟი;

3) სამსახურებრივი გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის გამო, მწერალთა კავშირში დაკავებული თანამდებობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დატოვოს კონკურს „ალავერდის“ ყიურის ყველა წევრმა;

4) კონკურს „ალავერდის“ ყიურის წევრებს აეკრძალოთ მინიმუმ 5 წლის ვადით ყველა ლიტერატურულ კონკურსში ყიურის წევრობა.

დამეთანხმებით, საკამათო არაფერია... ეს საუკეთესო გამოსავალია ჩვენი ორგანიზაციის ისედაც შელახული რეპუტაციის მცირედ მაინც გადარჩენისათვის და ნამდვილად ღირსების საქმეს წარმოადგენს!

იმედი მაქვს, „ალავერდის“ ყიურის წევრები გააცნობიერებენ საკუთარ გამოუსწორებელ დანაშაულს, მოუბოდიშებენ საზოგადოებას, დატოვებენ დაკავებულ თანამდებობებს და ეს საზღაური გარკვეულწილად აღადგენს ჩვენი ორგანიზაციის, საქართველოს მწერალთა კავშირის ღირსებას! ეს ხომ თითოეული ჩვენგანის სურვილი და მიზანია...

წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნები, დავტოვო საქართველოს მწერალთა კავშირი და საზოგადოებას ვაცნობო ზემოხსენებული ფაქტის შესახებ.

იმედი მაქვს თქვენი ღირსების!  
პატივისცემითა და კეთილი სურვილებით,  
**ლექსო ღორაშვილი**  
(„ლიტერატურული სალონის“ მთავარი რედაქტორი)

როდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ამ ადამიანებმა (ნაცვლად იმისა, რომ შექმნილი მძიმე სიტუაციის გამოსწორებაზე ეზრუნათ) ჩემს უსამართლოდ ლანძღვას მიჰყვეს ხელი!

მე კი სხვა გზა არ დამიტოვეს, ვალდებული შევიქნენ, აღმესრულებინა ჩემი პროფესიული მოვალეობა და საზოგადოებისათვის ყოველივე დანვრილებით მომეთხრო.

იმედი მაქვს, ის სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას უსაქმურობაში უხდის ჯამაგირს, მომხდარს ადეკვატურად შეაფასებს და პატივცემული ადამიანების სამსახურებრივი პასუხისმგებლობის საკითხს წამოჭრის.

თუ არა და... „ალავერდი“ შენთანა ვარ, ჩემო მკითხველო, და თავად გადაწყვიტე, რამდენად ახლოა ჭეშმარიტებასთან ერთი თანამედროვე ქართველი ავტორის ეს ლექსი („მაჩაბლის 13“), რომელიც გალაკტიონის „მამულის“ პირველი კატრენის ბოლო ორი ტაეპის რემინისცენციას წარმოადგენს:

**ნალდი მწერალი წავიდა ყველა,  
სხვა ხალხის ისმის აქ ყრიაშული.**

როსტომ ჩხეიძე

# გადამწვარი მზე

II

**ძმა ჰამლეტი, ბავშვი ურიელი,  
ბრძანი ყვარყვარე**

რალაც განსაკუთრებულად იზიდავდა სიმონ ჩიქოვანს თეატრალური ვარემო და ისე როგორ იქნებოდა, ეს განცდა სადღაც საგანგებოდ არ ჩაენიშნა.

და კიდევ წააწყდებით მის ჩანაწერებში:

— პოეზიის გარდა მე ყოველთვის მიყვარდა თეატრი და მხატვრობა და პირველად ჩემი მეგობრები იყვნენ არა პოეტები და ლიტერატორები, არამედ მხატვრები, მსახიობები და რეჟისორები.

ემაყებოდა ეს სიახლოვე და, თუ ვინმესთან დამეგობრება ახარებდა, ერთ უპირველესთაგანთან — უშანგი ჩხეიძესთან, ვისადმი მიძღვნილი ლექსიც დიდირამბული ლირიკის რჩეულში დაბინდრებულია და საგულისხმოა, რომ მისი რთული და ტევადი პოეტური ფორმა გურამ ასათიანს ამგვარ შეფასებას უკარნახებდა: აზროვნების ბრწყინვალე ნიმუში.

თვალსაჩინოებისათვის ორადორ სტრიქონს მოიხმობდა: დრომ დაგვავალა, არა მარტივი გაგვეხსნა სული მზით და ჩრდილებით, — და სასწრაფოდ მოათავებდა მასზე მსჯელობას, რათა ლექსის ექსპრესიასა და შთამბეჭდავ სახეობრივ ფორმას არ შეეტყუებინა და პირვანდელ ჩანაფიქრს არ აცდენოდა, სულ სხვა კუთხიდან რომ განეზრახა სიმონ ჩიქოვანის ლიტერატურული პორტრეტის წარმოსახვა.

ინვევს ეს ლექსი ამგვარ ცთუნებას.

ორი დიდებული სული თითქოს სივრცეში შეხვედრიან ერთმანეთს და იმ იდუმალების ჩურჩულს მიეყურადებივართ, იმ უჩვეულო გზნებას, პოეტური სიტყვა არტისტული ხელოვნების გადმომთარგმნელად რომ ქცეულა, რათა ყოფითობაში ბოლომდე განგვაცდევინოს ამაღლებულიც და მისგან მოგვრილი აღმაფრენაც, მისი შარავანდის ძარღვს მიგვაკაროს. და ეს იმ შემოქმედისა, ასე რომ დაშვენდებოდა აღმტაც გამოთქმათა ნაკადი, და მათ შორის თუნდაც:

**გაგანდო ფიქრი კლასიკურ ბაგემ,  
თრთოლვით და რიდიტ ჩასწვდი შორეულს,  
ქართული სიტყვის ელფერს მიაგენ,  
როგორც ჰამლეტის სულის ორეულს.**

„კლასიკური ბაგე“ შექსპირს გულისხმობდა, ქართველი არტისტის წრფელი ხმით შეხება დიდი ინგლისელის წყლულებისადმი ამ ყველა დროის დრამატურგს ძალდაუტანებლად რომ დაარღვევინებდა დუმის და აუხსნიდა ბაგეს იმ საიდუმლოს გასამხელად, რაც სხვათათვის ამოქოლილი დარჩენილიყო.

მე შენ გინოდებ სცენის ჯადოქარსო, — ეს სტრიქონიც რომ გამოჩნდებოდა, იქვე რამდენიმე როლსაც გაიხსენებდა ამ ჯადოქრობის დასტურად.

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ჩვენი მწერლობა“ №18

ამგვარი ჩამონათვალი ყოველთვის რალაცას აკლებს ხოლმე მიძღვნილ ლექსს — ღვანლის დეტალური აღწერისათვის სხვა საშუალებანი სჯობს, უფრო განზოგადებული... და მაშ სიმონ ჩიქოვანს ასეთი შეცდომა რატომ უნდა მოსვლოდა, საკუთარი ხელით რომ დაემინებინა პოეტური აღმაფრენა?.. ცხადია, ეს მხოლოდ რიტორიკული შეკითხვაა, რადგანაც ამ რანგის შემოქმედი ლექსს ამგვარი ზედმეტობებით არ წაახდენს. და მართლაც:

— ძმაო, ჰამლეტ, ბრძენო ყვარყვარე, ბავშვო ურიელ!

ეს რა გამაოგნებელ შესიტყვებებში მოქცეულა უშანგი ჩხეიძის როლები და მათგან გამოწვეული შთაბეჭდილებანი.

ჰამლეტი ძმად რომ ესახება პოეტს, ჯერ ესეც მოულოდნელია, მაგრამ ურიელის სიბავშვე და სულაც ყვარყვარეს... ბრძენობა???

ნეტა ადრესატს რა განცდა გაუჩნდებოდა ამ სტრიქონების ჩაკითხვისას?..

ჩანვლომოდა მისი მეხოტბე ამ პერსონაჟთა სულიერებას, მათი სახეების არსს?

თუ ორიგინალობის სურვილს გაეტაცა და პერსონაჟთა ხასიათებს აცდენოდა და ძალიანაც აცდენოდა?..

თუკი ვერ წვდებოდა, მაშ ასერიგად რას აღეტაცა უშანგის თამაშით?..

მემუარები მემუარებად, და მსახიობი დაისაჭიროებდა თავისი თვითული მნიშვნელოვანი როლის შემოქმედებითი ბიოგრაფიის აღდგენას და ასე შეითხზებოდა ორიგინალური ციკლი, რომელიც სამ თეატრალურ ესეის გააერთიანებდა: „ჩემი ჰამლეტი“, „ურიელი“, „იაგო“ (ამ ორისა მარტოდენ ფრაგმენტები შემოგვრჩებოდა).

ხედავთ — აქ არა ჩანს ყვარყვარე.

სამაგიეროდ, სიმონ ჩიქოვანის ლექსში გამოტოვებულია იაგო.

მთლად არ ეთანხმებოდა მსახიობისა და მისი თაყვანისმცემლის შეხედულებანი?

ან ეგებ უშანგი აპირებდა კიდევ საგანგებოდ გაეხსენებინა ყვარყვარეს როლის შემოქმედებითი თავგადასავალიც?

ან პოეტისათვის იაგო — მიუხედავად არტისტული ოსტატობისა — არ აღმოჩნდა ის სახე, ერთი ეპითეტის წყალობით თავისებურად და მარჯვედ რომ განესაზღვრა და მხოლოდ ამიტომ მოერიდა მის ჩართვასაც იმ სტრიქონში?

ჰამლეტი ძმა იყო.

ურიელი — ბავშვი.

ყვარყვარე — ბრძენი.

ხოლო დროს დაევალებინა მათთვის არა მარტივი გაეხსნათ სული მზის და ჩრდილების, იმას — არტისტულად გაშლილი მანტიით და ამას — პოეზიის ქარტეხილებით.

— ძმაო, ჰამლეტო! — სიმონ ჩიქოვანმა.

„ჩემი ჰამლეტო“ — თვითონ მსახიობს ასე დაესათაურებინა ამ როლის შემოქმედებითი ბიოგრაფია და სახელწოდებიდანვე მიგვანიშნებდა, რომ დანიელი პრინცი ძმად და თვისად ელიარებინა.

აბა, კოტე მარჯანიშვილი არ გამოსჩენოდა.

მამინ ჰამლეტი მისთვისაც ოროფეხებზე შემდგარი, არაბუნებრივი ფიგურა იქნებოდა და არა ადამიანი, ადამიანი უბრალო, მაგრამ უაღრესად კეთილშობილი, როგორც ეს უცნაური კაცი შეაგონებდა და იმ თარგს სთავაზობდა, რომლის ნიაღშიც უნდა ამოფრქვეულიყო უშანგი ჩხეიძის ტალანტი.

დიდ აჟიოტაჟს გამოიწვევდა დასში უშანგის დანიშნვა ჰამლეტის როლის შემსრულებლად.

მისი ამხანაგები რომ შეიტყობდნენ, ისე შემოესოდნენ და მილოცვას მილოცვაზე დააყრიდნენ, ისე ეხვეოდნენ და კოცნიდნენ, თითქოს უკვე ეთამაშოს კიდეც.

რეჟისორის შინაური ადამიანები გაუმხელდნენ, ერთი ნელია „ჰამლეტის“ დადგმაზე ლაპარაკობს და ვერა და ვერ გადაეწყვიტა ვისთვის დაეკისრებინა მთავარი როლი, ხან ერთ მსახიობს ვურჩევდით, ხან მეორეს, მაგრამ ყველაზე უარს ამბობდა.

ერთ მშვენიერ დღესაც განუცხადებია: მოვნახე ჩემი ჰამლეტი და, აბა, თუ მიხვდებით, ვინ არისო.

შინაურები ერთმანეთს ასწრებდნენ მსახიობთა ჩამოთვლას, თან ცნობისნადილი ჰკლავდათ, ვინ იქნებოდა ის ბედნიერი. ვინ აღარ დაუსახელებიათ, გარდა... უშანგისა. და როდესაც კოტე მარჯანიშვილი გაამჟღავნებდა თავის საიდუმლოს, ყველას სახტად დატოვებდა.

არავის დასცდენია: უი, მართლაო!..

გონების თვალს რომ შეავლებდნენ უშანგის, შესაფერი-სად ვერ სცნობდნენ და, როგორც შემდგომ თვითონ მსახიობს გამოუტყებოდნენ, ამგვარ გადაწყვეტილებას ისინიც რეჟისორის უცნაურობას მიაწერდნენ.

შეკამათებას აზრი არა ჰქონდა — რეჟისორის სიჯიუტე მაინც თავისას გაიტანდა.

ამიტომ სინანულით გაიფიქრებდნენ: ჩაფლავება არ აცდებდა და ასეთი წარმატებული დასაწყისი შენი ხელით ასე როგორ გაგიმეტებიაო.

ეგეცაა — კოტე რომ სთხოვდათ, ჯერჯერობით ჩემი ნათქვამი საიდუმლოდ შეინახეთო, პირს არავინ გატყებდა და ამიტომაცაა, უშანგის რომ გაკვირთაც არაფერი ჩანვებოდა.

სარეჟისორო კოლეგიის სხდომაზე უთუოდ მძაფრი კამათი გაიმართებოდა. მართალია უშანგის არ შეუტყვია იქაური საუბრის შინაარსი, მაგრამ მიხვედრა შეიძლება იმ სიტყვებიდან, ერთ-ერთი რეჟისორი მოუხიდიებლად რომ განუცხადებდა: მე წინააღმდეგი ვარ შენი ახლავე ჰამლეტის თამაშისა, ჯერ ძალიან ნაადრევია შენთვის ამოდენა როლის თამაშით, — და ანუგეშებდასავით: მოვა მაგის დროცო.

ვინაობას არ გაგვიმხელდა იმ რეჟისორის, თუმცა ამას კი გვამცნობდა: მეგობრად მეგულებოდა, ძალიან მიყვარდა და მასაც არანაკლებ ვუყვარდი, ძალიან მაფასებდა, როგორც მსახიობს, და ყოველთვის ცდილობდა ჩემს წამოწევისას.

რა გასაკვირია, მის სიტყვებს უშანგიზე ძალიან რომ ემოქმედა და, ისედაც ძლიერ შეფიქრიანებული, კიდეც უფრო მძაფრ გულისჭიდილში ჩაეგდო.

როგორი გადასატანი იქნებოდა მისთვის მწარე მარცხი?

შესაძლოა ესა თუ ის როლი არ გამოგივიდეს, მაგრამ წინდანინვე რომ განწყობი ჩაფლავებისათვის, ეს მთლად საშინელებაა.

არადა, რა გინდა იღონო.

უცნაური კაცია თუ ვინ არის, თვით კოტე მარჯანიშვილი გთავაზობს ამ როლს.

შენც აქამდე სული გიკანკანებდა დიდი როლებისათვის.

ეგ კი არის, ოტელოზე ოცნებობდი და არა ჰამლეტზე, მაგრამ რანგი ორივესი ერთია და ბოლოსდაბოლოს გეცოდინება — კვლავაც ოცნებებს აჰყვე თუ ერთხელ და სამუდამოდ ირწმუნო, რომ მთავარი როლებისათვის არა ხარ

დაბადებული და დასჯერდე სცენაზე ტრიალსა და ფუს-ფუსს, და თუ ოინბაზობებსაც გადაეჩვევი, კიდეც უკეთესი.

ისე როგორ ჩარჩებოდა გულსა და გონებაში მეგობრად ნაგულეები რეჟისორის ეს მკაცრი გაფრთხილება, რომ ტრიუმფის გადახდის შემდგომაც, ამხელა დროის გადასახედიდან კიდეც გული ეთანადებოდა, რატომ წაუყურე ამ გულითად რჩევასო:

— ის რჩევა კი ძალიან ჭკვიანური და ანგარიშგასანევი იყო. მე რომ მეტი წინდახედულება და სულგრძელობა გამომიჩინა, რასაკვირველია, ასეთი როლის თამაშზედ მე მაშინ არ უნდა დავთანხმებულყავი და ჰამლეტი 1925 წელს კი არა, 1930 წელს უნდა მეთამაშა, იმ როლების შემდეგ, რომლებიც 1930 წლამდე ვითამაშე. მაგრამ ცდუნება იყო ძლიერი და ამიტომ თავშეკავებაც ძნელი აღმოჩნდა.

სახიერი ნიშნში დიდთა თავმდაბლობის!.. ხელშესახები დასტური უკიდურესი მომთხოვნელობისა საკუთარი თავისადმი!..

რაც უნდა გულისჭიდილში ჩავარდნილიყო, ჰამლეტის როლზე უარის მთქმელი არ გახლდათ და არა.

ქართული თეატრალური ხელოვნების, ჩვენი კულტურის საბედნიეროდ!..

რეჟისორი ურჩევდა, ურჩევდა კი არა, სულაც აუკრძალავდა ჰამლეტის ირგვლივ კრიტიკული ლიტერატურის გაცნობას: ბევრი შემცდარი აზრი არსებობს და ვაითუ შენზე ცუდი ზეგავლენა იქონიოს.

სული უსწრებდა მსახიობს სამეცნიერო გამოკვლევებში ჩასახედად?

დაე მას შემდეგ, რაც ჰამლეტის სცენური სახე მისთვის საბოლოოდ გამორკვეული იქნებოდა და სრულყოფილადაც ჩანვებოდა. ხოლო როდესაც ჰამლეტის ახალი სახე გამოძებნილი იქნებოდა და ახალი ტრაქტოვაც ათვისებული, რამდენიც გნებავდა გეკითხა სამეცნიერო შრომები თუ კრიტიკული თხზულებანი. ხოლო „ჰამლეტის“ როგორც ქართული, ისე რუსული თარგმანები რამდენჯერაც სურდა, იმდენჯერ გადაეკითხა.

ვიდრე სამზადისი დაიწყებოდა, ეს ათჯერ მაინც გადაიკითხავდა პიესის ქართულსა და რუსულ ვერსიებსაც და... ყოველგვარ კრიტიკულ ნაშრომს, რასაც კი სადმე მიაგნებდა.

თავში ყველაფერი აერეოდა?

აბა, რა მოუვიდოდა, მთლად ქაოსი დაუტრიალდებოდა გონებაში, ერთბაშად ჩაყურყუმელავებით წიგნთა ჭაში.

— ხუთი დღე-ღამის განმავლობაში ჩემს თვალს ძილი არ მიჰკარებია არა იმიტომ, რომ ფზიზლობდი, არამედ მეტი აღგზნებისაგან ვედარ ვიძინებდი.

იმხანად ციებაც დაერთვოდა და ყოველდღე ტემპერატურა უმატებდა, რაც კიდეც უფრო უძლიერება ნერვულ აღგზნებას.

მთავარი მაინც ისაა, რომ:

— ჩემში ვიგრძენი დაუსრეტელი ენერჯის მოზღვავება და უკვე მეჩქარებოდა მუშაობის დანყება.

კოტე მარჯანიშვილი ჩინებული ფსიქოლოგიც რომ გახლდათ — ერთბაშად რომ დაატეხა თავს ჯერაც გამოუცდელ მსახიობს ამხელა როლი და დრო არ დაუტოვა შესაჩვენად. დაე აჩქარებულ დროსაც აღნთო და გამოაგნებელ განცდებში ებორიალებინა, და მთელი არსების ყოველი კუთხე-კუნჭული ექსტრემალურ ყოფაში მთელი ძალით ამოქმედებულყო. ჩახმახივით შემართული მსახიობის წინაშე კი შეუძლებელიც შესაძლებლად გადაიქცეოდა.

ერთიანად შთანთქავდა ამ როლზე ფიქრი — ფიქრობდა ქუჩაში, სასადილოში, სანოლოში, ფიქრობდა დღისით და ღამით. ხშირად ცდილობდა ფიქრი სხვა რამეზე გადაეტანა, მაგრამ თვალწინ კვლავ და კვლავ ჰამლეტის ბუნდოვანი სახე აესვენებოდა ხოლმე და არ აძლევდა მოსვენებას.

— მან ამომავდო ჩემი ჩვეულებრივი ცხოვრების კალაპოტიდან.

პიესის კითხვა რომ დაინიშნებოდა და როლების განაწილება, მეტად საგულისხმო ფსიქოლოგიური დეტალის შემსწრენი უნდა გაეხდეთ.

აგერ ჰამლეტის როლზე ასახელებს უშანგი ჩხეიძეს.

ყველამ უკვე იცის ეს გადაწყვეტილება, არავისთვის, არავისთვის არ არის ახალი.

და მაინც, უშანგი სირცხვილს იგრძნობდა, ჩაიმალებოდა და ჩაიკარგებოდა.

ეს იმგვარი „წერილმანია“, სახიერად რომ წარმოაჩენს ხოლმე პიროვნულ ბუნებას.

რეჟისორი ილაპარაკებდა პიესაზე, ცალკეულ როლებზე და, ცხადია, ჰამლეტზეც, მაგრამ სირცხვილში ჩაძირულ უშანგის ერთი სიტყვა რაა, ერთი სიტყვაც არ დაამახსოვრებოდა. არსებითად მგონი არც არაფერი უსაუბრიაო, თავს ინუგეშებდა და დაელოდებოდა იმ დღეს, როდესაც კოტე მარჯანიშვილი ცალკე მოელაპარაკებოდა ჰამლეტის მოსალოდნელი სცენური სახის გახსნაზე.

ის დღეც რომ დადგებოდა და უშანგი რეჟისორს შინ ეწვეოდა, იგი ძალზე ცოტას ილაპარაკებდა ჰამლეტის ხასიათზე, ბევრ მსახიობს რომ განესახიერებინა, ზოგს რეზიონიორად, ზოგს გმირად, ზოგს ნევრასტენიკად და ავადმყოფად და, ვინ იცის, კიდევ რას აღარ თამაშობდნენ.

უშანგის ეს ყველაფერი უნდა დაევიწყებინა, არ უნდა მისდგომოდა ამ სახის გახსნას ასე და არცერთ კატეგორიაში არ მოქცეულიყო.

— უპირველეს ყოვლისა, ვეცადოთ, რომ ის იყოს ადამიანი, ადამიანი, რომლის სიმართლეს და სისპეტაკეს ჩვენ უსათუოდ ვინამებთ, როდესაც მას უფრო ახლოს გავეცნობით.

შემდეგ გადაუშლიდა წიგნს და მიუთითებდა, წაეკითხა ჰამლეტის პირველი მონოლოგი: რად არ მემშლება ეს სხეული ესრეთ მაგარი? რად არ გადნება და ცის ნამად რად არ იქცევაო...

ჰკითხავდა: როგორ გესმის ეს მონოლოგიო.

ალაპარაკებდა.

თვითონაც აუხსნიდა და კიდევ წააკითხებდა.

მესამე წაკითხვისას ეტყოდა: აბა, ახლა ცოტა განწყობილების მიცემა ვსინჯოთო.

მეოთხედ კი შესთავაზებდა: ახლა ადექი და ეცადე გადმომოცე მისი სულიერი მდგომარეობა, გააკეთე, რაც გასურდეს, რაც გინდოდესო.

მოუსმენდა, შეაქებდა, გაუსწორებდა და: ამხანად გვეყოფა, დავისვენოთო.

არამარტო რეჟისორის შემოქმედებითი ლაბორატორიის კარი გაგვისწნეს თითქოსდა იოლად და სასხვათაშორისოდ, არამედ საკმაოდ რთული პროცესის შემსწრე გაგვხადეს. ეს ხომ რიგითი შემთხვევა არ არის კოტე მარჯანიშვილის ბიოგრაფიაში — აშკარა რისკზე მიდის, თითქოს ბედისწერას ეთამაშება, როდესაც სრულიად გამოუცდელ ახალგაზრდა კაცს ამხელა პასუხისმგებლობას ჰკიდებს მხრებზე — ჰამლეტის როლი ხომ თავისთავად, და ამასთან

უკვე ჩაფიქრებული აქვს, რომ სწორედ უშანგი ჩხეიძე მოაქციოს თავისი თეატრის შუაგულში, მასზე ააშენოს ახალი თეატრალური მიმართულება.

რეჟისორის მოქმედებაში უპირველესად დიდი სიფაქიზე და თავდაჭერილობა იქცევის ყურადღებას. მარტოდენ თავის მდიდარ გამოცდილებას ვეღარ იკმარებს და რაღაც ახალი ხერხებიც უნდა მოიშველიოს, ფსიქოლოგის გუმანმა ბოლომდე უნდა გაუჭრას და... ან დიდ წარმატებას მიაღწიოს და შექმნას საკუთარი თეატრი და... ან მწარე მარცხის შემსწრე გახდეს, რის შემდეგაც აქ აღარ დაედგომება.

რას წარმოიდგენს, რომ დიდი გამარჯვების შემდგომაც ამოუკვეთავდნენ ფეხს ჯერ თბილისიდან, და მერე სულაც საქართველოდან. ეს უკვე მას მერე, რაც ქუთაისში გაძევებული ხელახალი ტრიუმფით დაუბრუნდებოდა დედაქალაქს.

აუხსნელია გზანი უფლისანი!..

განწირულიყო კოტე მარჯანიშვილიც.

უშანგი ჩხეიძეც რომ განწირულიყო!..

მარჯანიშვილთან ერთად დასრულდებოდა მისი ასერიგად წარმატებული არტისტული კარიერა.

თუმც მოსწრებით ხომ მაინც მოასწრებდნენ თავისას.

ჯერ კი ეს სურათი გალანდულა ჩვენს თვალწინ:

კოტე მარჯანიშვილი — თავდაჯერებული.

უშანგი ჩხეიძე — შეფიქრიანებული: რაღა მე დამადგა თვალი ამ უცნაურმა კაცმაო.

ახლა შეისვენებდა, და რეჟისორი ამბების მოყოლას რომ დაიწყებდა, თითქოს მის გასახალისებლად ანდა უზრალოდ, საღერღელი აემლებოდა იმ მრავალი შემთხვევის გასახსენებლად, თუ ვინ ენახა ამ როლში გამოჩენილ და დიდ მსახიობთაგან, და მათი თამაშის ეპიზოდებსაც ეშში შესული მოაყოლებდა... ვითომ... და მხოლოდ მოგვიანებით გაცნობიერებდა უშანგი, რომ ამასობაში რეჟისორს შეუმჩნევლად შემოეპარებინა ჰამლეტის მრავალნაირი გაგება.

ასე სჯობდა, ვიდრე შეუვალად მოეთხოვა: ასე და მხოლოდ ასე ითამაშეო.

თარგი ზოგადი უნდა ყოფილიყო, ზუსტი ორიენტირით — ადამიანური, ერთობ ადამიანურიო — გაკვალული, და ბევრი რამ უკვე მსახიობზე ეკიდა, როგორ შეასხამდა



უშანგი ჩხეიძე ყვარყვარე თუთაბერის როლში



ხორცს ორიგინალურ და გაბედულ ჩანაფიქრს იმ რეჟისორისა, ვისაც ეგონა, ჩემს ნავსაყუდელს მივალნიე და მევალება აქ მტკიცედ დავმკვიდრდეთ.

ამ ყოველივეს კი მოგვიანებით გააცნობიერებდა უშანგი, მაგრამ შინაგანი მღელვარება უკვე ჩაუცხრებოდა, იგრძნობდა, სრულიად დაწყნარებული ვარო; და როდესაც რეჟისორიც შეატყობდა დამშვიდებლას, უკანასკნელად სთხოვდა, კიდევ ერთხელ წაეკითხა მონოლოგი, და კიდევ გაათავისუფლებდა.

რეპეტიცია მეორე დღეს იყო დანიშნული.

უშანგი მოელოდა, რომ რეჟისორი ამ მონოლოგიტ დაინწყებდა რეპეტიციას, მაგრამ მოულოდნელად იგი ტახტზე მეფის ასვლის სცენას ამჯობინებდა, მეფის სახეს მეტად საინტერესოდ გახსნიდა და სპექტაკლშიც წინ წამოსწევდა, და უშანგიც ჩახვდებოდა ამგვარი გადაწყვეტის მიზეზს: ამით უფრო გაამახვილა ჰამლეტის ბრძოლა მის წინააღმდეგ, გაამართლა, რადგანაც გმირს ძლიერი მოპირდაპირე დაუყენაო — ყოვლად ზნედაცემული, გარყვნილი, ფლიდი და მძიმარა ადამიანი, მაგრამ პატივმოყვარე, არაფერს და არავის რომ არ დაზოგავდა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ჰამლეტთან საუბრისას კი მორიდებულობას ამჯობინებდა, დიპლომატიკას, მგლოვიარედ აჩვენებდა თავს და ფრთხილად ეძებდა მასთან საერთო ენის გამონახვას, სინჯავდა მასთან მისასვლელ ნიადაგს, ყველაფერს ცდილობდა მის მოსადუნებლად.

უშანგი პირველ რეპეტიციებზე ვერ მოერეოდა სიმორცხვეს და, შებოროკილს, ისიც ეგონა, ხელების ხმარებასაც ვეღარ ვახერხებ ხეირიანად. ისეთი განცდა დაეუფლებოდა, სასონარკვეთების არაფერი უკლდა და დამსწრე მსახიობებისაკენ აპარებდა მზერას... და გამხნევედებოდა, როდესაც არცერთი მსახიობისაგან არცერთ შეურაცხმყოფელ სიტყვასაც არ მოისმენდა და არცერთ ორაზროვან გამოხედვასაც არ დაიჭერდა.

— ატმოსფერა ირგვლივ არაჩვეულებრივი იყო.

მოშურნენი თუ მეტოქენიც მოიძებნებოდნენ? უამისოდ არ იქნებოდა, მითუმეტეს, ერთი აკვრით სად ავარდნილიყო, მაგრამ ისინი ჩაკარგულიყვნენ იმ მსახიობთა შორის, რომელთაგანაც დიდ სიყვარულს იგრძნობდა, იშვიათ სათუთ და მეგობრულ მოპყრობას. თვით ასეთ გულითად გარემოცვაშიც განსაკუთრებული მეგობრული რჩევა-დახმარება დაამახსოვრებოდა აკაკი ვასაძის მხრივ, მეფის როლის შემსრულებლისა. მისგან აკი ყოველთვისაც სიტბოს გრძნობდა და არც ამჟამინდელ აღზევებას გაუუარესებია კეთილი ურთიერთობა.

კოტე მარჯანიშვილს რომ საერთოდ სჩვეოდა სიმკაცრე მსახიობების მიმართ?

ამჯერად უშანგისადმი არაჩვეულებრივ სიფრთხილეს იჩენდა და განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობოდა.

გარდამტეხი სპექტაკლი მზადდება საკუთრივ მისი თეატრის შესაქმნელად.

„ცხვრის წყაროს“ მსგავს ფურორს დროდადრო ყოველთვის მოახდენდა, მაგრამ ეს ხომ იქნებოდა ცალკეულ წარმატებულ სპექტაკლთა რიგი და არა კოტე მარჯანიშვილის თეატრი, რომელიც სულ სხვა მოვლენად უნდა წარმომდგარიყო, მისი ჭაპანი კი უპირველესად ამ ახალგაზრდა კაცს უნდა გაენია, შემოჭილობისაგან ხელების მოძრაობაც რომ უცნაურად გაძნელებოდა და ღმერთს შესთხოვდა გუნებაში: ეგებ დამინუნებდეს და უფრო შესაფერის როლებს შემირჩევდესო.

ეს ფიქრი ასე პირდაპირ არ გადასულა მის მემუარულ ჩანაწერებში, თუმცა სტრიქონსა და სტრიქონს შუა ისე მკაფიოდ მოჩანს, თხრობის მდინარეებს სულაც ფარავს. და ეს იმიტომაც, რომ იმჟამად უკიდურესობამდე გამახვილებოდა ავადმყოფური თავმოყვარეობა. არ მოერიდებოდა ამის აღნიშვნას და მიზეზსაც გაამჟღავნებდა: დაეჭვება საუკუთარ თავში, საკუთარ ნიჭში. შემდგომ და შემდგომ კი რაც უფრო რწმუნდებოდა საკუთარ ძალაში, მით დამშვიდებულ და თავმდაბალი ხდებოდა.

და კიდევ ერთი დეტალი მისი გულახდილი, წრფელი ბუნებისა:

— ეჭვიანი ყოველთვის დაერჩი და ნაცნობის თუ უცნობის ქებასაც არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევდი არასოდეს, რადგანაც თეატრში, სამწუხაროდ, პირში ქება და ზურგს უკან გინება ჩვეულებრივია.

თვითონ სადაც უხდებოდა ყოფნა, იმ გარემოს მიხედვით განსჯიდა და ეგონა, რომ ამგვარი ორმაგობა, ორპირობა მხოლოდ იქ ხდებოდა, თორემ სხვა სარბიელზე ადამიანები ასეთ უზნეობას არ კადრულობდნენ.

როდესაც ტახტზე ასვლის სცენა ასე თუ ისე მოიხაზებოდა, რეჟისორი ახლავდა მოინდომებდა ჰამლეტის პირველი მონოლოგის მოსმენასაც.

— მონოლოგი უკვე საკმაოდ მქონდა დამუშავებული, სათანადო განწყობილებითაც წაეკითხე და მარჯანიშვილმაც ძალიან შემაქო.

მეორე რეჟისორი მოინდომებდა რალაც შენიშვნის მიცემას მსახიობისათვის, მაგრამ მთავარი რეჟისორი შეაჩერებდა:

— თავი დაანებე, დაე თვითონ იაროს, ძალდატანება არ არის საჭირო.

იმ წუთას უშანგის ეგონა, მარჯანიშვილს ჰამლეტის სახე მთლად მკაფიოდ არა აქვს ჩამოყალიბებული. მერე უნდა მიხვდეს, რომ რეჟისორს ეს სახე გარკვეულიც ჰქონდა, მოფიქრებულიც და ზედმინევენით დამუშავებულიც. დიახაც, ზედმინევენით. ეგაა, ამ შემთხვევაში მსახიობს არ მოახვევდა თავს საკუთარ ტრაქტოვკას, მიუშვებდა თავის ნებაზე, თავისუფლებას მიანიჭებდა, გასინჯავდა, თუ რას გააკეთებდა, საით წავიდოდა...

ამ შემთხვევაში...

თითქოს საკუთარ თავს ემიჯნება რეჟისორი, საკუთარ სტილს გადაუხვევს.

ნაცვლად მისი მტკიცე ნებისა, სცენაზე უშანგი-ჰამლეტის ნებამ უფრო უნდა იმოქმედოს.

დაისახა მსახიობის თამაში როლის თავისებური გაგება? გუმანით დამოუკიდებელ და ორიგინალურ გზას დაადგა? არ ჩაერეოდა რეჟისორი, შენი გააზრება შეიცვალა და ჩემი სქემა მოირგო — თვითონვე გამოჰყვებოდა მსახიობის მიერ არჩეულ გზას და ამ განხრით დაუნწყებდა შესწორებასა და დახმარების აღმოჩენას, რის უნარსაც დაინახავდა ახალ ჰამლეტში, იმის გაღრმავებასა და სრულყოფას შეუდგებოდა.

— და, როგორც როლის მომზადების პროცესში ვამჩნევდი, მან ჩემში, როგორც აქტიორში, მისთვის სრულიად მოულოდნელი თვისებები აღმოაჩინა (მაგალითად ლირიკული ადგილების სიძლიერე), რამაც, ალბათ, ძირიან-ფესვიანად შესცვალა მის მიერ განზრახული ჰამლეტის სახე.

რას ნიშნავს გონების დინამიზმი და დაუმცხრავალი სწრაფვა სიახლისაკენ, როდესაც, შემოქმედებითი ყინით

ატანის, ნაირ-ნაირი იდეები რომ გეზადება, არ გიძნელდება მათი უარყოფა, თუნდაც დანაწევრებით გააყოლებდე თვალს უარყოფილთ. რაღაც ყალიბში თუ ჩაიჭედები, რაღაც სიახლისაკენ სწრაფვა ყოფილა.

ორმა დიდმა ხელოვანმა, ერთმა — გამოცდილებითა და ინტუიციით, მეორემ კი ახალგაზრდული ჟინითა და ინტუიციით, ერთმანეთს ხელი არ უნდა შეუშალონ და ასე გაამდიდრონ ერთიმეორე.

თან დაუჯერონ ერთმანეთს, თან თავთავის ფიქრს გაედევნონ.

ეს როგორ უნდა მოხდეს?

სულიერი შეხვედრით სივრცეში, შემოქმედებითი აღმაფრენის გადაკვეთაზე.

განახლება ან სიკვდილი, — ლოზუნგად მოემარჯვებინა გალაკტიონს.

ლოზუნგადვე არ გაუმეორებიათ კოტე მარჯანიშვილსა და უშანგი ჩხეიძეს, მაგრამ შინაგანად მათაც ეს განცდა და სწრაფვა ასულდგმულებად.

ძველის ტყვეობაში დარჩენას მათაც სიკვდილი ერჩივნათ.

რეჟისორის ახლობლებისაგან შეიტყობდა, თითქოს სულ სხვაგვარად რომ ჰქონია ეს სახე მოფიქრებული და განზრახული — როგორც ადამიანის თავის ქალა, ნილაბი... — რას გულისხმობდა ასეთ გააზრებაში, — ჩაეძიებოდათ უშანგი, მაგრამ ახსნით ვერავინ აუხსნიდა და მსახიობი ისევ თავისთვის იმარჩილებდა, შესაძლოა სურდა მაყურებლისათვის ეს ტრაგიკული გმირი შეეთავაზებინა როგორც ინტელექტის სიმბოლო.

უშანგი თან გრძობს თავის მომავალ სცენურ სახეს, თან ბუნდოვანებაშიც ინთქმება. მასაც გადაეღობებოდა ის საყოველთაო დაბრკობება, როდესაც მსახიობი ჰკარგავს იმ სახესაც კი, რომელიც შეექმნება ხოლმე პირველი შთაბეჭდილებით ნაწარმოების გაცნობისთანავე.

ამიტომაც გადანწყვეტდა, აეღო მხოლოდ ტექსტი, ერთიანად გამოსცლოდა კრიტიკულ ლიტერატურაში უკვე ცნობილ და გარკვეულ სახეებს (აკი ურჩევდა რეჟისორი, ნურც ნაიკითხავო. ნეტა თავის დროზევე დაეჯერებინა!) და მარტოდენ ტექსტის შემწეობით გაეხსნა ჰამლეტის მოქმედებათა მამოძრავებელი ფაქტორები, წარმომშობი მიზეზები.

— ამელო ნაწარმოები, როგორც ჰამლეტის პიროვნების ტრაგედია, — რათა ამით ადვილი ასათვისებელი, ადვილად მისანვდომი გამეხადა და არა იმთავითვე მეძებნა ყოველი მოვლენის წარმომშობი საკაცობრიო მიზეზები.

აქამდე აზიდვა შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჰამლეტის მწუხარება თუ სიხარული მსახიობის საკუთარ გრძობებზე და გადაიქცეოდნენ, როდესაც უშანგი დანიელი პრინციის ყოველ მოქმედებას, ყოველ გადადგმულ ნაბიჯს დანახავდა აუცილებელ და ბუნებრივ მოვლენად, როდესაც მისი გონებით იაზროვნებდა, მისი თვალთ მიმოიხედავდა და მისი ყურით მოისმენდა.

ეს ყოველივე — თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ, რათა შესისხლხორცება ბუნებრივად მომხდარიყო, აჩქარების გარეშე.

ასე უნდა გათქვეფილიყო ჰამლეტის განყენებული ბუნდოვანი სახე უშანგის არსებაში, შთანთქმულიყო, ჩამალულიყო, და მის ნაცვლად წამოზრდილიყო თვითონ უშანგი, უკვე ახლებურად ხორცშესხმული ადამიანი.

— ამის შემდეგ უკვე ჰამლეტის ყოველი მოქმედება შეიძლება განზოგადებამდე აგვეყვანა, რაც თვითონ ჰამლეტის თვისებას შეადგენს.

გათქვეფა, შთანთქმა, ჩამალვა...

ადვილად ითქმის, მაგრამ ადვილად ვერ აღსრულდებოდა, უშანგის ყველგან და ყოველთვის ეს როლი რომ არ აჰკვიატებოდა. როგორც კი მარტო დარჩებოდა, ან თუნდაც ხალხში მყოფი უეცრად მარტოდ იგრძნობდა თავს, თუგინდ ქუჩაშიც, ცდილობდა გაეხსენებინა პიესის ესა თუ ის ადგილი და გამოენვია თავის სულში შესაფერისი განწყობილება. ამასთან, ყოველ დილით, გაღვიძებისთანავე რამდენიმე ამოცანას გადაჭრიდა ხოლმე, რათა ისე გაეეზარებინა თავისი შინაგანი ტექნიკა, რომ რაც შეიძლება სწრაფად შეძლებოდა ერთი განწყობილებიდან მეორეზე გადასვლა.

საგულისხმოა პირველ გენერალურ რეპეტიციაზე რეჟისორის მოულოდნელი, მაგრამ ღრმად გააზრებული მოქმედება, უშანგი-ჰამლეტი კიბის თავზე რომ გამოჩნდებოდა, მოესმოდა ყვირილი და ზარის ხმა. კოტე მარჯანიშვილი ამოვარდებოდა სცენაზე, გადაუღელავდა მკერდს, გაუხსნიდა სახელოებს და საერთოდ აუშლიდა მთელს ტანსაცმელს.

უშანგი ჩხეიძის მემუარული ჩანაწერის ამ პასაჟს, ისევე, როგორც ჰამლეტის არსებად გარდასახვის პროცესს, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა ედიშერ ყიფიანი და სიტყვა-სიტყვითაც შეიტანდა თავის მოთხრობაში.

შეეძლო, ცხადია, ეს ყოველივე სულ სხვაგვარად მოეყოლა, ძარღვი შეენარჩუნებინა და სხვა მხატვრული ქსოვილი მოერგო, მაგრამ „მწვანე ფარდა“ ისე ჩაეფიქრებინა, რომ ცდილობდა უკიდურეს წვრილმანებამდე ყოფილიყო ახლოს ყოფით რეალობასთან. სიუჟეტური ქარგა რომ შეეთხზა, ესეც საკმარისი იყო, და უჩა არგვეთელის სახის ირგვლივ ყველა დეტალის შენარჩუნებას რომ მოინდომებდა, საამისოდ მსახიობის მემუარული ჩანაწერები სწორედ მისწრება გახლდათ.

ეს პასაჟი მართლაც არაა ხელიდან გასაშვები.

ეს თუ გამოგრჩება, რითი გინდა ასწიო ამ ორი პიროვნების ურთიერთობა?!

და ედიშერ ყიფიანი თითქოს თვალნათლივ შეჰყურებდა კოტე მარჯანიშვილის ავარდნას სცენაზე, უშანგი-ჰამლეტს მკერდს რომ უღელავდა, სახელოებს უხსნიდა და მთელს ტანსაცმელს უჩჩევდა.

მსახიობი საესებით გაამართლებდა რეჟისორის ამგვარ საქციელს: რასაკვირველია, ასეთ განწყობილებასა და მდგომარეობაში ჰამლეტი არ შეიძლება ყოფილიყო კოხტად და წესრიგზე მორთული, — მაგრამ მთავარი აქ მანინც ეს აჭრია სცენაზე. ხომ შეიძლება რეჟისორის წინასწარვე ეზრუნა მსახიობის სამოსის აჩქვავაზე. მაგრამ მაშინ ექსტრემალურ სიტუაციაში ველარ ჩააყენებდა — არეულ ტანსაცმელს არეული განწყობილებაც რომ სჭირდებოდა, ეს ამ ერთბაში მოქმედებით უნდა მომხდარიყო, უშანგი-ჰამლეტს სულისმოთქმის დროც რომ აღარ რჩებოდა.

ამისთანა დეტალებით გადავსებულია ეს თეატრალური ესეი, ჩინებული სახელმძღვანელო უმცროსი, საშუალო და უფროსი ასაკის მსახიობებისა და რეჟისორებისათვის (და მწერლებისთვისაც, როგორც ირკვევა!) და ყველა რეალიასა თუ ფსიქოლოგიურ დაკვირვებას ველარ გაეყვებით. დაევიკმაროთ ის პასაჟი, როდესაც პოლონიუსის შეკითხვაზე:

— რასა კითხულობთ, ხელმწიფის შვილო?

ჰამლეტი მიუგებს:

— სიტყვებს, სიტყვებს, სიტყვებს!

ეს სტრიქონები უამრავ მკვლევარს აფიქრებდა და აღლევებდა, როგორ აეხსნათ, როგორ განემარტათ. ჩხრეკდნენ, ეძიებდნენ, სხვადასხვაგვარ ვერსიებს სთავაზობდნენ მკითხველს (უშანგი ჩხეიძეს ეს განმარტებანიც დააბნევედა და თავს კიდევ ერთხელ უსაყვედურებდა: რა მრჯიდა, ნეტა სულ არ გადამეფურცლა, ვიდრე ჩემით არ ვიგუმანებდი შექსპირის ნაგულისხმევსო) პასაჟი კი კვლავაც ბუნდოვანი რჩებოდა და ამა თუ იმ რეჟისორსა და მსახიობზე ეკიდა, როგორ ინტერპრეტაციას ამჯობინებდა.

არამცთუ მკვლევარები, სოლ ბელოუც ვერ შეიკავებდა თავს, ამერიკელი ნობელიანტი მწერალი, და რომანში „მისტერ სამლერის პლანეტა“ საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა დანიელი პრინცის ამ პასუხს:

— სიტყვა სჭირდებათ მოხუცებს ან ახალგაზრდებს, ადრე რომ დაბერებით გული. რა თქმა უნდა, ეს პრინცის ბუნებრივი მდგომარეობაა, რომელსაც მამა მოუკლეს, მაგრამ როდესაც ადამიანი უსიცოცხლო და უსარგებლო ლაპარაკის სიძულვილიდან კეთილშობილ ქმედებებზე გადაინაცვლებენ, აცნობიერებენ კი, თუ რას აკეთებენ?

მწერალი გააგრძელებდა ამ აზრის გაღრმავებასა და განზოგადებას („როდესაც ისინი სისხლისღვრისკენ მოუწოდებენ და ტერორის დამცველებად გვევლინებიან, როდესაც ისინი გვთავაზობენ, გავტეხთო ყველა კვერცხი, რათა გავაკეთოთ დიდებული, ისტორიული ომლეტი, ხვდებიან კი, რასაც მოგვიწოდებენ? როდესაც ისინი სარკეს ჩაქუჩით იმიტომ ამსხვრევენ, რომ შემდეგ შეაკეთონ, შეძლებენ კი ყველა ნატეხის შერთებას?“), რასაც ძალდაუტანებლად ინვესტა ჰამლეტის გარეგნულად უცნაური, სინამდვილეში კი ღრმააზროვანი პასუხი თავისი დაუსრულებელი ასოციაციებით.

უშანგი-ჰამლეტი კი, ვინც სულაც არ ცდილობდა პოლონიუსისათვის თავი გიჟად მოეჩვენებინა, არამედ მხოლოდ ათამაშებდა მას, რადგანაც ამჩნევდა პოლონიუსის საუბრის ნამდვილ განზრახვას და თანაც ხედავდა, რარიგ უხეშად აფათურებდა ეს კაცი ხელებს მის სულში, შეკითხვის პასუხად პირველ „სიტყვებს“ ამბობდა თითქოსდა სხვათა შორის, უმნიშვნელოდ, თავისთვის, იმ აზრით, რომ კითხულობდა მხოლოდ ცარიელ, ლიტონ სიტყვებს; შემდეგ კვლავ განაგრძობდა კითხვას, მაგრამ როდესაც იგრძნობდა, პოლონიუსი კვლავ თავზე მადგასო, და შეხედავდა მის გაკვირვებულ, დაბნეულ სახეს, ისევ ეტყოდა ხელმოკრედ „სიტყვებს“, თითქოს სურდა შეესმინა მისთვის: ნუთუ ვერ გაიგე, მხოლოდ სიტყვებს ვკითხულობო. მაგრამ როდესაც პოლონიუსი კვლავ განაგრძობდა გაკვირვებულ დგომას, უკვე გულმოსული პასუხობდა მესამედ — „სიტყვებს“!

ხედავს, რაოდენი მნიშვნელობა მიენიჭებინათ რეჟისორსა და მსახიობს ამ პასაჟისათვის, და მსახიობი რამხელა ოსტატობით ასრულებდა პერსონაჟის სულის მოძრაობას.

სულ უფრო და უფრო იკვეთებოდა უშანგი, როგორც საუკეთესო ჰამლეტი, და სარეპეტიციო დარბაზში თავმოყრილი მსახიობები სუნთქვამკერულნი რომ ადევნებდნენ მზერას ყოველ მოქმედებას და ღიმილით გასხვივონებულ სახეებზე მხიარულების ცრემლები ჩამოსდიოდათ, საქებარ სიტყვას არ იშურებდნენ მთავარი როლის შემსრულებლის მიმართ.

ესმოდა ეს სიტყვები რეჟისორს და უშანგიზე ნაკლებად არ ხარობდა.

თვითონ მარჯანიშვილიც როგორ შეიჭრებოდა ხოლმე როლებში და, მკერდგაღელილს შეეძლო ეთამაშა ჰამლეტიც, ეთამაშა მეფეც, თვით ოფელიაც ეთამაშა.

როგორ ასრულებდა ამ როლებს?

თურმე ცუდად, ძალიან ცუდად, მაგრამ... მაინც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა დასის ნევრებზე.

— ამ ჩვენების დროს ნახევარ სიტყვებს არც ამბობდა, მოძრაობა და ჟესტიკულაცია ჰქონდა თითქმის სასაცილო და საერთო შთაბეჭდილება მაინც რჩებოდა დიდი.

დიდი იმიტომ, რომ სურათის გარეგნულ კომიზმს განცდის ტრაგიზმი ფარავდა.

უშანგის განსაკუთრებით სამი ადგილი ჩაებეჭდებოდა წარუშლელად მესხიერებაში: მეფის მონოლოგი მეორე მოქმედებაში („რა საზარი ცოფვა ვიტვირთე“), ჰამლეტის სცენა დედასთან და ოფელიას შეშლილობის სცენა.

— სამივე ამ სცენაში მე არასოდეს დამავინწყებია ის, შეიძლება პატარა აქტიორი, მაგრამ დიდი მხატვარი, რომელსაც თავისი თამაშით ხშირად აღტაცებაში მოუყვანია აქტიორებით გაჭედილი სარეპეტიციო დარბაზი.

რა შეუძლია, არა, ექსტაზის ამოფრქვევას!..

ოფელიას შეშლილობას ახსენებდა და... როგორ არ დამატებინა, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო როლი გახლდათ ვერიკო ანჯაფარიძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, ღრმა ლირიზმითა და დიდი გრძნობით გაჟღენთილი, და ასეთი კეთილშობილებისთვისაც სხვაგან არსად მიეღწია.

ხშირად ხედავდა ხოლმე მესამე მოქმედებაში გამოსვლის წინ, სცენის მარჯვენა მხარეს, პატარა, ოთახის მსგავს „ბუდეკაში“, სადაც თავჩალუნული იჯდა, ყვავილებითა და ბალახებით ხელში, და უშანგი ატყობდა, თუ რარიგ ცდილობდა მთელი ყურადღების მოკრებას, რათა გარდასახული გასულიყო სცენაზე.

ვერიკოს კი თავის მხრივ არასოდეს ავიწყებოდა, რომ როდესაც უშანგი-ჰამლეტი კითხულობდა მონოლოგს „ყოფნა, არყოფნა“, როგორ მოჰკიდებდა კოტე მარჯანიშვილი ხელს ოფელიას, გვერდით მოისვენა და მთელი მონოლოგის განმავლობაში ხელზე ხელი ექნებოდა მოჭერილი, სველი, მღელვარებისაგან გაცივებული ხელი.

ეს იმიტომაც, რომ ამ მონოლოგს ბევრწილად უნდა განესაზღვრა სპექტაკლის რიტმიც და ტონალობაც.

მარჯანიშვილის საუკეთესო სპექტაკლებს შორის „ჰამლეტი“ ყველაზე ნაკლებ დასრულებულად მიაჩნდათ?

უშანგი არ თაკილობდა ამ შეხედულებას, ის კი არა, საცხებით იზიარებდა, მაგრამ დასძინდა:

— ამავე დროს ის არის ყველაზედ საინტერესო ნამუშევარი, რომელიც გემოვნებით, კეთილშობილებით და ორიგინალური ტრაქტოვით გაცილებით მაღლა დგას მის დადგმულ ყველა პიესაზედ.

ხოლო თუ რა დიდი აღფრთოვანება გამოეწვია „ჰამლეტის“ გამოტანას სცენაზე, პროფესიონალებშიც და რიგით მაყურებლებშიც, თვალსაჩინოებისათვის მოიხმობდა არა ოფიციალურ რეცენზიას („...რომელიც ხშირად ტენდენციურია და არაგულწრფელი, ან უვიცი“), არამედ კერძო წერილს ხელოვანისა, ვისაც წრფელი სიხარული და აღტაცება განეცადა ჯერ კიდევ გენერალურ რეპეტიციაზე და ბუნებრივად დაბადებულა სურვილი, ეს სიხარული გაეზიარებინა მათთვის, ვინც იყვნენ ამ უჩვეულო, განსაცვიფრებელი განცდის გამომწვენი.

აკაკი ფალავას ეს ბარათი, დათარიღებული 1925 წლის 12 ნოემბრით, მართლაც ჩინებული ნიმუშია ეპისტოლური მეგვიდრეობის, ესეის რანგში რომ ადის ხოლმე უღრმესი და ზუსტი დაკვირვებებითა და სინრფელით. უშურველია იგი ამ სპექტაკლის მიმართ, გრანდიოზულსაც რომ უწოდებდა და აღიარებდა: ერთბაშად და უცხად მისი შეფასება და ამონურვა ყოველად შეუძლებელია, რა მხარესაც უნდა შეეხოს, მთელი წერილი დაინერება, ხოლო მთლიანად დადგამაზე — მთელი წიგნი.

უპირველესად რეჟისორის იმ ჩანაფიქრს ჩანვებოდა და დიდადაც მოიხიბლებოდა, აქამდე ყველა ხალხის ყველა თეატრი გმირად რომ სახავდა ჰამლეტსაც და მის ყველა მოქმედ პირსაც, ახლა კი ეს გმირი გაადამიანებულიყო, და ეს მძაფრი შთაბეჭდილებაც გახლდათ იმის მიზეზი, რომ ისეთი ინტერესით, სიამოვნებითა და მხატვრული კმაყოფილებით უყურა ქართულ სპექტაკლს, რაც თავის დროზე არ განეცადა მოსკოვის სამხატვრო თეატრის „ჰამლეტის“ ცქერისას.

ტექსტიდან, მორთულობიდან და, რაც უმთავრესია, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით რეჟისორს აელო XVI საუკუნიდან ის, რაც მარადიული და ზოგადკაცობრიულია და ეს ყოველივე გაეტარებინა თანამედროვე ეპოქის ბრძენებში და ასე გარდაესახა უძვირფასეს რამ მოვლენად:

— ყველა ამსრულებელი: უშანგით და ვერიკოთი დანყებული და გათავებული სკოლის სკამიდან გუშინ გადმოფრენილი ბარტყით ივანე ლალიძეთი რალაც სულის და გულის ნათესავად მხვდებოდნენ და მთელი საღამო ისე ვიყავ დაპყრობილი და დატყვევებული თქვენს მიერ, რომ ბავშვობის შემდეგ მე არ მასხოვს ასეთი მომაჯადოებელი გავლენა თეატრისა.

ქებას არ დაიშურებდა მხატვრის, ირაკლი გამრეკელი-სადმი: ცისარტყელად მოვლენია წარმოდგენის გარეგან მხარესო.

აკაკი ვასაძისადმი: მეტად საინტერესოდ აქვს დაგეგმილი როლი, რომელიც რამდენიმე წარმოდგენის შემდეგ დიდი წონის მხატვრულ სახედ ჩამოყალიბდება.

ვერიკო ანჯაფარაძისადმი: ოფელია სრულქმნილიაო.

ხოლო მთავარი გმირი:

— რა უბრალოა, მარტივი, სპეტაკი ვით ბავშვი ჩვენი უშანგი. იგი რომ ნიჭიერი მსახიობი იყო, ახალგაზრდობის ყველა მეგობრები ვამბობდით მისი მოსვლის პირველ დღიდანვე, მაგრამ რომ ის ასეთი დიდი ინტუიციის პატრონი იყო, დღემდის არ ვიცოდით.

ყველა ასევე გაუოგნებინა რიგითი არტისტიდან უმაღლეს სფეროში გადანაცვლებით, სცენაზე წუნაობიდან დიდი ხელოვანის მანტიის მორგებით. ეპისტოლეში კი ყველაფერს აგვირგვინებდა აღტაცება კოტე მარჯანიშვილით, ვისაც ერთბაშად აეზიდა ჩვენი თეატრი ამ სიმალღემდით.

რაკილა ჰამლეტი ადამიანი უნდა ყოფილიყო და არა ამა თუ იმ სქემის — თუნდაც თავისთავად საგულისხმოსი — ხორცშესხმა, მამ მისი ხასიათის მრავალფეროვნება მთლიანად უნდა გადახსნილიყო უმძაფრესი ტრაგიზმიდან უნაზეს და სათუთ ლირიზმამდე, მდიდარი და ურთულესი ემოციებიდან — კეთილშობილ და ღრმა ინტელექტამდე.

ურთულესი ამოცანა დაესახა რეჟისორს?

ამ ურთულეს ამოცანას ოდნავადაც არ გაამარტივებდა უშანგი ჩხეიძე.

და მისი ჰამლეტი წარმოდგებოდა ზნეობრივად სუფთა, დიდი გულის, დიდი ბუნებისა და მაღალი ზრახვების პი-

როვნებად. და არც მის სუსტ მხარეთა წარმოჩენას მოერიდებოდა.

სპექტაკლის გამარჯვება გამარჯვებად, და უშანგიც და სხვანიც ამ დადგმას აღიარებდნენ გარდატეხად თეატრის მხატვრული ხაზისა მარჯანიშვილის მუშაობაში, მძლავრ შემობრუნებად რეალიზმისაკენ.

— „ჰამლეტის“ შემდეგ მარჯანიშვილი თავის რეპერტუარს უმთავრესად უკვე აქტიორებზე დაყრდნობით აშენებდა და მისი მუშაობაც ხდებოდა უფრო სადა და ღრმა.

ზოგადადაა აღნიშნული: აქტიორებზე დაყრდნობით.

კოტე მარჯანიშვილის მთავარი სცენური ქმნილება მაინც უშანგი ჩხეიძე გახლდათ, უშანგისთვისვე გამოგნებელი ფერისცვალებით.

ამას იმთავითვე აღიარებდა ყველა.

და სიცოცხლის მიმწუნრზე თვითონ უშანგიც დაადასტურებდა, კოტე მარჯანიშვილთან თავის ხანმოკლე, შინაგანად კი სისხლსავსე და ინტენსიურ ურთიერთობას რომ გამოხედავდა, თორემ „ჰამლეტის“ ტრიუმფის შემდეგაც ვერ წარმოედგინა, მარჯანიშვილური თეატრი უპირველესად მის მხრებს რომ უნდა დაყრდნობოდა.

რა უბრალოა, მარტივი, სპეტაკი ვით ბავშვი ჩვენი უშანგიო...

ბავშვო ურიელო...

მხოლოდ ფრაგმენტი შემოგვრჩებოდა ამ როლის შემოქმედებითი ბიოგრაფიისა.

ფრაგმენტივე დაგვრჩენია იაგოს როლის ბიოგრაფიისაც, მაგრამ იქ მთავარის აღნიშვნა მოუსწრია მსახიობს, ურიელთან კი...

ნეტა რითი ხსნიდა ამ ხასიათში მკაფიოდ გამოვლენილ ბავშვურ სანყისს?!

დაბეჯითებით მარტოდენ ის ვიცით, რომ დიდად კმაყოფილი არ ყოფილა ამ როლის შეთავაზებით.

ეს ის დროა, როდესაც კოტე მარჯანიშვილისათვის უკვე აუკრავთ გუდანაბადი რუსთაველის თეატრიდან და თავშესაფარი ქუთაისში უპოვია. სულით არ დაცემულა და სულაც არ ფიქრობს, რომ ესაა მისი სამუდამო ნავსაყუდელი. დროებით გამოირიდებია დედაქალაქს, რათა მალევე დაუბრუნდეს ტრიუმფით.

რუსთაველის თეატრში აღარ შეუშვებენ? თავის თეატრს დააარსებს, საფუძვლები უკვე ხელთ უპყრია და ქუთაისში კიდევ უფრო განამტკიცებს და შეჭკრავს დასს.

მაგრამ, აი, უშანგი სიხარულით არ შეგებებია ურიელის როლს.

ის კი არა, სწყენია კიდეც.

მიზეზს იმით ახსნიდა, როდესაც ჯერ კიდევ არ ვიყავი გამოსული ჰამლეტის როლიდან და არ იქნებოდა კარგი და მიზანშეწონილი კიდეც ახალი დიდი როლის თამაში.

სხვა ხასიათის როლებზე ერჩივნა თავის მოსიხვევა.

ასეთი თხოვნით არაერთხელ მიემართა რეჟისორებისათვის.

დაპირებით კი პირდებოდნენ, მაგრამ...

განანილდებოდა პიესა და, ნაცვლად სახასიათო როლისა, ყოველთვის გმირზე აღმოჩნდებოდა დანიშნული.

ახლა კი ურიელის ხსენება შეაფიქრანებდა: ნანილობრივ არ გამომივიდეს ჰამლეტის გამეორებაო.

ნაადგებოდა მის აქტიორულ ზრდას ეს როლი?

მისი აზრით, არამც და არამც.

მაგრამ კოტე მარჯანიშვილს თავისი შეხედულება ჰქონდა, უფრო შორს განმჭვრეტი.

და როდესაც დასს წაუკითხავდა პიესის მონტაჟს, მისი დეკლამაციური ხელოვნება უკვე ღრმა შთაბეჭდილებას მოახდენდა უშანგიზე — მერე კიდევ პიესის დახასიათების მოსმენა, ცალკეული მოქმედი პირებისა, დადგმის გეგმისა, თანდათან ჩაითრევდა და ცნობისნადილსაც გაუღვივებდა.

ჰამლეტს რომ იმეორებდეს, კიდევ ერთ მიღწევად არ შეუფასებდნენ. ამკარაა, განსხვავებაც საგრძნობი ეპოვნა და ეს დიდი როლიც შესაფერისად მოერგო. ეგაა, ის სანყისი შეენარჩუნებინა და კიდევ უფრო გაემკვეთებინა, ჰამლეტის სახის გააზრებისას რომ მიეგნო და აკაკი ფალავა აღეფრთოვანებინა: რა უბრალოა, მარტივი, სპეტაკი ვით ბავშვი ჩვენი უშანგიო.

ბავშვო ურიელო, — ამ ახალი პერსონაჟის ხასიათში ამ გამკვეთებით მოხიბლულიყო სიმონ ჩიქოვანი.

ხოლო იაგოს როლისადმი მიძღვნილი ესეის ფრაგმენტში იმ მთავარის აღნიშვნას რომ მოასწრებდა...

ოტელოს როლზე რომ ოცნებობდა და ჰამლეტს შესთავაზებდნენ, კიდევ რა უშავდა იმასთან შედარებით, რომ სულაც „ოტელოს“ დადგმას განიზრახავდნენ და... ნაცვლად მავრისა, იაგოს როლისათვის მოინიშნავდნენ.

ეს მოხდებოდა 1932-33 წლების სეზონში, როდესაც ავადმყოფობის შემდეგ სცენას დაუბრუნდებოდა.

— ოტელოზე ფიქრი ჩემი ჯანმრთელობის გამო უკვე ზედმეტი იყო.

აღიარებდა, განა არა, იაგოს როლი ოტელოსას ვერ შეედრებო, მაგრამ იმასაც ჩანვდებოდა, რომ მრავალმხრივობით სრულ გასაქანს აძლევდა მსახიობს და ამ როლის ძლიერი შემსრულებელი ოტელოსაც შეეჯიბრებოდა.

ბევრი იაგო ენახა ქართულ სცენაზეც და სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ სცენებზეც, მოწონებით კი დიდად არცერთი არ მოსწონებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ როლის შემსრულებელთა შორის კარგი აქტიორებიც გამოჩნულან. ერთადერთი ადგილი ჩარჩებოდა ხსოვნაში სამხატვრო თეატრიდან — როდესაც სენატში იაგო მომავალი მოქმედების გეგმას დასახავდა, იგი წამოსასხამის ერთ-ერთ ყურეს წამოიფარებდა თავზე და დამჯდარი დაინყებდა ნელა ლაპარაკს — ფიქრს.

— ჩემ მიერ ნახულ იაგოს მოთამაშებებში ეს ყველაზე ადამიანური იაგო იყო.

ადამიანური — ყველაზე საიმედო საყრდენი და საზომი სქემატურობისაგან თავდასაღწევად, გატკეპნილი გზიდან გადასახვევად.

იაგოს შემსრულებელთა მთავარ ნაკლად უშანგი იმას მიიჩნევდა, რომ ყველა ცდილობდა იაგოს ბოროტება რაც შეიძლება გამოკვეთილი და ყველასათვის შესამჩნევი ყოფილიყო — მათი გრიმი, მათი დემონური სახეები, მათი მოქცევა მხოლოდ ამას ღალადებდა. ისინი მაყურებლისათვის ამჯობინებდნენ ასე თამაშს, მაგრამ ხომ არ შეიძლებოდა უგულვებლყოფა გარშემო მოტრიალე მოქმედი პირებისა, რომელთა თვალის ასახვევადაც ირჯებოდა იაგო?! ასე ხომ ამკარად ირღვეოდა სცენური სიმართლე, როდესაც ყველას ატყუებს ისეთი ადამიანი, ვისაც შუბლზე მართლაც დიდი ასოებით აწერია მისი ავკაცობა? და ჯერ მარტო გარეგნობაც კი აღძრავს უნდობლობას ოდნავ დაკვირვებულ ადამიანშიც, ამდენ პერსონაჟში კი ერთსაც რატომ არ აღმოსჩენოდა ეს ოდნავი დაკვირვების უნარი?!

— თუკი იაგოს მოქმედება ყველასათვის ფარდა ახდელი და ზედმეტად თვალსაჩინო იქნება, მაშინ ოტელო და დანარ-

ჩენი მოქმედი პირები უჭკუო ადამიანები გამოდიან და შექსპირი ტყუილბრალოდ შენუხებულა, რომ ასეთი რთული ინტრიგის ხლართები გამოუგონია მათ დასალუპავად.

მაშ იაგო როგორი უნდა ყოფილიყო?

— რაიმე მიმზიდველი თვისებებითაც დაჯილდოებული, გარეგნულადაც და საქციელითაც. მისი მოქმედების აზრი და სულისკვეთება მოხერხებულად უნდა იყოს შენიღბული და უჩინარი გარშემომყოფთათვის, მოჩანდეს უაღრესად კეთილშობილ და გულწრფელ პიროვნებად, რათა როგორც ოტელოს, ისე სხვათა თვალში დიდ ნდობას ინვედეს.

რაოდენ ნათელი, ბუნებრივი, ლოგიკური, დამაჯერებელი მსჯელობაა, არა?

ეს ბუნებრიობა და ლოგიკურობა მანამდე რატომ დარჩენილიყო მიუწვდომელი?..

ამ მტკიცების ფონზე გულუბრყვილობად, მეტიც, სრულ გაუგებრობად გეჩვენება იაგოს გარეგნული დემონიზმი... მაგრამ ის, რაც ასეთი თვალნათლივი გახლდათ უშანგი ჩხეიძისათვის და დიდადაც მოხიბლავდა განსხვავებული თამაშით, გმირის სახის სულ სხვაგვარი გახსნით მაყურებელს, კვლავ ბურუსში ჩაიხიბებოდა და რამდენიმე ათწლეულის შემდგომ თემურ ჩხეიძეს ხელახლა მოუხდებოდა ამ ქეშმარიტების აღმოჩენა, როდესაც „ოტელოს“ დადგმისას (მარჯანიშვილის თეატრში!) ნოდარ მგალობლიშვილს მიახლოებდა არა დემონის, არამედ გარეგნულად სწორედაც მომხიბლავი, ყველასათვის საპატივსაცემო პერსონაჟის თამაშს, და ისიც ისეთი ხელოვნებით შეასრულებდა ამ როლს, ტოლს არ დაუდებდა ოტელო-ოთარ მეღვინეთაშურცესს.

— ნოდარს აქვს გარეგნობაში რაღაც ისეთი, რომ ენდობიო, — თავისი შემოქმედებითი ლაბორატორიის კარის გაღებას არც ამჯერად მოერიდებოდა თემურ ჩხეიძე, — მე სულ მიკვირდა — ამ ოტელოს რატომ სჯერა მაინცდამაინც იაგოსი და სხვა არავისი-მეთქი? ეტყობა, რაღაც თვისება აქვს ამ კაცს ისეთი, რომ შეხედავ, უნდა გაფიქრებინოს: როგორ შეიძლება მისი არ გჯეროდესო?! მხოლოდ ამის გამო მიიღო ნოდარმა ეს როლი. როგორ შეიძლება მისი არ ირწმუნოთ? რა ვიცი, მე მჯერა და...

ტოლს არ დაუდებდა ოტელო-ოთარ მეღვინეთაშურცესსო...

გახსოვთ უშანგის შეხედულება: იაგოს ძლიერ მოთამაშეს შეუძლია ოტელოსაც შეეჯიბროსო?..

ესეც სწორედ ის შემთხვევა აღმოჩნდებოდა, უშანგი ჩხეიძის უჩვეულო წარმატების განმეორება, და მაყურებელი ოტელოს თეთრ კანისფერზე (ჩვენი დროის რეჟისორის სრულიად მოულოდნელი და თამამი გადანყვეტილება!) მეტად „კეთილშობილ, ნრფელ“ იაგოს მიაქცევდა ყურადღებას და თეატრმცოდნევიც ალაპარაკდებოდნენ იაგო-ნოდარ მგალობლიშვილის მიერ გატკეპნილი, გათელილი გზიდან ისე მარჯვედ გადახვევაზე, კინაღამ გადაფარავდა ოტელოს, თორემ ტოლს ხომ არ დაუდებდა და არა.

თურმე იაგოს ბოროტება დაფარული, ღრმად შენიღბული უნდა ყოფილიყო.

აი, სიახლე!.. აი, ახალი დროის მონაპოვარი!.. აი, გზავნილი მსოფლიო თეატრალური სამყაროსაკენ!..

არადა, ესეც იმ შეგონების ხელშესახები დასტური გახლდათ — სიახლე მივინყებულ სიძველემშია.

უშანგი ჩხეიძეს თან უკვირდა, როგორ ვერავინ ვერ ატყობს იაგოს „სინრფელესა“ და „კეთილშობილებას“, „ერ-

თვლებასა“ და „მომხიბვლელობასო“, თან ისე ძალიანაც აღარ აოცებდა, რაკილა თვით ლევ ტოლსტოიც, ისედაც უარყოფელი შექსპირისა, ძალზე დაბეჯითებით უარყოფდა იაგოს ცოცხალ სახეობას, რაკილა ვერ ხედავდა მასში ვერავითარ დადებით თვისებას.

უშანგის ერუდიციის პატრონისათვის არც ჯირალდო ჩინტოს იტალიური ნოველა დარჩებოდა შეუმჩნეველი, პიესის პირველწყარო, სადაც იაგოს გაბოროტების მიზეზია მისი თავდავიწყებული სიყვარული დეზდემონასადმი, ხოლო როდესაც ქალი არ გაიზიარებს მის გრძნობას და ცოლად გაჰყვება მავრს, სიყვარული მოულოდნელად (ეგებ არც მოულოდნელად!) გადადის სიძულვილში. ამ მარტივ მიზეზს შექსპირი რომ გაართულებდა და მაყურებლისათვის ცოტა არ იყოს ბუნდოვანს გახდიდა, აქტიორის მოვალეობა გამხდარიყო, განსაკუთრებით გამოეკვეთა ეს მიზეზები, რათა საწყისი და ლოგიკური გამართლება მოძებნოდა იაგოს გაბოროტებას.

უშანგი ჩხეიძე აღარსად აღიშნავს იაგოს როლზე კოტე მარჯანიშვილის ისეთივე საგულდაგულო მუშაობას მსახიობთან ერთად, ჰამლეტის როლის გააზრებისას რომ მოუწევდათ.

ნეტა მსახიობმა მიაგნო პირველად იაგოს როლის სრულიად განსხვავებულ ხორცშესხმას?

თუ რეჟისორმა მიაწოდა ეს იდეა?

მსახიობსაც რომ მიეგნო და აღტაცებულიც დაეტოვებინა რეჟისორი ასერიგად ორიგინალური და... ასერიგად ბუნებრივი წარმოსახვით, შთამავგონებელი ამჯერადაც კოტე მარჯანიშვილი იქნებოდა, სულაც ანდერძად რომ დაეტოვებინა უშანგისთვისაც და ყველა აქტიორისთვისაც სწრაფვა პერსონაჟთა გასაადამიანურებლად.

ნეტა ფრანჩესკო ჩენჩის როლზე როგორღა ემუშავათ ერთად პერსი ბიში შელის ტრაგედიაში „ბეატრიჩე“?

ცალკე ამ როლის ბიოგრაფიის აღდგენაზე ვეღარც იფიქრებდა, აგერ ურიელი და იაგოც ფრაგმენტებად დარჩენოდა, თუმც იმ ფრაგმენტებზე მეტად შთამბეჭდავი და მრავლისმთქმელი აღმოჩნდებოდა ერთი პასაჟი კოტე მარჯანიშვილზე შექმნილი მემუარული თხზულებიდან, რეჟისორი არსებით შენიშვნას რომ მიაწვდიდა და კიდევ შემოუტრიალებდა როლის გააზრებას.

განსაკუთრებული გრძნობიერი მოპყრობა და სითბო მახსოვს მისგან ჩენჩის თამაშის დროსო, — რომ აღნიშნავს, მერე ისეთ მკაცრ შეფასებას გაგვაცნობს, კოტეს მიერ წარმოთქმულს, გაიოცებ, მაშ რა განსაკუთრებულ გრძნობიერ მოპყრობასა და სითბოს ახსენებსო.

იმ წუთას თვითონ მსახიობსაც ასე აღუქვამს ეს შენიშვნა:

— ამით გამანადგურა, ამაზე მეტი გალანძღვა აღარ შეიძლებოდა.

რა უთხრა მაინც ამისთანა?

ერთ-ერთ რეპეტიციას რომ დასწრებოდა რეჟისორი, ორი მოქმედება უკვე მზად გახლდათ. რეპეტიციის შემდეგ კი ყველას გარშემო რომ შემოსხამდა და შენიშვნებს ჩამოჰყვებოდა, ყველაზე ბოლოს უშანგის მიმართავდა:

— კარგად გაქვს სახე მოფიქრებული, ტექნიკურადაც კარგად გაქვს როლი გაკეთებული, მაგრამ ეს არის კვეჟენადის ტრაგედია.

„კარგია, კარგია“ ძახილში მკაცრი განაჩენი არ გამოუტანა?

კვეჟენადის ტრაგედიაო...

შალვა დადიანის კომედიაში („კაკალ გულში“) თავისთავად წარმატებით ნათამაშევი როლი რა მწარედ ნაეკეცებოდა!..

შეურაცხყოფილად იგრძნობდა თავს, აბა, რა იქნებოდა. თუმც კრინტის დაძვრასაც მოერიდებოდა.

ახლა კი კოტე მარჯანიშვილმა ერთი ფრაზა უნდა თქვას, ერთადერთი და... ყველაფერი განათდეს მსახიობისათვის:

— ჩენჩიმ უნდა გაიქროლოს სცენაზე, როგორც ქარიშხალმა, რომელიც სწვავს და ანადგურებს ყველაფერს.

თანაც, ყველაზე უკეთ მოეხსენება, რომ ამ ურთულესი ამოცანის დამძლევი აქტიორი წინ ჰყავს.

რალაც უჩვეულო შთაგონებით აენთებოდა უშანგი ჩხეიძე ამ რჩევის მოსმენისას და ამიტომაცაა, რომ როდესაც უკვე მეორე რეპეტიციას უყურებდა რეჟისორი, ვეღარ მოისვენებდა პარტერში, სარეპეტიციო მაგიდასთან, შეწრივ აღდებოდა — ნახევარ პაპიროსს რატომღაც უცბად ჩააქრობდა, გადატეხავდა საფერფლეში და ახალს მოუკიდებდა. წამოდგებოდა, ავარდებოდა სცენაზე და აღარ იცოდა, როგორ მოფერებოდა უშანგი-ჩენჩის.

— ამის შემდეგ მთელი ერთი კვირა ლაპარაკობდა აქტიორის შემოქმედებაზე, და მე ვგრძნობდა, როგორ მიაღწერებდა კოტეს დაფერილი, გრძნობით გამთბარი, მშვენიერი თვალები.

როგორც ქარიშხალმა, რომელიც სწვავს და ანადგურებს ყველაფერსო...

გალაკტიონ ტაბიძე ქუთაისის თეატრში რომ დასწრებოდა „ბეატრიჩე ჩენჩის“ დადგმას, „ბალკონზე“ მოთავსდებოდა, ქანდარაზე.

რატომ?

წინასწარვე გააფრთხილებდნენ: ვერ გაუძლებო.

და პარტერში რომ შესულიყო, უხერხული იქნებოდა მისი სირბილი იქით-აქეთ.

უყურებდა უშანგი-ჩენჩის და... მართლაც ვერ გაუძლებდა...

აუხდებოდა, რაც გაეფრთხილებინათ — ბარემ დარჩენა ერჩივნა, მაგრამ...

თვალებზე ხელს მიიფარებდა და ჩაილაპარაკებდა:

— არა, ძამიკო უშანგი... მე არ შემიძლია ამის ყურება, არაფრით არ შემიძლია...

ებოდიშებოდა, სპექტაკლის ბოლომდე რომ ვერ დარჩებოდა და წვასა და განადგურებას გაერიდებოდა.

და თავისით რომ ვერც შეძლებდა წამოდგომას, მეგობარი პოეტები მოკიდებდნენ ხელს და გაიყვანდნენ თეატრიდან.

გალაკტიონისთანა შთაბეჭდილებიანი და გრძნობიერი პიროვნებისაგან თითქოს არცაა გასაკვირი მღელვარებისა და ემოციის გამოჩენა... მაგრამ სხვა სპექტაკლი რომ არასოდეს მიუტოვებია?!

\*\*\*

თქვენ პარტერში ვერ უძლებთ უშანგის თვალთა ელვარებას, უშანგი-ურიელის ცეცხლმა ხანძარი არ გაგვიჩინოსო, და, აბა, წარმოიდგინეთ, ჩვენ რა დღეში ვართ სცენაზეო, — შენატროდა ვერიკო ანჯაფარიძე მაყურებელს, რომელსაც შეეძლო თვალებზე ხელი აეფარებინა ან ზურგით დამდგარიყო სცენისაკენ, თუ ესეც ვერ უშველიდა, სულაც გამოვარდნილიყო დარბაზიდან, ესენი კი, სცენას მიჯაჭვულნი, სად გაიქცეოდნენ, სად წავიდოდნენ?!

და წარმოსახვაში აესახებოდა, თუ როგორ შემორბოდა „ურიელ აკოსტას“ მესამე მოქმედებაში უშანგი-ურიელი სცენაზე ტანსაცმელშემოფლეთილი და ლამპრით ხელში, ლამპარს რომ ძირს ახეთქებდა და ყვიროდა: ის მაინც ბრუნავს... ის მაინც ბრუნავს!..

მგონი ბოლი ასდის, ცეცხლი უკიდიაო, — გული უსკდებოდა ვერიკო-ივდითს, და თავის იმწუთიერ შთაბეჭდილებას სპექტაკლის შემდგომ სხვა მსახიობებსაც რომ გაუზიარებდა, ყველა ერთობლივ უქნევდა თავს: გვეგონა გვეჩვენებოდა, მაგრამ ყველას ხომ ვერ მოგვეჩვენებოდა, ეტყობა, მართლა ცეცხლი უკიდია და ბოლიც ამიტომ ბურავს სცენასო.

— მისი ცხელი, მთრთოლავი გულიდან წვეთ-წვეთად რომ მოედინება სისხლიო? — ახლა ამ ხილვასა თუ განცდას ამონებდა მათთან ვერიკო-ივდითი, და... თურმე არც ეს ყოფილა მარტოდენ მისი აღქმა, ყველა ისე უდასტურებდა: წვეთ-წვეთად, წვეთ-წვეთადო...

ან ის რა იყო, როდესაც ურიელის როლში ყოველი მისი გამორჩენისას მსახიობებს გული რომ უჩერდებოდათ: ამდენს თვითონაც ვეღარ გაუძლებს, აჰა, გული გაუსკდება და ფიცარნაგზე დაეცემა სულამომხდარიო.

ბედნიერი, სცენაზე სიკვდილი რომ მოეღოსო, — ეხარებოდა ვერიკო ანჯაფარიძეს და... თან მაყურებელს შენატროდა: თქვენ რა გიჭირთ, თავდასაცავი მოგეპოვებათ, მის ცეცხლში რომ არ ჩაიბუგოთ, ჩვენ ვიკითხოთ, თორემო...

არა, მაინც რას ვუძლებდი, რა გადავიტანეო, — საამაყოდ დარჩებოდა, ფერფლად რომ არ ქცეულიყო მის გვერდით.

ბოლავდა სცენა.

ხანძრის სუნთქვა ტრიალებდა სცენაზეც და დარბაზშიც და ივედრებოდა გალაკტიონი: დროზე გამაცილეთ აქა-ურობას, თორემ რამდენი რამ მრჩება დაუნერელი, ჩემს გარდა სხვას რომ არავის ჩააგონებს ღმერთიო.

და ემოციები რომ აღარ მოასვენებდა და უშანგი ჩხეიძისადმი მიძღვნილ სტრიქონებსაც გადაიტანდა ფურცელზე („და უყვივი იმავე განცდებას, ჩვენთვის ფერფლად რომ გაქციაო...“), კოტე მარჯანიშვილის აჩრდილის ხსენებას მოადევნებდა თუ არა ამ აღმტაც სტრიქონს: უშანგ... უშანგ... ეგ თვალბოიო, — კიდევ მოელანდებოდა ის შემადრწუნებელი განცდა და... კალამი ხელიდან გაუვარდებოდა.

უშანგის თვალბოის ხსენებასაც ვერ უძლებდა, არამც-თუ მისი ელვარების ცქერისათვის გაეძლო.

დრო გავიდოდა, დრო, რომელიც ვერიკო ანჯაფარიძესაც დააჩნევდა თავის მსახვრალ კვალს და ოფელიასა და ივდითის შემსრულებელს ხანშიშესულ და სულაც მოხუც ქალთა როლებზე გადაანაცვლებდა.

უშანგი ჩხეიძის საიუბილეოდ მისი სახლ-მუზეუმის გახსნა გადაწყვეტილიყო და ამ დღისათვის თემურ ჩხეიძეს დაევალებოდა ზესტაფონში სპექტაკლის დადგმა.

ვერიკო ანჯაფარიძეს შესთავაზებდა თამაშს და, ის არამცთუ შორს დაიჭერდა ამ დანაბარებს, აღარც მოერიდებოდა ახალგაზრდა კაცს:

— შენ გიჟი ხომ არა ხარ?

— არა, გამორიცხული სრულებითაც არ არის, მაგრამ თქვენ რატომ მეკითხებით? — თემურს ხშირად შველოდა თავისი უბადლო იუმორი და ამ ეპიზოდსაც ისე შთამბეჭდავად და კოლორიტულად მოგვიყვებოდა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში, თვალსაჩინო მსახიობებს შეეხარბე-

ბოდათ, მთლად ჩვენს სარბიელზე იჭრება ერთი აქტიორის თეატრითო.

— რა მდგომარეობაშიც მე ვარ ახლა, ზესტაფონში კი არა, სამზარეულოშიც ძლივს გავდივარ და რომელ სპექტაკლში თამაშზე მელაპარაკებით?!

ეჰ, დრო, დრო!..

და ვერიკოც პირველ ყოვლისა დროს უწყებოდა, ჯავრს თემურზე რომ იყრიდა.

ეს მოეფერებოდა, დაამშვიდებდა, უშანგის სახელს რამდენჯერმე გაუმეორებდა და... დაიყაბულებდა, თუმც, ცხა-დია, დუბლიორის წაყვანაზე შეთანხმდებოდნენ.

იქ ჩასულნი ყველანი გულისკანკალით მიაჩერდებოდნენ ვერიკო ანჯაფარიძის ყოველ მოძრაობას, ჰა, ცოტა ხნით მაინც შეძლებს თუ არა სცენაზე გასვლასო... ესეც საქმე იქნებოდა, ერთი რომ გადაეკვეთა სცენა, ერთი გაველო კულისებიდან კულისებამდე...

და ნირნამხდარი რეჟისორი რომ გაიფიქრებდა, სულ ტყუილუბრალოდ გავსარჯე ამხელა გზაზეო, და დუბლიორს ანიშნებდა, შენ მოგინევს სცენაზე ასვლაო, ვერიკოს არსებას რაღაც უჩვეულო აღმაფრენა დაეუფლებოდა და, არამცთუ სცენაზე გავიდოდა, სპექტაკლს... თავიდან ბოლომდე ითამაშებდა, და ითამაშებდა ისეთი დიდებულებით, იმ ძველი ვერიკოს მოლანდება ხელშესახები გახდებოდა... ოფელია ტრიალებდა სცენაზე, ივდითი დაჰქროდა და დადგმის რიტმსაც ისინი განსაზღვრავდნენ, ერთმანეთს შეწუნული და შეკონილნი, მლეღვარე, აჩქარებულ რიტმსა და ტონალობას — კოტე მარჯანიშვილის სულით შთაგონებულს, უშანგი ჩხეიძის სულით აბოპოქრებულს და... დროის მსახვრალობას ვილა დაგიღვედა.

დრო... შეჩერდებოდა და... უკან-უკანაც დაიხევდა.

ეს რა სასწაული გვაჩუქეო, — ულოცავდნენ ოვაციისაგან აზანზარებულ კედლებში თემურ ჩხეიძეს, ის კი ყვავილებში ჩაფლულ ოფელიას რომ მოეხვეოდა, გაუმეორებდა და გაუმეორებდა: ეს რა სასწაული გვაჩუქეთ, თქვენ კი თამაში არ გინდოდათო.

და ის, აღელვებული, ათრთოლებული, ბაგეგამშრალი ამასლა ამოთქვამდა:

— ბედი რომ არა მაქვს... მთელი დადგმისას სულ იმას ვფიქრობდი, რა კარგი იქნება, ახლა სცენაზე რომ მოვკვდე... თანაც, უშანგი ჩხეიძის იუბილეზე!.. მაგრამ არ გამიმართლა!..

არც უშანგისათვის გაემართლებინა, სცენაზე რომ არ ეპოვნა აღსასრული... და ედიშერ ყიფიანი თანაგრძნობასა და თაყვანებას იმითლა გამოხატავდა, რომ წარმოსახვითი სპექტაკლის შუაგულში შეაგებებდა სიკვდილს.

აქ იყო, მხოლოდ აქ უშანგის ადგილი, და რაც ყოფით რეალობას დაეკლო მისთვის, მხატვრულ რეალობას გაემეტებინა.

...არ გამიმართლა, არაო, — თავისას წუხდა ვერიკო და ვერ იჯერებდა, სპექტაკლი თავით ბოლომდე თუ ეთამაშა.

\*\*\*

ბრძენო ყვარყვარეო...

ურიელ აკოსტას როლისა მაინცდამაინც კმაყოფილი რომ არ დაურჩებოდა რეჟისორი, იმიტაც მიხვდებოდა, პრემიერის დასასრულს რომ ეტყოდა: ეს იქნება შენი საუკეთესო როლთაგანი მომავალშიო. თავის რჩეულ მსახიობს მაინც მოერიდებოდა, მაგრამ შინ კი აბუზღუნდებოდა: არ მოინდომა, იზარმაცაო.

სამაგიეროდ, რარიგ გაიხარებდა ყვარყვარეს როლში რომ იხილავდა.

— გაუკვირდა, არ მოელოდა.

მართალია, უშანგი მისი ფალავანი გახლდათ, მაგრამ აზიდავდა კი ამ როლსაც ჩვეული ხელოვნებით?

მაინც განსხვავებული ხასიათი იყო აქამდე ნათამაშე როლთაგან.

თანაც სახელდახელოდ მომზადებული.

ისე ხან ასეც სჯობს ხოლმე — ბევრი ფიქრი და კირკიტა, ერთი მხრივ, უთუოდ აღმოგაჩენინებს რაღაც ფარულ ნიუანსებს, უფრო ღრმად ჩაგახედებს პერსონაჟის სულის სიღრმეში; მეორე მხრივ ექსტრემალური ვითარება კიდევ უფრო გძაბავს, ვიდრე საერთოდ გჩვევია, და შესაძლოა ისეთ ზღვარზე გაგატაროს, სადამდეც ბევრმა ფიქრმა და კირკიტმა ვერც მიგალწეინოს.

ასეთ დროს მარცხიც იქვე, ყურისძირში გყავს ჩასაფრებული.

და წარმატებაც არანაკლებ მოსალოდნელია.

ყვარყვარეს ხასიათი ისერიგად არ განეხილა რეჟისორს მსახიობთან ერთად.

ანკი სად მოასწრებდა.

მაინც რა უცნაურად აღმოჩნდებოდა ყვარყვარეს როლში უშანგი.

მასზე რეჟისორი არც იფიქრებდა, დადგმას რომ შეუდგებოდა — სანდრო ჟორჟოლიანს ივარაუდებდა და კიდევ გამზადდებოდა სპექტაკლი, რომლის პრემიერაც ბათუმში უნდა ეთამაშათ. აფიშებიც გამოიკვროდა და... უეცრად მთავარი როლის შემსრულებელი ავად გახდებოდა. სპექტაკლის გადადება აღარ ხერხდებოდა და კოტე მარჯანიშვილი, შეწუხებული და აფორიაქებული, უშანგის რომ სთხოვდა დახმარებას, როლის თამაშს იმით გაუადვილებდა, რომ ურჩევდა: მხოლოდ წაიკითხე ტექსტიო!..

ერთი დღე რჩებოდა.

უკეთ ანკი როგორ უნდა მომზადებულიყო.

უშანგი რაღაცას მაინც მიაგნებდა ამ ხასიათში ასე სახელდახელოდ, რაღაც ისეთს, პრემიერაზევე უკვე აღარ იყაბულებდა მარტოდენ ტექსტის წამკითხველობას და საგულისხმო ფერებით წარმოსახავდა ყვარყვარეს სახეს, თავის ერთ-ერთ საუკეთესო როლად რომ აქცევდა.

ანკი სად მოასწრებდაო.

ზოგად მიმართულებას კი მოხაზავდა, მაგრამ უშანგი კიდევ უფრო შორს წავიდოდა და ისეთი მოულოდნელი კუთხით გახსნიდა ყვარყვარეს ხასიათს, ამ მარტივი ბუნების, სატირული ფერებით შესრულებულ პერსონაჟს გაცილებით ღრმა პიროვნებად წარმოუდგენდა მაყურებელს, ვიდრე პოლიკარპე კაკაბაძეს განეზრახა.

ესეც ის „რაღაც“.

დიახ, ასეთ ხასიათად თვით დრამატურგსაც არ ესახებოდა, თორემ მწვავე სატირას მოერიდებოდა და ირონიულ პორტრეტს ლირიკული ელფერიტაც აღბეჭდავდა ალაგ-ალაგ, რითაც მიგვანიშნებდა, მთლად გასამეტებელი არ გეგონოთ, არის ამ ხასიათში რაღაც ისეთი, ბავშვურ სანყისთანაც რომ წილნაყარია და ბრძენის გონებასთანაც მიახლოებულიო.

ნაცვლად ამგვარი, რთული დანაშრევების წარმოჩენისა, პოლიკარპე კაკაბაძე სარკასტულად დასცინოდა პერსონაჟის მიერ ნაცრის ქექვას და იქ დახაზულ გრანდიოზულ გეგმებს, სულაც სამყაროს გარდასაქმნელად რომ მოწოდებულიყო.

ვერა, ვერ გაიცინებდა უშანგი ასე ადვილად.

არც ირონიულ ფერებს მოაკლებდა ან უკვე მის პერსონაჟად გადაქცეულ ყვარყვარე თუთაბერს, მაგრამ იმ ბავშვურ სანყისსაც წინ წამოსწევდა და ბრძენის გონების მოლანდებასაც არ დაიშურებდა.

და კიდევ ალაფრთოვანებდა კოტე მარჯანიშვილს:

— იცი, შენს ყვარყვარეში რაღაც დონკიხოტურია, შენ დონ კიხოტი უნდა ითამაშო.

„როგორ არ ვიცი“ — უთუოდ გაივლებდა გულში მსახიობი, ვისაც არ გაუკვირდებოდა, ასე ღრმად რომ ჩანდომოდ რეჟისორი ამ უცნაური გმირის სულს, უშანგი ჩხეიძის ხელში სრულიად ახლებურად გაცოცხლებულს.

აქეთკენ იმთავითვე უბიძგებდა რეჟისორი.

რაღაც ამგვარი განეზრახა, როდესაც ამ პიესას მოჰკიდებდა ხელს დასადგმელად.

ეგაა, სახელი ვერ დაერქმია.

ახლა კი შეეძლო ზუსტად განესაზღვრა: რაღაც დონკიხოტურიო.

და სულაც „დონ კიხოტის“ დადგმას მოინდინებდა, რათა „ყვარყვარე თუთაბერში“ დაწყებული ხაზი გაეგრძელებინა და კიდევ უფრო განევიტარებინა.

თავისებური გატაცებითო, — დასძენს უშანგი, რადგანაც შეატყობდა, რომ წამიერ განწყობილებას კი არ აეყოლიებინა რეჟისორი, არამედ თავის საუკეთესო სპექტაკლებს შორის ევარაუდა წინდანიშნე.

რეპერტუარშიც შეიტანდა.

ერთ რუს დრამატურგსაც შეუკვეთავდა სცენარს და ალბათ კიდევ დადგამდა, რომ არა... რომ არა უშანგის ავადმყოფობა.

ჯერ სე შეუშლიდა ხელს.

მერე გართულებული და ძალიანაც გართულებული თეატრალური ყოფა.

და კიდევ გაუმწარებდნენ არსებობას კოტე მარჯანიშვილს მისივე მონაფეები, გამოაძეებდნენ მის მიერვე შექმნილი თეატრიდან და... სიცოცხლესაც ჩაუქრობდნენ.

უშანგისათვის კი რეჟისორის ის საქებარი სიტყვები გახლდათ დადასტურება კოტე მარჯანიშვილის ხასიათის იმ თვისებისა, ძალიან რომ ახარებდა, როდესაც აქტიორი თვითონვე მიაგნებდა რაიმეს ღირსშესანიშნავს.

— და განსაკუთრებით ახარებდა ჩემი, რადგან მე თავის გაზრდილ მსახიობად მთვლიდა.

ამას რომ აღნიშნავდა, უხერხულობისაგან სინითლე მოერეოდა და სასწრაფოდ გაიხსენებდა ფრანც მოორის ნათქვამს ფრიდრიხ შილერის „ყაჩაღებიდან“: მთავარი ცოდვა ყველა ხელოვანისა ის არის, რომ ისინი ამაყოფენ თავიანთი ნაწარმოებით, თუნდაც ის უმსგავსო იყოსო, — რათა მოედევნებინა: ალბათ არც მარჯანიშვილი იყო დაზღვეული ამ ცოდვისაგანო.

ამჯერად თვითონ, როგორც კოტე მარჯანიშვილის „წანარმოები“.

როლებს როლები ემატებოდა, წარმატება წარმატებას მოჰყვებოდა, ეს რკალი კი აქ იკვროდა: ძმაო, ჰამლეტ, ბრძენო ყვარყვარე, ბავშვო ურიელო! — ზუსტ ეპითეტებში ჩანურული დიდი ვნებათაღელვანი და აღმაფრენანი, ღრმა სიმბოლიკამდე აზიდულნი, მეტეორის გადაელვების სახიერი ნაკვალევი ზეცაზე...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ივანე ამირხანაშვილი

# სინტაქსური სკეპტაკლების ოსტატი

ვერ ეტეოდა ჩარჩოებში, ვერ იტანდა სტანდარტებს, ვერ ეგუებოდა წინასწარ დადგენილ საზღვრებსა და წესებს, ამიტომ გარბოდა. გაურბოდა სივინროვეს, სულის შემბორკვე ნორმებს.

ერთი შეხედვით, არავინ ზღუდავდა. შორიდან ბედის ნებიერიც გეგონებოდათ. იყო უმაღლეს განაკვეთზე. ორ მეფეს, ლირსა და ბაზილიოს (კალდერონის „ცხოვრება სიზმარია“) და მხედართმთავარს, ტიტუს ანდრონიკუსს თამაშობდა რუსთაველის თეატრში.

არც არასოდეს აკლდა მთავარი როლები, მაგრამ გუმანიტ ექებდა უფრო თავისუფალ, ლალ ცხოვრებას, რომელიც უფრო მეტი იქნებოდა, ვიდრე მხოლოდ თეატრი.

ჰქონდა კიდეც ამ სივრციდან გასვლის ცდები, როდესაც ერთი კაცის, ერთი მსახიობის ტელეთეატრს უყრიდა საფუძველს და რისთვისაც რუსთაველის ეროვნული პრემიით დაჯილდოვდა.

თეატრში სხვა ირჩევდა გზას, თემას, იდეას, მოტივს; ნასვლის შემდეგ თავად მოიპოვებდა არჩევანის უფლებას.

ძველი აღთქმა, სახარება, „ვეფხისტყაოსანი“, ილია, აკაკი, ვაჟა, დავით კლდიაშვილი, გალაკტიონი... აუდიო დისკები. „მარტოობის ორდენის კავალერი“ — მხატვრული ფილმი გალაკტიონზე, ათი წიგნი.

მარგინალი არ არის, მაგრამ სულ ზღვარზეა. ამ სიმალეებიდან ჩამოვარდნა დამსხვრევის, სიკვდილის ტოლფასია, მაგრამ მაინც იქ ურჩევნია — მალა, მარადიულ ფასეულობებთან.

მის შემოქმედებაში სულ ისმის სევდა-ნალველი, მიზეზიანი მინორი.


სამჯერ დაიწყო ცხოვრება თავიდან.

პირველი. ოცი წლისა იყო, თეატრალური ინსტიტუტი რომ დაამთავრა და პირდაპირ რუსთაველის თეატრში მივიდა, ერთი წლის შემდეგ მიიღეს, დამლაგებლის შტატზე, ორმოცი მანეთი ხელფასით.

მეორედ დაიწყო ოცდაათი წლის შემდეგ, 1992 წელს, როცა თეატრიდან წამოვიდა;

მესამედ 2002 წელს... შვილის, ხარებას ტრაგედიის შემდეგ. წიგნი რომ დაწერა, მიხვდა, გზას მიაგნო.

2004 წლის 1 დეკემბერს, საქართველოს ფილარმონიის ერთ-ერთ დარბაზში გაიმართა გოგი ხარაბაძის სამი წიგნის პრეზენტაცია. სამივე წიგნი ერთდროულად, „ყუთად“



გამოსცა გამომცემლობა „პეტიტივა“. წიგნების გაფორმებაზევე მიხვდებოდი, რომ ეს იყო პროზა, მსახიობის მიერ პროზის ნიშნით მონოდებული არტიფაქტი.

ჩვენს წინაშე იყო პროზა, რომელიც ავტორის გარეშეც სრულიად კომფორტულად იგრძნობდა თავს, მაგრამ სიტუაციის უჩვეულობაც სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ძალიან „იგრძნობოდა“, მეტისმეტად „ჩანდა“ ავტორი.

სნობიზმი! — ჩონჩხი, რომელზეც ადამიანის აზროვნება დაშენებული: „მსახიობია, რა უნდა მწერლობაში?“

მაშ ასე ვიფიქროთ: — რადგან მსახიობობა აღარ უნდა, ესე იგი, დაღლილია, თუ წერს, ესე იგი, ერთობა.

კი მაგრამ, რატომ არ შეიძლება, რომ წერის დროსაც ისევე იტანჯოს, როგორც მსახიობობისას, სცენაზე?

„აქამდე ვუყურებდით და ვუსმენდით, — ახლა ვიკითხოთ?“

გოგი ხარაბაძე, სანამ კალამს აიღებდა ხელში, იმაზეც დაფიქრებოდა, ეყოფოდა თუ არა ძალა და უნარი, რომ თავისი სიტყვა მაყურებლისთვის წაეკითხებინა. იგი თავიდანვე განწირული იყო იმისათვის, რომ მის ტექსტებს კი არ წაიკითხავდნენ, არამედ უყურებდნენ, მიაყურებდნენ.

სხვათა შორის, ტექსტისადმი უნდობლობა თავის დაზღვევის ერთადერთი საშუალება უნდა ყოფილიყო მკითხველისათვის: ხომ შეიძლებოდა მსახიობის

სიტყვას ისე დაეპყრო მისი გონება, როგორც იპყრობდა სცენიდან ან ეკრანიდან?

როგორ გარდაიქმნება მსახიობის ინტელექტი მწერლის ინტელექტად? — აი, მორიგი კითხვა, რომელზედაც, საბედნიეროდ, თავს არ ვიმტვრევთ, თორემ ვინ იცის, რა ცრურწმენებში გადავვარდებოდით.

საქმე უფრო მარტივად იქნებოდა, რომ შეგვძლებოდა გოგი ხარაბაძის ტექსტების წარმოდგენა უავტოროდ, ავტორის პროფესიული ნიშნის აკვიატების გარეშე. რადგან ეს შეუძლებელია, ის მაინც აკვიაზროთ, თუ რამდენად მართალია იგი თავის თავთან, როგორ ამყარებს საგნებთან კავშირს, როგორ წვდება მათ შინაარსს და როგორ ამოაქვს ეს შინაარსი რეალობის ქაოსიდან.

როგორც აღვნიშნე, გოგი ხარაბაძის პირველ „ყუთში“ სამი წიგნი შედის: 1. „წყნარად, წარსულო, წყნარად“ — სურათები სამსახიობო პრაქტიკიდან; 2. „კოქსართოზი“ — ერთი ავადმყოფობის ისტორია; 3. „მოთხრობები და მიძღვნები“ — სხვადასხვა დროის ბელეტრისტული ცდები.

პირველი, რაც ამ წიგნების წაკითხვისას თვალში გვხვდება, ეს არის მოძრაობა და სიუჟეტი — გოგი ხარაბაძის პროზის „სასიამოვნო სტუმარი“. უმოძრაო აქ არაფერია, ყველაფერი მოძრაობისა და ურთიერთქმედების წესს ემორჩილება, სიუჟეტურ ელემენტთა თანმიმდევრობა და სიმწყობრე კი საერთო დინამიკას აძლიერებს და ვლებულობთ ისეთ რამეს, რასაც, გინდა, არ გინდა, უნდა უნოდო აქტიორის აცტიონ, მსახიობური „ექშენი“.

მას აქვს თხრობის დრამატიზაციის შინაგანი შესაძლებლობანი. ვის უნდა პქონდეს დრამატული დაძაბულობის შეგრძნება, თუ არა მსახიობს. სასცენო მეტყველება, ფესტების ენა ხომ თხრობის ერთ-ერთი უანრია. მისთვის ყოველი წინადადება პატარა სპექტაკლია, სადაც ყველა სიტყვას თავისი როლი აკისრია.

თუმცა დინამიზმი და ენერგეტიკული ეფექტი გასაკვირი არ არის ისეთი დაუდგრომელი ხასიათის მქონე პიროვნებისგან, როგორც გოგი ხარაბაძეა. მოულოდნელობას აქ სხვა რამეში ვხედავ, კერძოდ, იმაში, თუ როგორ არჩევს თემას, როგორ ხედავს საგანთა რიგს, როგორ აკონტროლებს თხრობის კომპოზიციას.

ჩემი აზრით, პროზაში დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ სად ხედავს მწერალი სამყაროს, — ადამიანში თუ ადამიანის გარშემო.

გოგი ხარაბაძე ხატავს იმას, რასაც თავის თავში ხედავს, და არა იმას, რაც თვალწინ უდგას.

აი, სად იჩინა თავი შემოქმედებითა ინტუიციამ და სულის უნარმა, რომელსაც ზურგს უმაგრებს ინტელექტი, წარმოსახვა და სურვილი ერთად.

მაშ ფაქტი, რომ ადამიანი მსახიობია, შეიძლება არ მოქმედებდეს მისი პროზის სანინააღმდეგოდ. თუმცა ჯერ კიდევ ღიად რჩება კითხვა, თუ რატომ შეცვალა გოგი ხარაბაძემ თვითგამოხატვის მოდუსი, რატომ გადმოიტანა თავისი ნიჭის მონოლოგიური ბუნება პროზაში?

ამ კითხვას დრომ უნდა გაცეს პასუხი. მანამდე კი შეიძლება ავტორის ფენომენი აღმოჩნდეს ერთადერთი ხელისშემშლელი ფაქტორი გოგი ხარაბაძის წიგნების გაგებაში, თუმცა, დარწმუნებული ვარ, დრო ავტორს უკანა პლანზე გადაწევს და ტექსტის სტრუქტურაში ისე განაზავებს, რომ მას ვეღარ „დავინახავთ“.

სამაგიეროდ, დავინახავთ ნამდვილ პროზას — ცოცხალ სინტაქსურ სპექტაკლებს.

ერთი სიტყვით, გოგი ხარაბაძეს სისხლის შემადგენლობაში მწერლობა აღმოაჩნდა...

კარგია ეს თუ ცუდი, საგანგაშოა თუ საშოშმინო, ნორმაა თუ ნორმის დარღვევა, ამის გარკვევას აზრი არ აქვს, ჩვენ მხოლოდ ის გვევალება, რომ ფაქტი ვალიაროთ და შევხედოთ მას, როგორც სავსებით რეალურ მოვლენას, მითუმეტეს, საქმე გვაქვს ლიტერატურული „პათოგენეზის“ ახალ გრადაციასთან: გოგი ხარაბაძის პროზის დოკუმენტური ნაკადი წმინდა მხატვრული დინებით იცვლება — 2005 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი რომანი „სისხლიანი მეოცე“.

როგორც სათაურიდან ჩანს, ეს არის გასული საუკუნის მოტივებზე შექმნილი ნაწარმოები. რომანის თავსა და ბო-

ლოს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თემა მსჭვალავს — ინყება დუშეთის მაზრის ექიმის, იაშვილის მიერ ილიას გვამის გაკვეთის აქტით და მთავრდება ოღლა გურამიშვილ-ჭავჭავაძის თხოვნით თბილისის გენერალ-გუბერნატორისადმი ილიას მკვლელების შეწყალების თაობაზე. დანარჩენი — ერთი ოჯახის ამბავია, აზნაურ ყარაგოზიშვილების საოჯახო საგა, რომელიც, რა თქმა უნდა, სისხლის ნიშნით ვითარდება, ვინაიდან საზოგადოდ ასეთი იყო XX, ჩვენი საუკუნე.

მკითხველს უკვირს, მსახიობის ნერვიულმა ხელმა როგორ უნდა დაწეროს სიტყვები, რომლებიც წარმოსათქმელად კი არა, წასაკითხად იქნება განკუთვნილი, უკვირს და კომპრომისს ეძებს, ფსიქოლოგიურ კომპრომისს, რომელიც აქ სადღაც ეგულება და გაუცნობიერებლად გრძნობს კიდევ: მისი აზრით, როცა მსახიობი კალამს და სუფთა ფურცელს ჰკიდებს ხელს, ეს ნიშნავს, რომ სცენა ითხოვს კომპრომისს ლიტერატურისგან, რაც, თავის მხრივ, ბადებს იმის მიზეზს, რომ მკითხველმა დაუშვას კომპრომისი ავტორის მიმართ.

ორმაგი კომპრომისის ეს ფსიქოლოგიური კომპლექსი იმდენად უფრო ძლიერია, რამდენადაც არანაირ კომპრომისს არ ითხოვს ვთით ავტორი. გოგი ხარაბაძეს ფანტაზირობა არ სჭირდება იმისათვის, რომ პერსონაჟის შინაგან სამყაროში შეაღწიოს. მას აქვს მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება და ამ გამოცდილების განზოგადების უნარი. სწორედ ეს უნარი

არის ის დეტონატორი, რომელმაც მასში მთხრობელის ნიჭის აფეთქება გამოიწვია.

გოგი ხარაბაძის აქტიორული წარსულის მცოდნე მკითხველი ფიქრობს, რომ ეს რომანი არის თეატრი სცენის გარეშე. დავუშვათ, რომ ასეა. ახლა ვიფიქროთ იმაზე, როგორ დაწერა ტექსტი, როგორ გადაიტანა მიმეტური თამაში სცენიდან ქალაღზე.

ამას ხომ სჭირდებოდა იმაზე მეტი თავისუფლება, ვიდრე ეს მსახიობს მოეპოვება.

კონვენციური ლიტერატურის მოყვარულები შეიძლება გააღიზიანოს იმან, რომ რომანს აქვს ავტონომიური სამყარო, რომელშიც იგრძნობა თავისუფალი დამოკიდებულება დროის, სივრცის, თხრობის და პერსონაჟთა ხასიათების მიმართ.

თუმცა ვინ თქვა, რომ თავისუფლება არ არის გამაღიზიანებელი ფაქტორი?

გოგი ხარაბაძე წარსულზე მოგვითხრობს, მაგრამ ეს არ არის წარსული დროის ჩვეულებრივი კატეგორია, ეს არის ისტორიის ნამყო უსრული, რომელიც აწმყოში გრძელდება.



ოთარ ჭილაძე და გოგი ხარაბაძე

რომანის დრო კომპოზიციურად ჩაკეტილია, სივრცეც იქ მთავრდება, სადაც იწყება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იქ ვართ, იმ სიუჟეტში, უხილავი ძაფებით ვართ მიბმული იმ დროს, რომელიც მოკვდა, მაგრამ ჩვენში განაგრძობს არსებობას.

„სისხლიანი XX“ უთუოდ შეიცავს ისტორიული მითოლოგიზმის ნიშნებს, დიალოგებსა და ეპიზოდებში საკმაოდ თვალსაჩინოა სტერეოტიპულ განზოგადებათა ნილი, თუმცა ამით სრულიადაც არ ირღვევა გამოხატვის შინაგანი თანმიმდევრობა, რომელიც არაჩვეულებრივი გულწრფელობის ფონზე ხორციელდება. რადგან ასეა, შეკითხვა დავსვათ: თუ გოგი ხარაბაძე მწერალია, რით იქცევს იგი ყურადღებას?

მას ცხოვრება მარტო გარეგნული მხარეებით რომ ეჩვენებინა, დებიუტის გათვალისწინებით, გასაგები იქნებოდა, — მაინც პირველი რომანია, პირველი შებედეა, პირველი ცდაა, მაგრამ საკვირველი სწორედ ის არის, რომ ცხოვრების შინაგან მხარესაც არანაკლები გაბედულებით ხსნის, რაც ნაწარმოების მთავარ მოულოდნელობად მიმაჩნია.

გოგი ხარაბაძეს შეუძლია გვიჩვენოს, როგორ შლის ტირანული საზოგადოება პიროვნების მთლიანობას, როგორ კარგავენ ადამიანები ზნეობრივ ორიენტირებს, როგორ დაატარებენ ცოდვებით დანაღმულ სულებს.

რომანში აღწერილ ამბავს პესიმისტური დასასრული აქვს, ავტორი უარყოფს ბრმა ოპტიმიზმს, ეს ცხადია, მაგრამ, ამავე დროს, მიგვანიშნებს, რომ სადღაც, ამ ამბის გარეთ, იქ, სადაც წინამურის ტრაგედია ჯერ კიდევ აშფოთებს სინდისს, ბუღოლს სიცოცხლის ძალა, რომელიც, მართალია, თავის მეტაფიზიკურ გარსს არ გასცილებია, მაგრამ რომ არის და არსებობს, ეს უკვე რალაცას ნიშნავს.

„პირველი“ — გოგი ხარაბაძის მეორე რომანი, მერვე წიგნი და მორიგი ცდა თანამედროვე ქართულ პრობლემათა მხატვრული ასახვისა.

ფორმა — ორიგინალური, სიუჟეტი — დეტექტიური, შინაარსი — ამაღლებებელი.

რომანში მოთხრობილია მწერლის, გვარად პირველის აღსასრულის კრიმინალური ამბავი. პირველი შთაბეჭდილება — წიგნის ფორმა: კანცელარიულად აკინძული ფურცლები, სისხლის სამართლის საქმის ნომერი, მოწმეთა დაკითხვის ოქმები, გამომძიებლისა და პროკურორის დადგენილება და რისკიანი პოლიგრაფიული დეტალები, რაც ცალკე ავტორის და ცალკე მხატვრის, კოტე ჯაფარიძის სანდო გემოვნებაზე მიუთითებს.

ეს არის იურიდიული აპლიკაცია, — ფორმა, როგორც თამაში. თითოეულ დეტალში იკითხება მთელის ფუნქცია და

კომპოზიციური ერთიანობა. გოგი ხარაბაძეს არც ამჯერად ლაღატობს კომპოზიციის ინსტიქტი, ზუსტი გეზით მიჰყავს თხრობის დინება და გამორიცხავს გადახვევების საჭიროებას.

მთავარი გმირი გაურკვეველ ვითარებაში კვდება და იწყება საქმის გამოძიება, რომელსაც ეძღვნება მთელი რომანი, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს მაინც არ ჩაითვლება დეტექტიური ჟანრის ნაწარმოებად, რადგან მთავარი თემა სხვა არის, სხვა საკითხებზე დაგვაფიქრებს ავტორი, სხვა პრობლემებს გვთავაზობს განსჯისთვის.

რომანში მრავალი მონოლოგია. ამას ფორმაც მოითხოვს და შინაარსიც. მწერალ პირველის მონოლოგი ნაწარმოების მთავარი ლერძია, მთავარი გმირის ინტელექტუალური პორიზონტი შემოსაზღვრულია ეროვნული პრობლემებით, რომელსაც კონკრეტული არეალი აქვს —

პოლიტიკა, ზნეობა, მორალი, ისტორია. ჩნდება ცოცხალი სიტყვა, ცხოვრებ-

ბიდან, ყოველდღიური ყოფიდან შემოსული მასალა, მაგრამ მისი მსმენელი უკვე დაყრუებულა, პირველის გულის ცეცხლი არავის გადაედება, მასსა და გარემომცველ საზოგადოებას შორის ყინულის კედელია აღმართული; ის ყველაფერს ამბობს, მაგრამ ვერ ამბობს იმას, რაც უნდა, რადგანაც არ იცის, რა უნდა ქვეყანას, რას ითხოვს დრო, რომელმაც მოკლა ეროვნულობის მაღალი იდეალი და დატოვა


მხოლოდ ხსოვნა ამ იდეალის არსებობისა.

გოგი ხარაბაძის რომანი შორს არის იგავური განზოგადებებისაგან, მაგრამ ერთი ფაქტი ამ მხრივ მაინც იპყრობს ყურადღებას: მთავარი გმირი ევთანაზიით კვდება. მას კლავს უახლოესი მეგობარი, რომელსაც სურს, რომ უმძიმესი ტკივილები ააცილოს უკურნებელი სენით დაავადებულ საყვარელ ადამიანს. აღნიშნული დეტალი არ იქნებოდა გამოსარჩევი, რომ არა კიდევ ერთი გარემოება — ეს მეგობარი ეროვნებით აფხაზია.

სოხუმელი ექიმი ევთანაზიით კლავს თბილისელ მწერალს. გინდა-არ გინდა, არის ამაში ძალიან ზოგადი, ძალიან ნაცნობი, ძალიან ტკივილიანი.

გოგი ხარაბაძის გმირის უკანასკნელი მონოლოგები ღია დეკლარაციაა ეროვნული თვითშეგნებისა, ამიტომ მის მიერ გამოთქმული აზრები ფორმულირდება როგორც ფაქტი და არა როგორც მხატვრული ფორმა. ესეც დროის ნიშანია, იმ დროისა, როცა მწერლის მორალური პასუხისმგებლობა და ჰუმანისტური პოზიცია არანაირად არ თანხვედება ირგვლივ გამეფებულ ტოტალური უპასუხისმგებლობისა და ნიჰილიზმის განწყობილებებს.

ცხოვრება აღარ ღებულობს სიკეთისა და ჭეშმარიტების იდეებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სინამდვილე



აქ გაჩერდება და გაიყინება. იქნება ცვლილებები — უკეთესობისკენ ან უარესობისკენ — იქნება.

გოგი ხარაბაძეც ცვლილებების იმედით წერს, ოღონდ წერს არა იმაზე, რაც იქნება, არამედ იმაზე, თუ რა უნდა იყოს.

მახსენდება 2009 წლის 8 აგვისტო. რუსეთ-საქართველოს გულისმომკვლელი ბლიცკრიგის წლისთავი. მალაზია „ბიბლუსის“ მომცრო დარბაზი. წარდგინება წიგნისა „თამადა“, რომელიც ბრძოლის ველზე დაცემულ მამულიშვილთა ხსოვნას ეძღვნებოდა. სიცხით დაღლილ-გათანგული, არაქათგამოცლილი, ოფლში განურული ავტორი როგორ ცდილობდა დამსწრე საზოგადოებისთვის აეხსნა, რომ საჭირო იყო სიმართლისათვის თვალის გაგვეწონოთ, გველიარებინა, ომი წავაგეთ უპირველესად საკუთარ თავთან; დამარცხების მიზეზები საკუთარ თავში გვეძებნა. არ ვიცი, რამდენად გაუგეს მაშინ მას, მაგრამ იმის თქმა შემიძლია, რომ ეს არის ერთ-ერთი ობიექტური ტექსტი მათ შორის, რაც ამ თემაზე დღემდე დანერგია.

სიმბოლური თუ არა, ნიშანდობლივი მაინც აღმოჩნდა „თამადის“ ფინალი: მთავარი გმირი თბილისში მიდის, გერმანიიდან მშობლიურ ქალაქში ბრუნდება... და იწერება ახალი წიგნი — „სახლი რუსთაველზე“.

წინ — წარსულის ნოსტალგიისაკენ. უკეთეს თავშესაფარს ვერც იპოვიდა სასტიკი რეალობისგან გაოგნებული მწერალი.

„სახლი რუსთაველზე“.

ეს არის არა ისტორია, არამედ ნანახისა და განცდილის

გაცნობიერება პლასტიკურ, ხელშესახებ სახეებში. უფრო ზუსტად, ეს არის თბილისში გაზრდილი კაცის ბელეტრისტული ავტობიოგრაფია, სადაც ავტორის თავგადასავალი იხატება ირიბად, იმ საგნებისა და მოვლენების მეშვეობით, რომლებმაც კინოკადრებით ჩაიარა მის თვალწინ დედაქალაქის ერთ კონკრეტულ სივრცეში — რუსთაველზე, რუსთაველის გამზირზე. გოგი ხარაბაძეს ფსიქოლოგიური დეტალების გადმოცემა ეადვილება, რადგან წარმოსახვის უნარი აქვს საკმაოდ დიდი.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, სამყაროს ადამიანში ხედავს და არა ადამიანის გარეთ. ამითაც არის მართალი. თავის თავში დანახულ სამყაროს აღწერს. ფორმას ავიღებ აგნებს. ინტუიცია არ დალატობს.

ასე მგონია, „თბილისიანას“ ისტორიაში გოგის ავტობიოგრაფიული მონოლოგი შეევა როგორც ერთ-ერთი ორიგინალური წიგნი.

ოთარ ჭილაძეს აქვს ნათქვამი: „გოგი ხარაბაძე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა თეატრალურ სამყაროში. მწერალი ხარაბაძეც თეატრიდან არის მოვლენილი. ის პოეტური ბუნებისა და ლიტერატურის მოყვარული მსახიობი კი არ არის მხოლოდ, არამედ ორი მუხის ქვეშევრდომია, ორი შემოქმედებითი სტიქიის მატარებელია საკუთარ არსებაში და ჩემთვის ორივე ერთნაირად საინტერესოა და ძვირფასი“.

ორი შემოქმედებითი სტიქია. სცენიდან წიგნამდე დიდი მანძილია. ყოველ შემთხვევაში ასე ჩანს. შეკითხვა ყოველთვის იარსებებს. ოთარ ჭილაძეს არ გაჰკვირვებია, ბუნებრივად მიიღო გოგის შემოქმედებითი ორმაგობა. მკითხველი სხვა არის. მან შეკითხვა უნდა დასვას.

რა კავშირია მსახიობსა და მწერალს შორის? „არანაირი!“ — იტყვიან ერთნი; „პირდაპირი!“ — მიუგებენ მეორენი. რომელია მართალი? ალბათ ორივე. ან იქნებ არცერთი. მსახიობი მთელი ცხოვრების განმავლობაში სხვას თამაშობს, სხვის ტექსტებს სწავლობს, სხვისი სიტყვებით მეტყველებს, სხვის აზრებს გადმოსცემს და ამაში უჩვეულო არაფერია.

უჩვეულო იწყება მაშინ, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს მსახიობი სხვის ტექსტს გვერდზე გადადებს და თვითონ დაიწყებს წერას. ასეთი რამ იშვიათად ხდება, მაგრამ მაინც ხდება. მაგალითად, გოგი ხარაბაძე, მწერალი გოგი ხარაბაძე, რომელიც სცენიდან ჩამოვიდა და დგამს სპექტაკლებს, სინტაქსურ სპექტაკლებს.

**ახალგაზრდული პოეზიის საღამო**

ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციაში, ჟურნალ „ხელეურის“ ინიციატივით, ახალგაზრდული პოეზიის საღამო გაიმართა.

ფილოლოგმა და მწერალმა **ლილა ქიტოშვილმა** ვრცელი სიტყვით მიმართა ახალგაზრდა პოეტებს და დასძინა, რომ ლექსი დროის შესატყვისი უნდა იყოს, ასახავდეს მის მაჯისცემას. აქი გალაკტიონი ბრძანებდა: „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ, დროის, ეპოქის და სივრცის გარეთო.“

სასიამოვნოა, რომ პატრიოტული ლექსები დომინირებდა და ნიჭიერი, პატრიოტი თაობა მოდის. ამიტომაც მიმართა მათ ქალბატონმა **ლინა ბარათაშვილმა**: თქვენში ქართული ცნობიერება იმდენად ძლიერია, რომ უცხოურის, ამერიკანიზაციის გავლენა გამორიცხულიაო.

ლექსები ნაიკითხვს: **ქეთი ზვიადაურმა, ლია ლიქოკელმა, თამარ კერესელიძემ, ზაზა სუყაშვილმა, შორენა თამაზაშვილმა, გვანცა გაბროშვილმა, ქეთი ასანიძემ, გია დარბაიძემ, თორნიკე კვიციანიძემ, გიორგი ცხვიტარიამ, გიორგი იობაშვილმა, ოთარ ფალიანმა, ჯარჯი შუქიაურმა, ლია ნათელაძემ, მარიტა სახლხუციშვილმა, ნინო დათუსანმა, ლაშა ცელაძემ, მარიამ ნიკოლაევამ...**

ახალგაზრდებს სიტყვით მიმართეს უფროსი თაობის მწერლებმა: **ბელა შალვაშვილმა, დავით შემოქმედელმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, გურამ პეტრიაშვილმა, ამირან ღონლაძემ, ქეთი დოლიძემ, ნონა გიორგაძემ, თემურ ჩალაბაშვილმა...**

საღამოზე გამოვიდა ფოლკლორული ანსამბლი „ქართველო“, ხოლო **თამარ კერესელიძემ** ფანდურზე ორი სიმღერა შეასრულა.

ახალგაზრდულ გაერთიანებას ქალბატონი **ლილა ქიტოშვილი-სახლხუციშვილი** ჩაუდგება სათავეში. მონონებული ახალგაზრდების ლექსები კი გამოქვეყნდება ჟურნალ „ხელეურში“ და გაზეთ „სიტყვაში“.

საღამოს უძღვებოდა ჟურნალ „ხელეურის“ მთავარი რედაქტორი **თამარ შაიშველაშვილი**.



ლია ნათელაძე, ოთარ ფალიანი, ჯარჯი შუქიაური

გურამ ყორანაშვილი

## გვჭირდება კი ასეთი ნიგნი?

□

### სამომსწერი რომანი დიდ მოურავსა

გამოცემლობა „პალიტრა“ მკითხველებს სთავაზობს ანა ანტონოვსკაიას და ბორის ჩორნის „დიდ მოურავს“ თორმეტ ნიგნად. თანდართული რეკლამის მიხედვით იგი შეტანილია ყოველი დროის საუკეთესო თორმეტ ისტორიულ რომანთა შორის (საკითხავია მსოფლიო მასშტაბით თუ ქართულთ?). უკვე გამოცემულია პირველი ნიგნი. თავის დროზე მოხდა ისე, რომ ხსენებული პირველი ავტორი „ხალხთა დიდი ბელადის“ იოსებ სტალინის დიდი მფარველობით სარგებლობდა. მიზეზი ნათელია - ამის გამოსობით ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას ნიგნის მიმართ ოდენ ქება-დიდებას აღვლენა თუ შეეძლო. მყარად ითვლებოდა, რომ რუსმა მწერალმა ქართველობას დიდი პატივი დაგვდო და მნიშვნელოვანი, ვრცელი რომანი-ეპოპეა (დიდი ფორმატის ექვსი ნიგნის შემცველობით) შექმნა „ქართველი ალკიბიადეს“ (ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი რომ იტყვოდა) ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ. თითქოსდა მადლობის მეტი რა გვეთქმოდა!

დიდად სამწუხაროდ, ნიგნში გატარებულ კონცეფციას მხარი აუბა ნიჭიერმა ქართველმა ისტორიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმაც.

ჩაიარა იოსებ სტალინის პიროვნების კულტის წლებმა, „დიდი ბელადის“ სახელი მის მრავალ საქმესთან ერთად ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდა, მაგრამ ქართულმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ, პირველ რიგში ისტორიკოსებისამ, „ვერ მოიცალა“ სათანადოდ, ობიექტურად აღექვა აღნიშნული ნაწარმოები.

ნიგნისადმი „ბელადის“ დანტერესების მიზეზზე მოგახსენებთ. ბოლშევიკ-კომუნისტები კოსმოპოლიტიზმ-ინტერნაციონალიზმიდან გამომდინარე, სრულიადაც არ სწყალობდნენ ისტორიას, მაგრამ იტალიელმა და გერმანელმა ფაშისტებმა აჩვენეს, თუ როგორი წარმატებით შეიძლებოდა მისი გამოყენება მასების პატრიოტულად აღზრდის საქმეში. რაგინდ პარადოქსულადაც უნდა გამოჩნდეს, იოსებ სტალინი ამ თვალსაზრისით, „დუჩესა“ და „ფიურერის“ მონაფე აღმოჩნდა. მაგრამ ამასთანავე, დიდ ისტორიულ პიროვნებებს პირველი თავისი თვალთახედვიდან, ინტერესებიდან მიუდგა. კერძოდ, რუსეთის ისტორიიდან მისი სათაყვანებელი პიროვნება აღმოჩნდა ივანე IV მრისხანე, თავისი „ოპრინინით“.

რაც შეეხება საქართველოს ისტორიას, ვინ უნდა ყოფილიყო ყველაზე მეტად პატივსაცემი, თუ არა დავით IV აღმაშენებელი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს ხელახალ გაერთიანებაზე მიდგებოდა საქმე, ამ მხრივ, დიდად უპრიანი იქნებოდა გიორგი მეხუთე ბრწყინვალის თემა. ჩვენ გამოჩინილ მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას მიაჩნდა, რომ ყველაზე აქტუალური აღნიშნული თვალსაზრისით იქნებოდა სწორედ დავით აღმაშენებელი და ხელი მოჰკიდა კიდევ შესაბამისი თემის დამუშავებას. მაგრამ ასე როდი განსაჯა „ბელადმა“. მან არჩევანი შეაჩერა სწორედ გიორგი სააკაძეზე, რაც შემთხვევით როდი ყოფილა. საქმე იმაში გახლავთ, რომ იოსებ სტალინმა გიორგი სააკაძესთან თავისი თავის იდენტიფიკაცია მოახდინა (თუმცა კი ამბობდა, ისტორიული პარალელები ყოველთვის სარისკოაო). პირველის იდეოლოგიით გიორგი სააკაძე სოციალური წარმომავლობით წვრილ აზნაურთა ფენას განეკუთვნებოდა და მისი იდეალი იყო ამ სოციალურ ფენაზე დაყრდნობით აელაგმა თავადობა და საქართველო გაეერთიანებინა.

„ბელადს“ ავინყდებოდა, რომ ამ მიზნის აღსრულება იმხანად, განსხვავებით ერთი მხრივ, ბაგრატ III-ისა და დავით აღმაშენებლის, ხოლო მეორე მხრივ, გიორგი ბრწყინვალის ეპოქებისგან, შეუძლებელი იყო, რაც ნათლად გამოჩნდა ვახტანგ V შაჰნავაზისა და XVIII საუკუნის ბოლოს. მოგეხსენებათ, საქართველო ოსმალეთმა და ირანმა ორად გაიყვეს და ამდენად ჩვენი ქვეყნის შესაბამისი ნაწილებიც — დასავლეთი, სამცხე-საათაბაგო და აღმოსავლეთი მათ ვასალებად იქცნენ. ასე რომ, ქვეყნის გაერთიანება ნამდვილი თავისუფლების მოპოვებით გამოირიცხებოდა, გაერთიანებულ საქართველოს ისლად დარჩენოდა, რომ იგი კვლავ დარჩენილიყო ერთ-ერთი გამარჯვებული მტაცებელი სახელმწიფოს უღელქვეშ. რასაკვირველია, არსებობდა დიდი შეუსაბამობანი ფაქტების მხრივაც, რომლებიც ეწინააღმდეგებიან წარმოდგენას გიორგი სააკაძის, ვითარცა ოდენ აზნაურობის წინამძღოლის თაობაზე.

„ბელადის“ ჩანაფიქრით, ისევე როგორც გიორგი სააკაძეს სურდა საქართველოს გაერთიანება საგარეო ძალაზე დაყრდნობით (რამეთუ შინაგანი ძალები ამ დროს სუსტი იყო), ასევე მოიმოქმედა მან (სერგო ორჯონიკიძესთან, ფილიპე მახარაძესა და სხვა გარეწრებთან ერთად) 1921 წელს საქართველოში სოციალიზმის დასამყარებლად. არის ფაქტი, ანა ანტონოვსკაიას ვაჟის ბორის ჩორნის გადმოცემით, რომ პირველს „დიდი მოურავის“ პირველი ნიგნის გამოცემამდე (1937 წელს) შეხვდა „დიდი ბელადი“ და მან სათანადოდ დამოძღვრა იგი. ცხადია, ანა ანტონოვსკაიამ სავსებით გაითვალისწინა „ბელადის“ დარიგებანი. ამიტომ მოხდა, რომ როდესაც საქმე მიდგა იმაზე, თუ რომელი სცენარი — ანა ანტონოვსკაიასი თუ გიორგი ლეონიძისა — დასდებოდა საფუძვლად მომავალ ფილმს გიორგი სააკაძეზე, იოსებ სტალინმა არჩევანი შეაჩერა პირველისაზე.

აღნიშნულ გარემოებას, ე.ი. სტალინისეულ თვალსაზრისს გიორგი სააკაძეზე, უნდა დავამატოს ის დიდი ნაკლოვანებაც, რომ ანა ანტონოვსკაიას ნიგნის თხრობა მიუტყვევებლად სცილდება შესაბამის ისტორიულ ეპოქას, ადგილი აქვს დიდ გადაჭარბებებს, რომ ანა ანტონოვსკაიამ შვილთან (ბორის ჩორნისთან) ერთად გიორგი სააკაძის

თემა სარფიან ბიზნესად აქცია. ამდენად, ვრცელი რომან-ეპოპეის შექმნის საბაზით მათ დიდად გამჭვირვალე, მატერიალური ინტერესი ამოძრავებდათ.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ჩვენი ისტორიის მსგავს დიდ გაყალბებებს დედა-შვილის მხრივ სხვა დროსაც ჰქონია ადგილი - ნანარმოებების „მშვიდობის ანგელოზები“ (1945-46 წწ.) და „ბათუმის რეიდზე“ (1948 წელს) დანერის დროს.

ვფიქრობთ, რომ ყოველივე აღნიშნულის გამო, ანა ანტონოვსკაიასა და ბორის ჩორნის „დიდი მოურავის“ ხელახალი გამოქვეყნება ქართულ ენაზე (პირველად დაიბეჭდა 1950-66 წლებში) არ არის მიზანშეწონილი. სხვათა შორის, ქართველთა წინა თაობებში, როგორც ცნობილია,

წიგნის კითხვა უფრო მიღებული გახლდათ და უწინაც კი, დიდად მეექვსეა, რომ ერთ მკითხველსაც მთლიანად წაეკითხოს უზარმაზარი ოპუსი. მით უფრო ახლა ვინ შეძლებს ამის გაკეთებას. ასე რომ, გამოცემული წიგნი მხოლოდ თაროებს არ უნდა ამშვენებდეს.

ისე, თუ გამოცემლობა „პალიტრას“ გულწრფელად, უმთავრესად კომერციული ინტერესის გარეშე აინტერესებს გიორგი სააკაძის თემა, ამის თაობაზე ხომ გვაქვს იოსებ თბილელის, ანტონ ფურცელაძის, სიმონ ქვარიანი-სა და ვასილ ბარნოვის თხზულებანი, რომლებიც უფრო ლაკონიურად და ისტორიული პროცესების კვალდაკვალ გადმოსცემენ აღნიშნულ თემას.

იქნებ მათს გამოცემაზე გვეზრუნა?!

უცხოური ნოველა

ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი

მადლობას მოგახსენებთ ცეცხლისათვის

ქალბატონი ჰენსონი ლამაზი, ოდნავ გამომხმარი, ორმოციოდე წლის ქალი ბრძანდებოდა, რომელიც კორსეტებსა და სარტყელებს ყიდდა და ჩიკაგოს გარეთ მოგზაურობდა. მრავალი წლის განმავლობაში მისმა არეალმა მოიცვა თოლედო, ლიმა, სფრინგფილდი, კოლამბასი, ინდიანაპოლისი და ფორტ უეინი, გადასვლა აიოვა-კანზას-მისურის რაიონში მისთვის წინსვლა იყო, ხოლო მისი ფირმისათვის ფეხის უფრო ძლიერ მოკიდებად ოჰაიოს დასავლეთი ითვლებოდა.

აღმოსავლეთისაკენ თავის კლიენტურას შინაური საუბრებითაც კი იცნობდა. ბიზნესის დასრულების შემდეგ ისინი ხშირად სთავაზობდნენ სასმელსა და სიგარეტს მყიდველის ოფისში. მაგრამ მალე გამოარკვია, რომ თავის რაიონში ყველაფერი სხვაგვარად იყო. არათუ ეკითხებოდნენ, სურდა თუ არა მონევა, არამედ რამდენჯერმე მის შეკითხვას, ვინმე წინააღმდეგი ხომ არ არისო, ნახევრად მობოდიშებით უპასუხეს „საქმე ეგ არაა, ის ცუდ გავლენას ახდენს თანამშრომლებზე“.

„რასაკვირველია, ჩემთვის გასაგებია“.

მონევა ზოგჯერ მისთვის ბევრს ნიშნავდა. ბევრსაც მუშაობდა და მონევას შეეძლო ფსიქოლოგიურად მისი დასვენება და განტვირთვა. ქვრივი იყო და ახლო ნათესავებიც არა ჰყავდა სალამოობით რომ მიეწერა, ხოლო კვირაში ერთ ფილმზე მეტი თვალელებს ატკიცებდა, ამიტომაც მონევა კარგი სასვენი ნიშანი იყო იმ გრძელ წინადადებაში, რომელსაც გზაში გატარებული დღე ერქვა.

ახალ წრეზე მისი პირველი მოგზაურობის ბოლო კვირა კანზას სითით დაიწყო. შუა აგვისტო იდგა და მან თავი

ცოტა არ იყო მარტოდ იგრძნო თავის ახალ კონტაქტებში, ამიტომ აღფრთოვანება ვერ დამალა, როდესაც ერთი ფირმის შესასვლელში, მაგიდასთან ქალი იპოვა, რომელსაც ჩიკაგოში იცნობდა. იგი წინ დაუჯდა, ვიდრე თავს წარუდგენდა, და საუბრისას ცოტა რამ აღმოაჩინა იმ მამაკაცზე, რომლის ნახვასაც აპირებდა.

„რომ მოვნიო, წინააღმდეგი იქნება?“

„რა? ღმერთო ჩემო, დიას!“ თქვა მისმა მეგობარმა. „მან ამის სანინააღმდეგო კანონის მისაღებად ფული დახარჯა.“

„ოჰ, მადლობელი ვარ რჩევისათვის-მადლობელზე მეტიც.“

„გიჯობს აქ ყველგან ფრთხილად იყო,“ უთხრა მეგობარმა. „განსაკუთრებით ორმოცდაათს გადაცილებულ კაცებთან. იმათთან, ვინც ომში არ იბრძოდა. ერთმა მითხრა, რომ ვინც ომში იყო, არავინ იქნება მწველთა წინააღმდეგო.“

მაგრამ ზუსტად მომდევნო გაჩერებაზე, ქალბატონი ჰენსონი გამონაკლისს გადააწყდა. იგი სასიამოვნო ახალგაზრდა კაცი ჩანდა, მაგრამ მისი თვალელები ისე დააშტერდა იმ სიგარეტს, რომელსაც ქალბატონი ჰენსონი თავის ცერს უტყაპუნებდა, რომ შეინახა, ჯილდოდ კი ლანჩზე მიჰპატიჟება მიიღო და იმ ერთ საათს მნიშვნელოვანი გავლენაც მოიპოვა.

ამის შემდგომ მამაკაცმა დაიჟინა, კლიენტთან შეხვედრაზე მანქანით გაგიყვანო, თუმცა ქალბატონს განზრახული ჰქონდა ახლომახლო სასტუმრო ეპოვა და ტუალეტში რამდენიმე ნაფაზი დაერტყა.

ეს ერთ-ერთი იმ დღეთაგანი იყო, მოლოდინით რომ არის ხოლმე სავსე-ყველა მოუტყლელი გახლდათ, ყველას



სადღაც აგვიანდებოდა, და ეტყობოდა, როცა კლიენტი ბოლოს და ბოლოს გამოჩნდებოდა, ნაჯახივით-სახიანი მამაკაცები იყვნენ, რომელთაც არ მოსწონდათ, როდესაც სხვები საკუთარ თავს პრივილეგიებს ანიჭებდნენ, ან ქალბატონები, რომლებიც ნებით თუ უნებლიეთ ამ მამაკაცთა ნააზრევს ემორჩილებოდნენ.

საუზმის შემდეგ არ მოენია და უცბად მიხვდა, ამის ბრალი იყო, გაურკვეველი უკმაყოფილების გრძნობა რომ ეუფლებოდა თითოეული შეხვედრის შემდეგ, და არ ჰქონდა მნიშვნელობა, თუ როგორი წარმატებული იყო ბიზნესის მხრივ.

იგი იტყოდა, „ჩვენ სხვა მასალაც შემოვიტანეთ. ეს მთლიანად რეზინი და ტილოა, რა თქმა უნდა, მაგრამ მოვახერხეთ სხვაგვარად შეგვერწყა. ოცდაათპროცენტისანი ზრდა ეროვნულ რეკლამაში ერთ წელიწადში რაღაცას უნდა ნიშნავდეს.“

თავისთვის კი ფიქრობდა, ახლა სამი ნაფაზის დარტყმა რომ შემძლოს, ძველმოდურ შიდა სამაგრთა გაყიდვასაც შეეძლებდი.

კიდევ ერთი მალაზია ჰქონდა სანახავი, მაგრამ მანამდე ნახევარი საათი იყო დარჩენილი. საკმარისი დრო სასტუმროში წასასვლელად, მაგრამ რადგანაც ტაქსი არსად ჩანდა, ქუჩას ფეხით გაუყვა, ფიქრობდა, ალბათ სიგარეტს თავი უნდა დავანებო, ნარკომანივით ვხდებიო.

წინ კათოლიკური ტაძარი დაინახა. ძალიან მაღალი ჩანდა, და უეცარი აღმაფრენა ეწვია: თუკი გუმბათებიდან ღმერთთან ამდენი გუნდრუკია ასული, სიგარეტის პატარა კვამლი ვესტიბიულში რას იზამს. რა ენაღვლება ღმერთს დიდებულს, თუ დალილი ქალი რამდენიმე ნაფაზს დაარტყამს ვესტიბიულში?

თუმც კათოლიკე არ გახლდათ, ამ ფიქრმა შეაცბუნა. ასეთი მნიშვნელოვანი როგორ იყო სიგარეტის მოწევა, თუ ეს ბევრ სხვა ადამიანსაც მიაყენებდა შეურაცხყოფას?

და მაინც, ღმერთს არ ენაღვლება, დაჟინებით ფიქრობდა იგი. მის დროს თამბაქო არც კი იყო აღმოჩენილი....

ეკლესიაში შევიდა; ვესტიბიულში ბნელოდა, ჩანთაში ასანთი მოძებნა თან რომ დაატარებდა, მაგრამ იქ აღარ დახვდა.

მივალ და რომელიმე სანთლიდან მოვუკიდებ, გაიფიქრა მან.

ერთ კუთხეში სინათლის მხოლოდ გაელვებითაც ცენტრში სიბნელე გაქრა. მან აიარა ტაძრის ფრთედი თეთრი მონახულობისაკენ და ნახა, რომ ისინი სანთლისგან არ იყვნენ

დამზადებულები, და ნებისმიერ შემთხვევაში მალე ჩაქრობდნენ-ბერიკაცი აპირებდა ბოლო ლამპის ჩაქრობას.

„ეს დაპირებული შემონირებულობაა,“ თქვა მან. „ღამით ვაქრობთ. ვფიქრობთ ხალხისთვის ეს მეტს ნიშნავს მეორე დღისათვის თუ შევეუნახავთ, ვიდრე მთელი ღამით ვწვით“.

„გასაგებია“.

მან ბოლო ჩააქრო. ახლა ტაძარში სინათლე აღარ იყო, მხოლოდ ელექტრო-შანდალი დარჩა ზევით, მაღლა და წეს-ჩვეულებათა ოთახის წინ მუდმივად ანთებული ლამპარი.

„ღამე მშვიდობისა“, თქვა მნათემ.

„ღამე მშვიდობისა“.

„როგორც ვხვდები, სალოცავად მოხვედით“.

„ღიას“.

იგი საეკლესიო საღაროსთან გავიდა.

ქალბატონი ჰემსონი კი ჩაიმუხლა და ლოცვა დაიწყო.

ბოლოს დიდი ხნის წინათ ილოცა. ძლივს ხვდებოდა, რისთვის უნდა ელოცა, ილოცა თავის უფროსზე, კლიენტებზე დეს მოინში და კანზას სითიში. როდესაც ლოცვა დაამთავრა, წამოდგა. წმინდა მარიამის სახე დასცქეროდა ნიშიდან, თავიდან 6 ფუტის სიმაღლეზე.

ბუნდოვნად დაინახა ეს. შემდეგ მუხლები გამართა და, დალილი, მერხის კუთხეს მიეყრდნო. მის წარმოსახვაში, ქალწული ჩამოვიდა დაბლა, როგორც ეს არის პიესაში „საოცრება“ და მისი ადგილი დაიკავა, გაუყიდა კორსეტები და სარტყელები და ისე დაილაღა, როგორც თვითონ იყო დალილი. შემდეგ, რამდენიმე წუთით ქალბატონ ჰენსონს ჩაეძინა.

გამოიღვიძა იმ შეგრძნებით, რომ რაღაც შეცვლილიყო, და თანდათან აღიქვა, რომ ნაცნობი სურნელი იდგა, არა გუნდრუკის, და რომ მის თითებს სიმხურვალე ასდიოდა. შემდეგ მიხვდა, რომ ხელში სიგარეტი ეჭირა, ანთებული იყო-ინვოდა.

და კვლავ ძილ-ბურანში მყოფმა, ფიქრის თავი რომ ჰქონოდა, რათა არ ჩამქრალიყო, სიგარეტს ნაფაზი დაარტყა. შემდეგ ახედა მარიამის ბუნდოვან ნიშას ნახევრად სიბნელეში.

„მადლობას მოგახსენებ ცეცხლისათვის“, თქვა მან.

ეს საკმარისი არ უნდა ყოფილიყო, ამიტომ მუხლებზე დაეცა, კვამლი კი დაიკლაკნა თითებში მოქცეული სიგარეტიდან.

„დიდი მადლობა ცეცხლისათვის“, თქვა მან.



მხატვარი თამარ მინაშვილი

ინგლისურიდან თარგმნა  
ნინო თოხაძე

ბუნინიტი

„საქართველოში ვეფხისტყაოსანის გარშემო ერთი მეტად ცუდი ჩვეულება მყარდება — თვითუფლები „მკვლევარი“ სცდილობს ვეფხისტყაოსანზე რაღაც განსაცვიფრებელი რაიმე თქვას და ისეთი დებულება გამოაცხოს, რომელიც მკითხველს გააბრუებს. ასეთი იყო პროფ. ნ. მარრის, სარგის კაკაბაძის, პავლე ინგოროყვას და სხვათა „თამაში“. მათ რიცხვს მიემატა კიდევ პროფ. კორნელი კეკელიძე და მანაც მოინადინა უსათუოდ თავისებურება გამოეჩინა და ახალი, მოულოდნელი, თავბრუდამხვევი სწავლა შეექმნა ვეფხისტყაოსანის შესახებ“, — ეს მრისხანე ტექსტი ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ დაინერა და მისი ავტორი გახლავთ გამოჩენილი ქართველი რუსთველოლოგი, ქართული ემიგრაციის მშვენიერა და სიახაყე — ვიქტორ ნოზაძე.

ვიქტორ ნოზაძე განსაკუთრებით დაუნდობლად გაუსწორდა კორნელი კეკელიძეს. მისი ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი რუსთველოლოგიაში „ყალბისმქნელობად“ მონათლა და სასტიკი ვერდიქტი გამოუტანა: „ეს არის ბოროტი თამაში და არა მეცნიერული ძიება. ეს არის უპასუხისმგებლობა, დასაგმობი, ვინაიდან მხოლოდ ზიანის მომტანი“.

კორნელი კეკელიძე გაცივებით კითხულობდა თვისტომისა და კოლეგის ნაწერს, კითხულობდა და, ალბათ, ეკითხებოდა თავის თავს: ნეტავი რა დავაძავე ასეთი, რას მერჩის ეს პატიოსანი კაცი, ნუთუ ჩემი ნაღვანით სამშობლო დავაღონე? მერე-რა, რომ საბჭოეთში ვცხოვრობ, აქაც ხომ ქართველები ვართ, ყვავილი ხომ აქაც ჰყვავისო?!

ალბათ ლამობდა გაუგონარისა და გაუგებარის გაანალიზებასაც: განა თავად ვიქტორმა არ დაწერა, რომ ვეფხისტყაოსანის ქაჯთა სამეფო უეჭველად ისტორიული ქვეყანაა და სწორედ ამ მიმართულებით უნდა მიმართოს ძიება იმან, ვისაც ძალი აქვს ცდისაო? ჰოდა, მეც ვცადა და ასე რამ გააჯავრეო?! ზურაბ ავალიშვილმაც ხომ იგივე სცადა და უარესიც კი სცადა: ვეფხისტყაოსანის ზოგიერთი გმირის არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია აღმოაჩინა პოემის ტექსტში და ხახვივით შერჩაო. თუმცა იმავე ნოზაძემ დიახაც გააკრიტიკა, მაგრამ მეცნიერული ეთიკის დაცვით, კორექტულად და ფრიად ლობიერად გააკრიტიკაო.

ვინ იცის, ღვანლმოსილ სწავლულს ეგებ გაახსენდა ბრძნული ქართული ანდაზაც: ლომი ლომის ტყავს არ დახვესო. ვინ იცის, ვინ იცის... ისღა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ უცხოეთში გადახვეწილ ჩვენს უზადლო რუსთველოლოგს ბუნინიტის მწვავე შეტევა ჰქონდა. „ბუნინიტს“ ამოად დაუნყებთ ძებნას სამედიცინო ცნობარებსა და ენციკლოპედიებში. დიახ, ვერსად ნაანყებებით, ვინაიდან ჩვენს მიერ შეთხზული სიტყვაა.

ის კი იოლი მისახვედრი გახლავთ, რომ „ბუნინიტი“ უშუალოდ უკავშირდება დიდებულ რუს მწერალს, ნობელის პრემიის ლაურეატს — ივან ალექსევიჩ ბუნინს.

ბუნინის ერთი ჩინებული მოთხრობა, დაწერილი ემიგრაციაში, იწყება ასე: „იყო ოდესღაც რუსეთი...“

ოქტომბრის რევოლუციამ სამშობლო დაუკარგა ბუნინს. საქვეყნოდ აღიარებულ რუს მწერალს, ბედის ნებიერს, რასაკვირველია, ჭირის დღესავით სძულდა და ეზიზღებოდა ეს წყეული რევოლუცია, რომელმაც არნახული ნგრევა და სისხლისღვრა მოუტანა მის სამშობლოს, რომელმაც წაართვა უზრუნველი და დოვლათიანი ცხოვრება. დიახ, სძულდა და ეზიზღებოდა საბჭოთა იმპერია, სადაც მისი სახელი აკრძალული იყო (დაუჯერებელი ფაქტია: 1943 წელს ბუნინის უმცროს კოლეგას, არქიმელავ გულაგში გამწესებულ ვარლამ შალამოვს ახალი სროკი აპკიდეს მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის,

რომ ბუნინს უწოდა რუსი კლასიკოსი, რაც შერაცხულ იქნა ანტისაბჭოთა აგიტაციად!).

ბუნინის დაუოკებელი, დაუმრეტელი სიძულვილი ახალი რუსეთისა და მისი ახალი ბატონ-პატრონებისადმი გულუხვად მიმოფანტულა იმ წიგნის ფურცლებზე, რომელსაც ჰქვია „ნაწყმედილი დღეები“.

1919 წლის 11 ივნისს ასე ეთხოვებოდა სამშობლოს: „ვტიროდი ცხარე ცრემლითა და მდულარე ვაებით, უკან მრჩებოდა რუსეთიც და მთელი წინანდელი ცხოვრებაც, როცა ორშაბი გადავბიჯე ახალ საზღვარს და გავიჭერი იმ საზარელ, უბედურ, ადამიანის იერდაკარგულ, თავანყვეტილ და შმაგი ჟინით აღრიალებულ ველურთა აბოოქრებული ზღვიდან, რომელსაც ერთიანად წაეღეკა რკინიგზის სადგურები მოსკოვით ორშამდე, სადაც ყველა ბაქანი და ყველა ლიანდაგი უწყალოდ იყო მორწყული ნარწყევითა და განავლით“

ბრძნული ქართული ანდაზა ბრძანებს: ყურძნის სიყვარულით ღობეს კოცნიდნენო. ბუნინმა, ჩანს, ყური მოჰკრა და შეაბრუნა ანუ — საბჭოთა კავშირის, როგორც ასეთის, სიძულვილი საბჭოთა კავშირში დარჩენილ თანამოკალმებზეც გადაიტანა.

ბუნინის უპირველეს სამიზნედ იქცა პროლეტარული მწერლობის თავკედი და სტალინის ფავორიტი — მაქსიმ გორკი. მისი გათათხვის ბუკეტში ყველაზე რბილ ეპითეტად ჟღერს „საზარელი გრაფომანი“.

ბუნინი გულმოდგინედ დაასამარებს გორკის, ცოტა სულს მოითქვამს და სინანულით განაგრძობს: „და კიდევ რამდენი არანორმალური გვყავდა!“

აი, „არანორმალურთა“ არასრული სია: ცვეტაევა, ბალმონტი, ბელი, ბლოკი, ხლებნიკოვი, ესენინი, პილნიაკი, ბაბელი... (ისინი ემიგრაციაში არ ნასულან, ცვეტაევა კი ბოლოს დაბრუნდა სამშობლოში).

ვიქტორ ნოზაძე

ნეტავი სადაური სამართალია, როდესაც მწერალს, გინდ კომუნისტი იყოს და გინდაც ფაშისტს, მისი შემოქმედების მხატვრულ თუ იდეურ ნაკლოვანებათა თაობაზე კი არ ედავებიან, არამედ ზოგს უწუნებენ შესახედაობას, ზოგს — ჯანმრთელობას და ზოგსაც თვითმკვლელობას უკიჟინებენ.

განა შეიძლება, რომ ბლოკის ლექსებზე მეტად გაინტერესებდეს მისი სამედიცინო გენეალოგია და კმაყოფილებით აღნიშნავდე, თურმე პაპა და დედა-მამაც სულით ავადმყოფნი ჰყოლიაო! ანდა რა საკადრისია პოეტის მასხრად ავდება იმის გამო, რომ თურმე სჭირდა სურავანდი, ფსიქსატენია და გულის სარქველთა ანთება.

ბუნინის მრისხანებას, ალბათ, შთააგონებს ის ფაქტი, რომ ბლოკი, მისდა სამარცხვინოდ, გულწრფელად მიესალმა ოქტომბრის რევოლუციას (მერე ნანობდა, ნანობდა!).

ახლა ინებეთ მაიაკოვსკის განქიქება: „ვფიქრობ, რომ ბოლშევიკური წლების ლიტერატურის ისტორიაში მაიაკოვსკი დარჩება, როგორც ყველაზე სულმდაბალი, ყველაზე ცინიკური და მავნე მსახური საბჭოთა კაციაშიობისა“ (ეს დებულება, ალბათ, თავისებური პერიფრაზია სტალინის ნათქვამისა: „მაიაკოვსკი იყო და რჩება საბჭოთა ეპოქის უნიჭიერეს პოეტად“).

ემში შესული ბუნინი მერე პასტერნაკს გადასწვდებდა. სრულიად უსაფუძვლოდ უწუნებს მეტაფორებს; ცხადია, ისიც აღიზიანებს — პასტერნაკს მაიაკოვსკის სიკვდილზე რომ დაუწერია უბრწყინვალესი ლექსი („სიკვდილი პოეტისა“) და ირონიულად დასძენს: „მაგრამ რამეთუ პასტერნაკი საბჭოთა კავშირში და, მრავალთა მიერ, ემიგრაციაშიაც შერაცხულია გენიალურ პოეტად, უნდა უზნობდეს სწორედ ისე, როგორც ამჟამინდელ გენიალურ პოეტებს შეეფერებათ“.



სასვლებით გასაგებია ბუნინის გესლიანი ანტიპათია გორკისა და მაიაკოვსკის მისამართით; ისინი მართლაც შეიძლება ჩავთვალოთ საბჭოთა მწერლობის ბაირახტრებად (თუმცა რევოლუციამდელი შემოქმედებითი წარსულიც ურიგო როდი ჰქონიათ), მაგრამ პასტერნაკს „საბჭოთა პოეტი“ ტიტული მართოდენ გეოგრაფიული ასპექტით თუ მიენიჭება. საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ლენინზეც დაუწერია ლექსები და სტალინზეც, მაგრამ მკაცრი შეფასებით „საბჭოთა პოეტი“ არა ყოფილა, ისევე როგორც — „ანტისაბჭოთა პოეტი“. უბრალოდ პოეტი იყო, დიდებული პოეტი, ხოლო იდეოლოგიურ იარაღებს ქმშარიტ პოეტებთან არაფერი ესაქმებათ (სამოქალაქო ომის დროს ორივე მხრიდან დევნილი ოსიპ მანდელშტამი თავს იმართლებდა: არც

თეთრი ვარ, არც წითელიო. როგორ არ გაგახსენდეს შექსპირისეული — „ჭირმა განყვიტოს ორივე თქვენი საგვარეულო!“). ბუნინის ანტისაბჭოთა პათოსი ვრცელდება, თქვენ წარმოიდგინეთ, ანტონ ჩეხოვზეც, ვინაიდან მისი სწორუპოვარი პიესები მოსკოვიდან მაგადანამდე ლამის ყოველი საბჭოთა თეატრის რეპერტუარში იყო შეტანილი (ყველგან, საქართველოს გარდა!); ბუნინი, ალბათ, ამიტომაც ეკინკლავებოდა და წარბმუხრელად ჩეხდა დრამატურგ ჩეხოვის მსოფლიოში სახელგანთქმულ „ალუბლის ბაღს“. ბუნინის ტენდენციურ ეგზერსისებში ლაღად ზეიმობს შეუწყნარებლობა, თითქოსდა ათასჯერ დაგმობილი, მაგრამ მაინც უკვდავი, ფერგამოცვლილი და ახალ სამოსელში გადაცმული. ჩვენს ვიქტორ ნოზაძესაც გადასდება ბუნინტი...

ჭირს არ იმჩნევდნენო

შორეული წარსულის თემაზე შექმნილი ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოები თუნდაც ერთგულად მისდევდეს საისტორიო წყაროებს და ზუსტად აღადგენდეს ისტორიულ დეკორაციებს, თავისდაუნებურად მაინც ეხმინება აწმყოს და მკითხველი იოღად პოულობს ხოლმე სათანადო ანალოგიებს. ამგვარი თითქმის საყოველთაო ტენდენცია ახასიათებს ისტორიულ ბელეტრისტიკას და რა გასაკვირია, რომ აღნიშნული მოვლენა გამოვლინდებოდა გურამ გეგეშიძის საქვეყნოდ ცნობილ მოთხრობაში „ჟამი“, რომელიც მკაფიოდ გამსჭვალულია პირობითობით.

კუთარი მანკიერებით, ლაღატი, სიტყვის გატეხვა, უმცერება, უსინდისობა და ა.შ. ჭირმოღვენი ქვეყანაში ცხოვრების წესი იდეალად მიჩნიათ და თუკი ვინმე მიუთითებს ზოგიერთ ხინჯზე, თავს შეაკლავენ, ამ არამკითხეს ნეტავი ვინ კითხავსო! სიმართლის მოსმენა არა სწადათ, სიმართლეს ვერ ეგუებოან (არაფერი გეცნობათ?).

ქვეყანას ჭირი მოსდებია. მაგრამ... როდესაც ანტიოქიიდან საქართველოში ჩამოსული მგზავრები ქართველ მემატინეს ეკითხებიან ადგილობრივ ამბებს, პასუხად ესმით: „აქ ჭირია მოდებული“. ისევე შეკითხვა: „შავი ჭირი?“ და ამომწურავი პასუხი: „არა. სხვანაირი ჭირია. უზომო ჭამა-სმასა და ლაზღანდარობასა გადაყოლილი ხალხი. ამისთვის ქურდობენ, ავაზაკობენ, არც მკვლელობას ერიდებიან“.

მრავალ ჭირგადახდილი მემატინე კარგად ხედავს, თუ რაოდენ შემზარავი ვითარება გაბატონებულა მის სამშობლოში — უზნეობისა და სულიერი ხრწნის ატმოსფერო. ბუნებრივია, რომ იგი უკურნებელი სკეპსისით არის დასწეულებული. მისი მსჯელობა მოთხრობის დასაწყისშივე შეიცავს პოლემიკურ მუხტს ძვალრბოლოში გამჯდარი იდეალების მიმართ: „სასტიკად ცდება, ვისაც ჰგონია, რომ ოდესმე კეთილი სძლევეს ბოროტს. ნეტავ, გულწრფელად სჯერა ვინმეს ეს ცარიელი სიტყვები?“ — ამგვარი მკრეხელობა, დაუშვებელი ქართველი კაცის გონებაში, აღმოხდება ფიზიკურად და სულიერად გვემულს. მინიმუნება ერთობ გამჭვირვალა. ჯოჯოხეთად გადაქცეულ ქვეყანაში ყავლგასულ რწმენად ესახება მშობელი ხალხის სულსა და გულში ფესვგადგმული აფორიზმი, რომელსაც ძალუძს ნუგეში სცეს უწუგეშოდ შთენილს, მხნეობა უწილადოს შედრეკილ-შეშინებულსა და დაცემულს.

ოღონდ მოთხრობის დასაწყისში ჯერ კიდევ არაა გახსნილი ფრჩხილები და მკითხველს შესაძლოა ეგონოს, რომ ნამდვილად შვე ჭირზეა ლაპარაკი. ყოველდღე იხოება ხალხი, ისმის მოთქმა-გოდება, რომელსაც არაფრით ჩამორჩება მხიარული სიმღერა და დუდუკების ღულუნი. „დღე და ღამე ქეიფობდა ჭირიანი ქალაქი“, — გვამცნობს მემატინე, მთავარი გმირი გურამ გეგეშიძის მოთხრობისა. ყველგან დროსტარება და თავდავიწყება გაბატონებულია. ჭირს არ იმჩნევდნენ, ვითომდა არაფერი გვჭირს და არაფერი გვიჭირსო. თვალს ხუჭავენ ჭირზე, რომელიც მთელ ქვეყანას მოსდებია. იმდენად დაძაბუნებულან, რომ გამოსავლის ძიების ნადილიც და უნარიც დაუკარგავთ, ერთადერთ შვებას ქეიფში პოულობენ.

ეს პოლემიკური მუხტი კიდევ უფრო ძალუძად ფეთქავს იმ ეპიზოდებში, სადაც სიმღერა, ერთ-ერთი გამოსარჩევი და თავმოსანანი ატრიბუტი ეროვნული ბუნებისა მხოლოდ და მხოლოდ კოხტად მორგებულ ნიღბად წარმოგვიდგება.

„გათათრების“ გზაზე დამდგარი ქვეყანა უფსკრულისაკენ მიექანება. „სისტემატური ტერორის“ რეჟიმმა ბუნებრივად წარმოქმნა „გათათრების“ მანია. გათათრებულნი ჩინებულად ასრულებენ თათრების როლს. ამიტომაც ამბობს მემატინე: „ის ჩაფარი თათარი არ იყო, მაგრამ როცა თათარს ემსახურები და თათრად საქმეს აკეთებ, განა თათარი არა ხარ?“. გურამ გეგეშიძის მოთხრობაში „თათრობა“ ეთნიკურ ან სარწმუნოებრივ კუთვნილებას აღარ წარმოადგენს. ამ ცნებას უკვე ბიოლოგიური ელფერი შეუქმნია და მიგვითითებს ადამიანის გაპირუტყვევებას, გამხეცებას.

აგერ მემატინე სიამოვნებით უსმენს ტყეში მოქეიფე ახალგაზრდების ტკბილ სიმღერას და მათი ხელოვნებით მოხიბლული უხმოდ მიმართავს: „გენაცვალეთ სულში!“... სიცოცხლეც საამური ეჩვენება, ქვეყანა — მშვენიერი, ადამიანი — კეთილი. მაგრამ უყვრად ირკვევა, რომ სწორედ ამ ახალგაზრდებს შეუტყუებიან ტყეში გოგო და ნამუსი აუხდიათ. „ესენი ვინ ყოფილან?“ — ამბობს შეძრწუნებული მემატინე. ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგად სკეპტიკურად შეჰყურებს ეროვნული გამორჩეულობის მოარულ იდეასაც.

მემატინის სიტყვით, ქვეყნის საქმე მედროვეებს უპყრიათ ხელთ და სამშობლოს ინტერესთა გამყიდველნი მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ზრუნავენ. „სულიერ მამებსაც“ მხოლოდ თავისი ღულუკა ადარდებთ. თახსირდება ახალგაზრდობა, რომელსაც არაფერს ასწავლიან სასიკეთოს, აღარც ღირსეული მასწავლებელი ჩანს და აღარც სწავლას მოწყურებული მოწაფე.

შთაბეჭდავად არის დახატული მემატინის გაორება, თვალთმაქცობით შერყვნილი კეთილშობილი სული. ტყეში გაცნობილ ახალგაზრდებს შაბლონური სიტყვებით მიმართავს: „თქვენ გაგიმარჯვოთ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, კარგი ბიჭები ხართ, პურ-მარილი გიყვართ, უფროს-უმცროსობაც გახსოვთ. აბა თქვენი იცით, სამშობლოს გამოადექით!“

მემატინეს ბნელ ხაროდ ეჩვენება ცხოვრება და ყოველ ნაბიჯზე თვალში ხვდება უტყუარი სიმშტომები ხალხის გადაგვარებისა: გაუთავებელი კინკლაობა, მოყვასის გაკილვა და აბუჩად ავდება, უზომო ანგარება, უნდობლობა, გაუტანლობა, ტრაბახი სა-

გულში კი სულ სხვას ფიქრობს: „განა არ ვიცი ვინა ხართ? კარგად გიცნობთ, თქვე სიტყვის გატეხნო, უპირონო, ყბედნო, ტრაბახანო, სინამდვილედ რომ იმას ასაღებთ, რაც თქვენთვის სასურველია... თქვენი ბუნაგების, თქვენი სოროების, თქვენი საკუთარი მუცლის გვრემის გარდა, რა გიზიდავთ კიდევ, რა გააღლებთ, რა განუხებთ?“

...ან რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო? — ორი-სამი საუკუნის წინათ ნუხდა დავით გურამიშვილი.